

# ავტორის სტილი დაცულია

იგანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

გიორგი ყუფარაძე

საგადასახადო პოლიტიკის გავლენა პირდაპირ უცხოურ  
ინგესტიციებზე

ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად  
წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი

მეცნიერ-ხელმძღვანელი: პროფესორი რევაზ გველესიანი

თბილისი- 2016

## შინაარსი

შესავალი .....	3
<b>თავი I. საგადასახადო პოლიტიკის თავისებურებები გლობალიზაციის პირობებში</b>	
1.1 საგადასახადო კონკურენცია და ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებები .....	11
1.2 საგადასახადო პოლიტიკა და საერთაშორისო დაბეგვრის პრინციპები.....	38
1.3 საგადასახადო პოლიტიკისა და ინვესტიციების შორის კავშირი ინტერნაციონალიზაციისა და გლობალიზაციის პირობებში .....	52
<b>თავი II. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში</b>	
2.1 ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის პოლიტიკის მოდელი უცხოური ინვესტიციებისათვის .....	71
2.2 პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში .....	80
<b>თავი III. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ხელშემწყობი საგადასახადო პოლიტიკის ფორმირება და მისი სრულყოფის პერსპექტივები საქართველოში</b>	
3.1 საქართველოს საგადასახადო პოლიტიკა ინვესტიციებთან მიმართებაში .....	87
3.2 საგადასახადო პოლიტიკასა და ინვესტიციებს შორის კავშირი საქართველოში ..	116
3.3 პოლიტიკის სრულყოფის მიმართულებები .....	138
<b>დასკვნები და რეკომენდაციები .....</b>	181
<b>გამოყენებული ლიტერატურა.....</b>	185
<b>დანართები.....</b>	192

## შესავალი

### პრობლემის აქტუალობა

ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების მიღწევაში არსებით როლს ინვესტიციები ასრულებს. ინვესტირების მაღალი მოცულობის მიღწევა, როგორც შიდა ასევე უცხოური პირდაპირი ინვესტიციების კუთხით, საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტია.<sup>1</sup> საქართველოს ეკონომიკის ზრდის საპროგნოზო მაჩვენებლები მნიშვნელოვანწილად ინვესტირების მოცულობის ზრდის პროგნოზს ეფუძნება. ამ მიმართებით არსებული ეკონომიკური პოლიტიკის ორიენტირი - ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად ინვესტირების მაღალი დონის მიღწევა, ფართოდ აღიარებული და შეთანხმებული საკითხია, რომელიც უკვე ეკონომიკის არსებულ თეორიულ ნაშრომებშიც არის ასახული.<sup>2</sup>

ინვესტირების მოცულობის ზრდისათვის არსებით ფაქტორს ქვეყნისათვის ეფექტური საინვესტიციო გარემოს ქონა წარმოადგენს. საინვესტიციო გარემოს ფაქტორთაგან მნიშვნელოვანი წონა ე.წ. ტრადიციულ (ბაზრის ტევადობა და რესურსები) და ინსტიტუციურ ფაქტორებზე მოდის. ინსტიტუციურ ფაქტორებს შორის კი მნიშვნელოვანი საკითხი საგადასახადო პოლიტიკის საკითხებია. ინსტიტუციური ფაქტორების როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბუნებრივი რესურსებით შედარებით ნაკლებად უზრუნველყოფილი და მცირე ბაზრების მქონე ქვეყნებისათვის.<sup>3</sup> ამ უკანასკნელთა რიგს, სხვა ქვეყნებთან ერთად, საქართველოც მიეკუთვნება.<sup>4</sup>

2005 წლიდან საქართველოში ახალი საგადასახადო კოდექსი ამოქმედდა, რომლის გაცხადებული მიზანი ლიბერალური საინვესტიციო გარემოს მხარდაჭერაა. ამ მიზნით საქართველოს საგადასახადო კოდექსი უცხოელ და ადგილობრივ ინვესტორებს მნიშვნელოვან შეღავათებს თავაზობს, პირდაპირი

<sup>1</sup> ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები, 2012-2015 წლებისათვის, საქართველოს მთავრობა, თბილისი, 2011 წ გვ: 3, გვ. 8. საქართველოს სოციალურ ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, საქართველო 2020, საქართველოს მთავრობა, 2013 გვ.18.

<sup>2</sup> იხ, მაგალითად, Frederic S. Mishkin. Macroeconomics Theory and Practice, Addison Wesley. Wesley, 2012 გვ. 145, გვ. 487; N. Gregory Mankiw Principles of Macroeconomics, Fifth Edition, SOUTH-WESTERN CENGAGE Learning, 2008. გვ. 256, გვ. 258

<sup>3</sup> TAX Effects on Foreign Direct Investment" Recent Evidence and Policy Analysis. #17, OECD Paris 2007 p. 27

<sup>4</sup> Jacek Cukrowski, George Kavelashvili Determinants of Foreign Direct Investment in Georgia, CASE-CEU, Working-Paper Series, 39, Warsaw, 2001 p. 8

უცხოური ინვესტიციების მიმართ ლიბერალური პოლიტიკის კიდევ ერთი დამატებითი ინსტრუმენტია „ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის „შესახებ“ შეთანხმებები, რომლებიც დადებულია ქვეყნის ძირითად სავაჭრო და ეკონომიკურ პარტნიორ ქვეყნებთან.<sup>5</sup> ქვეყანაში ინვესტირების მოცულობის ზრდა და მის მიმართ არსებული ეკონომიკური პოლიტიკის საკითხები ჩვენი ქვეყნის აქტუალურ საკითხთა რიგს მიეკუთვნება.

ქვეყნის საგადასახადო კოდექსში ასახული პოლიტიკა ქმნის სტიმულებს დაზოგვისა და ინვესტირებისათვის, ხოლო უცხოელ ინვესტორთათვის შექმნილი დამატებითი შედავათები ამ უკანასკნელის ზრდის ძირითადი ფაქტორია, სხვა თანაბარ პირობებში. 2005 წლიდან საქართველოში სახეზე გვაქვს ერთის მხრივ საგადასახადო პოლიტიკის ლიბერალიზაცია, საგადასახადო ადმინისტრირების გაუმჯობესება,<sup>6</sup> ხოლო მეორეს მხრივ ამ პერიოდიდან მოყოლებული ფიქსირდება ინვესტიციების საერთო მოცულობის ზრდა. ეკონომიკურ კვლევებში არის აზრთა სხვადასხვაობა იმის თაობაზე თუ რამდენად მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი ფაქტორია საგადასახადო საკითხები ამა თუ იმ ქვეყანაში ინვესტირების მოცულობის ზრდისათვის, ეს განსაკუთრებით ეხება პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და საერთაშორისო კაპიტალის მოზიდვას. ორმაგი დაბეგვრის შესახებ შეთანხმებების დადება ერთის მხრივ შესაძლოა ამცირებდეს სახელმწიფოს საბიუჯეტო შემოსავლებს, ხოლო მეორე მხრივ კვლევის საგანია ის თუ რამდენად ეფექტურია საბიუჯეტო შემოსავლების გარკვეულ ნაწილზე უარის თქმა უცხოური ინვესტიციების მოზიდვის სანაცვლოდ. აღნიშნულს ქვემოთ ნახსენები ფაქტორთა ერთობლიობა განაპირობებს.

მე-20 საუკუნის 1960-იანი წლებიდან მოყოლებული სახელმწიფოთა როლი საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში გაიზარდა სოციალური უზრუნველყოფის კუთხით, რაც მთავრობებისაგან გაზრდილ სოციალურ დანახარჯებს მოითხოვდა.<sup>7</sup> როგორც ცნობილია საბიუჯეტო შემოსავლების ძირითადი წყარო საგადასახადო

<sup>5</sup> საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალური საიტი, <http://mof.ge/4680> (ვებგვერდზე უკანასკნელი ვიზუალი: 16.04.2016 წ.)

<sup>6</sup> იხ. მაგალითად, კვარაცხელია დემნა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოს ეკონომიკაში: ტენდენციები, შედეგები, პერსპექტივები, ჟურნალი-სოციალური ეკონომიკა 2007 4-გვ.101-108. ღავთაძე, გიორგი ფინანსური ბაზრების გლობალიზაცია და ინვესტიციები, ჟურნალი ეკონომიკური პროფილი 2007 2. - გვ.9-12, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2009 წლს, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ყოველწლიური პულიკაცია, თბილისი 2010 წ. International Monetary Fund, Georgia: Selected Issues, April 2011, IMF Country Report No. 11/93, p.12, 33-38

<sup>7</sup> Dunning, J.H. International production and Multinational Enterprise, Allen & Unwin, London 1981

შემოსავლებია. აქედან გამომდინარე, მთავრობებმა დააწესეს უფრო მაღალი საგადასახადო ტვირთი თავიანთ კორპორაციებსა და საწარმოებზე. რამაც თავის მხრივ უბიძგა კორპორაციებს თავიანთი წარმოება გადაეტანათ იმ ქვეყნებში, სადაც მინიმალურად მისაღები ინფრასტრუქტურული პირობები და დაბალი საგადასახადო ტვირთი იყო. ხოლო მეორეს მხრივ 1990-იანი წლებიდან მოყოლებული ეწ. პოსტსაბჭოთა, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები ცდილობდნენ თავიანთი არაკონკურენტული ეკონომიკების საბაზო რელსებზე გადაყვანას, რაც მნიშვნელოვან საინვესტიციო რესურსებს მოითხოვდა. მათ ქვეყნების შიდა საინვესტიციო რესურსები კი შეზღუდული იყო.<sup>8</sup> აღნიშნულმა ფაქტორებმა განაპირობა ერთგვარი კონკურენცია ქვეყნებს შორის უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად. საწყის ეტაპზე იმ ქვეყნებმა მოიპოვეს შედარებითი უპირატესობა, რომელთაც დიდი გასაღების ბაზები ან ბუნებრივი რესურსები გააჩნდათ, ხოლო იმ ქვეყნებმა რომელთაც ნაკლები ბუნებრივი რესურსები და გასაღების ბაზები გააჩნდათ უცხოელ ინვესტორებს ძირითადად ფართო საგადასახადო შედაგათები შესთავაზეს.

ეკონომიკური პოლიტიკის აღწერილმა რეალობამ პრაქტიკოსებსა და აკადემიური სფეროს მეცნიერებში წარმოშვა სადისკუსიო საკითხი იმის შესახებ თუ რამდენად ეფექტიანია არსებული საგადასახადო შედავათები უცხოურ ინვესტიციათა მოსაზიდად და რამდენად დიდი წონა აქვთ მათ ინვესტირების სხვა ფაქტორებთან შედარებით. აღნიშნული საკითხი ფართოდაა შესწავლილი განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ხოლო, გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის ამ საკითხის კვლევა შედარებით სიახლეს წარმოადგენს.

### **პრობლემის შესწავლის მდგრმარეობა**

საგადასახადო პოლიტიკისა და განსაკუთრებით, საგადასახადო შედავათებით ქვეყნებს შორის კონკურენციისა და ინვესტიციების ურთიერთკავშირის შესწავლა აკადემიურ დონეზე დაიწყო გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან, როდესაც კორპორაციებმა აქტიურად დაიწყეს თავიანთი წარმოების გადატანა ნაკლები საგადასახადო ტვირთის მქონე ქვეყნებში. მეცნიერთა ინტერეს წარმოადგენდა იმის გარკვევა თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო ინვესტორთათვის საგადასახადო საკითხები ამა თუ იმ ქვეყანაში

---

<sup>8</sup> ON DETERMINANTS OF FOREIGN DIRECT INVESTMENT IN TRANSITION ECONOMIES, Andrzej Baniak et.al. Center for Social and Economic Research 2002 p.2-4

ინვესტირებისას და შეეძლო თუ არა ფართო საგადასახადო შედავათებს ქვეყნების საინვესტიციო გარემოს სხვა ნაკლოვანებების გადაწონვა. ამასთან, ამ საკითხის შესწავლა თავად მთავრობებისათვისაც იყო მნიშვნელოვანი-რამდენად ეფექტური იყო დაწესებული შედავათები ინვესტორთა მოსაზიდად, იმ საბიუჯეტო დანაკარგებთან შედარებით, რაც ჩვეულებრივ თან ახლავს საგადასახადო შედავათების დაწესებას-ცალკეულ საბიუჯეტო შემოსავლებზე უარის თქმის სახით. მოცემული საკითხის კვლევა შემდგომ წლებშიც აქტიურად გაგრძელდა რიგი მეცნიერებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების, ასევე კვლევითი ცენტრების მიერ. მოცემულ სადისერტაციო ნაშრომში გაანილზებულია შემდეგი უცხოელი მეცნიერებისა და ორგანიზაციების კვლევები: ბარლოუ და ვენდერი, აარონი, მინცი და თეოპოლუსი, გრიფინი და დევერუქსი, დანინგი, კარზანოვა, კვლევითი ორგანიზაცია: Group of Thirty-ის, Fortune/Deloitte & Touche-ის, ეკონომიკური განვითარების და თანამშრომლობის ორგანიზაციის კვლევითი პუბლიკაციები.

ქართული სამეცნიერო ლიტერატურის განხილვისას, გამოვიყენეთ შემდეგი მეცნიერების შრომები: ვლ. პაპავას, ი. მესხიას, მ. ჩიკვილაძის, გ. ურიდიას, ზ. როგავას, ზ. ამილახვარის, მ. აბდალაძის, ნ. ბაკაშვილის, ნ. გელაშვილის, ვ. ლობჟანიძის, ნ. ასლმაზაშვილის, ფ. გურსოის, თ. კბილცეცხლაშვილის და სხვათა სამეცნიერო და პრაქტიკული ხასიათის პუბლიკაციები.

### კვლევის მიზნები და ამოცანები

კვლევის მიზანია შეისწავლოს საგადასახადო ფაქტორების გავლენა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე საქართველოში. შეაფასოს არსებული საგადასახადო პოლიტიკის ეფეტიანობა. კვლევის ამოცანებია:

- საერთაშორისო საგადასახადო ურთიერთობების გლობალური ტენდენციების ანალიზი;
- საქართველოს მიერ გატარებული საერთაშორისო საგადასახადო პოლიტიკის სისტემური ანალიზი პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან მიამართებაში;
- საგადასახადო ფაქტორების როლის შეფასება პირდაპირ უცხოურ ინვესტიცითა შემოდინების პროცესში;

- საქართველის საგადასახადო პოლიტიკის ეფექტურობის შეფასება და პოლიტიკის სრულყოფის რეკომენდაციების შემუშავება.

**კვლევის ობიექტი.** კვლევის ობიექტია საქართველოს მიერ გატარებული საერთაშორისო საგადასახადო პოლიტიკა.

**კვლევის საგანი.** კვლევის საგანია პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და საგადასახადო ფაქტორებს შორის კავშირის ანალიზი, დასკვნების საფუძველზე გატარებული საერთაშორისო საგადასახადო პოლიტიკის ეფექტიანობის შეფასება.

წინამდებარე ნაშრომში კომპლექსურადაა შესწავლილი საერთაშორისო საგადასახადო პოლიტიკა და საინვესტიციო ფაქტორების ყველა მნიშვნელოვანი ასპექტი და მასში მიმდინარე ტენდენციები. ესენია: საგადასახადო პოლიტიკის საკითხები გლობალიზაციის პირობებში; საგადასახადო კონკურენციის ტენდენციები მსოფლიოს მასშტაბით, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციოთა როლი და მნიშვნელობა გარდავამალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის, ძირითადი საინვესტიციო ფაქტორები და ამ ფაქტორთა შორის საგადასახადო ფაქტორების ხვედრითი წონა. აგრეთვე გამოკვლეულია საგადასახადო ფაქტორების როლი საქართველოში პირდაპირ უცხოურ ინვესტიციოთა შემოდინების პროცესში. ამ თვალსაზრისით, იგი წარმოადგენს ქარულ ენაზე შესრულებულ პირველ ნაშრომს. წარმოდგენილ ნაშრომში შესწავლილია საგადასახადო პოლიტიკასა და პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს შორის კავშირი საქართველოში. საანალიზო პერიოდად აღებულია 2005-2015 წლები. ნაშრომში გაანალიზებულია როგორც ოფიციალური სტატისტიკის მონაცემები, ასევე უცხოელი ინვესტორთა გამოკითხვების შედეგად მიღებული მონაცემები. ნაშრომში გამოყენებულია როგორც ეკონომიკური კვლევის რაოდენობრივი, ასევე სოციოლოგიური კვლევების თვისობრივი მეთოდები. მოცემული კვლევის მიზანია შეაფასოს საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მიმართ არსებული ეკონომიკური პოლიტიკის უფექტიანობა, ჩამოაყალიბოს რეკომენდაციები ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანობის ზრდისათვის.

**კვლევის მეთოდები.** ნაშრომში გამოყენებულია აბსტრაქტულ-ლოგიკური, სისტემურ-სტრუქტურული ანალიზის, სტატისტიკური ანალიზის, სინთეზის, ინდუქციისა და დედუქციის, ანალოგიის, ინდექსირების, სისტემური მიდგომების

და სოციოლოგიის კვლევის თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. სოციოლოგიის თვისობრივი კვლევის მეთოდით მიღებული მონაცემების დამუშავებისას გამოყენებულია კომპიუტერული პროგრამა SPSS (Statistical Package for the Social Sciences – სტატისტიკური პაკეტი სოციალური მეცნიერებებისათვის).

### **სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლე**

ნაშრომში პირველადაა კომპლექტურად შესწავლილი ის პოლიტიკა, რაც ასახულია საქართველოს მიერ დადებულ საერთაშორისო საგადახადო შეთანხმებებში. სიტემტურადაა შეწავლილი ამ ხელშელრულების ეკონომიკური და ფისკალური შედეგები. გაკეთებულია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტული საერთაშორისო საგადასახადო შეთანხმებების სტრუქტურლი შედარება და მოცემულია მისი შედეგები კაპიტალის ექსპორტიორი და კაპიტალის იმპორტიორი ქვეყნებისათვის. კვლევისას მოპოვებულია პირველადი სტატისტიკური მასალა- სოციოლოგიური გამოკითხვების გზით და გაკეთებულია დასკვნების საგადახადო პოლიტიკის შედრებითი წონის შესახებ საინვესტიციო გარემოს სხვა ფაქტორებთან მიმართებაში. მიღებულია დასკვნები საგადასახადო ფაქტორების ზღვრული მნიშვნელობის შესახებ საქართველოს საინვესტიციო გარემოში, მოცემულია დასკვნები საქართველოს საგადახადო პოლიტიკის სრულყოფისა და გრძელვადიანი ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკის გატარების მიმართულებების შესახებ.

**ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა.** კვლევის შედეგად შემუშავებული წინადადებები და რეკომენდაციების შეიძლება გამოყენებულ იქნას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ საერთაშორისო პოლიტიკის შემუშავების პროცესში, აგრეთვე საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს მიერ საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების პროცესში, ეკონომიკური პროფილის უმაღლეს სასწავლებლებში სპეციალური კურსების წაკითხვისას.

### **ნაშრომის აპრობაცია და პუბლიკაცია**

დისერტაცია განხილული იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკური პოლიტიკის კათედრის სხდომაზე.

გარდა ამისა, სადისერტაციო ნაშრომის ცალკეული ნაწილები, მოხსენების სახით წაკითხულ იქნა შემდეგ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე:

Title of conference paper/ presentation: The Role of Tax Policies in Modern Economies, 5<sup>th</sup> International Conference of Political Economy: Logic of our Age – The Individual and Society in the Market's Grasp, Kocaeli University, Faculty of Economics and Administrative Sciences, Kocaeli, Turkey, 2013, Program and Abstracts, გვ 74

მოხსენების სათაური: საგადასახადო პოლიტიკისა და ინვესტიციების ურთიერთკავშირი ახალი ეკონომიკური გეოგრაფიის მოდელების მიხედვით, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია “ ეროვნული ეკონომიკები და გლობალიზაცია” მასალების კრებული, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, ტომი 1, თბილისი, 2012, გვ 334-338

ამასთან, ოქმასთან დაკავშირებით გამოქვეყნდა ხუთი სტატია, კურძოდ: უფარაძე გ. საგადასახადო პოლიტიკა და უცხოური ინვესტიციები საქართველოში, Journal of Social, Political and Economic Studies, THE CAUCASUS & GLOBALIZATION, Volume 7 Issue 3-4 2013, Sweden, INSTITUTE OF STRATEGIC STUDIES OF THE CAUCASUS, pp 82-96 [http://www.ca-c.org/c-g/2013/journal\\_eng/c-g-3-4/08.shtml](http://www.ca-c.org/c-g/2013/journal_eng/c-g-3-4/08.shtml) (ინგლისურ და რუსულ ენებზე)

უფარაძე გ. საგადასახადო პოლიტიკის გავლენა ეკონომიკის რეალურ სექტორში ინვესტირების მოცულობაზე, საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ურნალი „ეკონომიკა“, №5-6, გვ. 32-40, 2013 <http://economics.bpengi.com/home/2013>

უფარაძე გ. საგადასახადო პოლიტიკისა და ინვესტიციების ურთიერთკავშირი ახალი ეკონომიკური გეოგრაფიის მოდელების მიხედვით, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის “ ეროვნული ეკონომიკები და გლობალიზაცია” მასალების კრებული, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, ტომი 1, თბილისი, 2012, გვ 334-338

უფარაძე გ. საგადასახადო პოლიტიკის მოდელი უცხოური ინვესტიციებისათვის, ურნალი „ეკონომისტი“, საერთაშორისო რეცენზირებადი, სამეცნიერო ანალიტიკური ურნალი. პაატა გუგუშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ინსტიტუტი, 2011 № 4 გვ 54-61

შუფარაძე გ. ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებების ინტერპრეტირების სამართლებრივი საფუძვლები, ურნალი „ხელისუფლება და საზოგადოება”, Scientific magazine of The Open Diplomacy Association, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სახელმწიფო მართვის კათედრა 2011. № 3(19) გვ. 73-84

<http://www.odageorgia.ge/?page=gamocemebi>

კვლევის ცალკეული ნაწილები შესრულებულია ამერიკის შეერთებული შტატების ჯორჯიის უნივერსიტეტის ენდრიუ იანგის პოლიტიკური კვლევების სკოლის ფისკალური კვლევების ცენტრში, ხელმძღვანელი: პროფესორი სელი ვალასი (ახალგაზრდა მეცნიერთა უცხოეთში სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირების სახელმწიფო სამეცნიერო გრანტები, პროექტი: S/15/2-230/12 – საგრანტო ხელშეკრულება # 04/31, 2012 წ.) შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ცონდი.

### **ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა**

სადისერტაციო ნაშრომის ტექსტის ძირითადი ნაწილი კომპიუტერზე ნაბეჭდ 184 გვერდს შეადგენს და შედგება შესავლის, სამი ძირითადი თავის, რვა ქვეთავისა და დასკვნისაგან. გარდა ძირითადი ნაწილისა, თემას დართული აქვს გამოყენებული ლიტერატურის სია და დანართები 11 გვერდის მოცულობით.

## თავი I. საგადასახადო პოლიტიკის თავისებურებები გლობალიზაციის პირობებში

### 1.1 საგადასახადო კონკურენცია და ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებები

როგორც ცნობილია, ქვეყნების სამეურნეო ურთიერთობების გლობალიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის პროცესებში განსაკუთრებულ როლს უკეთური ინვესტიციები და საერთაშორისო ვაჭრობა ასრულებს. ბოლო ათწლეულში, მსოფლიო ეკონომიკაში პირდაპირ უკეთურ ინვესტიციათა ნაკადების ზრდას<sup>9</sup> თან ახლდა უკეთურ ინვესტიციებთან დაკავშირებული პოლიტიკის ლიბერალიზაცია, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ეფექტიანობის ამაღლება და კორპორაციებს შორის კონკურნეციის ზრდა. უკეთურ ინვესტიციებთან დაკავშირებული პოლიტიკის ლიბერალიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი ინვესტიციათა დაცვის საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმების ფორმირება იყო, კერძოდ ორმხრივი საინვესტიციო და ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებების მზარდი ტემპებით რატიფიკაცია ქვეყნებს შორის.<sup>10</sup> ამ ხელშეკრულებებით, გაცხადებული მიზნების მიხედვით, უკეთეს ინვესტორებს სთავაზობდნენ ინვესტირებული კაპიტალის დაცვისა და ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების სამართლებრივ გარანტიებს. ითვლებოდა, რომ ამგვარი მიდგომა, ეკონომიკური პოლიტიკის თვალსაზრისით იყო მნიშვნელოვანი ხელშემწყობი მექანიზმი პირდაპირ უკეთურ

<sup>9</sup> 1980-ან წლებში მსოფლიო ეკონომიკაში პირდაპირ უკეთურ ინვესტიცითა ნაკადების ჯამური მაჩვენებელი დაახლოებით 80 მილიარდს შეადგენდა, უკვე 1990 წელს კი 200 მილიარდ აშშ დოლარს, 2007 წელს 1.5 ტრილიონ აშშ დოლარს, ხოლო უკვე 2015 წლისათვის კი 1.8 ტრილიონ აშშ დოლარს. წყარო: UNCTAD World Investment Report 2007, Transnational Corporations, Extractive Industries and Development (New York and Geneva: United Nations, 2007), p. 218. World Investment Report 2016: Investor Nationality: Policy Challenges, Geneva, United Nations 2016. p 196-206

<sup>10</sup> ამგვარი ტენდენცია თავის უწყვეტ ხასიათს 2000-ან და შემდგომ ათწლეულში, მაგალითად 2014-2015 წლებშიც ინარჩუნებს. იხილეთ, მაგალითად: World Investment Report 2016: Investor Nationality: Policy Challenges, Geneva, United Nations 2016. p 101

ინვესტიციონა ნაკადების ზრდისათვის.<sup>11</sup>

მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში ინვესტიციებისა და ვაჭრობისაგან მიღებული შემოსავლები საშემოსავლო და მოგების გადასახადებით დაბეგვრის ობიექტია. ამ შემოსავლების დაბეგვრის თავისებურებები დამოკიდებულია თითოეული ქვეყნის როგორც შიდა საგადასახადო კანონმდებლობაზე, ასევე ქვეყნის მიერ რატიფიცირებულ საერთაშორისო დაბეგვრის ხელშეკრულებებზე.

კაპიტალისა და ტექნილოგიების ბაზების განვითარების შედეგად უფრო მრავალფეროვანი გახდა იურიდიულ და ფიზიკურ პირთა შემოსავლების წყაროები, როგორც ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით, ასევე სხვადასხვა ქვეყნების მიხედვითაც. ქვეყნების საგაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების ზრდის კვალდაკვალ საერთაშორისო ტრანზაქციების დაბეგვრის საკითხებმა განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინეს. სხვადასხვა ქვეყნებში საწარმოთა საქმიანობის გეოგრაფიული არეალების გაფართოება იწვევს ამ საწარმოთა განსხვავებულ დაბეგვრის რეჟიმებში მოქცევას. დაბეგვრის სხვადასხვა რეჟიმებს, კაპიტალის ერთიანობის პირობებში, აქვთ მნიშვნელოვანი გავლენა მრავალეროვნულ საწარმოთა საბოლოო ფინანსურ შედეგებზე, ხოლო მსოფლიო ეკონომიკის თვალსაზრისით ისინი ზემოქმედებენ ინვესტიციების ამა თუ იმ ქვეყანაში განთავსების გადაწყვეტილებებზე. ამ პროცესების შედეგად ქვეყნების საგადასახადო კანონმდებლობები სულ უფრო მეტად ურთიერთდაკავშირებულნი ხდებიან.

სხვადასხვა ქვეყნებში საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბებაზე ზემოქმედებს პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და ფსიქოლოგიური ფაქტორებიც კი. საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ არის უფლებამოსილი დააკისროს გადასახადი საერთაშორისო ტრანზაქციების სუბიექტებს, ან რომელ ეკონომიკურ საქმიანობაზე უნდა დაწესდეს გადასახადი (რომელი გამოიმუშავებს დასაბეგრ ობიექტს), ასევე განიცდის პოლიტიკური, კულტურული და ისტორიული ფაქტორების ზეგავლენას. გადასახადის დაკისრებისას ქვეყნისშიდა საქმიანობასა და საერთაშორისო ტრანზაქციებზე ყოველი მთავრობა ეყრდნობა მის მიერ არჩეულ რაციონალურ პრინციპს - გადასახადის დაკისრების

<sup>11</sup> The effect of treaties on foreign direct investment , Sauvant , Karl P. Sachs Lisa E, Oxford University Press 2009, p

გამართლებისათვის. ცხადია, საბაზისო რაციონალური პრინციპი გამომდინარეობს თვით მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკიდან.

გლობალიზაციის მზარდი მასშტაბების გამო (განსაკუთრებით 80-იანი წლებიდან მოყოლებული), საერთაშორისო ბიზნესისა და საერთაშორისო ინვესტირების პროცესებში განსაკუთრებული აქტუალურობა შეიძინა დაბეგვრის საკითხებმა - შესაფერისი საგადასახადო ინსტრუმენტების დანერგვამ, რომელთა მეშვეობითაც ერთის მხრივ განხორციელდებოდა მთავრობების მიერ ოპტიმალური საგადასახადო შემოსავლების მობილიზაცია, ხოლო მეორეს მხრივ ამგვარი საგადასახადო პოლიტიკით მოხდებოდა უცხოურ ინვესტიცითა მოზიდვა. საგადასახადო პრობლემატიკა განსაკუთრებით დაკავშირებულია იმ შემთხვევებთან, როდესაც სუბიექტი განლაგებულია ერთ ქვეყანაში, ხოლო შემოსავლის წყარო მეორე ქვეყანაშია. საგადასახადო ორგანოები საჭიროებენ ჩამოყალიბებულ საგადასახადო პოლიტიკას, იმის განსასაზღვრად თუ როგორ დაბეგრონ შემოსავლები, რომლებიც მიღებულია მათ ქვეყანაში არსებული წყაროდან.

საერთაშორისო საგადასახადო პოლიტიკა დიდწილადაა დამოკიდებული ცალკეული ქვეყნის მახასიათებლებზე: არის კაპიტალის წმინდა იმპორტიორი (ე.ი. დამოკიდებულია უცხოურ ინვესტიციებზე, უცხოური ინვესტიციების ოდენობა აჭარბებს ადგილობრივს) ან არის კაპიტალის წმინდა ექსპორტიორი (ე.ი. მოცემული ქვეყნის კერძო სექტორი, მთავრობა და საოჯახო მეურნეობები ახდენენ საზღვარგარეთ ინვესტირებას და ამ ინვესტირების მოცულობა აჭარბებს ქვეყნისშიდა ინვესტირების მოცულობას, რომელიც ხორციელდება უცხოელების მიერ).

აღნიშნული განაპირობებს ქვეყნებს შორის თანამშრომლობას დაბეგვრის სფეროში, რომლის ოფიციალური, გაცხადებული მიზნებია:<sup>12</sup>

- ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილება;
- სახელმწიფო კონტროლი გადასახადების თავის არიდებაზე;
- უცხოური ინვესტიციების მოზიდვა არარეზიდენტების შემოსავლების

<sup>12</sup> Model Tax Convention on Income and on Capital, OECD Committee on Fiscal Affairs, Paris 2005

არადისკრიმინაციული დაბეგვრის გზით.

საერთაშორისო საგადასახადო ურთიერთობებში ფართოდ გამოიყენება საერთაშორისო ორგანიზაციების გ.წ. სტანდარტული ხელშეკრულებები. რეალურად რატიფიცირებული საგადასახადო შეთანხმებები უმრავლეს შემთხვევაში ეყრდნობა ამ საერთო მოდელებს; აქედან გამომდინარე, სტანდარტული ხელშეკრულების გამოყენების, სულ მცირე, "მსუბუქი" ვალდებულება მაინც არსებობს, თუკი ამის საწინააღმდეგოდ არ არსებობს ისეთი მნიშვნელოვანი მიზეზი, როგორიცაა ეროვნული კანონმდებლობის თავისებურებები ხელშეკრულების ცალკეულ დებულებებთან მიმართებით. ამ რეალობაზე დაყრდნობით, ზოგიერთი მეცნიერი ეჭვის ქვეშ აყენებს საერთაშორისო საგადასახადო სისტემის არსებობას, რომელიც ჩადებულია თითქმის იდენტურ სახელშეკრულებო სისტემაში. ცალკეულ მეცნიერთა მოსაზრებით, საერთაშორისო საგადასახადო სამართალი შეგვიძლია მივიჩნიოთ საერთაშორისო სამართლის ნაწილად;<sup>13</sup> ზოგადი მიდგომით, საერთაშორისო საგადასახადო სამართალი ეს არის სხვადასხვა ქვეყნების იმ საკანონმდებლო ნორმების ერთობლიობა, რომლებიც არეგულირებენ საგადასახადო ურთიერთობებს უცხოური (საერთაშორისო) ელემენტით. რეგულირებადი ურთიერთობების ხასიათიდან, აგრეთვე მასში მონაწილე სუბიექტებიდან გამომდინარე, საერთაშორისო საგადასახადო სამართალი შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც სამართლის კომპლექსური დარგი, რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო საგადასახადო ურთიერთობების მარეგულირებელ შიდასახელმწიფოებრივ და საერთაშორისო სამართლის ნორმების ერთობლიობას.<sup>14</sup>

ამგვარი მიდგომა განსაკუთრებით რელავანტურია ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებებთან მიმართებაში. ტერმინი საერთაშორისო საგადასახადო სამართალი ატარებს პირობით ხასიათს, ვინაიდან არ არსებობს უცვლელი სახით ყველა ქვეყნის შემთხვევაში. მაგალითად, ევროკავშირმა თავისი 27 წევრი

<sup>13</sup> ცალკეულ ავტორთა მოსაზრების მიხედვით საერთაშორისო საგადასახადო სამართალი განიხილება, როგორც საერთაშორისო საფინანსო სამართლის ქვედარგი, რომელიც, თავის მხრივ საერთაშორისო საჯარო სამართლის დამოუკიდებელ დარგად განიხილება. სხვა მოსაზრების მიხედვით საერთაშორისო საგადასახადო სამართალი საერთაშორისო ეკონომიკური სამართლის ქვედარგია.

<sup>14</sup> ზ. როგავა “გადასახადები, საგადასახადო სისტემა და საგადასახადო სამართალი” თბილისი. 2002 წ გვ. 97

ქვეყნისათვის დააწესა განსხვავებული მიღებომა საერთაშორისო დაბეგვრისადმი. მიღებული დირექტივები განსაზღვრავს-თუ რომელი საერთაშორისო ტრანსაქციები იძეგრება წევრ ქვეყნებში, რა ნაწილი იძეგრება პირველ წევრ ქვეყანაში, რა ნაწილი მეორე ქვეყანაში. ევროკავშირის მექანიზმი დირექტივა აწესებს დღგ-ს დაკისრების ინსტრუქციას საზღვრისგადამკვეთ ტრანსაქციებზე წევრ ქვეყნებში, ეს მიღებომა კი დანარჩენი მსოფლიოს ცალკეული რეგიონებისაგან განსხვავდება.<sup>15</sup>

ვინაიდან ქვეყანათა უმეტესობაში საერთაშორისო ხელშეკრულებებს უპირატესი ძალა ენიჭებათ ეროვნულ კანონმდებლობასთან მიმართებით, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული შეთანხმებები შესასრულებლად სავალდებულოა ამ ქვეყნებისთვის. ზოგიერთ ავტორთა მოსაზრებით 2 000-ზე მეტი ორმხრივი საგადასახადო შეთანხმებისგან შემდგარი სისტემა, "რომლებიც ძალიან ჰგავს ერთმანეთს არა მხოლოდ პოლიტიკის, არამედ ენობრივი თვალსაზრისითაც, საერთაშორისო საგადასახადო რეჟიმს წარმოადგენს."<sup>16</sup> მართლაც, სავარაუდოა, რომ მიუხედავად მათი დამოუკიდებლობისა, ქვეყნები, განსაკუთრებით კი არაინდუსტრიული ქვეყნები, თავიანთი ნება-სურვილის შესაბამისად გერ მიიღებენ საერთაშორისო წესებს – მათ მსხვილი მოთამაშეების მიერ უკვე შექმნილი საერთაშორისო საგადასახადო რეჟიმის ფარგლებში უნდა იმოქმედონ. ცხადია, არსებობს ნათლად ჩამოყალიბებული საერთაშორისო საგადასახადო პრინციპები, რომელიც საყოველთაოდაა აღიარებული, მაგალითად: დისკრიმინაციის დაუშვებლობა, ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილება ორიდან ერთი მეთოდის მიხედვით, ფორმალური სტანდარტი და სხვა, თუმცა ზემოთქმული არ ნიშნავს, რომ ეს რეჟიმი სტატიკურია და არ იცვლება, პირიქით, იგი მუდმივად დგას ახალ-ახალი გამოწვევების წინაშე.

<sup>15</sup> საბჭოს დირექტივა 77/388/EEC 17 მაისი, 1977-წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობების პარმონიზაცია ბრუნვის გადასახადებზე-VAT-ის ერთობლივი, საერთო სისტემა

საბჭოს დირექტივა 90/435/EEC 23 ივლისი, 1990 სათავო და ფილიალი კომპანიების დაბეგვრის საერთო სისტემის შესახებ წევრ ქვეყნებში.

საბჭოს დირექტივა 2003/48/EC 3 ივლისი დანაზოგის შემოსავლების დაბეგვრა საპროცენტო გადახდების ფორმით, აგრეთვე მიღებულია სხვა დირექტივები.

<sup>16</sup> Reuven, Tax Competition and International Tax Regime, Bulletin for International Taxation, April 2007 p 130-138.

საერთაშორისო საგადასახადო ურთიერთობების ზოგადად აღიარებული პრინციპი გულისხმობს ქვეყნის თავისუფლების დააწესოს გადასახადი მისი არჩევანის შესაბამისად, ამასთან სახელმწიფოს არ შეუძლია თავისი საგადასახადო მოთხოვნები გაავრცელოს სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მისი დაბეგვრის უფლება არ ვრცელდება იმ დაბეგვრის ობიექტებზე, რომლებიც სხვა ქვეყანაში წარმოიქმნება. მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის მზარდი მასშტაბების მიუხედავად ჯერ კიდევ საკამათოა მეტნაკლებად უნიფიცირებული საერთაშორისო საგადასახადო სამართლის არსებობაც კი. აღნიშნულ მოსაზრებას პრაქტიკაში არსებული განსხვავებული მიღვომებიც ამჟარებს.

ჩვეულებრივ უცხო ქვეყნის რეზიდენტები იბეგრებიან შემოსავლის იმ ნაწილში, რომელსაც იღებენ ქვეყანაში არსებული წყაროდან.<sup>17</sup> წარმოდგენა იმის შესახებ მიეკუთვნება თუ არა შემოსავალი ქვეყანაში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავალს ეფუძნება იმ ქვეყნის საგადასახადო კოდექს, სადაც საქმიანობს ეკონომიკური სუბიექტი. აქედან გამომდინარე, სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობების ჩამონათვალი თუ რა მიეკუთვნება ქვეყანაში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავალს შეიძლება განსხვავდებოდეს.

საერთაშორისო საგადასახადო შეთანხმებების სიმრავლიდან ყველაზე ფართოდაა გავრცელებული „შეთანხმება ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ”, ან შემოკლებული ფორმით ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმება. ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულება ხშირად მოიხსენიება, როგორც „ორმაგი დაბეგვრის კონვენცია”, „ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულება”, „საგადასახადო ინფორმაციის გაცვლის ხელშეკრულება”, „ორმაგი დაბეგვრის შეთანხმება” ან მარტივად „საგადასახადო კონვენცია”. საგადასახადო კონვენცია განმარტებულია საერთაშორისო საგადასახადო ტერმინთა ლექსიკონში<sup>18</sup>, როგორც „ტერმინი ზოგადად გამოიყენება ორ ან მეტ სახელმწიფოს შორის ორმაგი დაბეგვრის აცილების შესახებ დადგებული შეთანხმების აღსანიშნავად”.

მიუხედავად იმ დიდი სირთულეებისა, რასაც ორმაგი დაბეგვრა ქმნის ქვეყნებს შორის ურთიერთობების განვითარების გზაზე საერთაშორისო

<sup>18</sup> Larking B (ed.) „International Tax Glossary: Internatioanl Bureau of Fiscal Documentation,” 2001 4-th ed., p 354

საგადასახადო სამართალში იშვიათად მოიძებნება მუხლები (მუხლების კრებული), რომლებიც კონკრეტულადაა მიმართული სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ დაბეგვრის უფლების შეზღუდვაზე; შედეგად, ორმაგი დაბეგვრა გადაჭრილ უნდა იქნას ცალმხრივად ან შიდა დონისძიებებით. საგადახადო ჩათვლა არის ქვეყნების მიერ ფართოდ აპრობირებული იურიდიული მეთოდი ორმაგი დაბეგვრის გამოსარიცხად. მაგარამ ეს მეთოდი ყოველთვის საბოლოოდ ვერ გამორიცხავს ორმაგ დაბეგვრას. რადგან განსაკუთრებით სასურველია იმ გადასახადის გადამხდელთა ფისკალური მდგომარეობის განმარტება, რომლებიც არიან ჩაბმული კომერციულ და სამეწარმეო და ფინანსურ საქმიანობაში საერთაშორისო მასშტაბებით. ორმხრივი ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებები ჩამოყალიბდა იმ სახელმიწოდებს შორის, რომლებიც ერთმანეთთან ვაჭრობენ. ეს ხელშეკრულებები ფორმალურად განსაზღვრავენ რომელი ქვეყანა ბეგრავს ობიექტს ან გადასახადის გადამხდელს ან/და რომლი ჩათვლა მიენიჭება გადახდილ გადასახადს სხვა კანონმდებლობით. ამგვარი მიდგომით, უმრავლესობა ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებები ანიჭებენ უპირატესი დაბეგვრის უფლებას წყარო ქვეყანას, მაგრამ მოითხოვენ ქვეყნის დაბეგვრის უფლებების შეზღუდვას (წყროსთან დაკავებადი გადასახადის განაკვეთების მიმართ) ცალკეული სახის შემოსავალზე (მაგ: დივიდენდი, პროცენტი, როიალტი) და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მოდელზე დაფუძნებული ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულების მიხედვით არ დაბეგვროს ცალკეული სახის შემოსავლები საერთოდ (მაგ საპარტნერო და საზღვაო გადაზიდვები). ამ მხრივ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის სამოდელო ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულება ზღუდვს წყარო ქვეყნის კანონმდებლობის დაბეგვრის უფლებას.

ამასთან, ცხადია ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებები უზრუნველყოფენ იურიდიული ორმაგი დაბეგვრისაგან გათავისუფლებას. მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი გათავისუფლება უკვე არის გათვალისწინებული შიდა კანონმდებლობით, ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულება უზრუნველყოფს უფრო სრულყოფილ მიდგომას. მაგალითად, შიდა კანონებმა შეიძლება უზრუნველყონ შეზღუდული გათავისუფლება-საგადასახადო გამოქვითვით რეზიდენტობის ქვეყანაში უცხო ქვეყანაში გადახდილი გადასახადებისათვის; მაშინ როცა ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებამ შეიძლება უზრუნველყოს მთლიანი გათავისუფლება ან

საგადასახადო ჩათვლა, ორმელიც გადასახადის გადამხდელისათვის უფრო დიდი სარგებელია ვიდრე გამოქვითვა დასაბეგრი შემოსავლიდან.

ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებების ტიპიური ვარიანტების შემუშავებისთანავე მათი მიზანი იყო ორმაგი დაბეგვრის გამორიცხვა. ამ პროცედურის გადაჭრა მდგომარეობს შემოსავლის მხოლოდ ერთხელ დაბეგვრაში, რასაც მივყავართ ქვეყნებს შორის დაბეგვრის უფლებების განაწილებამდე;

ჩვეულებრივ, ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულება არის ორ ქვეყნას შორის შეთანხმება (ბილატერალური შეთანხმება) ან ორზე მეტ ქვეყნას შორის (მრავალმხრივი შეთანხმება), ორმლის მიზნებია:

- ორმაგი დაბეგვრის გამორიცხვა, რაც შეიძლება წარმოიქმნას ქვეყნების მიერ ერთგაიგივე შემოსავალზე გადასახადის დაკისრებით;
- დაკისრებული გადასახადების განაწილება ხელშეკრულებაში მონაწილე მთავრობებს შორის;
- გადასახადების გადაუხდელობის აღვეთა, საერთაშორისო ტრანზაციების ან ხელშეკრულებით გათვლისწინებული შემთხვევების დროს.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ფისკალურ საკითხთა კომიტეტმა ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულების მიზნები შემდეგნაირად შეაჯამა<sup>19</sup>: „ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებების ძირითადი მიზანია საქონლისა და მომსახურების გაცვლის, კაპიტალის და ადამიანების გადაადგილების ხელშეწყობა-ორმაგი დაბეგვრის ანულირების გზით. აგრეთვე, მისი მიზანია გადასახადებისაგან თავის არიდებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთა”.

ორმაგი დაბეგვრის გამორიცხვა უპირველეს ყოვლისა გამიზნულია გადასახადების გადამხდელებისათვის სარგებლის მოსატანად. მექანიზმი ამ მიზნის მისაღწევად არის დაბეგვრის უფლებების განაწილება ხელშემკვრელ

<sup>19</sup> OECD Commentary Art 1, parag.7

სახელმწიფოებს შორის. მეორე მიზანი გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთა გამიზნულია ფისკალური ფუნქციის გაძლირებისათვის (ე.ი საგადასახადო ორგანოებისათვის). ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის სტანდარტული ხელშეკრულება (2003) გადასახადების გადაუხდელობის ადგენოას ეხება ძირითადად, სამ მუხლში(ცხრ. 3.1.):

-მუხლი 9 ურთიერთდამოკიდებული საწარმოები

-მუხლი 26 ინფორმაციის გაცვლა

-მუხლი 27 ურთიერთანამშრომლობა გადასახადების ამოლებაში

მუხლი 9 ასევე ეხება ხელშემკვრელ სახელმწიფოებოთა საგადასახადო შემოსავლების კორექტირებას, როდესაც დაბეგვრის სუბიექტი ჩაბმულია ქვეყანათშორის ტრანსფერულ გადარიცხვებში. მე-9 მუხლის ძირითადი მიზანია ქვეყნების შემოსავლების დაცვა, რომელიც შეიძლება შემცირდეს გადასახადის გადამხდელის მიერ ტრანსფერების არამართებული შეფასების შედეგად;

ინფორმაციის გაცვლის შესახებ მუხლი საშუალებას აძლევს ხელშემკვრელ სახელმწიფოთა საგადასახადო ორგანოებს –მიიღონ ყველა საჭირო ინფორმაცია მეორე ქვეყნიდან, რათა დააზუსტონ თავიანთი საგადასახადო მოთხოვნების შესაბამისობა.

მუხლი 27 გამიზნულია იმ გადასახადების ადმინისტრირების გაადვილებისათვის, რომელებიც არის დაკისრებული ორივე ქვეყნის მთავრობების მიერ. 27-ე მუხლი მხოლოდ 2003 წელს იქნა წარმოდგენილი, მისი მსგავსი მუხლები არ არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ან ამერიკის შეერთებული შტატების ტიპიურ კონვენციებში.

ცხრ. № 1<sup>20</sup> ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებების მუხლობრივი სტრუქტურა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მოდელის მიხედვით:

**შეთანხმება შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან  
აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ**

**პრეამბულა**

თავი I. ხელშეკრულების საზღვრები

მუხლი1 პირები, რომლებზეც ვრცელდება შეთანხმება

მუხლი2 გადასახადები, რომლებზეც ვრცელდება შეთანხმება

თავი II განსაზღვრებები

მუხლი3 ზოგადი განსაზღვრებები

მუხლი4 რეზიდენტი

მუხლი5 მუდმივი დაწესებულება

თავი III შემოსავლის დაბეგვრა

მუხლი6 შემოსავალი უძრავი ქონებიდან

მუხლი7 მოგება ეკონომიკური საქმიანობიდან

მუხლი8 საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტი

მუხლი9 ურთიერთდამოკიდებული საწარმოები

მუხლი10 დივიდენდები

მუხლი11 პროცენტი

მუხლი12 როიალტი

მუხლი13 შემოსავლები კაპიტალის მატებიდან

მუხლი14 დამოუკიდებელი პირადი მომსახურება  
(ამოღებულია 2000 წლიდან)

მუხლი15 დაქირავებით მუშაობა

მუხლი16 დირექტორთა პონორარები

მუხლი17 ხელოფნების მუშაკები და სპორტსმენები

მუხლი18 პენსიები

<sup>20</sup> MODEL TAX CONVENTION ON INCOME AND ON CAPITAL, OECD COMMITTEE ON FISCAL AFFAIRS PARIS.2005 pp17-34.  
გაერთიერებული ერების ორგანიზაციისა და აშშ-ს მოდელობრივ იგივე მუხლობრივ სრტუქტურას იმეორებენ;  
როგორც ქვემოთ ვნახავთ მათ შორის მირითადი განსხვავება ქვეყნებს შორის დაბეგვრის უფლებების  
სხვადასხვაგვარი განაწილებაა.

მუხლი19	სახელმწიფო სამსახური
მუხლი20	სტუდენტები
მუხლი21	სხვა შემოსავლები
მუხლი22	თავი IV კაპიტალის დაბეგვრა კაპიტალი
მუხლი23 <sup>ა</sup>	თავი V ორმაგი დაბეგვრის გამორიცხვის მეთოდები გათავისუფლების მეთოდი
მუხლი23 <sup>ბ</sup>	ჩათვლის მეთოდი
მუხლი24	თავი VI სპეციალური დებულებები დისკრიმინაციის თავიდან აცილება
მუხლი25	ურთიერთშეთანხმების პროცედურა
მუხლი26	ინფორმაციის გაცვლა
მუხლი27	თანამშრომლობა გადასახადების ამოღებაში(წარმოდგენილია 2003 წ.)
მუხლი28	დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების თანამშრომლები
მუხლი29	ტერიტორიული გაერცელება თავი VII საბოლოო დებულებები
მუხლი29	ცელილებები და დამატებები
მუხლი30	ძალაში შესვლა
მუხლი31	მოქმედების შეწყვეტა

ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებების გარდა, დაბეგვრის სფეროში ხდება სხვადასხვა სახის შეთანხმებების გაფორმება, რომელთა მიზანია დაბეგვრის სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავება-ინფორმაციის ეფექტური გაცვლის მეშვებით.

ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებებს ხანგრძლივი ისტორია აქვთ. პირველად ამ სახის ხელშეკრულებები დაიდო ახლანდელი გერმანიის ტერიტორიაზე, პრუსიაში. პირველი ორმხივი ორმაგი დაბეგვრის დაბეგვრის ხელშეკრულება შეთანხმდა პრუსიასა და ავსტრიას შორის 1899-ში, 1909 წელს ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულება დაიდო უნგრეთსა და ავსტრიას შორის. 1920 წლამდე დაიდო აგრეთვე, რამოდენიმე ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრლებები; I მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიამ წამოიწყო მოლაპარაკებები რამდენიმე მის მეზობელ სახელმწიფოსთან ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებების დადგებაზე. ამავე პერიოდში, ერთა ლიგამ დაიწყო იურიდიული ორმაგი დაბეგვრის პრობლემატიკის შესწავლა-1920 წლის ბრიუსელის საფინანსო კონფერენციის მოწოდების პასუხისმას.

1923 წლის „მოხსენება ორმაგ დაბეგვრაზე”, რომელიც შედგენილი იყო ცნობილი ეკონომისტების<sup>21</sup> მიერ, დამტკიცდა ერთა ლიგის ეკონომიკური და ფინანსური კომიტეტის მიერ. ამ ანგარიშმა შექმნა საფუძველი პირველი ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულების მოდელისათვის, 1927 წელს. ეს მოდელი უპიტარესად დაბეგვრის უფლებას საერთაშორისო ტრანზაქციებში ანიჭებდა დაბეგვრის სუბიექტების რეზიდენტ ქვეყნას.

პირველი ტიპიური კონვენციების მიღების შემდეგ (1928) მიღებულ იქნა არაერთი სტანდარტული კონვენციები სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ-რათა დაემკვიდრებინათ მოდელი, რომელიც იქნებოდა უნივერსალური ბაზისი ქვეყნებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებისათვის.

1928 წლის მოდელი არ მოიცავდა ორმაგი დაბეგვრის ბევრ მხარეებს, ამიტომ ერთა ლიგაში გრძელდებოდა მუშაობა მოდელის განვითარებაზე. ფისკალურმა კომიტეტმა მოამზადა ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულების მრავალმხრივი სამუშაო ვარიანტი-წარმოებიდან და კომერციული საწარმოებიდან მიღებული შემოსავლების განაწილებაზე 1933-ში (განახლდა 1935-ში), მაგრამ ეს მოდელი აღარ დამტკიცებულა.

ფისკალური კომიტეტი შემდგომ წლებშიც აგრძელებდა მუშაობას, გაიმართა რეგიონალური კონფერენცია 1940, 1943 წლებში მეხიოში, რომელსაც

<sup>21</sup> პროფესორები: მ. ბრიუნსი(ნიდერლანდები), მ. ეინაუდი(იტალია), კ. რელემანი(აშშ) და სირ ჟორიას სტემპი(გაერთანებული სამეფო)

ესწრებოდა ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის ქვეყნების წარმომადგენლები. ამ კონფერენციების შედეგი იყო ახალი საბაზისო ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულება, რომელიც ცნობილია მეხიკოს ვარიანტად. მნიშვნელოვანი ამ მოდელში იყო მისი საწყისი პრინციპი: დაბეგვრის უპირატესი უფლება ენიჭებოდა შემოსავლის წყარო ქვეყანას-ეს პუნქტი იყო ხელსაყრელი განვითრებადი ქვეყნებისათვის; მეხიკოს ვარიანტი განახლდა ლონდონში 1946 წელს; ლონდონის ვარიანტი, რომელშიც დაბეგვრის უპირატესი უფლება ისევ დაბეგვრის სუბიექტის რეზიდენტ ქვეყანას ენიჭებოდა.

სამოდელო ვარიანტების შემდგომი სრულყოფა გრძელდებოდა 1946-1955 წლებში. ამ დროის განმავლობაში დაახლობით 70 ორმხრივი „ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულება“ იქნა რატიფიცირებული რიგი ქვეყნების მიერ, მაგრამ ამ ხელშეკრულებებს ჰქონდა მნიშვნელოვანი ხარვეზები, რის გამოც მათი რატიფიცირება დანარჩენ ქვეყნებში არ გაგრძელდა. ამასთან, გაზრდილმა თანამშრომლობამ ევროპის ქვეყნებს შორის გაზარდა ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების მნიშვნელობა ამ ქვეყნებისათვის-საერთო პრიციპების, განსაზღვრებების და საერთო თამაშის წესების დანერგვა გახდა მნიშვნელოვანი ევროინტეგრაციის გზაზე.

1945 წელს ერთა ლიგა ჩანაცვლებულ იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ; ახალმა ეკონომიკურმა და სოციალურმა საბჭომ გააგრძელა მუშაობა ერთა ლიგის ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულების სრულყოფაზე. ამ მიზნისათვის დაარსდა ფისკალური კომიტეტი, მაგრამ მან ვერ მოახერხა 1954 წლისათვის აედო ინიციატივა ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულების მოდელის მნიშვნელოვან განახლებაზე. ეს როლი დაეკისრა ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციას. ორგანიზაციამ დაარსა ფისკალური კომიტეტი 1956-ში, რომელმაც შეიმუშვა ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულების სამუშაო ვარიანტი-ეს ვარიანტი გამიზნული იყო წევრი ქვეყნებისათვის დაბეგვრის სფეროში არსებული პრობლემების გადასაჭრელად.

როგორც ზემოთ აღინიშნა მსოფლიო პრაქტიკაში არსებობს სხვადასხვა სტანდარტული ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებები, მაგრამ მიუხედავად ამისა ისინი საერთო ჯამში მიყვებიან ერთნაირ სტრუქტურას, განაწილების წესებს, გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის დონისძიებებსა და პროცედურულ

შინაარს. მათ შორის განსხვავებები შეიძლება დაყვანლ იქნას დაბეგვრის უფლებების განაწილებაზე ცალკეული მუხლების მიხედვით-შემოსავლების სხვადასხვა ტიპებიდან გამომდინარე.

მსოფლიო საგადასახადო პრაქტიკაში უმეტესად გამოიყენება გაერთიერებული ერების ორგანიზაციისა და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის სტანდარტული მოდელები. ქვემოთ განვიხილავთ ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებების სტრუქტურას ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის სტანდარტული მოდელის მიხედვით.

სტანდარტული ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულება შეიძლება განხილულ იქნას, როგორც მუხლების ჩამონათვალი, რომლებიც ასრულებენ განცალკევებულ და ურთიერთდამოკიდებულ ფუნქციებს; მუხლები მათი ფუნქციებიდან გამომდინარე შეგვიძლია დაუყოთ ოთხ კატეგორიად, კერძოდ:

- მუხლები, რომლებიც ეხება ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებების გამოყენების სფეროებსა და ობიექტებს;
- მუხლები, რომლებიც აღწერს დაბეგვრის უფლების განაწილების წესებს;
- მუხლები, რომლებიც მიმართულია გადასახადების გადაუხდელობის აღსაკვეთად;
- მუხლები, რომლებიც ეხება მრავალმხრივ, სხვადასხვაგვარ შემთხვევებს.

თითოეული ჯგუფი თავის მხრივ შეიძლება დაიყოს შემდეგნაირად: (იხ. ცხრილი 1)

**საწყისი (საბაზისო) მუხლები** (მუხლი 1. პირები, რომლებზედაც ვრცელდება შეთანხმება, მუხლი 2. გადასახადები, რომლებზედაც ვრცელდება შეთანხმება, მუხლი 3. ზოგადი განსაზღვრებები მუხლი 4. რეზიდენტი, მუხლი 5. მუდმივი დაწესებულება)

**განაწილებითი მუხლები** (მუხლი 6. შემოსავალი უძრავი ქონებიდან, მუხლი 7. მოგება ეკონომიკური საქმიანობიდან....მუხლი 22. კაპიტალი)

მუხლები, რომლებიც პირდაპირ ეხება ორმაგი დაბეგვრის გამორიცხვასა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთას (მუხლი 23. ორმაგი დაბეგვრის გამორიცხვა, მუხლი 24 დისკრიმინაციის თავიდან აცილება)

მუხლები, რომლებიც ეხება ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებების ადმინისტრაციულ მხარეს (მუხლი 30 ძალაში შესვლა, მუხლი 31 მოქმედების შეწყვეტა)

მუხლების უმეტესობა, ხვდება განაწილებით კატეგორიაში. ყველა ქვეყანას აქვს უფლება დაბეგვროს თავისივე კანონმდებლობის შესაბამისად; ეს მიღებომა აღიარებულია საერთაშორისო საჯარო სამართლით. სახელმწიფოები გარკვეულწილად თანხმდებიან შეზღუდონ თავიანთი დაბეგვრის უფლებები, როდესაც ახორციელებენ ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულების რატიფიკაციას. იმ შემთხვევებში, როცა თითოეული ქვეყნის საგადასახადო სამართალი იზღუდება ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებით სახელმწიფოებმა უნდა გადაწყვიტონ, შედარებით რომელი მათგანი დათმობს დაბეგვრის უფლებას. ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულება არ წარმოშობს დამატებით დაბეგვრის უფლებას თუ იგი არ არის შიდა კანონმდებლობაში დაფიქსირებული და არც აფართოებს ან ცვლის საგადასახადო მოთხოვნის საზღვრებს. შესაბამისად, თავდაპირველად ტრანსაცეია ან ეკონომიკური აქტი განიხილება შიდა კანონმდებლობის მიხედვით ხოლო შემდეგ განიხილება ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულების შესაბამისი მუხლებით, რათა განისაზღვროს არის თუ არა გადასახადის დაკისრება შიდა კანონმდებლობით დაკავშირებული ორმაგ დაბეგვრასთან. ორმაგი დაბეგვრის შემთხვევებში ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებები წინასწარ არიან გამიზნულნი „წინააღმდეგობის” გადაჭრიის წესების დასანერგად.

საერთაშორისო მასშტაბით საგადასახადო საკითხების კოორდინირება ხდება ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მიერ.<sup>22</sup> ამჟამად, ეს ორგანიზაცია გვევლინება ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებების შესწვლის ძირითად ცენტრად. ორგანიზაცია შედგება მხოლოდ 30 წევრი ქვეყნისაგან (იმ ქვეყნების რიცხვთან შედარებით, ორმლებსაც აქვთ ორმაგი დაბეგვრის პრობლემები); მათი უმრავლესობა არის დასავლეთის ინდუსტიულად

<sup>22</sup> ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის სამართალმემკვიდრე 1960 წლიდან

განვითარებული ქვეყნები-კაპიტალის ექსპორტიორები.<sup>23</sup> აქედან გამომდინარე, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის პირველი ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულების ვარიანტი 1963 წელს ასახავდა ამავე ორგანიზაციის წევრების ინტერესებს-იგი ანიჭებს დაბეგვრის უპირატეს უფლებას რეზიდენტ ქვეყნებს, როგორც ერთა ლიგის ლონდონის ვარიანტი.

1963 წლის მოდელის გამოშვების შემდეგ ცხადი გახდა, რომ საერთაშორისო ბიზნესის განვითარების შედეგად საჭირო იყო ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულების მოდელის განახლება. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების კომიტეტმა დაიწყო განახლება პრაქტიკაში უკვე აპრობირებული ხელშეკრულებების თავისებურებების გათვალისწინებით. საბოლოო ვერსია გამოქვეყნდა 1977 წელს.<sup>24</sup> ეს მოდელი გახდა სტანდარტი ქვეყნებს შორის ორმაგი დაბეგვრის საკითხებზე მოლაპარაკებისას, განსაკუთრებით განვითარებული ქვეყნებისათვის.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია ესწრაფვის დაჩქარდეს წევრ ქვეყნებში ორმხრივი შეთანხმებების პარმონიზაცია. 1963-1977 წლებში მოხდა 179 კონფენციის რატიფიცირება. აგრეთვე, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მოდელი მიღებულ იქნა ბევრი არაწევრი ქვეყნების მიერაც, როგორც ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრ ქვეყნებთან ასევე სხვა ქვეყნებთან ხელშეკრულებების დადებისას. ამასთან, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მოდელის კომენტარი, რომელიც განსაზღვრავს თითოეული მუხლის გამოყენებას, მიწნეულია კონვენციის ყველაზე ფართოდ გავრცელებულ ინტერპრეტაციად.

იმ დაშვებით, რომ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მოდელი შედგენილია წევრი ქვეყნების ინტერესების დაცვისათვის არ არის გასაკვირი, რომ იგი არ არის მოწონებული ბევრი განვითარებადი ქვეყნების მიერ (განსაკუთრებით კაპიტალის იმპორტიორი ქვეყნების მიერ). მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების

<sup>23</sup> მათგან გამონაკლისია: ჩეხეთი, უნგრეთი, მექსიკა, პოლონეთი, სლოვაკეთი და თურქეთი

<sup>24</sup> ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციაში შემდგომი განახლებული ვერსიები გამოაქვეყნა 1992, 1994, 1995, 1997, 2000, 2003 და 2008 წლებში.

ორგანიზაციის საწყისი მოდელის წარდგენის შემდეგ მნიშვნელოვანად დაიხვდია სამოდელო კონვენცია, განვითარებად და განვითარებულ ქვეყნებს შორის დაიდო ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებების უმნიშვნელო ოდენობა.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მოდელის გამოყენების შემთხვევაში ცალსახა უპირატესობას განვითარებული ქვეყნები იღებენ, ვინაიდან წყარო ქვეყნებს უწევთ საგადასახადო შემოსავლებზე უარის თქმა. ეს შედარება გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ როდესაც განვითარებადი ქვეყნები ვაჭრობენ განვითარებულ ქვეყნებთან წმინდა შემოსავალი ჩვეულებრივ გაედინება განვითარებადი ქვეყნებიდან განვითარებულისკენ. ასე, რომ განვითარებადი ქვეყანა გასცემს ზედმეტ ღირებულებას.

ზემოთნათქვემი მოვლენების პასუხად, განვითარებულმა ქვეყნებმა შეიმუშავეს ე.წ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოდელი, რომელიც ასახავდა მათ ინტერესებს. შეიქმნა ექსპერტთა მიზნობრივი ჯგუფი დაბეგვრის ხელშეკრულებების შესასწავლად განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის (1968 წ). ეს მიზნობრივი ჯგუფი 1980 წელს ცნობილი გახდა როგორც - „საგადასახადო საკითხებში საერთაშორისო თანამშრომლობის ექსპერტთა მიზნობრივი ჯგუფი“, რომელშიც შედიოდა წარმომადგენლები 20 განვითარებადი და განვითარებული ქვეყნებიდან, როგორც დამოუკიდებელი ექსპერტები, ასევე თვიციალური პირები. ეს ჯგუფი განიხილავდა თანამშრომლობას საგადასახადო სფეროში-განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის.

სანგრძლივი და რთული პროცესების შემდგომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა კომიტეტის ფისკალურ და ფინანსურ საკითხთა განყოფილებამ გამოაქვეყნა – „განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის ორმხრივი საგადასახადო შეთანხმებების სახელმძღვანელო“, რომელიც ეყრდნობა ზემოთაღნიშნულ ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ პრინციპებს. ამ პუბლიკაციას მაღვე მოჰყვა 1980 წლის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პირველი ორმხრივი დაბეგვრის ხელშეკრულება<sup>25</sup> – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის

<sup>25</sup> განახლდა 2001 წელს, United Nations model double taxation convention between developed and developing countries. - New York : UN, 2001. - 381p

სტანდარტული კონვენცია ორმაგ დაბეგვრაზე განვითარებულ და განვითრებად ქვეყნებს შორის. ეს მოდელი მნიშვნელოვანი ნაწილებით ახლოსაა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის 1977 წლის მოდელთან. იგი ანიჭებდა უპირატეს დაბეგვირის უფლებას წყარო ქვეყნებს ე.ო. კაპიტალის იმპორტიორ და განვითარებად ქვეყნებს, განსაკუთრებით ბიზნეს შემოსავლებისა და პასიურ შემოსავლებთან მიმართებაში.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოდელი ფართოდ გამოიყენება უმეტეს განვითარებულ ქვეყნებში. მისი ცალკეული მუხლები გამოყენებულია განვითარებული ქვეყნების ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებებში, განსაკუთრებით თუ ისინი კაპიტალის იმპორტიორნი არიან.

სტანდარტული ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულების სრულყოფის საჭიროებას განაპირობებს ორი ძირითადი ფაქტორი; პირველი-ქვეყნებს შორის არსებული უთანხმოება ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებებში შესაბამისი მუხლების ჩასმის თაობაზე; მეორე- უთანხმოება ორმხრვი ხელშეკრულების ენის არჩევაში სასურველი მიზნების მისაღწევად.

სტანდარტული ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულების მიზანია ქვეყნებისათვის სახელმძღვანელო პრინციპების შეთავაზება, რომელთაც სურთ ორმხრივ ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებაში მონაწილეობა; იდეალურ შემთხვევაში-გადასახადების სირთულისა და ეწ დეკლარირების ხარჯების შემცირება. სტანდარტული მოდელი იხვეწება წევრი ქვეყნების მიერ გამართულ მრავალმხრივ მოლაპარაკებებზე. მაგრამ ეს რეკომენდაციები ატარებენ ნებაყოფლობით ხასიათს და ისინი არ განიხილება სავალდებულოდ ყველა ქვეყნისათვის.

ასე, რომ სტანდარტული ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებების მოდელი არის: მოდელი, რომელსაც ქვეყნებს შორის რეალურად ხელმოწერილი ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულები შეიძლება დაეყრდნოს; ის არის საწყისი ვარიანტი ქვეყნებს შორის მოლაპარაკებების წარმოებისას; მოდელი არ არის სავალდებულო ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის და გაერთიანებული ერების ორგანიზაციისწევრი ქვეყნებისთვის (მაგრამ მისი ავტორები ცდილობენ მის გავრცელებას, რაც შეიძლება მეტ ქვეყანაზე), მოდელის კომენტარების მიხედვით, ბევრი მუხლი შესაძლოა სხვაგვარად იყოს

განმარტებული ქვეყნის შიდა კანონმდებლობაზე დაყრდობით. მაგალითისათვის განვიხილოთ: მუხლი 13(4)

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მოდელი განმარტავს, რომ „შემოსავლები, რომლებსაც იდებს ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში, მდებარე უძრავი ქონების გასხვისებიდან, როგორც ეს განსაზღვრულია ამ შეთანხმების მე-6 ნაწილში, შეიძლება დაიბეგროს ამ მეორე სახელმწიფოში”. მაგრამ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მიერ გაოცემული ოფიციალური კომენტარები განმარტავს, რომ რადგან ზოგიერთი ქვეყანა მიიჩნევს, რომ მუხლი 13(4) არ ეხება კომპანიის აქციების გაყიდვის შედეგად მიღებულ შემოსავლებს, კომპანიის რეორგანიზაციის შედეგად გაყიდული აქციებიადნ შემოსავლებს, ან იმ აქციების რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავლებს, რომლებისათვისაც ეს აქციები არის წილი უძრავი ქონებისათვის (მაგ მადარო, სასტუმრო) ქვეყნები სურვილისამებრ აირჩევენ ერთ-ერთ მათგანს.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციისმოდელების გარდა, არსებობს ასევე სხვა ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებების სამოდელო ვარიანტები. უმრავლეს შემთხვევებში, ეს სხვა მოდელები არიან საბაზისო მოდელები, რომლებსაც ქვეყნები, ქვეყანათა ჯგუფები ეყრდნობიან, ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებების დადებისას.

საერთაშორისო ორგანიზაციების გარდა ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებების სტანდარტული მოდელები გააჩნია ცალკეულ ქვეყნებსაც, მაგალითად ამერიკის შეერთებული შტატების სდანდარტული მოდელი. ამერიკის შეერთებული შტატების საშემოსავლო გადასახადის კონვენციის მოდელი-1996 არის საფუძველი ყველა აშშ-ს ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებისათვის. ეს ხელშეკრულებები ასახვს აშშ-ს ინტერესებს, როგორც კაპიტალის ექსპორტიორი ქვეყნის და შესაბამისად აშშ ბეგვრავს მის რეზიდენტებს მთლიან შემოსავლს, ინარჩუნებს მის დაბეგვრის უფლებებს, როგორც რეზიდენტობის ქვეყანა; ხშირად წყარო ქვეყნის დაბეგვრის უფლებების შეზღუდვით;

ასევე, მსოფლიოში არსებობს სხვა ქვეყნების სტანდარტული ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებები, რომლებსაც ეფუძნება ამ ქვეყნების მიერ

რატიფიცირებული ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებები. მაგ ხორვატია 1994, მალაიზია 2000, მექსიკა 2000, პერუ 2001, შვედეთი 1998. აშშ-ს მოდელის მსგავსად ეს კონვენციები პოტენციურ პარტნიორებს აფრთხილებენ იმ პოზიციებზე, რაც ქვეყნისთვის არსებითია.

რიგ ქვეყნათა ჯგუფები, რომლებთაც აქვთ საერო რეგიონალური ეკონომიკური და სოციალური მიზნები შეუერთდნენ მრავალმხრივ ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებებს. რომის ხელშეკრულების (1957) მუხლი 220, რომელმაც შექმნა ევროპის ეკონომიკური გაერთანება (ამჟამად, ევროკავშირი), იძლევა რეკომენდაციას ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულების რატიფიკაციის დასრულებაზე წევრ ქვეყნებს შორის.<sup>26</sup>

მრავალმხრივი დაბეგვრის ხელშეკრულების მაგალითია „კონვენცია სკანდინავიის ქვეყნებს“ შორის 1996, რომელიც წარმოადგენს ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებას დანიას, ფარერის კუნძულებს, ფინეთის, ისლანდიას, ნორვეგიასა და და შვედეთს შორის. ეს კონვენცია ძირითადად ეფუძნება ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მოდელს. ბუნებრივი რესურსების მოპოვების დიდი მნიშვნელობის გამო ამ ქვეყნებში, სკანდინავიური კონვენცია შეიცავს სპეციალურ მუხლებს, რომლებიც ეხება მუდმივი დაწესებულებების არსებობას ხელშეკრელ სახელმწიფოებში და უნიკალურ მუხლს-რომელიც არეგულირებს: ჰიდროკარბონატული ბუდობების დაზვრებას, გამოკვლევასა და ექსპლოატაციას (მუხლი 21).

მრავალმხრივ საგადასახადო ხელშეკრულებათა რიცხვს, ასევე განეკუთვნება კარიკომის საშემოსავლო საგადასახადო შეთანხმება (1994). იგი რატიფიცირებულ იქნა 11 წევრის მიერ კარიბის საზოგადოების 14 წევრიდან: ანტიგუა და ბარბუდა, ბელიზი, დომენიკი, გრენადა, გუანა, იამაიკა, ტრინიდადი და ტობაგო, წმინდა ლუსია და სხვა. ამ ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულების თავისებურებაა ის, რომ იგი ეფუძნება წყარო ქვეყნისათვის დაბეგვრის უფლების მინიჭებას, ხოლო რეზიდენტი ქვეყნისათვის ზღუდავს დაბეგვრის უფლების მინიჭებას(მინიმუმ იმ ქვეყნიდან მიღებული შემოსავლის ნაწილში, რომელიც ხელშეკრულების მონაწილეა). ამ საფუძველზე, ორმაგი დაბეგვრა არ

<sup>26</sup> დღემდე ერთადერთი მრავალმხრივი კონვენცია (რომის ხელშეკრულების მუხლი 220-ის შესაბამისად) არის ევროპული გაერთიანების საარბიტრაჟო შეთანხმება (1990) წ.

წარმოიქმნება(შემოსავლი იბეგრება მხოლოდ წყარო ქვეყნაში და არა რეზიდენტობის ქვეყნაში).

სხვა მრავალმხრივი დაბეგვრის ხელშეკრულებების მაგალითებია:


- ადმინისტრაციული დახმარების კონვენცია 1957 ბენილუქსის სამ ქვეყნას შორის
- საშემოსავლო გადასახადის კონვენცია 1957-ჩადს, გაბონს, კონგოსა და ფრანგულ ეკვადორულ აფრიკას შორის
- ერთა ლიგის კონვენცია შიდა წვის ძრავებზე და საბოლოო პროტოკოლიუცხოვ შიდა წვის ძრავების დაბეგვრაზე 1931 წ. ერთა ლიგის 44 წევრს შორის
- მექანიდრეობის გადასახადებზე შეთანხმება 1994. ასტულანდსა, სამხრეთ აფრიკას და სგაზილენდს შორის
- ანდის პაქტის კონვენცია შემოსავლების დაბეგვრზე-ბოლივიას, ჩილეს (ინიციატორი), კოლუმბიას ეკვადორსა და ვენესუელას შორის.<sup>27</sup>

საერთაშორისო საგაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში საგადასახადო საკითხების როლის ზრდა ნათლად ჩანს საერთაშორისო საგადასახადო შეთანხმებების რიცხვის ზრდაშიც. რატიფიცირებული ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებების ოდენობის ზრდა დაიწყო 1960-იანი წლებიდან, ხოლო მათი ოდენობის მკვეთრ ზრდას ადგილი ჰქონდა 1990-იანი წლებიდან. (დიაგრამა № 1). 2015 წლისათვის წლისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციისგაჭრობისა და განვითარების კონფერენციის მონაცემებით მთლიანად მსოფლიოში რატიფიცირებულია 3000 ორმაგი დაბეგვრის კონვენცია. თავდაპირველ ეტაპზე ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებების რატიფიცირება ძირითადად ხდებოდა განვითარებულ ქვეყნებს შორის; რაგდან ეს ქვეყნები ტრადიციულად გევლინებოდნენ, როგორც კაპიტალის ექსპორტიორ, ასევე იმპორტიორ ქვეყნებად და შესაბამისად მათთვის მწვავედ იდგა ინვესტიციათა ორმაგი დაბეგვრის საკითხები. 1960-იანი წლებიდან მოყოლებული, ე.წ. ახალი ბაზრების

<sup>27</sup> Holmes K. International Tax Policy and Double Taxation Treaties, IBFD, 2007, pp 63-65

ეკონომიკურის მქონე ქვეყნების თანდათან უცხოური ინვესტიციების რეციპიენტი ქვეყნების რიგებიდან ინვესტიციათა დონორი ქვეყნების რიგში გადავიდნენ, შესამასად მათაც აქტიურად დაიწყეს ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებების რატიფიცირება. ეს ქვეყნები აფორმებდენ ტრანზის ხელშეკრულებებს როგორც განვითარებად, ასევე განვითარებულ ქვეყნებთან.


**დიაგრამა № 1.** მსოფლიოში რატიფიცირებული ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებების დინამიკა 1960-2015 წლებში<sup>28</sup>



2008 წელს ხელმოწერილი 75 ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებიდან 63-ში მონაწილე მხარეს განვითარებული ქვეყნები წარმოადგენდნენ, ხოლო 18 მათგანი მხოლოდ განვითარებულ ქვეყნებს შორის დაიდო. განვითარებად ქვეყანათა ჯგუფი ჩართულ იქნა 39 ახალ ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებაში, ხოლო უშუალოდ განვითარებად ქვეყნებს შორის 5 კონვენცია იქნა დადებული.

<sup>28</sup> წყარო: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ვაჭრობისა და განვითარების კომისია, World Investment Report, 2008, 2013, 2015; The effect of treaties on foreign direct investment , sauvant , Karl P. Sachs Lisa E, Oxford University Press 2009 p XXIV

**დიაგრამა № 2.** მსოფლიოს ქვეყნების პირველი ათეული რატიფიცირებული ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებების რაოდენობის მიხედვით



ცხადია, ქვეყანამ უნდა დააწესოს საგადასახადო განაკვეთები იმგვარად (წყაროსთან დასაბეგრი გადასახადის განაკვეთების ჩათვლით), რომ არ მოხდეს უცხოურ ინვესტიციათა ჩახშობა და ქვეყნის შიდა კაპიტალის დანახარჯების სტრუქტურის დამახინჯება. ეს განსაკუთრებით ეხება პატარა ქვეყნებს, რომლებიც დიაა უცხოური კაპიტალისთვის და ისინი არიან ფასის მიმღებნი მსოფლიო კაპიტალის ბაზებიდან.

გადასახადის დაკისრება ზრდის კაპიტალის დანახარჯს წყარო ქვეყანაში, რაც უარყოფით გავლენას იქონიებს მაკროეკონომიკურ შედეგებზე-გაზრდილი საპროცენტო განაკვეთების, დაბალი ინვესტირების, ხელფასებისა და დასაქმების კუთხით. აქედან გამომდინარე, ცხადია წყარო ქვეყანამ უნდა შეაფასოს გადასახადის დაკისრების ეკონომიკური ეფექტი, რათა მისი დაკისრება არ იყოს იმდენად მაღალი, რომ მან გამოიწვიოს ოპტიმალურზე მეტად კაპიტალის დანახარჯების ზრდა.

ჩვეულებრივ, ამგვარი შედავათი (უცხოური ინვესტიციების ნულოვანი განაკვეთით დაბეგვრა) სტიმულს აძლევს ადგილობრივ ინვესტორებს მოახდინონ

თავიანთ ქვეყანაში ინგესტირება ოფშორული შუამავლების მეშვეობით. მიჩნეულია, რომ არსებობს კავშირი უცხო ინგესტორთა ქვეყნის შიდა წყაროებიდან მიღებული შემოსავლების დაბეგვრასა და შიდა ინგესტირების უცხო წყაროს მქონე შემოსავლების დაბეგვრაში, დაბალი საგადასახადო განაკვეთი პირველზე კომპენსირებულ უნდა იქნეს მაღალი საგადასახადო განაკვეთით უკანასკნელზე.

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის მზარდი მასშტაბების გამო, რამაც თავის მხრივ ქვეყნების საგადასახადო პოლიტიკის ურთიერთდამოკიდებულება მოიტანა, ქვეყნებს შორის წარმოშვა ერთგვარი კონკურენცია უცხოურ ინგესტიციათა მოსაზიდად. ნახსენები კონკურენციის ერთ-ერთ ინსტრუმენტად საგადასახადო პოლიტიკა იქცა. ბევრმა ქვეყანამ შემოიღო ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკა უცხოურ ინგესტიციათა მოსაზიდად, რასაც თავის მხრივ ცალკეული ქვეყნების მთავრობების მიერ საგადასახადო შემოსავლების გარკვეულ ნაწილზე უარის თქმა მოყვა.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის 1998 წლის მოხსენებაში: “ზიანის მომტანი საგადასახადო კონკურენცია”, განსაკუთრებული ხაზგასმით იყო მოცემული იმ ზიანის შესახებ, რასაც დაბალი საგადასახადო განაკვეთებისა და ლიბერალური საგადახადო პოლიტიკის ქვეყნებს მოქონდათ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრი იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც ჩვეულებრივ საგადახადო შემოსავლებს ბიუჯეტის მაღალი სოციალური ხარჯების დასაფარად იყენებდნენ. ამით ერთგავარად საფრთხე ექმნებოდა კეთილდღეობის სახელმწიფოს სოციალური ორიენტირების მოდელს.<sup>29</sup>

ამგვარ შედეგს გასაკუთრებით აძლიერებდა გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესები მსოფლიო ფინანსურ ბაზრებზე, რაც საბოლოო ჯამში საერთაშორისო საგადასახადო კონკურენციას კიდევ უფრო აღრმავებდა. აღნიშნული პრობლემას გადაწყვეტის მიზნით ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია ითხოვდა ინფორმაციის გაცვლას და საგადასახადო გამჭვირავლობის ზრდას იმ ქვეყნების მიმართ, რომლებიც აღნიშნული ორგანიზაციის წევრები არ იყვნენ და უმეტესობა მათგანი კაპიტალის

<sup>29</sup> იხ. Harmful Tax Competition: An Emerging Global Issue, ORGANISATION FOR ECONOMIC CO-OPERATION AND DEVELOPMENT, France 1998, URL: <http://www.oecd.org/tax/transparency/44430243.pdf>

იმპორტიორ ქვეყნებს წარმოადგენდა. 1998 წლის მოხსენებისა და მისი თანმდევი დონისძიებების შემდეგ კაპიტალის იმპორტიორი ქვეყნები გამოთქვამდნენ წუხილს, რომ დაბეგვრისა და საგადასახადო შემოსავლების მიმართ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მიერ შემოღებული მოთხოვნები, რომლებიც უმეტესწილად ნებაყოფლობითი ხასიათის იყო, იყო უფრო მკაცრი არაწევრი ქვეყნების მიამრთ ვიდრე იგივე მიღგომები ორგანიზაციის წევრი ქვეყნების (უმტესწილად კაპიტალის ექსპორტიორი) მისამართით.<sup>30</sup>

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციისა და მისი წევრი ქვეყნების<sup>31</sup> მოსაზრებისგან საწინააღმდეგო აზრი გამოთქა სტენფორდის უნივერსიტეტის პროფესორმა (ხობელის პრემიის ლაურეატმა) მილტონ ფრიდმანმა: “კონკურენცია მთავრობებს შორის საზოგადოებრივი საქონლისა და მომსახურების მიწოდებასა და დაბალი გასახადების დაკისრებაში ისევე ეფექტიანია, როგორც კონკურენცია ინდივიდებსა და ფირმებს შორის იმ საქონლითა და მომსახურების ხარისხით, ასევე ფასით, რასაც ისინი ბაზარს თავაზობენ. ორივეს მივყავართ მრავალფეროვნებისა და ინვაციებისაკენ, საქონლისა და მომსახურების ფასის შემცირებისა და ხარისხის ზრდისაკენ. ამ მხრივ რაიმე სახის მთავრობათშორისი კარტელი ისევე საზიანოა, როგორც ეს კერძო ფირმების შემთხვევაშია.”<sup>32</sup> ჩვენი მოსაზრებით, ფრიდმანისა და მისი კოლეგების მოსაზარება, ეკონომიკური პოლიტიკის თვალსაზრისით, ეფექტიანი იქნებოდა იმ შემთხვევაში თუ მსოფლიო ეკონომიკაში იარსებებდა უნიფიცირებული ფისკალური მიღგომები, რომელსაც ყველა ქვეყნის ეკონომიკური

---

<sup>30</sup> International Tax Competition, Globalisation and Fiscal Sovereignty, edited by Rajiv Biswvas. Commonwealth Secretariat, 2002, pp 2-20

<sup>31</sup> ორგანიზაციის წევრია 35 ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყანა, რომელთა წილად მსოფლიო წარმოების დახლოებით 2/3 მოდის. იხ. <http://www.oecd.org/about/>

<sup>32</sup> Letter to Center for Freedom and Prosperity, 2001, URL: [www.freedomandprosperity.org/update/u05-15-01/u05-15-01.shtml#3](http://www.freedomandprosperity.org/update/u05-15-01/u05-15-01.shtml#3). ფრიდმანის აღნიშნული მოსაზრება ბევრმა ეკონომისტმა გაიზიარა, მილტონ ფრიდმანთან ერთად 200-მდე ეკონომისტი შეუერთდა პეტიციას პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის მიმართ, რათა პრეზიდენტს უარი ეოქვა შეერთებოდა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის “დამაზიანებელი საგადასახადო კონკურენციის” საწინააღმდეგო დონისძიებებს. იხ. Rolf Eicke Tax Planning with Holding Companies – Repatriation of US Profits from Europe, Kluwel Law International BV, The Netherlands 2009 p 114

პოლიტიკა დაემორჩილებოდა და დაძლეულ იქნებოდა ინფორმაციის ასიმეტრიულობის პრობლემა. აღნიშნულის უტრიოებულ მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ ე.წ. საგადახადო ჰავანის ქვეყნები, რომლებიც საერთო ფისკალური მიდგომებიდან საკმაოდ განსხვავდებიან. ამასთან, მოკლევადიან და საშუალოვადიან პერიოდში ის ქვეყნები, რომელთაც შედარებით მცირე ბუნებრივი რესურსები აქვთ, წამგებიან პოზიციაში აღმოჩნდებიან თუ ისინი იგივე საგადახადო ტკირთს შემოიღებდნენ, როგორც დიდი რესურსების მქონე ქვეყნები. ამ მხრივ, მცირე ზომის რესურსების მქონე ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი ანალიტიკური ამოცანაა იმ ეფექტის შეფასება, რაც შეიძლება საგადახასახადო კონკურენციაში ჩართვამ მოიტანოს. ამ მხრივ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ ჩამოაყალიბა ის კრიტიკულები, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელია განისაზღვროს არის თუ არა კონკრეტული ქვეყნის საერთაშორისო საგადახადო პოლიტიკა ზიანის მომტანი საგადახადო კონკურენციის შემცველი:<sup>33</sup>

- გადასახადების არარსებობა ან გადასახადების უკიდურესად დაბალი განაკვეთები;
- ინფორმაციის გაცვლის ნაკლებობა ამა თუ იმ სუბიექტის მიერ გადახდილ გადასახადებზე;
- გამჭვრივალობის ნაკლებობა;
- რეალური ეკონომიკური საქმიანობის არარსებობა – ინვესტიციები და ტრანზაქციები ძირითადად საგადახადო ეფექტის მოტანის მიზნით.

საგადასახადო კონკურენციის გამართლების მიმართ მცირე ქვეყნების არგუმენტი ძირითადად ეყრდნობა რესურსების ნაკლებობით გამოწვეული ფაქტორების სადაგასახადო ფაქტორებით გადაწონვის არგუმენტს. მცირე და დიდი ქვეყნების საერთო მიდგომა კი გლობალურ საგადახადო კონკურენციაში კი არის იმგვარი საგადასახადო პოლიტიკის ფორმირება, რომელიც სულ მცირე პოტენციურ უცხოურ ინვესტიციათა ჩამხრის როლს არ შეასრულებს. მაგალითად, 2007 წელს კანადის ფინანსთა მინისტრმა შექმნა მრჩეველთა სპეციალური საბჭო, რომელსაც უნდა შეესწავლა კანადის საერთაშორისო

---

<sup>33</sup> International Tax Competition, Globalisation and Fiscal Sovereignty, edited by Rajiv Biswvas. Commonwealth Secretariat, 2002, p 17

დაბეგვრის სისტემა სამართლიანობის, ეფექტიანობისა და კანადის საერთაშორისო საგადასახადო პოლიტიკის კონკურენტუნარიანობის კუთხით.<sup>34</sup> მრჩეველთა აღნიშნულმა საბჭომ 2008 წელს გამოაქვეყნა მოხსენება, რომლის საფუძველზეც კანადის მთავრობამ დაბეგვრისგან გაათავისუფლა ბიზნესის ყველა უცხო წყაროდან მიღებული შემოსავლები.

მსოფლიო ეკონომიკაში, ზემოთა პარაგრაფებში აღწერილმა ტენდენციებმა, გამოიწვია დებატები მეცნიერებს შორის – რამდენად ეფექტიანი იყო საგადასახადო ფაქტორები ინვესტირების სხვა ფაქტორებთან შედარებით. საგადასახადო კონკურენცია საბოლოო ჯამში მხოლოდ დაბგევრის ბაზის შემცირებას ხომ არ განაპირობებდა და უცხოურ ინვესტიცითა ნაკადები მიანც ე.წ. კლასიკური საინვესტიციო ფაქტირების მიხედვით მოძრაობდა ?. პრობლემას კვლევისას შემუშავებულ იქნა რამდენიმე მოდელი საგადასახადო პოლიტიკისა და ინვესტირების მოცულობას შორის კავშირის შესახებ.

ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის კვალდაკვალ საერთაშორისო დაბეგვრის საკითხები, მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა საინვესტიციო ნაკადების მსოფლიო დინამიკაში. იმ ქვეყნებს შორის, რომელთათვისაც პირდაპირ უცხოური ინვესტიციები ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი წყაროა, წარმოიშვა ერთგვარი კონკურენცია – ხელსაყრელი საგადასახადო გარემოს შეთავაზების მხრივ. რამაც თავისი ასახვა პოვა საერთაშორისო საგადასახადო შეთანხებების მნიშვნელობისა და რიცხოვნობის ზრდაში. მკვლევარებსა და მეცნიერებს შორის წარმოიშვა დისკუსია იმის, თაობაზე თუ რამდენად ეფექტიანი იყოს ეს შედაგათვები უცხოურ ინვესტიცითა მოსაზიდად, რა წონა ენიჭებოდათ მათ სხვა საინვესტიციო ფაქტორებთან შედარებით.

<sup>34</sup> Globalization and its Tax Discontents, Tax Policy and International Investments, edited by Arthur J. Cockfield, University of Toronto Press, 2010, p8

## 1.2 საგადასახადო პოლიტიკა და საერთაშორისო დაბეგვრის პრინციპები

ზოგადი მიღებით, საერთაშორისო დაბეგვრა შეგვიძლია განვიხილოთ როგორც სხვადასხვა ქვეყნების იმ საკანონმდებლო მუხლების ერთობლიობა, რომლებიც ეხება საზღვარგარეთული ტრანზაქციების დაბეგვრას. ამ კუთხით საერთაშორისო დაბეგვრა დაკავშირებულია:

- **პირდაპირ გადასახადებთან** (საშემოსავლო გადასახადი, მოგების გადასახადი, უძრავი ქონების გადასახადი, ნაწუქრობის, ქონების (სიმდიდრის) და სოციალური დაზღვევის გადასახადი)
- **არაპირდაპირ გადასახადებთან** (დღგ, პროდუქციასა და მომსახურებაზე გადასახადები, გაყიდვისა და საბაჟო გადასახადები)

საერთაშორისო საგადასახადო ურთიერთობების ზოგადად აღიარებული პრინციპი გულისხმობს ქვეყნის თავისუფლებას დააწესოს გადასახადი მისი არჩევანის შესაბამისად, ამასთან სახელმწიფოს არ შეუძლია თავისი საგადასახადო მოთხოვნები გაავრცელოს სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მისი დაბეგვრის უფლება არ ვრცელდება იმ დაბეგვრის ობიექტებზე, რომლებიც სხვა ქვეყანაში წარმოიქმნება. მაგალითად, საფრანგეთს არ შეუძლია დააკისროს გადასახადი იმ გერმანელზე, რომლის შემოსავლები მთლიანად წარმოიქმნება გერმანიაში. შედეგად, ქვეყნის საგადასახადო კანონმდებლობები ეხება იმ სუბიექტებს და ობიექტებს, რომელთაც აქვთ გარკვეული სახის კავშირი ქვეყანასთან. ჩვეულებრივ საგადასახადო კოდექსები განასხვავებს ორი სახის საქმიანობას:

- პირველი ქვეყნის რეზიდენტების საქმიანობა მეორე ქვეყანაში
- არარეზიდენტების საქმიანობა პირველ ქვეყანაში

საერთაშორისო საგადასახადო კანონმდებლობა ითვალისწინებს სხვადასხვა

ტიპის საერთაშორისო შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების დადებას. კერძოდ<sup>35</sup>,

- ❖ საერთო ხასიათის საერთაშორისო შეთანხმებას, რომელიც კონკრეტულ საგადასახადო შეთანხმებაში გამოსაყენებელ საგადასახადო დაბეგვრის საყოველთაო პრინციპებს მოიცავს
- ❖ ორმხრივი და მრავალმხრივი ხასიათის საგადასახადო შეთანხმებას, რომელშიც შედის:
  - საერთო საგადასახადო შეთანხმება (კონვენცია), რომელიც მთლიანად ეძღვნება საგადასახადო სფეროში ურთიერთობებს
  - საგადასახადო შეთანხმების შეზღუდვა(შემოფარგვლა), რომლის მიხედვითაც განისაზღვრება კონკრეტული სახის გადასახადები, გადასახადის გადამხდელები, გადახდის პირობები და სხვა.
- ❖ საგადასახადო დაბეგვრის საკითხებში ადმინისტრაციული დახმარების აღმოჩენაზე შეთანხმება
- ❖ სპეციფიკური შეთანხმებები, რომლებიც ეხება საერთაშორისო ორგანიზაციებს და ითვალისწინებს მათ გათავისუფლებას გადასახადისგან იმ ქვეყნის მიერ, რომლებშიც იმყოფებიან.
- ❖ ხელშეკრულებები, რომლებიც სხვა საკითხებთან ერთად ეხება გადასახადებსაც. მაგალითად, სავაჭრო ხელშეკრულებები, რომლებიც ითვალისწინებს საქონლისა და მომსახურების განსაკუთრებულ საგადასახადო რეჟიმებს.

საერთაშორისო საგადასახადო სამართლის შესწავლისათვის გამოიყენება ორი მიდგომა: პურისტული და კონტექსტუალისტური.<sup>36</sup> პურისტული მიდგომის

<sup>35</sup> ლ. ბახტაზე, რ. კაჯულია, მ. ჩიკვილაძე „საგადასახადო საქმე“ თბილისი 2007 გვ.430

<sup>36</sup> დაყოფა პურისტებად და კონტექსტუალისტებად რამდენადმე პირობითია. მას პირველად შეეხო ავტორი იხ. Arthur Cockfield „Commentary, Formulary Taxation versus the Arm's Length Principle: The Battle among Doubting Thomas, Purists and Pragmatists (2004) , 52(1) Canadian tax Journal p 114. ავტორმა შემდგომ კვლევებში გამოიყენა ტერმინი „კონტექსტუალისტები“ პრაგმატისტების ნაცვლად იხ. E-Journal of Tax Research, volume 5, Number 2/Michigan Issue, December 2007 p199

ფარგლებში (ტრადიციული მიდგომა) განიხილება წმინდა საგადასახადო საკითხები ეკონომიკურ ეფექტიანობაზე დაყრდნობით. კონტექსტაულისტურის შემთხვევაში კი ეკონომიკური ანალიზი კომბინირებულია პოლიტიკურ, ისტორიულ, სოციალურ, ინსტიტუციონალურ და სხვა ფაქტორებთან. უმრავლეს შემთხვევაში საერთაშორისო საგადასახადო სამართალში ჭარბობს ეკონომიკური საფუძვლები გამომდინარე იქიდან, რომ საერთაშორისო საგადასახადო სამართლის ფუნდამენტური დებულებები ყალიბდებოდა ეკონომისტების მიერ. აქვე აღვნიშნავთ, რომ თანამედროვე რეალობის გათვალისწინებით უფრო მეტად მიზანშეწონილად მიგვაჩნია კონტექსტუალისტური მიდგომა, რადგან ქვეყნებს შორის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები მრავალასპექტურია - წმინდა საგადასახადო საკითხების განხილვისას ყოველთვის მხედველობაში მიიღება სხვა დამატებითი ფაქტორები.

საერთაშორისო საგადასახადო პოლიტიკა, რომლის ფორმალიზება საერთაშორისო საგადასახადო სამართალში ხორციელდება, უპირატესად მიზნად ისახავს გლობალური მასშტაბით:

1. აღმოფხვრას ზიანის მომტანი საგადასახადო პრაქტიკა და ხელი შეუწყოს დია ბაზრებზე დაფუძნებული მსოფლიო ეკონომიკის ფუნქციონირებას
2. დაიცვას სახელმწიფოთა საგადასახადო ბაზა და მისცეს მათ საშუალება მიიღონ სამართლიანი წილი საერთაშორისო ბიზნეს საქმიანობიდან

მირითადად არსებობს სამი მიზანი,<sup>37</sup> რომლებიც განაპირობებენ ქვეყნის მონაწილეობას საერთაშორისო საგადასახადო სამართალში:

#### *1. ეროვნული სიმდიდრის მაქსიმიზაცია:*

ნებისმიერი საგადასახადო სისტემა მოწოდებულია უზრუნველყოს ქვეყნის ბიუჯეტი სათანადო შემოსავლებით, რაც საბოლოო ჯამში გამიზნულია ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე ზემოქმედებისათვის. საგადასახადო შემოსავლებით ფორმირებული ბიუჯეტი ემსახურება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის ამაღლებას. ეროვნული სიმდიდრის მაქსიმიზაცია ნიშნავს, რომ ქვეყნა ცდილობს მიიღოს სამართლიანი წილი

<sup>37</sup> International Tax Policy and Double tax Treaties, Kevin Holmes, IBFD 2007 Amsterdam p4

ქვეყნის საზღვრების გადამკვეთი ტრანსაქციებიდან(საერთაშორისო დაბეგვრის კუთხით), რათა გაზარდოს მოქალაქეთა კეთილდღეობა; შეინარჩუნოს და გაზარდოს საგადასახადო ბაზა.

საბოლოოდ, საერთაშორისო ტრანსაქციების დაბეგვრა განსაზღვრავს საგადასახადო შემოსავლების განაწილებას ორ ან მეტ ქვეყანას შორის. ნაციონალური სიმდიდრის მაქსიმიზაცია ითვალისწინებს ქვეყნების მისწრაფებას გაზარდონ დაწესებულ გადასახადებში თავიანთი წილი. ეროვნული სიმდიდრის მაქსიმიზაციის პრინციპი გაითვალისწინება, როგორც პირადი შემოსავლის მისამართით, რომლებიც მიიღება ინვესტორის მიერ საზღვარგარეთ, ასევე ინვესტორის მთავრობის მიერ დაწესებული გადასახადების მისამართით.

## 2. დაბეგვრის თანასწორობა და სამართლიანობა

თანასწორობა და სამართლიანობა გულისხმობს თანაბარი გადასახადების დაწესებას თანაბარი შემოსავლების მქონე ან თანაბარი გადახდისუნარიანობის გადამხდელებზე. თანასწორობა საჭიროებს თანაბარგანკვეთიანი გადასახადების დაკისრებას ყველა სახის შემოსავალზე-მიუხედავად შემოსავლის წყაროს ტიპისა და შემოსავლის მიღების კანონიერი სტრუქტურისა.

ქვეყანას აქვს არჩევანი გამოიყენოს სამართლიანობის პრინციპი მის რეზიდენტებზე (მათი მოლიანი შემოსავლების დაბეგვრით, რომელიც შედგება ქვეყნისშიგნით და მის ფარგლებს გარეთ მიღებული შემოსავლებისაგან), მაგრამ იგივე მიდგომას ვერ გამოიყენებს არარეზიდენტებზე, ვინაიდან სახელმწიფოს არ აქვს შესაძლებლობა დაბეგროს არარეზიდენტების შემოსავლები, რომლებიც წარმოიშობა ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

## 3. კონკრეტური ეფექტიანობა

ეკონომიკური ეფექტიანობა გულისხმობს კონკურენციის განვითარების ხელშეწყობას ქვეყნის ეკონომიკაში. იდეალურ შემთხვევაში იმ დაშვებით, რომ დაბეგვრას არ აქვს გავლენა ინვესტირების გადაწყვეტილებებზე. ეს ნიშნავს, რომ ინვესტირების შედეგად მიღებული შემოსავალი არ უნდა მცირდებოდეს იმდენად, რაც გამოიწვევდა დიდ სხვაობას დაბეგვრამდე და დაბეგვრის შემგომ არსებულ

შემოსავლებში. ეკონომიკური ეფექტიანობის დაცვისათვის გადასახადის დაკისრება უნდა იყოს ნეიტრალური შიდა და საზღვარგარეთული ინვესტირების მიმართ.(ინვესტირების ვარიანტების მიმართ).

ქვეყნები ცდილობენ თავიდან აიცილონ საგადასახადო დონისძიებები, რომლებიც ამცირებენ ქვეყნის კონკურენტუნარიანობას; ე.ი ქვეყანამ ჩვეულებრივ არ მიიღებს ისეთ საერთაშორისო დაბეგვრის წესებს, რომლებიც ქვეყნიდან განდევნიან კაპიტალსა და გამოცდილებას ან ხელს შეუშლიან მათ იმპორტირებას.<sup>38</sup>

პრაქტიკა აჩვენებს, რომ საგადასახადო სისტემა მაშინ ფუნქციონირებს ოპტიმალურად, როდესაც აგებულია სიმარტივისა და განსაზღვრულობის პრინციპებზე. ეს პრინციპები თანაბრად ეხება როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო საგადასახადო კანონმდებლობას. რაციონალური საგადასახადო პოლიტიკის ფორმირებისათვის ქვეყნები ცდილობენ მიაღწიონ უმცირეს ადმინისტარციულ და საგადასახადო დეპლარირების ხარჯებს. დეპლარირების ხარჯები წარმოიშვება გადასახადის დაკისრების შედეგად. ცხადია, სხვადასხვა საგადასახადო პოლიტიკას ამ ხარჯების სხვადასხვა დონე ახასიათებს. მაგალითად, სხვა ქვეყანაში მიღებულ შემოსავალზე დაწესებული გადასახადი, რომლის დროსაც კანონმდებლობა იყენებს სხვადასხვა მიღგომებს ცალკეული ქვეყნების მიმართ- არსებობს ქვეყნების შავი, თეთრი და ნაცრისფერი სია) მოიტანს გაცილებით მეტ ადმინისტარციულ და დეპლარირების ხარჯებს გიდრე ის საგადასახადო პოლიტიკა, რომელიც არ ახდენს ამგვარ განსხვავებებს ან უბრალოდ გამორიცხავს უცხო ქვეყანაში მიღებულ შემოსავლებს საგადასახადო ბაზიდან.

ამასთან, საერთაშორისო საგადასახადო პოლიტიკის ყოვლისმომცველობის მიზნებიდან გამომდინარე საჭიროა ერთი ქვეყნის საგადასახადო პოლიტიკა წინააღმდეგობაში არ მოდიოდეს მეორესთან. ჩვენს „გლობალიზებულ“ მსოფლიოში, სადაც კაპიტალი თავისუფლად მოძრაობს ქვეყნებს შორის, არცერთი მთავრობა არ მოისურვებს შემოიღოს ისეთი მძიმე საგადასახადო

<sup>38</sup> ამ შემთხვევაში იგულისხმება ყველა ტიპის ინვესტირება აქტივებში, რომლებიც ფულადი უკუგების მისაღებად არის გამოზნული

ტვირთი, რომელიც გამოიწვევდა ინვესტიციების გადინებას ან მათ მინიმალურ შემოდინებას. იმ შემთხვევაში, როცა ქვეყნის საერთაშორისო დაბეგვრის პოლიტიკა არ არის კონკურენტული სხვა ქვეყნების საგადასახადო პოლიტიკასთან წარმოიქმნება არბიტრაჟული შესაძლებლობები, რომლის დროსაც კომპანიათა საგადასახადო დაგეგმვის მიზანი ხდება სარგებლის მიღება ასიმეტრიული საერთაშორისო დაბეგვრის რეჟიმებიდან.

მცირე კაპიტალის იმპორტიორი ქვეყნის შემთხვევაში, რომელთაც აქვთ უმნიშვნელო გავლენა გლობალურ კაპიტალის ბაზრებზე კაპიტალის ექსპორტის ნეიტრალურობის პრინციპი ნაკლებად სასარგებლოა. განსაკუთრებით მაშინ, როცა სხვა ქვეყნები იკავებენ უფრო ხელსაყრელ საგადასახადო პოზიციას. საერთაშორისო საგადასახადო პოლიტიკის ფორმირებისას ქვეყანამ მხედველობაში უნდა მიიღოს სხვა ქვეყნების საგადასახადო პოლიტიკის თავისებურებები, განსაკუთრებით სავაჭრო პარტნიორების და იმ ქვეყნების, რომლებიც არიან კონკურენტები კაპიტალის იმპორტირებაში. ამგვარი მიღგომა განსაკუთრებით აქტუალურია იმ ქვეყნების შემთხვევაში, რომლებიც კაპიტალის იმპორტიორები არიან.

სშირად საერთაშორისო საგადასახადო პოლიტიკის მიზნები ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდის. მათი კონკრეტული არჩევანი დამოკიდებულია ქვეყნის მთავრობაზე მისი ფართო ეკონომიკური და სოციალური მიზნებიდან გამომდინარე.

დაბეგვრის თანასწორობისა და ეფექტიანობის მიღწევისათვის ქვეყანამ უნდა შეიმუშავოს კაპიტალის იმპორტის ნეიტრალობის სტრატეგია. ამ სტრატეგიის პირობებში დაბეგვრის რეჟიმი უნდა იყოს ერთნაირი კაპიტალის მომწოდებლების მიერ მიღებული შემოსავლებისა და ადგილობრივი ინვესტორების მიერ მიღებული შემოსავლების მიმართ.

ჩვეულებრივ დაბეგვრის პოლიტიკა ახდენს მნიშვნელოვან გავლენას საინვესტიციო გადაწყვეტილებებზე. თუ უცხოური ინვესტიციები იბეგრება განსხვავებულად ადგილობრივ ინვესტიციებთან შედარებით, საგადასახადო სისტემა ხდება არასამართლიანი და ამასინჯებს საინვესტიციო გადაწყვეტილებებს.

კაპიტალის იმპორტის ნეიტრალობა გამიზნულია მიღწეულ იქნას ერთნაირი მიღვომა ადგილობრივი ინვესტიციებიდან და უცხოური ინვესტიციებიდან მიღებული შემოსავლების დაბეგვრაში. შესაბამისად, კაპიტალის იმპორტის ნეიტრალობა გულისხმობს იმას, რომ ყველა ინვესტორი (ადგილობრივი თუ უცხოელი) იმყოფება ერთნაირი ეფექტური საგადასახადო განაკვეთების პირობებში. ცხადია, კაპიტალის იმპორტის ნეიტრალობა არ არსებობს, როცა ქვეყანა აწესებს განსხვავებულ განაკვეთებს იმაზე დამოკიდებულებით, თუ ვინ არის გადასახადის გადამხდელი- ადგილობრივი თუ უცხოელი ინვესტორი. ეს ჩვეულებრივ ხდება მაშინ, როცა ქვეყანა უცხოელ ინვესტორებს სთავაზობს საგადასახადო შეღავათებს. ასეთ შემთხვევაში, ირლევა როგორც სამართლიანობის ასევე ეფექტიანობის პრინციპები.

საგადასახადო სამართლიანობის თვალსაზრისით ადგილობრივი ინვესტორები ყოველთვის ოპონირებას უწევენ იმ ფაქტს, რომ მათგან განსხვავებით უცხოელი ინვესტორები იმყოფებიან უფრო შეღავათიან დაბეგვრის რეჟიმში. (განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა ადგილობრივი ინვესტორების კაპიტალი წარმოდგენილია უძრავი ფორმით); ხოლო როცა ადგილობრივი ინვესტორების კაპიტალი მობილურია ასიმეტრიული საგადასახადო პოლიტიკის შემთხვევაში მოხდება კაპიტალის გადინება საზღვარგარეთ და შემდგომ მათი ინვესტირება უცხოური კაპიტალის სახით.

კაპიტალის იმპორტის ნეიტრალურობის არარსებობის პირობებში ირლევა ეკონომიკური ეფექტიანობა, რადგან უცხოელ ინვესტორს აქვს კონკურენტული უპირატესობა დაბალი დანახარჯების სტრუქტურის გამო, რომელიც არ შეიცავს საგადასახადო ხარჯის ელემენტს. ამ სახის პრობლემების კარგი მაგალითია ჩინეთის გამოცდილება, რომელმაც შესთავაზა კვალიფიციურ უცხოელ ინვესტორს საგადასახადო არდადებები 10 წლით ცალკეული ინვესტიციების შემთხვევაში; იგივე საგადასახადო შეღავათი არ კრიკელდებოდა ადგილობრივ ინვესტორებზე. ადგილობრივი ინვესტორები გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას არათანაბარი დაბეგვრის გამო და ხშირად აარსებდნენ ოფშორულ ეკონომიკურ ერთეულებს, რომელთა მეშვეობითაც ახორციელებდნენ ინვესტირებას; შედეგად

ისინი იღებდნენ შედაგათებს, როგორც უცხოელი ინვესტორები. ეს პოლიტიკა საბოლოო ჯამში იწვევდა რესურსების განაწილების არაეფუქტურობას.<sup>39</sup>

ჩვეულებრივ უცხო ქვეყნის რეზიდენტები იბეგრებიან შემოსავლის იმ ნაწილში, რომელსაც იღებენ ქვეყანაში არსებული წყაროდან.<sup>40</sup> წარმოდგენა იმის შესახებ მიეკუთვნება თუ არა შემოსავალი ქვეყანაში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავალს ეფუძნება იმ ქვეყნის საგადასახადო კოდექს, სადაც საქმიანობს ეკონომიკური სუბიექტი. აქედან გამომდინარე, სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობების ჩამონათვალი თუ რა მიეკუთვნება ქვეყანაში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავალს შეიძლება განსხვავდებოდეს; მაგ.

საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავალს განეკუთვნება:<sup>41</sup>

- ❖ დაქირავებით მუშაობით მიღებული შემოსავალი;
- ❖ საქართველოს ტერიტორიაზე საქონლის მიწოდებით მიღებული შემოსავალი;
- ❖ საქართველოში მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავალი.
- ❖ საქართველოში არარეზიდენტის მუდმივი დაწესებულების მიერ განხორციელებული ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი, მათ შორის, შემოსავალი, რომელიც მოიცავს საქართველოში ამ არარეზიდენტის მიერ იდენტური (მსგავსი) საქონლის რეალიზაციით მიღებულ ამონაგებს; შემოსავალი საქართველოში გაწევილი მომსახურებიდან, რომელიც მუდმივი დაწესებულების მიერ გაწევილი მომსახურების იდენტური ან მსგავსია;
- ❖ საქართველოში განხორციელებულ ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული უიმედო ვალების ჩამოწერის შედეგად ვალდებულებათა

<sup>39</sup> 2007 წ 13 მაისს, ჩინეთის სახალხო კონგრესმა მიიღო ახალი „საწარმოთა შემოსავლების დაბეგვრის“ კანონი, რომელშიც გაუქმებულია ამ სახის უპირატესობები უცხოელ ინვესტორთათვის; შედეგად ამგვარი მიღვომა(ცვლილების შემდეგ) იცავს კაპიტალის იმპორტის ნეიტრალურობის პრინციპს.

<sup>41</sup> საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 24. საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავალი;

გაუქმებითა და ძირითად საშუალებათა რეალიზაციით მიღებული შემოსავალი.

- ❖ რეზიდენტი იურიდიული პირისაგან მიღებული დივიდენდები, რეზიდენტი იურიდიული პირის აქციის ან/და იურიდიულ პირში პარტნიორის წილის რეალიზაციით მიღებული შემოსავლები;
- ❖ რეზიდენტისაგან პროცენტით მიღებული შემოსავალი;
- ❖ რეზიდენტის მიერ გადახდილი პენსია;
- ❖ საქართველოში მუდმივი დაწესებულების ან ქონების მქონე არარეზიდენტისგან პროცენტით მიღებული შემოსავალი, თუ ამ პირის დავალიანება დაკავშირებულია მის მუდმივ დაწესებულებასთან ან ქონებასთან;
- ❖ საქართველოში არსებულ ან გამოყენებულ უფლებებთან ან ქონებასთან დაკავშირებული როიალტის ფორმით მიღებული შემოსავალი;
- ❖ საქართველოში გამოყენებული მოძრავი ქონების იჯარით ან/და სხვა სახელშეკრულებო სარგებლობის უფლების გადაცემით მიღებული შემოსავალი;
- ❖ საქართველოში არსებული და ეპონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული უძრავი ქონებით მიღებული შემოსავალი, მათ შორის, ასეთ ქონებაში პარტნიორის წილის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი;
- ❖ იმ საწარმოს აქციების ან პარტნიორის წილის მიწოდებით მიღებული შემოსავალი, რომლის აქტივების ღირებულების 50 პროცენტე მეტი პირდაპირ ან არაპირდაპირ იქმნება საქართველოში არსებული უძრავი ქონების ღირებულებიდან;
- ❖ რეზიდენტის მიერ ქონების რეალიზაციით მიღებული სხვა შემოსავალი, რომელიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან;
- ❖ საქართველოს საწარმოდან ან საქართველოში არარეზიდენტის მუდმივი დაწესებულებიდან მართვისათვის, აგრეთვე საფინანსო ან/და სადაზღვევო

მომსახურებისათვის (გადაზღვევის მომსახურების ჩათვლით) მიღებული შემოსავალი;

- ❖ საქართველოში წარმოშობილი რისკის დაზღვევის ან გადაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე სადაზღვევო შენატანების სახით მიღებული შემოსავალი;
- ❖ საქართველოსა და უცხო ქვეყნებს შორის საერთაშორისო გადაზიდვებში სატრანსპორტო მომსახურებით ან საერთაშორისო კავშირგაბმულობაში ტელესაკომუნიკაციო მომსახურებით მიღებული შემოსავალი;
- ❖ საქართველოში საქმიანობით მიღებული სხვა შემოსავალი.

ჩვეულებრივ, შიდა კანონმდებლობა განსაზღვრავს შემოსავლის წყაროს, რომელიც ქვეყანაში მდებარეობს და იბეგრება ორი გზით; პირველი, უცხოელი გალდებულია მოახდინოს საგადასახადო შემოსავლების დეკლარირება რეზიდენტების მსგავსად და გადაიხადოს გადასახადი წმინდა შემოსავალზე(ჩვეულებრივ ყოველწლიურად), რომელსაც იღებს ქვეყანაში არსებული წყაროდან. ხაზგასასმელია, რომ ამ შემთხვევაში გადასახადი წესდება წმინდა შემოსავალზე-სხვაობა მთლიან შემოსავალსა და დასაბეგრ მოგებას შორის. მეორე გზაა არარეზიდენტისათვის გადასახადის დაკავება გადახდის წყაროსთან.

წყაროსთან დაკავებადი გადასახადის გადახდა ნიშნავს მის დაკავებას წყაროსთან, გადახდის დროს. პასიური შემოსავლების შემთხვევაში(დივიდენდები, პროცენტები, როიალტი), რომლებიც მიიღება უცხოელების მიერ ქვეყანაში, დაეკისრება წყაროსთან დასაბეგრი გადასახადი. ამ შემთხვევაში შემოსავალი იბეგრება გამოქვითვების გარეშე, ჩვეულებრივ ამ სახის გადასახადების განაკვეთები უფრო დაბალია ვიდრე საშემოსავლო გადასახადების განაკვეთები.

არარეზიდენტების წყაროსთან დაკავებულ გადასახადს აქვთ შემდეგი უპირატესობები:

-გადასახადის გადამხდელს არ ეკისრება დეკლარირების ხარჯები, რომელიც დაკავშირებულია ყოველწლიური შემოსავლების დეკლარირებასთან

-ხდება გადასახადის წინასწარი აკრეფა მთავრობის მიერ

-ხდება იმის გარანტირება, რომ გადასახადი გადაიხდება მიღებული შემოსავლების იმ ნაწილიდან, რაც იმყოფება ქვეყნის კანონიერ იურისდიქციაში, სხვა შემთხვევაში სუბიექტი ეცდება თავი აარიდოს საგადასახადო ვალდებულებას.

ხშირ შემთხვევაში დაბუგვრის ორივე მეთოდი გამოიყენება-შემოსავალი იბეგრება წყაროსთან და გადამხდელს უწევს შემოსავლის დეკლარირება. ასეთი მიღომის პირობებში წყაროსთან დაკავებადი გადასახადი არ არის საბოლოო გადასახდელი, არამედ წინასწარ გადახდილი გადასახდელია, წლიური საგადასახადო ვალდებულების გამოანგარიშებისათვის. ამგვარი მეთოდი ძირითადად მიუყენდება უცხოურ სამუშაო ძალას და დამოუკიდებელი მომსახურების კონტრაქტების მიმწოდებლებს. ამ საგადასახადო სუბიექტებთან მიმართებაში გამოიყენება პერსონალური გამოქვითვები და/ან შეღავათები.

ცხადია, ქვეყანამ უნდა დააწესოს საგადასახადო განაკვეთები იმგვარად (წყაროსთან დასაბეგრი გადასახადის განაკვეთების ჩათვლით), რომ არ მოხდეს უცხოურ ინვესტიციათა ჩახშობა და ქვეყნის შიდა კაპიტალის დანახარჯების სტრუქტურის დამახინჯება. ეს განსაკუთრებით ეხება პატარა ქვეყნებს, რომლებიც დიაა უცხოური კაპიტალისთვის და ისინი არიან ფასის მიმღებნი მსოფლიო კაპიტალის ბაზრებიდან.

გადასახადის დაკისრება ზრდის კაპიტალის დანახარჯს წყარო ქვეყანაში, რაც უარყოფით გავლენას იქონიებს მაკროეკონომიკურ შედეგებზე-გაზრდილი საპროცენტო განაკვეთების, დაბალი ინვესტირების, ხელფასებისა და დასაქმების კუთხით. აქედან გამომდინარე, ცხადია წყარო ქვეყანამ უნდა შეაფასოს გადასახადის დაკისრების ეკონომიკური ეფექტი, რათა მისი დაკისრება არ იყოს იმდენად მაღალი, რომ მან გამოიწვიოს ოპტიმალურზე მეტად კაპიტალის დანახარჯების ზრდა. ამ მიზეზის გამო უცხოელი ინვესტორები უნდა დაიბეგრონ მინიმალური განაკვეთებით. (ცხადია, მოცემული ქვეყნისათვის უცხოური ინვესტიციების სოციალური და ეკონომიკური ეფექტის გათვალისწინებით).

ქვემოთ განხილულია რეზიდენტი და წყარო ქვეყანას შორის დაბეგვრის უფლებების განაწილების სქემა (ქვეყანაში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავლების შემთხვევაში):

- დაბეგვრის პირველი შესაძლებლობა ეძღვა წყარო ქვეყანას (წყაროსთან დაკავება).
- რეზიდენტის ქვეყანაში შემოდის უკვე დაბეგრილი შემოსავალი.
- თუ მხოლოდ წყარო ქვეყანას აქვს დაბეგვრის ექსპლუზიური უფლება
- რეზიდენტის ქვეყანა თმობს აგ შემოსავალს
- თუ წყარო ქვეყანას აქვს პირველად დაბეგვრის უპირატესი უფლება, ის ამ უფლებას იყენებს შეზღუდულად, რათა დაბეგვრის საშუალება მიეცეს რეზიდენტის ქვეყანასაც.
- რეზიდენტის ქვეყანას აქვს დაბეგვრის უფლება, მაგრამ იმდენად, რომ გადამხდელს ჯამში არ მოუწიოს შიდა კანონმდებლობით გათვალისწინებულზე მეტის გადახდა.

ჩვეულებრივ, ამგვარი შედავათი (უცხოური ინვესტიციების ნულოვანი განაკვეთით დაბეგვრა) სტიმულს აძლევს ადგილობრივ ინვესტორებს მოახდინონ თავიანთ ქვეყანაში ინვესტირება ოფშორული შუამავლების მეშვეობით. მიჩნეულია, რომ არსებობს კავშირი უცხო ინვესტორთა ქვეყნისშიდა წყაროებიდან მიღებული შემოსავლების დაბეგვრასა და შიდა ინვესტირების უცხო წყაროს მქონე შემოსავლების დაბეგვრაში, დაბალი საგადასახადო განაკვეთი პირველზე კომპანიისირებულ უნდა იქნეს მაღალი საგადასახადო განაკვეთით უკანასკნელზე.

კაპიტალის იმპორტის ნეიტრალობა ნიშნავს უცხოელ და ადგილობრივ ინვესტორთა მოქცევას დაბეგვრის ერთიდაიგივე რეჟიმებში, ხოლო კაპიტალის ექსპორტის ნეიტრალობა გულისხმობს ადგილობრივ ინვესტორთა დაბეგვრას

თანაბრად მიუხედავად ინვესტირების ქვეყნისა. პირველ შემთხვევაში საქმე ეხება უცხოელ ინვესტორთა მიერ ქვეყანაში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავლებს და ადგილობრივ ინვესტორთა შემოსავლებს რეზიდენტ ქვეყანაში, ხოლო მოერე შემთხვევაში რეზიდენტი პირების მიერ სხვა ქვეყნაში გამომუშავებულ შემოსავალს და მათ მიერ რეზიდენტობის ქვეყანაში მიღებულ შემოსავლს. ამ მიმართულებით რეზიდენტი ქვეყნების მიერ გატარებულ პოლიტიკას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს საინვესტიციო გადაწყვეტილებებზე.

საგადასახადო სისტემის სამართლიანობისა და ეფექტიანობის მიღწევის მიზნით ქვეყანამ უნდა დაიცვას კაპიტალის ექსპორტის ნეიტრალურობის სტრატეგია. ეს მიდგომა როგორც ზემოთ აღინიშნა, ნიშნავს რეზიდენტი ინვესტორების შემოსავლების თანაბარ დაბეგვრას, მიუხედავად იმისა თუ რომელ ქვეყანაშია იგი მიღებული(რეზიდენტობის თუ წყაროში). გადასახადის გადამხდელის კუთხით ეს ნიშნავს, რომ იგი დგას თანაბარი დონის ეფექტური საგადასახადო განაკვეთების პირობებში-როგორც შიდა, ასევე სხვა ქვეყანაში ინვესტირებისას. ასეთ შემთხვევაში ქვეყნის საგადასახადო სისტემა ხელს არ უშლის და არც უწყობს კაპიტალის გადინებას. შედეგად, საგადასახადო სისტემა ნეიტრალურია საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიმართ. კაპიტალის ექსპორტის ნეიტრალურობის პრინციპის პრაქტიკული რეალიზაციისათვის საჭიროა საგადასახადო ბაზაში შეტანილ იქნას რეზიდენტის მთლიანი შემოსავალი-როგორც რეზიდენტობის ქვეყანაში, ასევე სხვა ქვეყანაში მიღებული; თუ გვაქვს განსხვავებული მდგომარეობა-უცხო წყაროდან მიღებული შემოსავალი არ იძეგრება, ფაქტიურად ეს ნიშნავს რეზიდენტის მიერ საზღვარგარეთ ინვესტირების ხელშეწყობას; რასაც შედეგად მოჰყვება ეკონომიკური ეფექტიანობის დარღვევა. ამასთან, შიდა ინვესტორები, რომლებიც არიან შეზღუდულნი ქვეყნის შიგნით ინვესტირებით (მაგ, მათი აქტივები არ არის მობილური, როგორიცაა მიწა) არსებულ საგადასახადო სისტემას აღიქვამენ, როგორც უსამართლოს.

კაპიტალის ექსპორტის ნეიტრალურობის დაცულობის პირობებში ქვეყნის საერთაშორისო საგადასახადო კანონმდებლობას არ აქვს გავლენა საინვესტიციო გადაწყვეტილებებზე. შედეგად, რაციონალური ინვესტორი აირჩევს რესურსების ყველაზე ეფექტურ განთავსებას. ამგვარი მიდგომა მსოფლიოს უმრავლესი ქვეყნების თვალსაზრისით გულისხმობს რესურსების ეფექტურ განთავსებას.

საერთაშორისო საგადასახადო პოლიტიკის პრინციპები შეიძლება დაყოფილ იქნას ეფექტიანობისა და სამართლიანობის კატეგორიებად. ეფექტიანობა გულისხმობს კაპიტალის ექსპორტისა და კაპიტალის იმპორტის ნეიტრალურობის პრინციპების დაცვას, გადასახადების აღმინისტრირების სიადგილეს; ხოლო სამართლიანობა დაკავშირებულია საგადასახადო შემოსავლების თანაბარ გადანაწილებასთან ქვეყნებს შორის საერთაშორისო ტრანსაქციებიდან; გადასახადის სუბიექტების მიმართ იგი გულისხმობს თანაბარი განაკვეთების დაწესებას შიდა წყაროდან და საზღვარგარეთიდან მიღებულ შემოსავლებზე. ტრადიციულ ანალიზი და განხორცილებულ პრაქტიკულ პოლიტიკაში უმეტესად ჭარბობს ეფექტიანობის მიზნები<sup>42</sup>. ასეთი მიღვომის პირობებში კი შეიძლება ავცდეთ საერთაშორისო საგადასახადო პოლიტიკის მთავარ მიზანს-ქვეყნებს შორის საგადასახადო ბაზის სამართლიან განაწილებას.

ზემოთ აღწერილი პრინციპები ძირითადად ემსახურება „გლობალურ კეთილდღეობას“; რიგი ეკონომისტების მიერ წამოყენებულ იქნა ალტერნატიული პრინციპები, რომლებიც უპირატესად „ეროვნულ კეთილდღეობას“ ითვალისწინებენ. კერძოდ, კაპიტალის კუთვნილების ნეიტრალურობისა და ეროვნული კუთვნილების ნეიტრალურობის პრინციპები<sup>43</sup>.

---

<sup>42</sup> Klaus Vogel , World vs source Taxation of income-A Review and Re-evaluation of Arguments (Part III) 1998 Intertax, p-393 – ადნიშნავს, რომ სამართლიანობა უფრო მეტად შეიძლება განმარტებულ, დახასიათებულ იქნას ვიდრე ზუსტად განისაზღვროს

<sup>43</sup> იხ. Mihir A. Desai, James R. Hines Jr. Economic foundations of international Tax rules, A paper prepared for the American Tax Policy Institute Washington D.C. December 2003

### 1.3 საგადასახადო პოლიტიკისა და ინგესტიციების შორის კავშირი ინტერნაციონალიზაციისა და გლობალიზაციის პირობებში

თეორიული მიდგომით საგადასახადო პოლიტიკას აქვს გავლენა პირდაპირ უცხოურ ინგესტიციებზე, როცა ყველა სხვა ფაქტორი თანაბარია. ინგესტორი, რომლისთვისაც ინგესტირების ალტერნატიულ ქვეყნებში რესურსები და ბაზრის მოცულობა ერთიდაიგივეა, განსხვავება საგადასახადო ფაქტორების მიხედვით თამაშობს მნიშვნელოვან როლს. მაგრამ პრაქტიკაში ქვეყნები განსხვავდებიან არა მარტო საგადასახადო ფაქტორების მიხედვით, არამედ ბაზრის მოცულობითა და ბუნებრივი რესურსების ოდენობით, ადამიანური კაპიტალის ხელმისაწვდომობითა და ბევრი სხვა ფაქტორის მიხედვით. საერთო ჯამში, ყველა ეს ფაქტორი აყალიბებს ამ თუ იმ ქვეყნის საინვესტიციო გარემოს მიმზიდველობას.

ეკონომიკური პოლიტიკის თეორიაში არსებობს რამდენიმე ძირითადი მოდელი, რომლებიც ხსნიან პირდაპირი უცხოური ინგესტიციების ამა თუ იმ ქვეყნაში განთასვების შესახებ გადაწყვეტილებებს. მოდელებს შორის არსებობს ე.წ. კლასიკური და შედარებით ახალი მოდელები. კლასიკურ მოდელებს შორის ყველაზე ფართოდაა გაგრცელებული დანინგის ე.წ. OLI პარადიგმის (მფლობელობა, მდებარეობა და ინტერნალიზაცია) მოდელი.

OLI მოდელის მიხედვით<sup>44</sup> საერთაშორისო წარმოების შესახებ გადაწყვეტილებები განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით: მფლობელობის, მდებარეობის და ინტერნალიზაციის უპირატესობებით (ე.წ. „OLI პირობები“). ამ მოდელის განხილვისას საჭიროა ერთმანეთისაგან განვასხვავოთ პორიზონტალური და ვერტიკალური პირდაპირი უცხოური ინგესტიცია; განვსაზღვროთ თითოეულ მათგანზე OLI მოდელის შედეგები.

<sup>44</sup> Dunning, John H. 'Trade, Location of Economic Activity and MNE: A Search for an Eclectic Approach', in B. Ohlin, P. O. Hesselborn, and P. M. Wijkman (eds.), *The International Allocation of Economic Activity*. London: Macmillan. 1977  
Dunning, John H. *International Production and the Multinational Enterprise*. London: George Allen & Unwin. 1981

საერთაშორისო სავალუტო ფონდი და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს განმარტავენ, როგორც- რეზიდენტი ერთეულის მიერ განხორცილებულ საზღვარგარეთულ ინვესტიციას ქვეყნის ეკონომიკაში, რომელსაც გააჩნია გრძელვადიანი ინტერესები. გრძელვადიანი ინტერესები გულისხმობს ხანგრძლივ ურთიერთობას პირდაპირ ინვესტორსა და უცხოურ რეციპიენტს შორის, პირველის მნიშვნელოვანი გავლენით მეორის მენეჯმენტზე. სტატისტიკური მიზნებისათვის პირდაპირ უცხოურ ინვესტიციად 10 %-იანი წილის მფლობელობა ითვლება.<sup>45</sup>

ჰორიზონტალური პირდაპირი უცხოური ინვესტიცია გულისხმობს უცხო ქვეყანაში (რეციპიენტ ქვეყანაში, კაპიტალის იმპორტიორ ქვეყანაში) ინვესტირებას წარმოების იმ დარგში, სადაც კომპანია უკვე საქმიანობს. ამ ტიპის ინვესტიციისას არ ხდება რაიმე განსაკუთრებული მმართველობითი ფუნქციის შექმნა (მაგ: მენეჯერული საქმიანობა სათავო ოფისში); ჰორიზონტალური პირდაპირი უცხოური ინვესტიციის ალტერნატივაა პროდუქციის პირდაპირი ექსპორტი, წარმოების ლიცენზიის გაცემა.

ОЦI მოდელის მიხედვით ჰორიზონტალური პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ხორციელდება იქ, სადაც ОЦI პარადიგმის პირობები (მფლობელობის, მდებარეობის, ინტერნალიზაციის უპირატესობები) არსებობს:

I) იმისათვის, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიცია მოგებიანად განხორციელდეს საჭიროა საწარმო ფლობდეს „მფლობელობის უპირატესობებს”, რაც გულისხმობს კომპანიის მიერ „განსაკუთრებული აქტივების” ფლობას: პატენტები, ნოუ-ჰაუ, (სპეციფიკური ტექნოლოგიური ინფორმაცია ან ორგანიზაციული გამოცდილება); საგაჭრო ნიშანი, სამარკ სახელი-ასეთი მფლობელობის უპირატესობები ქმნიან სტიმულებს უცხო ბაზარზე გასვლისათვის. სხვა პირობებს (მდებარეობა, ინტერნალიზაცია) აქვთ გავლენა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციასა და სხვა ვარიანტებს (ექსპორტი, ლიცენზია) შორის არჩევანზე.

<sup>45</sup> OECD-Detailed Benchmark Definition of Foreign Direct Investment (Paris OECD 1996) Third edition.

IMF- Balance of Payment Manual (Washington IMF 1993) fifth edition.

II) პირდაპირი უცხოური ინვესტიციის განხორციელებამ ფირმებს უნდა მოუტანოს მდებარეობის უპირატესობები. განლაგების (მდებარეობის) უპირატესობები გულისხმობს იმ ხარჯების აცილებას, რაც დაკავშირებულია პროდუქციის საბოლოო მომხმარებლამდე მიტანასთან (ტრანსპორტირების ხარჯები, ტარიფები); წარმოების ფაქტორების შედარებითი სიიაფე (დაბალი სახელფასო ხარჯები, იაფი ენერგია); პროდუქციაზე მოთხოვნის ზრდა (ბრენდის ერთგულება, რაც შეიძლება განაპირობოს ქვეყანაში პროდუქციის წარმოების ადგილის ფიზიკურმა არსებობამ), სარგებელი მთავრობის ხელსაყრელი პოლიტიკიდან (გარემოსდაცვითი ნორმები, შედარებით მცირე საგადასახადო ტვირთი).

III) პირდაპირი უცხოური ინვესტიციის განხორციელება ინვესტორს სთვაზობს ინტერნალიზაციის უპირატესობებს, რაც ხდის ბიზნესის კეთებას პირდაპირი უცხოური ინვესტიციის მეშვეობით უფრო მომგებიანს, ვიდრე ლიცენზიის გაცემა. ირდაპირი უცხოური ინვესტიცია ლიცენზიის გაცემისაგან გასხვავებით უზრუნველყოფს ინფორმაციის დაცულობას; „ცოდნითი კაპიტალის“ ღირებულების შენარჩუნებას. ისეთი ლიცენზიის პირობების შექმნა, რაც მაქსიმალურად უზრუნველყოფს ინფორმაციის დაცულობას საკმაოდ რთული და დიდი დანახარჯების მომტანია. ინტერნალიზაცია ასეთ პრობლემებს ხსნის და დამატებით ეფექტიანობას სძენს კომპანიას.

ვერტიკალური პირდაპირი უცხოური ინვესტიცია გულისხმობს პროდუქციის წარმოების რომელიმე ეტაპის საზღვარგარეთ განთავსებას. მრავალეროვნულმა საწარმოებმა შესაძლებელია აწარმოონ პროდუქციის ძირითადი კომპონენტები თავიანთ ქვეყანაში და კომპონენტების ნაწილი სხვაგან; ამასთან, დაკომპლექტება შეიძლება განხორციელდეს მესამე ქვეყანაში. ამგავარი წარმოების მაგალითი შეიძლება იყოს კაპიტალინტენსიური წარმოების ნაწილის განლაგება კაპიტალით მდიდარ ქვეყანაში (შედარებით დაბალი კაპიტალის დანახარჯები); შრომა-ინტენსიური წარმოების ნაწილის განთავსება შრომითი რუსურსებით მდიდარ ქვეყნაში (შედარებითი დაბალი შრომითი დანახარჯები). ვერტიკალური პირდაპირი უცხოური ინვესტიციის ალტერნატივაა- საკუთარ ქვეყანაში წარმოება ან წარმოების ცალკეულ ციკლზე ლიცენზიის გაცემა;

ვერტიკალური პირდაპირი უცხოური ინვესტიციის ხელშემწყობ ფაქტორად განიხილება მფლობელობის, განლაგებისა და ინტერნალიზაციის უპირატესობები, რაც საშუალებას აძლევს ფირმას ჰქონდეს ექსკლუზიური პროდუქცია და წარმოების ტექნოლოგიები. პროდუქციის წარმოების ეტაპების სხვა ქვეყანაში განთავსებას განაპირობებს ქვეყნების მიერ ფირმისათვის მდგბარეობისა და ინტერნალიზაციის უპირატესობების შეთავაზება.

თავის ნაშრომში დანინგი არ ახდენს დაბეგვრის ზეგავლენის ანალიზს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე. ყველაზე მეტად ცხადია ის, რომ ქვეყნის საგადასახადო სისტემა არის მნიშვნელოვანი ფაქტორი ინვესტორის შეფასებებში; იმ შეფასებებში, რითაც ინვესტორი ახდენს მდებარეობის უპირატესობების განსაზღვრას; ამ მოდელზე დაყრდნობით შესაძლებელია შეფასდეს უცხოური ინვესტიციების განთავსების საბაზისო ფაქტორები და შემდგომ მათზე დაყრდნობით განისაზღვროს ოპტიმალური საგადასახადო ტვირთი. საგადასახადო ტვირთი ამ შემთხვევაში უნდა ითვალისწინებდეს ამა თუ იმ ქვეყნის მიერ შეთავაზებული OLI პირობების კვალიფიციურობას.

#### ინვესტიციების ნეო-კლასიკური მოდელი

ინვესტიციებზე გადასახადების გავლენის ანალიზისათვის ყველაზე ხშირად გამოიყენება ინვესტირების ნეო-კლასიკური მოდელი.<sup>46</sup> ამ მოდელზე დაყრდნობით შესაძლებელია განისაზღვროს დაბეგვრის ძირითადი პარამეტრების გავლენა ინვესტიციებიდან შემოსავლებზე, შეფასდეს საგადასახადო ტვირთის გავლენა საინვესტიციო გადაწყვეტილებებზე.

საანალიზო მაჩვნებლებად გამოიყენება ზღვრული და საშუალო ეფექტური საგადასახადო განაკვეთები-METR (Marginal Effective Tax Rates) და AETR(Average Effective Tax Rates). ეს მაჩვნებლები ეყრდნობა კორპორაციულ/მოგების გადასახადებს, მათი მეშვეობით განისაზღვრება ეფექტური საგადასახადო განაკვეთების ცვლილების გავლენა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე.

<sup>46</sup> Jorgenson D.W. "Capital Theory and Investment Behavior", American Economic Review 53, 24/59 1963

Auerbach, A. J. "Wealth maximization and the Cost of Capital" Quarterly Journal of Economics 94, pp 433-436 1979

Auerbach A. J „Taxation, Corporate Financial policy and the Cost of Capital”, Journal of Economic Literature 21, 1983 pp 905-940

ამ მოდელს სხვა მოდელების მსგავსად აქვს ცალკეული დაშვებები-მასში გამოტოვებულია- ცალკეული ფაქტორები, რაც გავლენას ახდენს პირდაპირი უცხოური ინვესტიციის საგადასახადო ტკირთზე. მაგ: საგადასახადო დაგეგმვა, ადმინისტრაციული დისკრეცია, სხვა გადასახადების მნიშვნელობა. ასევე პრობლემატურია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საგადასახადო ელასტიურობის<sup>47</sup> საკითხი, ამ შეზღუდვების გათვალისწინებით მოდელი გვთავაზობს მექანიზმს გადასახადების გავლენის განსასაზღვრად შიდა და საზღვარგარეთული ინვესტირებისათვის.

METR- ზღვრული საგადასახადო განაკვეთი, ფასდება რეალური პირდაპირი ინვესტიციებისათვის (მაგ, ე.წ. „მწვანე ველის ინვესტიცია” საწარმოში), არის შემაჯამებელი მაჩვენებელი საგადასახადო სისტემის მიერ გამოწვეული ცვლილებების შესაფასებლად. ზღვრულ ინვესტიციებზე იგი ახასიათებს წონასწორობის პოზიციას, როდესაც ეკონომიკური მოგება(ე.ი. მინიმალურად დამაკმაყოფილებელი უკუგება) მინიმალურია.

METR-ის განსაზღვრისათვის მოცემული ინვესტიციის ტიპები დამოკიდებულებით უნდა შეფასდეს ამ ინვესტიციებზე გადასახადით გამოწვეული ცვლილება-სხვაობა დაბგვრამდე და დაბეგვრის შემდგომ უკუგებებს შორის. „საგადასახადო ჭრა” გაითვალისწინება არამარტო კორპორატიულ გასახადებზე, არამედ ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადებზე, როგორც მთლიანად ინვესტიციებიდან უკუგებისა და ინდივიდუალური ინვესტიციებიდან უკუგების შესაფასებლად. მაგრამ საგადასახადო ეფექტის განსასაზღვრად ძირითადად გამოიყენება მოგების, კორპორაციული საშემოსავლო გადასახადი. დია კაპიტალის ბაზრების მქონე ეკონომიკებისათვის ეს დაშვება გამოიყენება საგადასახადო ტკირთის გავლენის შესაფასებლად შიდა და გარე ინვესტირების შემთხვევაში (საინვესტიციო გადაწყვეტილებებზე);

<sup>47</sup> სხვადასხვა შრომების მიმოხილვით შეიძლება დავასკვნათ, რომ საშუალო ელასტიურობა არის - 3.72 (რაც ნიშნავს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადში პროცენტულ ცვლილებას საგადასახადო განაკვეთების 1%-იანი ცვლილების შედეგად.) განაწილებითი ანალიზის შედეგად მივიღებთ, რომ ელასტიურობის მაჩვენებლები ექვევა -5 და 0 „შულაედში” TAX Effects on Foreign Direct Investment” Recent Evidence and Policy Analysis. #17, OECD 2007 გვ 12

„მოგების დაბეგვრა გლობალურ ეკონომიკაში”<sup>48</sup> (ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია 1991), ამ ნაშრმოში დაწვრილებითაა განხილული ინვესტიციების ნეოკლასიკური მოდელი, საიდანაც შეიძლება განისაზღვროს ეფექტური საგადასახადო განაკვეთები ქვეყნებშორის ინვესტიციების შემთხვევაში. ძირითადი საკითხები:

- ინვესტიციების დაფინანსება განიხილება ფონდების მრავალფეროვნი წყაროებიდან-ვალი, დაგროვილი შემოსავალი, ახალი საძირკო კაპიტალი, გაუნაწილებული მოგება
- რეციპიენტი ქვეყნის მოგების დაბეგვრა „რეპატრიაციული” საგადასახადო განკვეთებით, რაც დამოკიდებულია ა) დონორ ქვეყანაში ფუნქციონირებს საგადასახადო კრედიტის თუ გათავისფლების სისტემა უცხოური დივიდენდების დაბეგვრაზე ბ) უცხოური საგადასახადო კრედიტის მუხლების არსებობა დონორ ქვეყნაში

#### *ახალი ეკონომიკური გეოგრაფიის მოდელები*

ნეო-კლასიკური თეორიის პროგნოზები გადასახადებისა და ინვესტიციების დამოკიდებულების შესახებ გასულ წლებში გადახედილ იქნა ე.წ. „ახალი ეკონომიკური გეოგრაფიის” ლიტერატურაში. ქვემოთ პარაგრაფებში განვიხილავთ „ძირითადი პერიფერიის”(Core-Periphery Model) მოდელის მახასიათებლებს-რომელიც ითვლება ახალი ეკონომიკური გეოგრაფიის მოდელის ძაზისად.

ძირითადი პერიფერიის მოდელი ახალი ეკონომიკური გეოგრაფიის ლიტერატურაში<sup>49</sup> ეყრდნობა ბიზნესის კონცენტრაციის(აგლომერაციის) ცნებას. იგი გულისხმობს შიდა განვითარების პოტენციალის მქონე ეკონომიკას, რომელიც ხასიათდება ბიზნეს საქმიანობის კონცენტრაციით; ჩვეულებრივ, განლაგების უპირატესობა რეციპიენტი ქვეყნისისათვის არის დიდი ბაზარ ქონა, რაც საშუალებას იძლევა შემცირდეს ტრანსპორტირების ხარჯები.

<sup>48</sup> Taxing Profits in a Global Economy OECD 1991.

<sup>49</sup> Krugman P, Increasing Returns and Economic Geography, Journal of Political Economy 99, pp 483-499 ;1991

Baldwin, R. and P. Krugman "Aglomeration, Integration and tax Harmonisation", CEPR Discussion papers 2000

ამ მოდელის მიხედვით მთლიანი მოთხოვნა დამოკიდებულია დასაქმების დონეზე, რაც თავის მხრივ დამოკიდებულია ინვესტირების დონეზე. შედეგად ქვეყანა, რომელშიც ინვესტირება მზარდი ტემპებით ხორციელდებოდა-იქმნებოდა ახალი სამუშაო ადგილები, იზრდებოდა განკარგვითი შემოსავლი და შესაბამისად იზრდებოდა ბაზრის ზომა, საბოლოოდ მოიზიდავს დამატებით ინვესტიციებს და ა.შ.

ეს მოდელი მოიცავს „**ბაზარზე შეღწევის ეფექტებს**”, სადაც ფირმები ფლობენ საბაზრო ძალაუფლებას, რაც განპირობებულია ერთი ან რამდენიმე ფაქტორით (განსაკუთრებული აქტივების ფლობა, ცოდნითი კაპიტალი და ა.შ.), რასაც მოაქვს ეკონომიკური მოგება. ამ სახის ფირმებს აქვთ ტენდენცია თავინათი წარმოება განათავსონ დიდი ბაზრების სიახლოვეს და ექსპორტი გაიტანონ პატარა პერიფერიულ ბაზრებზე, მეორე ბიზნესის კონცენტრაციის შედეგია „**ხარჯების ეფექტი**”- ბიზნესის კონცენტრაცია იწვევს დანახარჯების შემცირებას; შემცირება დაკავშირებულია საიმპორტო ხარჯების შეკვეცათან. მესამე „**ბაზრის გადაგეხების ეფექტი**” საწინააღმდეგო მიმართულებით მოქმედებს ხელს უწყობს ბიზნესის გაფანტვას (ე.ი. ხელს უშლის ბიზნესის კონცენტრაციას)- გაზრდილი კონკურენცია კიდევ უფრო ღრმავდება-იმატებს კვალიფიციური კადრების ხელფასები, რაც უბიძგებს ფირმებს მოახდინონ გადასვლა ნაკლებკონკურენციულ, პერიფერიულ რეგიონებში.

იქ სადაც ბიზნესის კონცენტრაციის ძალები უფრო ძლიერია ვიდრე დისპერსიის ძალები, კაპიტალის ან სამუშაო ძალის გადაადგილების შოკებმა შეიძლება გამოიწვიოს ოვითრეგულირებადი მიგრია-მუშებისა და სამრეწველო კაპიტალის გადაადგილება ერთ რეგიონში, საწინააღმდეგო შემთხვევაში შოკს საწინააღმდეგო ეფექტი მოაქვს; ბოლო მთავარი ელემენტი ამ მოდელის არის ვაჭრობის ხარჯები(ტრანსპორტირებს ხარჯები), რაც განსაზღვრავს, ბიზნეს კონცენტრაციის და დისპერსიის ძალების შედარებით სიძლიერეს. ორივე, ბიზნესის კონცენტრაციის და დისპერსიის ძალები არიან უფრო ძლიერნი მაღალი სავაჭრო დანახარჯების პირობებში და შესაბამისად მათი კლებისას სუსტდებიან. ამ მოდელის მიხედვით, ბიზნეს დისპერსიის ძალები უფრო მეტად ჩქარა სუსტდებიან ვიდრე კოცენტრაციის ძალები სავაჭრო ხარჯების კლების კვალობაზე. ასე, რომ სავაჭრო ხარჯების კლების კვალობაზე დომინირებს ბიზნესის კონცენტრაციის

ძალები და მიგრაციის შოკი უბიძგებს თვითწარმართვად მიგრაციის ციკლს-ერთ რეგიონში მუშახელის და კაპიტალის გადაადგილებასაკენ.

### გადასახადების გავლენის შეფასება CP მოდელის მიხედვით


(ძირითადი პერიფერიის მოდელი)

ძირითადი პერიფერიის მოდელი მოდელის მახასიათებლები განსხვავდება ინგესტიონების ნეოკლასიკური მოდელისაგან და შესაბამისად განსხვავებულია მათ მიერ გადასახადების გავლენის შეფასება. ორი ძირითადი მახასიათებელი ამ მოდელის არის – კონცენტრაციის ეფექტით განპირობებული ინერცია და არაწრფივობა. ინერცია ან კაპიტალის კვაზიფიქსირებულობა – გულისხმობს კაპიტალის სიხისტეს პოლიტიკის შოკებზე სულ მცირე ცალკეული მიმართულებებით – გამოწვეულია ზემოთ აღნიშნული ტენდენციით, ბიზნესის აქტივობების (საქმიანობის) გეოგრაფიული კონცენტრაციით, რაც ცვლის საქმიანობის ეკონომიკურ პირობებს გეოგრაფიული კონცენტრაციის კიდევ უფრო გაღრმავებით. ბიზნესი, რომელიც იღებს მოგებას კონცენტრირებული ეკონომიკებით, კაპიტალის ინერციულობა ნიშნავს ეკონომიკური მოგების გარკვეულ ფიქსირებულობას, რაც ექცევა რეციპიენტი ქვეყნის დაბეგვრის ქვეშ. აგრეთვე ხდება არაწრფივი ეფექტების პროგნოზირება, სადაც ცვლილებებს კაპიტალის უკუგებაში შეიძლება ცალკეულ შემთხვევებში პქონდეს მინიმალური გავლენა კაპიტალის განლაგებაზე, მაშინ როცა შემდგომმა ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს დრამატული ეფექტები.

**ასიმეტრიული კორპორაციული დაბეგვრის გავლენა ინგესტიციებზე A და B ქვეყნებში ნეოკლასიკური მოდელის მიხედვით და ძირითადი პერიფერიის მოდელის მიხედვით.<sup>50</sup> ანალიზი უშვებს კაპიტალის (დანაზოგების) ფიქსირებულ ოდენობას, რაც ნაწილდება A და B ქვეყნებში. თავდაპირველად არსებობს თანაბარი მოგების გადასახადის განაკვეთები. პორიზონტალური ღერძი ასახავს A ქვეყნის -ს წილს საინვესტიციო კაპიტალში – აღნიშნულია S<sub>A</sub>, იგი იღებს**

<sup>50</sup> ამ შემთხვევაში გაკეთებულია დაშვება, რომ ძირითადი პერიფერიის მოდელის პირობებში ბიზნესის კონცენტრაციის ძალები აჭარბებს ბიზნესის დისპერსიის ძალებს

მნიშვნელობებს ნულიდან (სადაც პორიზონტალური და ვერტიკალური ღერძები იკვეთება) 1-მდე. (ბოლო წერტილი მარჯვნივ  $S_A=1$ ).



ნახაზი 1. დაბეგვრის გავლენა ინვესტიციებზე, ნეოკლასიკური და ძირითადი პერიფერიის მოდელის მიხედვით

ვერტიკალურ ღერძზე დატანილია დაბეგვრამდე უკუგების ნორმათა შეფარდება A და B ქმეყნებში  $F_{KA}/F_{KB}=1$  ანუ  $F_{KA} = F_{KB}$ . ვერტიკალურ ღერძზე ასევე დატანიალია შეფარდებითი საგადასახადო პირობები  $(1-U_B)/(1-U_A)$ . სადაც პორიზონტალური და ვერტიკალური ღერძები  $(1-U_B)/(1-U_A)=1$  შესაბამისად  $U_B=U_A$ . თავდაპირველად დავუშვათ, რომ A და B ქვეყანაში არის მსგავსი მოგების გადასახადის განაკვეთები. ე. ი.  $U_{A0} = U_{B0}$ . ე. ი. საგადასახადო პირობები  $(1-U_{B0})/(1-U_{A0})=1$ . ინვესტირების ნეოკლასიკური მოდელის მიხედვით, კაპიტალი ქმეყნებს შორის განაწილდება ისე, რომ დაბეგვრის შემდგომი უკუგებები გამოთანაბრდება. იდენტური საწარმოო ფუნქციებით კაპიტალი თანაბრად განაწილდება A და B ქვეყანას შორის. წონასწორობა შეიძლება გამოიხატოს  $F_{KA0}(1-U_{A0})=F_{KB0}(1-U_{B0})$

ტოლობით, სადაც  $F_{KA}$  და  $F_{KB}$  კაპიტალის დაბეგვრამდელი უკუგებებია. წონასწორობა მყარდება  $E_0$ -წერტილში, სადაც  $S_A=1/2$ <sup>51</sup>.

განვიხილოთ საგადასახადო პოლიტიკის გავლენის შედეგები (რეფორმა 1), სადაც  $A$  ქვეყანა მოგების გადასახადის განაკვეთს წევს  $U_{A1}$ -მდე ( $U_{A1} > U_{B0}$ ). რეფორმა გაზრდის შეფარდებით საგადასახადო პირობებს  $(1-U_{B0})/(1-U_{A1})$ , რომელიც აჭარბებს 1-ს. ნეოკლასიკური მოდელის მიხედვით – იდენტური დაბეგვრამდელი უკუგებით საწყის კაპიტალის განთავსებამდე დაბეგვირს შემდგომი უკუგება  $A$  ქვეყანაში იქნება დაბალი  $B$  ქვეყანაში რეფორმის შემდეგ. კაპიტალი გადაადგილდება  $A$  ქვეყნიდან  $B$  ქვეყანაში, სადაც კაპიტალის უკუგება უფრო მაღალია. კაპიტალის კლებადი პროდუქტიულობის პირობებში კაპიტალის გადაადგილება გამოიწვევს დაბეგვრამდელი უკუგების ზრდას  $A$  ქვეყანაში ( $F_{KA}$ ), და დაბეგვრამდელი უკუგების შემცირებას  $B$  ქვეყანაში ( $F_{KB}$ ), სანამ დაბეგვრის შემდგომი შემოსავლები არ გათანაბრდება. ნახ.1.1.-ზე ცვლილება იქნება  $E_0$ -დან გადაადგილება  $E_{NC1}$  (რეფორმის შემდგომი წონასწორობის წერტილი), სადაც  $F_{KA1}(1-U_{A1})=F_{KB1}(1-U_{B0})$ . ნეოკლასიკური მოდელის დინამიკა არის სტაბილური, კაპიტალი გადაადგილდება  $A$  ქვეყნიდან  $B$  ქვეყანაში საგადასახადო რეფორმის შემდეგ; კაპიტალის უკუგება განიცდის ისეთ ცვლილებას, რომ აბათილებს საწყის ეფექტს. (ე. ი. უკუგება კაპიტალზე  $B$  ქვეყანაში ეცემა, მაშინ როცა  $A$ -ში იზრდება).

საპირისპიროდ,  $CP$  მოდელში ასიმეტრიული საგადასახადო დაბეგვრის ეფექტი შეიძლება იყოს რადიკალურად განსხვავებული. კერძოდ, ასიმეტრიულ დაბეგვრას არ ექნება გავლენა კაპიტალის განლაგებაზე, ან ეფექტები იქნება დრამატული – ასიმეტრიულობის ხარისხზე და შეფარდებითი ბიზნესკონცენტრაციის ძალების ხარისხზე დაყრდნობით. როგორც ზემოთ აღინიშნა,  $CP$  მოდელის მთავარი მახასიათებელი ტენდენცია ბიზნესის

<sup>51</sup> სხვა განაწილებები გამოიწვევდა კაპიტალის შოკებს, რაც საბოლოოდ მივიღოდა წონასწორობის ფორმირებამდე. მაგალითად, ოუ  $S_A < 1/2$ , კაპიტალის კლებადი ზღვრული პროდუქტიულობის დაშვებით,  $F_{KA0} > F_{KB0}$  და შესაბამისად  $F_{KA}(1-U_{A0}) > F_{KB}(1-U_{B0})$ . მობილური კაპიტალი, რომელიც განთავსდა მაღალი დაბეგვრის შედგომი უკუგების გამო; ეს სიტუაცია ხელს შეუწყობს კაპიტალს გადაადგილდეს  $A$  და  $B$ -ში სანამ  $F_{KA0}(1-U_{A0}) = F_{KB0}(1-U_{B0})$ . იდენტური საგადასახადო განაკვეთებით და საწარმოო ფუნქციებით, ეს ნიშნავს  $F_{A0} = F_{B0}$  ან ეპივალენტურად  $S_A = S_B = 1/2$

კონცენტრაციის ძალების, შექმნან პირობები, რაც აძლიერებს ამ ძალებს და აღრმავებს ბიზნესის კონცენტრაციას. CP მოდელი საწყისი თანაბარი მოგების გადასახადის განაკვეთებით ორივე ქვეყანაში, რეფორმამდელი წონასწორობა იქნება იქ, სადაც მთელი კაპიტალი განთავსდება A ქვეყანაში (აღნიშნულია C<sub>PA</sub>)<sup>52</sup> ან ალტერნატიულად B ქვეყანაში (აღნიშნულია C<sub>PB</sub>). ილუსტრირების მიზნებისთვის განვიხილოთ საწყისი CP წონასწორობა მთელი კაპიტალის A ქვეყანაში ინვესტირებით, C<sub>PA1</sub> წერტილში.

პირველი შედეგი, რაც მოდელიდან გამომდინარეობს, არის კავშირი შეფარდებითი უკუგების განაკვეთისა (F<sub>KA</sub>/F<sub>KB</sub>) და კაპიტალის დისპერსიის S<sub>A</sub> (აღნიშნულია წყვეტილი ხაზით ნახაზზე). კერძოდ, დახრა არის დადებითი, რაც აღმნიშვნელია იმისა, რომ ბიზნესის კონცენტრაციიდან სარგებლობა ერთ რეგიონში სხვებთან შედარებით, რაც იზომება შედარებითი უკუგების შეფარდებით აქვს მიდრეკილება გაიზარდოს, იზრდება რა კონცენტრაციის ხარისხი საპირისპიროდ, კაპიტალის კონცენტრაცია ნეოკლასიკური ინვესტირების მოდელში არის საპირისპირო – შემცირებული უკუგება კაპიტალზე გაზრდილი კაპიტალის შოკებისათვის, აქვს მიდრეკილება დისპერსიის ძალების გაძლიერების.

ახლა ხელახლა განვიხილოთ საგადასახადო პოლიტიკის რეფორმის არჩევანი 1, სადაც A ქვეყანა ზრდის წილს, მოგების გადასახადის განაკვეთს ზემოთ, ისე რომ B ქვეყანაში შეფარდება (1-U<sub>B</sub>)/(1-U<sub>A</sub>) აჭარბებს 1-ს. როგორც ნახაზზეა ნაჩვენები, მას შემდეგ, რაც რეალური უკუგების ფარდობა F<sub>KA0</sub>/F<sub>KB0</sub> C<sub>PA1</sub>-ში აჭარბებს საგადასახადო არის ფარდობას (1-U<sub>B</sub>)/(1-U<sub>A</sub>), ან სხვა სიტყვებით, მას შემდეგ რაც წმინდა უკუგება კაპიტალზე A ქვეყანაში აგრძელებს გადაჭარბებას B[F<sub>KA0</sub>(1-U<sub>A1</sub>)>F<sub>KB0</sub>], საგადასახადო შოკს ამ შემთხვევაში არ ექნება გავლენა კაპიტალის განლაგებაზე. აქედან გამომდინარეობს, რომ ბიზნესის კონცენტრაციის მოგების არსებობა A ქვეყანაში ნიშნავს, რომ A ქვეყანას შეუძლია დააწესოს შედარებით მაღალი გადასახადი მოგებაზე, რასაც არ ექნება გავლენა კაპიტალის ხელახლა გადანაწილებაზე.

<sup>52</sup> თუ ინვერცია საწყის ეტაპზე თანაბრად განაწილებდა A და B-ში, შემთხვევით ან განმეორებით, რაც იწვევს კაპიტალის ნაწილის გაადაადგილებას A-სი,(0ან ბში) ასევე უბიძგებს აგლომერაციის ძალებს გაძლიერებისაკენ, რაც საბოლოო მთელ კაპიტალის წაიყვანს A-ში(B-ში).

სიტუაცია იქნება მნიშვნელოვნად განსხვავებული, თუ ქვეყანა გაზრდის განაკვეთს ( $U_{A2} >> U_{B0}$ ) ამ განაკვეთით ბიზნესის კონცენტრაციის ეკონომია A ქვეყანაში განლაგებით არის მეტი, ვიდრე საგადასახადო წესი, რაც იწვევს კაპიტალის გადატანას A-დან B-ში. იმაზე დამოკიდებულებით, თუ რა დაშვებას გავაკეთებთ ბიზნესის დისპერსიისა და კონცენტრაციის ძალების შეფარდებით სიძლიერის შესახებ, რაც უკავშირდება სანაცვლოდ ვაჭრობის დანახარჯებს, კაპიტალის გადაადგილება შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი (გამონაკლისი შემთხვევა შეიძლება იყოს, როცა მთელი კაპიტალი B-ში გადაადგილდება CP წონასწორობით.), შემცირებული საგადასახადო ბაზით A ქვეყანაში ნიშნავს A ქვეყანაში შემცირებულ საგადასახადო შემოსავლებს, ნაცვლად გაზრდილი მოგების გადასახადის განაკვეთისა (ლაფერის მრუდის შედეგი).

მთავარი დასკვნა, რაც გამომდინარეობს ამ მოდელებიდან არის შემდეგი: ბიზნესის კონცენტრაციის ეკონომია გულისხმობს, რომ პოლიტიკის ეფექტი არის არაწრფივი. (როგორც წინა მაგალითში, სადაც პირველ საგადასახადო რეფორმას მეორესგან განსხვავებით არ ჰქონდა მნიშვნელოვანი შედეგი) – ე. ი. კაპიტალის უკუგების ნორმებს შორის ცვლილებებს შეიძლება განსაზღვრულ პირობებში ჰქონდეს მინიმალური ეფექტი წარმოების განლაგებაზე, მაშინ როცა შემდგომმა ცვლილებებმა შეიძლება მოიტანოს დრამატული ცვლილებები. შემდეგი დასკვნა არის აგრეთვე ის, რომ წარსულმა გამოცდილებამ შეიძლება ვერ შემოგვთავაზოს სწორი დასკვნები იგივე რეფორმის შედეგების შესახებ ახლანდელ პირობებში. ასევე დაშვება წრფივი კავშირის არსებობის შესახებ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და გადასახადებს შორის იყოს პრობლემატური. (ე. ი. მოდელის არასწორი სპეციფიკაცია).

ნახსენ მიდგომაზე დაყრდნობით მკვლევარები შეეცადნენ გაერკვიათ თუ რა როლი ქონდა საგადასახადო საკითხებს უცხოელ ინვესტორთათვის ინვესტირების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. საკითხის ამგვარი დასმა შედიოდა ასევე საზოგადოებისა და ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლების ინტერესებში. შემოღებულ ფართო საგადასახადო შედავათებს მოჰქონდა საბიუჯეტო დანაკარგები, პოლიტიკის გამტარებელები ცდილობდნენ ქონდათ დასაბუთებული პასუხი იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო საგადასახადო ფაქტორები სხვა საინვესტიციო ფაქტორებთან შედარებით, როდესაც ინვესტორები იღებდნენ გადაწყვეტილებას ამა

თუ იმ ქვეყანაში ინვესტირების შესახებ. დასავლეთში გამოქვეყნებულ კვლევებში ძირითადად გამოიყენებოდა კვლევის ორი მეთოდოლოგია: ა) უცხოელ ინვესტორთა შერჩევითი გამოკითხვა ბ) დროითი მწკრივების ეპონომეტრიკული ანალიზი. თავდაპირველად გამოქვეყნებული კვლევები ძირითადად იყენებდნენ აგრეგირებულ მონაცემებს უცხოური ინვესტიციების შესახებ, რაც თავის მხრივ იწვევდა იმას, რომ ამ პერიოდის კვლევებში ნაკლებად იყო ასახული უცხოური ინვესტირების დარგობრივი ასპექტები.<sup>53</sup> ასევე ამ კვლევებში მათი ზოგადი ხასიათიდან გამომდინარე პრობლემას წარმოადგენდა ქვეყნებისა და რეგიონების თავისებურებების გათვალისწინება.

ერთ-ერთი პირველი კვლევა გამოქვეყნეს ბარლოუმ და ვენდერმა<sup>54</sup> 1955 წელს. მკვლევარებმა გამოკითხეს 247 ამერიკული კომპანია, რომლებიც ახორციელებდნენ ინვესტირებას საზღვარგარეთ. ერთ-ერთი კითხვა შეეხებოდა ინვესტიციის სამიზნე ქვეყანაში იმ აუცილებელი ფაქტორების ჩამოთვლას, რომელთა არსებობა ინვესტორთათვის წარმოადგენდა წინაპირობას ამა თუ იმ ქვეყანაში ინვესტიციის განხორციელებისათვის. გამოკითხულ ინვესტორთაგან მხოლოდ 10 %-მა განაცხადა, რომ ხელშემყობი საგადასახადო შედაგათები წარმოადგენდა მნიშვნელოვან პირობას ამა თუ იმ ქვეყანაში ინვესტიციების განხორციელებისათვის. გამოკითხულ რესპონდენტთა 11 %-მა მნიშვნელოვან ფაქტორად აღნიშნა რეციპიენტი ქვეყნის მთავრობის ხელშეწყობა კომპანიებისათვის. ნახსენები ფაქტორები დასახელებულ იქნა მეოთხე ადგილზე ისეთი ფაქტორების შემდეგ, როგორიცაა: გალუტის კონვერტირებადობა, უქსპოროპრიაციის არარსებობის გარანტიები და რეციპიენტი ქვეყნის პოლიტიკური სტაბილურობა.

აარონის კვლევაში<sup>55</sup>(Aharoni, 1966) შესწავლილ იქნა აშშ-ს საფეიქრო წარმოების დარგის ფირმების გადაწყვეტილების მიღების პროცესი საზღვარგარეთ ინვესტირებისას. კვლევის შედეგების მიხედვით ინვესტორთათვის გადამწყვეტი

<sup>53</sup> How Tax Policy and Incentives Affect Foreign Direct Investment, A Review. Jacques Morisset and Neda Pirnia, Foreign Investment Advisory Service (FIAS), The World Bank. 2000. p. 8

<sup>54</sup> Barlow E. and I. Wender, "Foreign Investment and Taxation", Englewood Cliffs: Prentice Hall, 1955

<sup>55</sup> Aharoni Y., "The Foreign Investment Decision Process", Harvard Business School, Boston, 1966

მნიშვნელობის არ იყო ინვესტიციის რეციპიენტი მთავრობის მიერ დაწესებული განსაკუთრებული შედავათები. საშემოსავლო და მოგების გადასახადების მიხედვით შედავათების დაწესება მიჩნეულ იქნა, როგორც ნაკლები მნიშვნელობის მქონე სტიმულის მომცემი ფაქტორი უცხოელ ინვესტორთათვის.

კვლევითი კომპანია “The Group of Thirty”-ის მიერ 1984 წელს გამოქვეყნებული კვლევის მიხედვით განსაზღვრულ იქნა 19 ძირითადი საინვესტიციო ფაქტორი, რომლებზედაც დაყრდნობითაც ინვესტორები იღებდნენ გადაწყვეტილებას ამა თუ იმ ქვეყანაში ინვესტირების შესახებ. კვლევის ფარგლებში გამოკითხულ იქნა 52 მულტინაციონალური კომპანია. ინვესტიციის რეციპიენტი მთავრობის მიერ შეთავაზებული შედავათები ძირითად 19 ფაქტორს შორის მოთავსებულ იქნა მე-7 ადგილზე. აღნიშნული შედეგი განსხვავებული აღმოჩნდა განვითარებული და განვითარებადი ქვეყნებისათვის: ნახსენები ფაქტორი მნიშვნელობის მიხედვით მე-7 ადგილზე აღმოჩნდა განვითარებადი ქვეყნებისათვის, ხოლო განვითარებული ქვეყნებისათვის იგივე ფაქტორი ინვესტორბმა მე-8 ადგილზე მოათავსეს. მომდევნო წლებში ასევე გამოქვეყნებულ იქნა სხვა კვლევები, რომლებშიც გამოყენებულ იქნა უფრო დაწვრილებითი კითხვარი და გათვალისწინებულ იქნა ინვესტირების დარგობრივი თავისებურებები.<sup>56</sup> ზოგადად აღნიშნულმა კვლევებმა დაადასტურა ცალკეული მეცნიერების მიერ მიღებული შედეგები. კერძოდ, თუ საგადასახადო პოლიტიკის ფაქტორებს ქონდა მნიშვნელობა უცხოეული ინვესტორებისათვის, ეს უკანასკნელი არ იყო ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი სხვა საინვესტიციო ფაქტორებთან შედარებით.

ჩამოთვლილი კვლევები ძირითადად სოციოლოგიური კვლევის მეთოდებს იყენებდნენ. ამ პრაქტიკული კვლევების გვერდით გამოქვეყნდა კვლევები, რომელთაც მოახდინეს პრაქტიკული კვლევების შედეგების განზოგადება და თეორიულ დონეზე აყვანა. მათგან აღსანიშნავია დანინგის კვლევა<sup>57</sup>, რომელშიც განხილულია უცხოური ინვესტიციების სხვადასხვა ტიპები, მათი მოტივაციისა და მიზნებიდან გამომდინარე მაგრამ ამ კვლევაში ნაკლებადაა განხილული უშუალოდ საგადასახადო საკითხები.

<sup>56</sup> იხ. მაგ. JETRO (1995), Ernst & Young(1994), Fortune/Deloitte & Touche(1997), OECD 2008.

<sup>57</sup> Dunning, J. H. International Production and the multinational Enterprise, Allen and Unwin, London 1981

მოგვიანებით, დაგროვილი მონაცემების ანალიზის საფუძველზე გამოქვეყნდა კვლევები, რომლებიც რაოდენობრივი ანალიზის ხასიათს ატარებდა და საშუალებას იძლეოდა საგადასახადო ფაქტორებისა და ინვესტირების მოცულობას შორის კავშირი რაოდენობრივი მეთოდებით შეფასებულიყო.

აღნიშნული კვლევების საფუძველზე შემუშავდა ზოგადი მოდელები საგადასახადო პოლიტიკისა და ინვესტიციების ურთიერთკავშირის შესახებ, თუმცა ეს მოდელები ნაკლებად ითვალისწინებენ ე.წ. პოსტსაბჭოთა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების თავისებურებებს. შედარებით ფართო გამოყენებისაა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის საგადასახადო პოლიტიკის მოდელი უცხოური ინვესტიციებისათვის.

დასავლეთში შემუშავებული მოდელების ბაზაზე პოსტსაბჭოთა ქვეყნებში გამოქვეყნდა ცალკეული შრომები, რომლებშიც შესწავლილია გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების შემთხვევა, მაგრამ თავად პოსტსაბჭოთა ქვეყნების საგადასახადო პოლიტიკის თავისებურებები ამგვარი კვლევების სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებზე პირდაპირი განვრცობის ნაკლებ საშუალებას იძლევა და კონკრეტული ქვეყნის საგადასახადო პოლიტიკის თავისებურებების გათვალისწინებას მოითხოვს.

ქართველ მეცნიერთა შრომებში კონცეპტუალიზებულია ის ძირითადი მიღებობები, რაც უნდა არსებობდეს უცხოური ინვესტიციების მისამართით გატარებულ ეკონომიკურ პოლიტიკაში. მ. აბდალაძის ნაშრომში<sup>58</sup> შესწავლილია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი საქართველოს ეკონომიკაში (2005 წლისათვის არსებული მდგომარეობის შეფასება წინა ათწლიანი რეტროსპექტივით). ავტორის მიხედვით ამ წლებში საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტირების მოცულობის სიმცირე განპირობებული იყო ეფექტური საინვესტიციო გარემოს არქონით. ავტორი განსაკუთრებულ ურადღებას საკანონმდებლო რეგულაციების არასრულყოფილებაზე და მათ პრაქტიკაში ამოქმედების სირთულეებზე ამახვილებს. მოგვიანებით გამოქვეყნებულ შრომაში „საგადასახადო შედავათები უცხოური ინვესტიციებისათვის“ ავტორი გამოყოფს

<sup>58</sup> მ. აბდალაძე. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერა და განვითარებადი ქვეყნების გამოცდილება, უერნალი, საერთაშორისო ბიზნესი (საუნივერსიტატშორისო სამეცნიერო უურნალი). ტ. III, N1, ობილისი. 2004, გვ. 5-18;

უცხოურ ინვესტიციათა შემოდინების ზრდის ორ მთავარ ფაქტორს: საკანონმდებლო ბაზასა და საგადასახადო პოლიტიკას. ამ შრომაში ნახსენები ორი ფაქტორი ინვესტირების მნიშვნელოვან ფაქტორადაა მიჩნეული და ასევე თეორიულად განხილულია ეფექტური საგადასახადო პოლიტიკის მიღების საქართველოს ეკონომიკის თავისებურებებიდან გამომდინარე. აგტორის მოსაზრების მიხედვით,<sup>59</sup> საინვესტიციო სტიმულების, მათ შორის საგადასახადო სტიმულების, მნიშვნელობა იზრდება გლობალიზაციისა და ფირმების საერთაშორისო მობილურობის ფონზე. ბოლო პერიოდის კვლევები კი გვარწმუნებენ, რომ საინვესტიციო სტიმულების წონა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადების განსაზღვრაში იზრდება.

6. ასლამაზიშვილის<sup>60</sup> შრომაში გაანალიზებულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტრუქტურა და დინამიკა საქართველოში. ასევე ამავე ნაშრომში გაანალიზებულია იმ უცხოურ ინვესტორთა ძირითადი მოტივაციები, რომლებიც ინვესტირებას ამ პერიოდისათვის საქართველოში ახდენდნენ. ამ შრომის კვლევითი პერიოდი 1993-2004 წლებს მოიცავს. ასევე გაკეთებულია საერთაშორისო შედარებები უცხოურ ინვესტიციათა მშპ-ში წილობრივ მონაცემებზე დაყრდნობით. შრომა საინტერესოა თეორიული მსჯელობისა და რაოდენობრივი ანალიზის კომბინირების კუთხით. მასზე დაყრდნობით შესაძლებელია შეფასდეს ამ პერიოდის საინვესტიციო საქმიანობის დინამიკისა და თავისებურებების შესწავლა მაკროეკონომიკურ ჭრილში.

ანდრეუ ბანიაკისა და სხვა ავტორების<sup>61</sup> 2002 წლის შრომაში განხილულია მოდელი, რომელიც განიხილავს ეკონომიკური და სამართლებრივი გარემოს სტაბილურობის გავლენას პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათა შემოდინების მოცულობასა და სახეებზე. შრომაში შესწავლილია საქართველოსა და ყირგიზეთის მაგალითები. შრომაში წარმოდგენილია მოდელი რომელიც ხსნის კავშირს მაკროეკონომიკურ და ბიზნესის სამართლებრივი რეგულირების სტაბილურობასა და

<sup>59</sup> იქვე, გვ. 31

<sup>60</sup> ასლამაზიშვილი 6. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტრუქტურა და დინამიკა საქართველოში. საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები, კვარტალური მიმოხილვა, GEPLAC, თბილისი, დეკემბერი, 2005 № 3 გვ. 59-64

<sup>61</sup> ON DETERMINANTS OF FOREIGN DIRECT INVESTMENT IN TRANSITION ECONOMIES, Andrzej Baniak et.al.

უცხოურ ინვესტიციათა მოცულობას შორის. ავტორთა მიხედვით სწორედ ეს ორი ფაქტორი თამაშობს მნიშვნელოვან როლს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათა შემოდინებაზე გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში.

ვ. გურსოის ნაშრომში<sup>62</sup> გამოყენებულია უცხოელ ინვესტორთა გამოკითხვის მეთოდი მნიშვნელოვანი საინვესტიციო ფაქტორების გამოსავლენად საქართველოში. მკვლევარის მიერ გამოკითხულ იქნა 64 კომპანია, რომელთან 52 წარმოადგენდა უცხოური ინვესტიციით შექმნილ საწარმოს. კვლევაში შესწავლილია საქართველოში უცხოურ ინვესტიციათა შემოდინების ძირითადი ფაქტორების ანალიზი. ამ შრომაში ინვესტორების ყველა ძირითადი ფაქტორებია შესწავლილია ზოგადად. რადგან ამ პერიოდისათვის აღნიშნული კვლევა სიახლეს წარმოადგენდა და არ არსებობდა სხვა ამ სახის საბაზისო კვლევა, აგტორი ცალკეული საინვესტიციო ფაქტორის (მაგ. საგადასახადო ფაქტორების) დაწვრილებით ანალიზს არ ახდენს. აგტორი ინვესტორთა კითხვარში არ ახდენს რომელიმე ფაქტორისადმი ჩაღრმავებას. კვლევა მოიცავს 2006 წლის პერიოდს. კვლევის შედეგების მიხედვით, საინვესტიციო კლიმატის ძირითად გამოწვევას მოცემული პერიოდისათვის მიჩნეულია კვალიფიციური შრომითი რესურსები, კრიმინალის დონე და გაურკვევლობის ხარისხის ეკონომიკის რეგულირების მეთოდებში. შაგადსახადო ადმინისტრირებისა და საგადასახადო განაკვეთების ფატორები იყავებენ შუალდეურ მნიშვნელობას, კერძოდ შეფასების საერთო 4 ბალიანი შეფასების შკალიდან (0 = პრობლების არარსებობა ან ნულოვანი მნიშვნელობა; 4 = მნიშვნელოვანი პრობლემა) შუალდეური პოზიცია დაიკავეს. შესაბამისი 1,35 და 1,32 წონითი ერთეულებით. აგტორის დასკვნის მიხედვით, კვლევის პერიოდისათვის, საქართველოში არსებული საინვესტიციო სტიმულები კიდევ უფრო გაფართოებას საჭიროებს. ამგვარ სტიმულებს შორის საგადასახადო სტიმულები ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვან ინსტრუმენტადაა ჩათვლილი.

თ. ქბილცეცხლაშვილის ნაშრომში რეგრესიული ანალიზის გამოყენებით შესწავლილია საქართველოში პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათა შემოდინების ძირითადი ფაქტორები, 2003 წლიდან კვლევის პერიოდამდე (2009 წლამდე). ავტორის მიხედვით ინვესტიციათა მოზიდვისათვის აუცილებელ ფაქტორად მიჩნეულია

<sup>62</sup> Gürsoy F, Kursun O. Investment Climate of Georgia, IBSU Scientific Journal, 2 (1), 2008

სპეციალური მათ შორის საგადასახადო შედავათების არსებობა, ასევე თავისუფალი ინდუსტრიული ზონების არსებობა. ამ კვლევაში საგადასახადო ფაქტორები (საგადასახადო პოლიტიკა მთლიანობაში) ინვესტირების მნიშვნელოვან ფაქტორად არის მიჩნეული.

ქართველ მეცნიერთა მიერ ჩატარებული და უკვე ნახსენები კვლევები საგადასახადო ფაქტორებისა და საგადასახადო პოლიტიკის ანალიზისას ეყრდნობიან საქართველოს საგადასახადო კოდექს და მასში ასახულ ეკონომიკურ პოლიტიკას. მაგრამ გარდა საგადასახადო კოდექსისა საქართველოს შემთხვევაში გადატარებული ეკონომიკური პოლიტიკის ასევე მნიშვნელოვანი წყაროა საერთაშორისო საგადასახადო შეთანხმებები-„შეთანხმებები ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ“. ამ კუთხით გამოქვეყნდა რამდენიმე კვლევა, რომლებიც მირითადად მიმოხილვით და კვლევითი ჰიპოთეზების განვითარების ხასიათს ატარებს.<sup>63</sup>

საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევები<sup>64</sup> შედარებით ზოგად მაკროეკონომიკურ ხასიათს ატარებს, მათივე მიზნებიდან გამომდინარე. ერთ-ერთი ბოლო კვლევა, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარდა არის „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობის პოლიტიკის ანალიზი საქართველოში.“<sup>65</sup> ამ კვლევაში წარმოდგენილია სახელმწიფოს მიერ საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობის ეფექტიანობის ანალიზი. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე ინვესტიციათა ხელშეწყობის ინსტუტიციური მექანიზმის ქონა ინვესტიციათა ზრდის მნიშვნელოვან ფაქტორად არის მიჩნეული. მთავარი ყურადღება გამახვილებულია ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს საქმიანობის ეფექტიანობის ანალიზზე.

როგორც უკვე არსებული კვლევების მიმოხილვამ გვაჩვენა საგადასახადო პოლიტიკისა და ინვესტიციათა მოცულობას შორის კავშირი საქართველოში ჯერ კიდევ შეუსწავლელია. კვლევის ეს საკითხი მხოლოდ ცალკეული კვლევების

<sup>63</sup> იხ. მაგალითად: ზ. ვაშაკიძე, ლ. ჩხილაძე, ვ. გიორგაძე საინვესტიციო პოლიტიკა და ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო კონვენცია, თბილისი, 2005 წ;

<sup>64</sup> USAID, Business climate reform, Attracting Foreign Direct Investment. Tbilisi, May 2006; 27. USAID, Assessment of Investment Promotion Capacity in Georgia Recommendations for EPI Support, April 06, Tbilisi 2011

<sup>65</sup> USAID, Assessment of Investment Promotion Capacity in Georgia Recommendations for EPI Support, April 06, Tbilisi 2011

შემთხვევაშია აგრეგირებულად შესწავლილი სხვა ფაქტორებთან ერთად. როგორც დასავლეთში გამოქვეყნებული კვლევების ანალიზმა აჩვენა ამ საკითხის კვლევების მიმართულება სწორედ ზოგადიდან კონკრეტულ კვლევების საკითხიდან გადასვლის გზით მოხდა. ამდენად, წარმოდგენილი კვევითი ნაშრომი შეეცდება შეაჯამოს აქამდე საქართველოში ჩატარებულ კვლევები და მოგვცეს საგადასახადო პოლიტიკასა და ინვესტიციათა მოცულობას შორის კავშირის ემპირიული ანალიზი.

## თავი II. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში

### 2.1 ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის პოლიტიკის მოდელი უცხოური ინვესტიციებისათვის

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (2005<sup>66</sup>)<sup>66</sup> საგადასახადო პოლიტიკის მოდელი ინვესტიციებისათვის მოიცავს პოლიტიკის რამოდენიმე მიმართულებას. ეს მოდელი განკუთვნილია განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკების მქონე ქვეყნებისათვის-ეფექტური პოლიტიკის შემუშავებისა და ინსტიტუტების როლის განსაზღვრისათვის ინვესტირების პროცესებში.

მოდელი ეყრდნობა ფაქტორებს, რაც გამოვლენილ იქნა ინვესტორების გამოკითხვების შედეგად. იგი ძირითადად გამიზნულია განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებისათვის, თუმცა მისი ზოგიერთი დებულება შეიძლება უფრო ფართო გამოყენების იყოს.<sup>67</sup>

ჩვეულებრივ, საგადასახადო სფეროში გატარებული პოლიტიკის მთავარი მიზანია ინვესტიციების წახალისება, როგორც უცხოურის ასევე, ადგილობრივის. ალბათ, ყველაზე მეტად ცხადია, ის რომ მაღალი საგადასახადო ტვირთი არის უარყოფითი ფაქტორი ქვეყანაში ინვესტირებისათვის, მაგრამ მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა: 1. თუ რა პირობებში და რა გზებითაა შესაძლებელი მაღალმა საგადასახადო განკვეთებმა (დასაბუთებულმა) არ იქნიოს უარყოფითი გავლენა ინვესტიციებზე; 2. რა შემთხვევაში ახდენს დაბალი განაკვეთები მასტიმულირებელ ზეგავლენას უცხოურ ინვესტიციებზე. იმ ფატორებზე დაყრდნობით, რომლებიც განაპირობებენ უცხოურ ინვესტიციათა შემოდინებას

<sup>66</sup> ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია-OECD; TAX Effects on Foreign Direct Investment" Recent Evidence and Policy Analysis. #17, OECD 2007 pp 28-34

<sup>67</sup> ზოგადად, სრული ანალიზისათვის საჭიროა არამარტო პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და გადასახადების ურთიერთგავლენის შეფასება, არამედ ზოგადი წონასწორობის ანალიზი, რაც მიღებულ უნდა იქნას ნაწილობრივი (დარგობრივი) წონასწორობის ანალიზიდან. ქვემოთ განხილული მოდელები ითვალისწინებს მხოლოდ გადასახადებსა და პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს შორის დამყარებულ ნაწილობრივი წონასწორობის ანალიზს.

ქვეყანაში, შეიძლება განისაზღვროს ოპტიმალური პოლიტიკა, რაც შექმნის უცხოურ ინვესტიციათა ზრდისათვის ხელსაყრელ გარემოს.

### **1.ბაზრის პირობებისა და ინფრასტრუქტურის, ბიზნეს გარემოს შეფასება**

საგადასახადო პოლიტიკის შემუშავებას წინ უნდა უძღვდეს ქვეყნის მიერ ინვესტორთათვის შეთავაზებული რისკი/უპუგების შესაძლებლობათა ანალიზისაბაზრო ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით. საბაზრო შესაძლებლობებისა და მდებარეობის ფაქტორებით განპირობებული შესაძლო მოგება თავდაპირველ ეტაპზე განხილულ უნდა იქნეს საგადასახადო საკითხებისაგან დამოუკიდებლად. შემდეგ ეტაპზე უნდა მოხდეს საგადასახადო კანონმდებლობის ეფექტიანობის შეფასება; აქ მნიშვნელოვანია გადასახადის დეკლარირების ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია საგადასახადო სისტემის გამჭვირვალობასთან, სისრულესა და სტაბილურობასთან.

#### **ა) ბიზნეს სტრუქტურის პირობები:**

- პოტენციური ინვესტორებისათვის მნიშვნელოვანია დანახარჯები და არადივერსიფიცირებადი რისკები, რაც დაკავშირებულია კაპიტალისა და მოგების ხელმისაწვდომობასთან. მაკროეკონომიკური პირობების ცვლებადობასა და რეგულირების პრაქტიკასთან:
- რამდენად სტაბილურია პოლიტიკური სისტემა? რამდენად მდგრადი და ხელმისაწვდომია საკუთრების დაცვის კანონიერი სისტემა-უცხოური ინვესტორის შემთხვევაში კაპიტალისა და მოგების გატანა? არსებობს თუ არა კაპიტალის კონტროლი?
- რამდენად სტაბილურია მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა და რა ოდენობის სამთავრობო ვალია დაგროვილი? რა არის სამომავლო პროგნოზები ინფლაციის, განაკვეთების და გაცვლითი კურსების შესახებ?
- რომელ სფეროებშია სამთავრობო ადმინისტრირება სუსტი და არსებობს კორუფციის პრობლემა?

#### **ბ) ბაზრის მახასიათებლები**

ინვესტორისათვის მნიშვნელოვანია გამოშვებისა და ფაქტორთა მოთხოვნა-  
მიწოდების საკითხები:

- როგორია შიდა ბაზრის სიდიდე? რამდენად დიდია სამომხმარებლო  
ბაზარი (საოჯახო მეურნეობების ოდენობა, ერთ სულზე შემოსავლების  
ოდენობა, რა ზომისა და სიდიდისაა მწარმოებლების ბაზარი (ფირმათა  
ოდენობა, აქტივების კაპიტალიზაცია, კაპიტალის აღეკვატურობის  
მოთხოვნები), რა ზომისაა და არის თუ არა ხელმისაწვდომი სხვა  
მეზობელი ქვეყნების ბაზრები?
- რა ხარისხის შრომითი რესურსებია ინვესტიციების მიმდებ ქვეყანაში  
ხელმისაწვდომი; დასაქმების უზრუნველყოფის რა ფორმები (მაგ; სოც.  
დაზღვევა) გამოიყენება მთავრობის მიერ? რა ენერგიის წყაროები და  
სანედლეულო მასალა მოიპოვება ქვეყანაში, არის თუ არა შრომის  
ხელფასის (ხელფას პლიუს სოციალური დაზღვევის ფონდში შენატანები)  
ენერგიის დანახარჯები, ნედლეულის ხარჯები მაღალი/დაბალი სხვებთან  
შედარებით?
- როგორია ინვესტიციების მიმდები ქვეყნების ინფრასტრუქტურა-  
სატრანსპორტო მომსახურება(აეროპორტები, საზღვაო პორტები,  
სარკინიგზო, ტრანსპორტი, გზები  
ტელეკომუნიკაციები(ტელეფონი/ფაქსი/ინტერნეტმომსახურება),  
ბიზნესისათვის სხვა მნიშვნელოვანი მომსახურება არის მაღალი ან  
დაბალი კერძო დანახარჯები ინფრასტრუქტურის გამოყენებაზე სხვებთან  
შედარებით, კონკურენტულ ტერიტორიებთან შედარებით?

### გ) მდგბარეობასთან დაკავშირებული ფაქტორები

რისკი უკუგების შეფასებისას ინვესტორი მასპინძელ ქვეყანაში ჩვეულებრივ  
აფასებს ბიზნეს გარემოს, ბაზრის მახასიათებლებს (ქვეყნის ან რეგიონის).  
ქვეყნისშიგნით განხორცილებულ ინვესტიციებზე საგადასახადო ტვირთის  
დაკისრებისას უნდა შეფასდეს ის თუ რამდენად მიმზიდველია ქვეყნის  
საინვესტიციო გარემო რისკი/უკუგების შესაძლებლობების კუთხით; ბიზნეს  
გარემოს მხედველობაში მიღებით (მაგ პოლიტიკური, მონეტარული, ფინანსური  
სტაბილურობა; კანონის უზენაესობა; სახელმწიფო მმართველობა); ბაზრის  
მახასიათებლები (ბაზრის ზომა, შესაძლო შრომის დანახარჯები, ენერგიის

წყაროები, ინფრასტრუქტურის მდგომარეობა და მდებარეობასთან დაკაშირებული პოტენციური მოგება.

მდებარეობის არჩევისას მთავარი საკითხია თუ რა თანაფარდობაა განლაგებასთან დაკაშირებულ მოგებასა და რისკს შორის; ცალკეული ინვესტიცია შეიძლება იყოს განლაგებასთან დაკაშირებული (ე.ი საჭიროებდეს წარმოების ფიზიკურ არსებობას ამა თუ იმ ადგილზე). ადგილმდებარეობასთან დაკაშირებული მოგება, ხელმისაწვდომ ფაქტორთა დანახარჯები (მაგ. შრომა, მასალები, ენერგია) და სხვა. არის თუ არა გამოშვებისათვის ხარჯები უფრო მაღალი სხვა განლაგებისთვის? პრივატიზაციის შემთხვევაში მოგება დაკაშირებულია როგოროც დროსთან ასევე ადგილმდებარობასთან. მაგალითი ამ შემთხვევისათვის შეიძლება იყოს ბუნებრივი რესურსების მოპოვება, სარესტორნე, სასტუმროების ბიზნესი. ასეთ შემთხვევებში, თუ პროგნოზირებული, რისკთან შეწონილი მოგება აკმაყოფილებს აუცილებელ „ზღვრულ უკუგებას”, რაც ინვესტიციისაგან არის მოსალოდნელი, ინვესტორი მიიღებს გადაწყვეტილებას ინვესტიციის განხორცილების შესახებ.

იქ, სადაც მოგების დონე დამოკიდებულია ამა თუ იმ ქვეყნის პირობებზე, მაშინ გადასახადის ფაქტორი ასეთი შემთხვევებისათვის არ არის რელევანტური. ძირითადად, საგადასახადო ტვირთი მდებარეობასთან დაკაშირებულ მოგებასთან შეიძლება გაიზარდოს იმ ზღვრამდე, რაც ინვესტიციას არამომგებიანს გახდის. ასე, რომ იქ სადაც ეკონომიკა ინვესტორს სთავაზობს ამ ქვეყნასთან სპეციალურად დაკაშირებულ მოგებას, საგადასახადო ტვირთი შეიძლება გაიზარდოს, რათა არ მოხდეს საბიუჯეტო შემოსავლების დაკარგება. წევულებრივ, განაპვეთები უნდა შემცირდეს კონკურენტი ქვეყნების განაკვეთების გათვალისწინებით- ელასტიური მიწოდების ინვესტიციების მოზიდვისათვის. გარკვეულ საგადასახადო შემოსავლებზე უარის თქმით, რომელსაც არა აქვს გავლენა არაელასტიურ საინვესტიციო მოთხოვნაზე.

საპირისპიროდ არის მაგალითები, როცა ფაქტორთა გამოყენების ხარჯები თითქმის იგივეა გეოგრაფიულად გასხვავებულ ტერიტორიებზე განლაგებულ ქვეყნებში- ე.ი. მოგება არ არის დაკაშირებული მდებარეობასთან. მაგალითი: ფინანსური მომსახურება და ცალკეული სათავო ოფისის ფუნქციები. ამგვარი ინვესტიციების მოზიდვა, რომლებიც არ არიან კაპიტალ-ინტენსიურნი, მოითხოვს

წინასწარ შეფასებებს, ინფრასტრუქტურის დამაკმაყოფილებელ პირობებს; მაგრამ აგრეთვე ადგილობრივი ბაზრების მახასიათებლებიც მნიშვნელოვანია. სხვა მაგალითებია—კომპიუტერული ჩიპების წარმოება, სადაც წარმოების ხარჯები შეიძლება იყოს მაღალი, ალტერნატიული ქვეყნის შემთხვევაში და გლობალურ ბაზრებზე პროდუქციის განთავსებას აქვს ნაკლები დანახარჯები. ასეთ შემთხვევებში კანდიდატი მასპინძელი ქვეყნები ვერ შეძლებენ დააწესონ მაღალი საგადასახადო ტვირთი, როდესაც სხვა კონკურენტ ქვეყნებს აქვთ დაბალგანაკვეთებიანი გარემო.

ამ უკიდურეს მაგალითებს შორის არის ინვესტიციები, სადაც მოგება არის მდებარეობასთან დაკავშირებული, მაგრამ არა ერთ ქვეყანასთან მიმართებაში (მაგ: სასურველი უკუგების ნორმა შეიძლებას გამომუშავდეს რამდენიმე მეზობელ ტერიტორიებზე და ვაჭრობის დანახარჯები ასეთ შემთხვევაში არის მნიშვნელოვანი). მდებარეობა, რომელიც სთავაზობს შედარებით მიმზიდველ მასპინძელი ქვეყნის უპირატესობებს— დაბალი წარმოებისა და განთავსების დანახარჯების კუთხით, ან მოგებაზე გადასახადებით—განიხილება როგორც უფრო წარმატებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის. შედარებით დაბალი წარმოების ხარჯები შეიძლება განპირობებულ იყოს კვალიფიციური სამუშაო ძალის ფართო ხელმისაწვდომობით, ხოლო შედარებით დაბალი პროდუქციის ბაზარზე განთავსების დანახარჯები— დიდი საშინაო ბაზრებით, კარგად განვითარებული ინფრასტრუქტურით. როდესაც შეფარდებითი უპირატესობები არის მნიშვნელოვანი, ისინი ჩვეულებრივ განაპირობებენ მდებარეპობასთან დაკავშირებული მოგების წარმოქმნას, რომელიც შეიძლება დაიბეგროს ინვესტიციებზე უარყოფითი ზიანის მოტანის გარეშე.

როგორც აღინიშნა ამ მოდელში მასპინძელი ქვეყნის მიმზიდველობა ინვესტირების მხრივ დამოკიდებულია რეციპიენტი ქვეყნის გარემოზე და ბაზრის მახასიათებლებზე, რომელიც დამოკიდებულია ახლანდელ და წარსულ საზოგადოებრივ დანახარჯებზე ისეთი მიმართულებით, როგორიცაა განათლება, ინფრასტრუქტურის განვითარება. ეს კავშირი განაპირობებს განსაკუთრებით, განვითარებადი ქვეყნებისათვის გადასახადების აკრეფას ეკონომიკური რენტის სახით, რათა დაფინანსებულ იქნეს საზოგადოებრივი დანახარჯები, რაც საბოლოოდ გააძლიერებს რეციპიენტი ქვეყნების ფუნდამენტებს მიიზდოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები.

ეს ზოგადი მიღგომები სასარგებლოა ქვეყნის მიერ ოპტიმალური საგადასახადო პოლიტიკის შემუშავებისას. მაგრამ მარტივი პროგნოზირების დროს პასუხაუცემელი რჩება კითხვებით როგორი გავლენა აქვს ბაზრის სხვადასხვა პირობებს მოგებაზე, როგორ შეფასდეს ეს გავლენა? როდესაც ინვესტიციების ერთი გალაგებისას არის უფრო ხელსაყრელი პირობები ვიდრე მეორეგან, როგორ მოხდეს შესაფერი საგადასახადო ტვირთით ამ განსხვავების კომპენსირება? თუ ქვეყანა დაბლა დასწევს საგადასახადო განკვეთებს, რა ოდენობით კაპიტალის გადადგილებას უნდა ველოდოთ, რა განაკვეთებით და რა ოდენობით და რომელ სექტორებში? აგრეთვე მნიშვნელოვანი საკითხია, როდესაც მრავალეროვნული საწარმოები იყენებენ საგადასახადო თავშესაფარს, ფინანსურ/პოლიტიკურ კომპანიებს, რაც აბათილებს წყარო ქვეყნის გადასახდების გავლენას გამავალ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე. ასე, რომ მხოლოდ რეციპიენტი ქვეყნების დაბეგვრას აქვს გავლენა. განსაკუთრებით, თუ დონორ ქვეყანაში ფუნქციონირებს დივიდენდის გათავისუფლება, ან დივიდენდის ჩათვლის სისტემა.

## 2. საგადასახადო ტვირთის შეფასება

პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებული საგადასახადო პოლიტიკის შემუშავებისას საჭიროა შეფასდეს საგადასახადო ტვირთის გავლენა მოგებაზე რაოდენობრივი მეთოდების და ხარისხობრივი ინფორმაციის გამოყენებით. ასევე მნიშვნელოვანია: საგადასახადო კანონმდებლობა და ბიზნესის საგადასახადო დაგეგმვის თავისებურებები (მაგ: თხელი კაპიტალიზაცია, არამართებულად შეფასებული ტრანფერების ფასები), რათა შეამცირონ რეციპიენტი ქვეყნის საგადასახადო ტვირთი; ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნეს: საგადასახადო სისტემის სისრულე, გამჭირვალობა და პროგნოზირებადობა.

### ა) ეფექტური საგადასახადო ტვირთი კანონმდებლობის მიხედვით

რაოდენობრივი კუთხით გადასახადების გავლენა ინვესტიციებზე ფასდება ზღვრული კორპორაციული საგადასახადო განაკვეთით METR და საშუალო კორპორაციული ეფექტური საგადასახადო განაკვეთი AEGR. ეს მაჩვენებლები გამოიყენება ეფექტური საგადასახადო განაკვეთების შესაფასებლად—კაპიტალური

აქტივების ტიპების (მანქანომშენებლობა და სატრასპორტო საშუალებები, მშენებლობა, საბრუნავი ფონდი, არამატრელური აქტივები, ფინანსების (ვალი გამომუშავებული ჟკუგება, ახალი აქტივები) და ინვესტორის ტიპის (რეზიდენტი, არარეზიდენტი) მიხედვით.

მობილიზებული საგადასახადო შემოსავლების გამოყენების ნაცვლად კორპორატიული ზღვრული და საშუალო ეფექტური განაკვეთების გამოვლა შესაძლებელია თვით საკანონდებლო მუხლების განკვეთების მიხედვით. მაგრამ ამგვარი გათვლების შედეგად ვერ განვსაზღვრავთ ქვეყნის საგადასახადო წესებს. მაგ: გამორიცხული იქნება იმ მუხლების გავლენა, რაც არეგულირებს ბიზნეს ზარალის გადატანას.

ასევე, შესაძლებელია ამ მაჩვენებლის გამოვლა საგადასახადო ორგანოების ინფორმაციის გამოყენებით; მაგ. გადასახადის სუბიექტების ფინანსური ანგარიშგება, საგადასახადო შემოსავლები. ამ შემთხვევაში შერჩეულ უნდა იქნეს კორპორაციების პრეზენტატიული ოდენობა და შეგროვდეს მონაცემები დასაბეგრი მოგების, დაუბეგრავი მოგების, ეკონომიკის სექტორების და რეგიონების მიხედვით. მიკრო მონაცემებზე დაფუძნებული კვლევა უზრუნველყოფს ოპტიმალურ ბაზას საგადასახადო ტვირთის განსაზღვრისათვის სექტორებისა და დროის მიხედვით.

### ბ) ადმინისტრირების ხარჯების ტვირთი

საგადასახადო ფაქტორებს შორის მნიშვნელოვანია გადასახადების ადმინისტრირების ხარჯები. ხშირად საგადასახადო ტვირთი ფასდება მხოლოდ პირდაპირი საგადასახადო ეფექტებით ე.ი ის რაც, ასახულია კანონმდებლობაში. მაგრამ უმჯობესია ფაქტორთა რიგში ჩავრთოთ ადმინისტრირების ხარჯებიც.

საგადასახადო სისტემის სირთულეს და მასთან დაკავშირებლ ხარჯებს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ინვესტირებაზე. ამ ხარჯების განხილვისას მნიშვნელოვანია დადგინდეს სირთულის წყაროები—საგადასახადო პოლიტიკასთან დაკავშირებული, საგადასახადო მექანიზმთან, საგადასახადო ადმინისტრირებასთან დაკავშირებული; მათი ანალიზის შემდეგ უნდა მოხდეს

შეფასება- რამდენად შესაძლებლია ამგვარი სირთულეების აცილება სხვა, კონკურენტ ქვეყნებში.

განხილვის არეა ასევე, ამორტიზაციის სისტემა. გამოიყენება თუ არა დაჩქარებული ამორტიზაცია საგადასახადო კოდექსის მიხედვით? შეესაბამება თუ არა საგადასახადო მიზნები საერთაშორისო ნორმებს? თუ ბიზნესის მხრიდან იგი ხასიათდება, როგორც რთული საჭიროა სერიოზული მსჯელობა მის გამარტივებაზე. ამასთან, დაკავშირებული საგადასახადო პოლიტიკის საკითხია- თუ რამდენად შეესაბამება ამორტიზაციის განაკვეთები ეკონომიკურ პროცესებს და ითვალისწინებს ინფლაციას.

ადმინისტრირების ხარჯების მნიშვნელოვანი ასპექტია გამჭირვალობა. ამ საკითხის განხილვისას, უნდა აღვნიშნოთ, რომ შედარებით მარტივი სისტემაც კი შეიძლება განიცდიდეს გამჭრივალობის ნაკლებობას; მაგალითად, როცა საგადასახადო მუხლები და ტერმინები გაუგებარია, საგადასახადო შემოსავლების შესახებ ინფორმაცია რთული მისაღებია და გადასახადის გადამხდელის ადმინისტრაციული მხარდაჭერა სუსტია. რაც შეეხება სირთულეს-გამჭირვალობის ნაკლებობას აქვს მნიშვნელოვანი წვლილი საინვესტიციო პროექტების ხარჯებზე; ეს ასევე, დაკავშირებულია სამართლიანობის საკითხთან, რამაც შეიძლება გააჩინოს ეჭვი, რომ საგადასახადო სისტემა გამიზნულია ცალკეული ფენის ინტერესების დასაცვად, იმათი ჩათვლით ვინც იღებს მაღალ შემოსავლებს, ხელი მიუწვდება პორფესიონალურ საგადასახადო კონსულტაციაზე და შესაძლებლია სარგებლობდნენ სპეციალური საგადასახადო მიდგომით. საგადასახადო სისტემის უსამართლობის განცდა ბიზნეს უბიძგებს გადავიდეს „ჩრდილოვან ეკონომიკაში”, შეამციროს საგადასახადო შემოსავლები და საერთოდ შეასუსტოს მთვარობის საქმიანობა.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, კომპეტენტურმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ საგადასახადო კოდექსის მუხლების სიცხადე და სიმარტივე. გადასახადის გადამხდელებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს: ანგარიშგების მონაცემები, განმარტებითი დოკუმენტები, საინფორმაციო ცირკულარები(მათ შორის ელქტრონული ფორმით); გადასახადის სუბიექტებს უნდა მიეწოდებოდეთ საგადასახადო ორგანიების დასაბუთებული გადაწყვეტილებები იმ შემთხვევებისათვის, როდესაც საგადასახადო სარგო სადაცოა.

გამჭვირვალობის სხვა მნიშვნელოვანი ასპექტია— თუ როგორ წყდება საგადასახადო გალდებულება გაურკვეველ ვითარებაში—საგადასახადო ორგანოს დისკრეციული გადაწყვეტილებით(მაგალითად ინდივიდუალური განსჯით ან არაფორმალური გადაწყვეტით), თუ უნიფიცირებული მიღვომით, საგადასახადო კოდექსზე დაყრდნობით. იქ, სადაც ტარდება ადმინისტრაციული დისკრეცია-პოლიტიკის ამგვარი გატარება წარმოშობს ეჭვს. აქ მთავარი საკითხია, იწვევს თუ არა ამგვარი მიღვომა კორუფციულ გარიგებებს. სადაც არსებობს ამგვარი პრობლემა-ეს ინვესტიციისათვის იწვევს გაურკვევლობასა და ნაკლებ ნდობას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბუნდოვანი საგადასახადო კოდექსი უქმნის პრობლემებს უცხოელ ინვესტორებს; იგივე შედეგის მომტანია საგადასახადო სისტემის ხშირი და სწრაფი რეფორმები, მიუხედვად იმისა რომ ეს სისტემა შეიძლება იყოს გამჭვირვალე. ცვლილებების გარკვეული ხარისხი დაკავშირებულია ყველა საგადასახადო სისტემასთან, მაგრამ სისტემა ითვლება არაპროგნოზირებადად თუ განხორცილებული ცვლილებები იყო ფუნდამენტური, ცვლილებები უკავშირდებოდა საგადასახადო კოდექსის ძირითად დეტალებებს საინვესტიციო შემოსავლებთან მიმართებაში.

ამ საკითხების შესაბამისი საგადასახადო პოლიტიკის ვექტორებია: საგადასახადო სისტემის რა ელემენტებმა განაპირობა არაპროგნოზირებადობა და როგორ შეიძლება ეს აღმოფხვრილ იქნას, არის თუ არა საშემოსავლო გადასახადთან დაკავშირებული ყველა მუხლი თავმოყრილი ერთ კოდექსში ან მარეგულირებელ კანონებში? არის თუ არა ერთი ორგანო პასუხისმგებელი გადასახადების ადმინისტრირებაზე, თუ რამოდენიმე რეგიონალური ორგანო კოორდინაციის რა პრობლემები წარმოიქნება, აქვს თუ არა მას გავლენა ხარჯებზე? რა რეფორმებია სასურველი?

## 2.2 პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში

მსოფლიო ეკონომიკურ ზრდაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ასრულებენ მნიშვნელოვან, აქტიურ როლს. პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათა მოზიდვა არაერთი მთავრობის ძირითადი საგარეო-ეკონომიკური პრიორიტეტია. აღნიშნული ტენდენცია თანაბრად ეხება როგორც მაღალ განვითარებულ ქვეყნებს, ასევე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებსაც. ამ უკანასკნელთათვის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკური ზრდის ძირითადი წყაროა, ხოლო განვითარებული ქვეყნებისათვის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ძირითადად, ტექნოლოგიური ცოდნის გადაცემის როლს ასრულებს; ცხადია, იმ დაშვებით რომ მოგების ნორმა მსგავსი დარგების შემთხვევაში განსხვავდება ქვეყნებს შორის.

პირდაპირ უცხოური ინვესტიციების როლის განსაზღვრამდე ჩამოვაყალიბოთ პირადპირი უცხოური ინვესტიციების განმარტება. ზოგადად განიხილება ორი სახის უცხოური ინვესტიცია: პორტფელური და პირდაპირი. პირდაპირი უცხოური ინვესტიციად მიიჩნევა ინვესტიცია, რომლის პირობებშიც უცხოელი ინვესტორი ფლობს აქტივების სულ მცირე 10%-ს და ინვესტირებას გააჩნია გრძელვადიანი ხასიათი. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის განმარტებით: „პირდაპირი უცხოური ინვესტიცია გულისხმობს ინვესტორის(პირდაპირი ინვესტორი) გრძლევადიან ინტერესს ინვესტირების ქვენის ეკონომიკაში (პირდაპირი ინვესტირების საწარმო), რომელიც თავის მხრივ მოცემული ქვეყნის რეზიდენტ საწარმოს წარმოადგენს“.<sup>68</sup> გრძელვადიანი ინტერესი გულისხმობს უცხოელი ინვესტორის ინვესტორსა და ინვესტირების საწარმოს შორის მჭიდრო კავშირს ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე, ამ უკანსკნელის პირდაპირი მონაწილეობით საინვესტიციო საწარმოს მენეჯმენტში. ამგავრი კავშირის ინდიკატორად ჩვეულებრიც უცხოელი ინვესტორის მიერ ინვესტირების საწარმოს მენეჯმენტში 10%-ზე მეტი ხმის მიცემის უფლების ქონა მიიჩნევა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ჩვეულებრივ ავსებს ქვეყნის მოთხოვნას მწირ კაპიტალზე

<sup>68</sup> OECD benchmark definition of Foreign Direct Investment, second edition 2008. p 49

ხდება ტექნოლოგიური ცოდნის გადაცემა, რასაც საბოლოოდ არ მოაქვს საერთაშორისო გალდებულებების ზრდა ქვეყნისათვის.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზემოთ ნახსენები ზოგადი ეფექტი შესაძლოა განსხვავებული იყოს თავად ინვესტიციის ტიპზე დამოკიდებულებით. უცხოური ინვესტიციების კლასიფიცირებისას შესაძებელია გამოყენებულ იქნას სხვადასხვა კრიტერიუმი. თავად ინვესტორების მიზნებიდან გამომდინარე ინვესტიციების კლასიფიცირება შესაძლებელია მოვახდინოთ როგორც: ბაზრის მაძიებლები, რესურსების მაძიებლები, ეფექტიანობის მაძიებლები და სტრატეგიული აქტივების მაძიებლები. დანინიგის მიხედვით<sup>69</sup> ამგავარი კლასიფიკაცია ახსნას აძლევს თავად უცხოულ ინვესტორთა მიერ განხორციელებულ სტრატეგიებს რეციპიენტ ქვეყანაში. როგორც შესავალში აღვნიშნეთ ის ინვესტიციები, რომელთათვისაც მნიშვნელოვანია ბაზრის ზომა და რესურსები, ინვესტიციის განხორციელებისას, სწორედ ამ ბუნებრივად მოცემულ წინაპირობებზე ამახვილებენ ურადღებას, მაგრამ არსებული ინფრასტრუქტურის მინიმალურად დამაკმაყოფილებელი პირობების არსებობის პირობებში. ხოლო იმ ქვეყნებისათვის, სადაც არ არსებობს დიდი გასაღების ბაზარი და უხვი ბუნებრივი რესურსები, ინფრასტრუქტურულ პირობებსა და ინსტიტუციონალურ ფაქტორებს შედარებით დიდი წონა მიეწერება.

რიგი კვლევების მიხედვით შესაძლებელია მოვახდინოთ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კლასიფიცირება, თავად ინვესტიციების მიზნებიდან გამომდინარე გაერთიანებული ერების ორგანიზაციისვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის მიხედვით, უცხოური ინვესტიციების კლასიფიცირება ეკონომიკური ფაქტორების მიხედვით შემდეგია<sup>70</sup>:

<sup>69</sup> Dunning, J. H. (1981), International Production and the multinational Enterprise, Allen and Unwin, London

<sup>70</sup> UNCTAD(1998: Table IV), World Investment Report

<b>რესურს-მაძიებელი</b>	<b>გახადების ბაზრის მაძიებელი</b>	<b>ეფექტურობის მაძიებელი</b>
დაუმუშავებელი რესურსები	ბაზრის ზომა	შრომის დანახარჯები წარმოების პროცესში
ფიზიკური ინფრასტრუქტურა	ბაზრის ზრდის მაჩვენებელი	შრომითი რესურსების პვალიფიკაციის საერთო დონე
წარმოების შემავსებელი ფაქტორები	რეგიონალური ინტეგრაცია	სავაჭრო პოლიტიკა
		ბიზნესთან დაკავშირებული სერვისები

ზემოთა ცხრილში, ჩამოთვლილი მოცემულობების შემდეგ, მნიშვნელობას იქნება თავად ინვესტიციის მიმღები ქვეყნის ეკონომიკაში არსებული შემდეგი ფაქტორები:

პოლიტიკის ზოგადი ჩარჩო	<ol style="list-style-type: none"> <li>სტაბილურობა (ეკონომიკური/პოლიტიკური)</li> <li>მცირე და საშუალო საწარმოები, ბაზარზე შესვლისა და გასვლის პირობები</li> <li>პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებული ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებები</li> </ol>
---------------------------	---

	4. პრივატიზაციის პოლიტიკა
ბიზნეს ინფრასტრუქტურა	<p>1. ადმინისტრაციული პროცედურები(საბაჟო და საგადასახადო რეგულირება)</p> <p>2. ინფრასტრუქტურა</p> <p>3. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მხარდაჭერის სერვისები (ფასილიტაციის მომსახურება)</p> <p>4. პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებული სტიმულები (სუბსიდიები)</p>

აღნიშნული ცხრილები აჯამებს თავად უცხოელი ინვესტორების მოტივაციას და იმ საბაზისო ფაქტორებს, რაც არსებითია ინვესტიციების მიმღები ქვეყნებისათვის. მკვლევარებს შორის დებატების მთავარი საგანია თუ რა შეფარდებითი წონა აქვს თითოეულ ფაქტორს ინვესტირების პროცესში ამა თუ იმ ქვეყნის თავისებურებებიდან გამომდინარე. მეცნიერების უმრავლესობა თანხმდება იმაზე, რომ პირდაპირი უცხოურ ინვესტიციებს მოაქვს დადებითი ეფექტები მიმღები ქვეყნების ეკონომიკებისათვის, თუმცა მათ გვერდზე არსებობს მოსაზრებები უცხოური ინვესტიციების მიერ ადგილობრივი ინვესტიციების გამოდევნის ეფექტების შესახებ. ეს უკანასკნელი ცდება ჩვენი კვლევის ფარგლებს.

ჩამოთვიდი ფაქტორთაგან გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში უფრო მეტ მნიშვნელობას ეწ. ინსტიტუციონალური ფაქტორები იძენს. ინსტიტუციონალურ ფაქტორებს შორის კი მაკროეკონომიკური სტაბილურობა და სამართლებრივი გარემო არსებით როლს თამაშობს.<sup>71</sup>

<sup>71</sup> On Determinants Of Foreign Direct Investment In Transition Economies, Andrzej Baniak, Jacek Cukrowski, Jan Herczyński December 2002, Center For Social And Economic Research (Case)

პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის დაფინანსების ძირითად წყაროდ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები განიხილება. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ტოტალიტარული სისტემის დაშლის შემდეგ საბაზარო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი წინააღმდეგობით ადსვავს აღმოჩნდა, ძირითად ეკონომიკურ პრობლემებს შორის კი არაპონქურენტუნაირანი ეკონომიკის პრობლემა განმსაზღვრელი იყო.<sup>72</sup> ეკონომიკის განახლების პროცესში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები განსაკუთრებული მნიშვნელობის ფაქტორი აღმოჩნდა.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირველი ათწლეული ხასიათდებოდა მშპ-ს მოცულობის დრამატული შემცირებით და ეკონომიკური ზრდის უარყოფითი ტემპებით. ამასთან ეკონომიკის საზღვრების გახსნამ და ლიბერალიზაციის ტალღამ მოიტანა შესაძლებლობა გაზრდილოეო პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათა შემოდინება საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში. ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ერთი პროცენტული პუნქტით ზრდა, სხვა თანაბარ პირობებში, იწვევს 0.8 პროცენტიან ზრდას ერთ სულ მოსახლეზე არსებულ შემოსავლებში.<sup>73</sup> ტრასნფორმაციის პერიოდიდან უკვე ორი ათეული წლის შემდეგაც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის მთავარ ორიენტირად რჩება. ეს უკანსკნელი გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის ძირითად ფაქტორად განიხილება.

უცხოურ ინვესტიციათა მნიშვნელოვანი მოცულობის მიღწევისათვის არსებით როლს ქვეყნისათვის ეფექტიანი საინვესტიციო გარემოს ქონა წარმოადგენს. საინვესტიციო გარემო ფართო ცნებაა და მოიცავს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ასექტებს. თითოეულ ქვეყანას თავისი უნიკალური საინვესტიციო გარემო გააჩნია, რომლის შემადგენელი ფაქტორების აქტუალობა იცვლება როგორც ქვეყნების, ასევე დროის მიხედვითაც.

<sup>72</sup> მოცემული საკითხის დაწვრილებითი განხილვა იხილეთ: Vladimer Papava, Necroeconomics: The Political Economy of Post-Communist Capitalism, iUniverse Inc. USA, 2005

<sup>73</sup> Bergsman, J., H.G. Broadman, and V. Drebentsov (2000) Improving Russia's Policy on Foreign Direct Investment, The World Bank, Policy Research Working Paper 2329

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებიდან, აზერბაიჯანის, ყაზახეთისა და რუსეთის შემთხვევაში უცხოულ ინვესტორთა მოტივაციას ძირითადად რესურსები წარმოადგენდა. აღნიშნული განიხილება, როგორც რესურს-მაძიებელი უცხოური ინვესტიციების მაგალითი.<sup>74</sup> აღნიშნული ტიპის ინვესტირება ხშირად იწვევს ეკონომიკის სხვა სექტორიდან საინვესტიციო ნაკადების გადაქაჩვას. რესურსებით ნაკლებად უზრუნველყოფილი ქვეყნების შემთხვევაში ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების წარმატებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინვესტორების მხრიდან. მაგალითად, დაბალი ინფლაცია და ფისკალური კრიზისების არარსებობა მნიშვნელოვანი სიგნალია უცხოელი ინვესტირებისათვის ადგილობრივი ეკონომიკის სტაბილურობის შესახებ. ეკონომიკური ფაქტორების გარდა გარადამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია კორუფციის დონე და ბიზნესის მიერ ადგილობრივ ხელისუფლებასთან ურთიერთობისათვის საჭირო დრო.

გარდამავალი ქვეყნებისათვის ზემოთ აღნიშნული რეალობა ასევე აქტუალურია საქართველოსათვის. ეკონომიკური ზრდის პროგნოზი საქართველოში უმეტესწილად უცხოური ინვესტიციების ზრდის მოლოდინს ემყარება. საქართველოს შემთხვევაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის საჭირო ფაქტორებად მკვლევარები ხშირად მიუთითებენ ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა მხადამჭერი სამთავრობო პოლიტიკა, ბუნებრივი რესურსების შედარებითი ხელმისაწვდომობა, იაფი მუშახელი. ამ ფაქტორებს შორის მთავრობის ეკონომიკურ პოლიტიკას კი არსებითი როლი ენიჭება.<sup>75</sup>

პირდაპირ უცხოური ინვესტიციების შემოდინება საქართველოში წლების მიხედვით მნიშვნელოვნად განსხვავდება. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებამ მაქსიმალურ ნიშნულს 2007 წელს მიაღწია 2 014.8 მილიონ აშშ.

---

<sup>74</sup> Yuko Kinoshita, Nauro F.Ca The location determinants of foreign direct investment in transition economies, Department of Economics, Hunter College, City University of New York, 2002

<sup>75</sup> Kbiltsetskhishvili T. Attracting Investors: Case of Impact of FDI on the Achievements of Economic Growth in Georgia, IBSU Scientific Journal 2010, 4(2), 36

დოლარი.<sup>76</sup> ამავე წლისათვის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემინდება კუმულატიურმა მაჩვენებელმა 44,5 პროცენტი შეადგინა. 2008 წლის კონფლიქტმა რუსეთთან და მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება მნიშვნელოვნად შეამცირა, ზრდა მხოლოდ 2010 წლისათვის დაფიქსირდა. ამ წლისათვის პუნქტის მოცულობამ 814,5 მილიონ აშშ დოლარი შეადგინა.

საქართველოს საინვესტიციო გარემოს მნიშვნელოვანი ასპექტები იცვლებოდა სხვადასხვა პერიოდების მიხედვით. თუ საკითხების ფართო განხილვას მოვახდენ, 1995-2000-იანი წლებისათის მთავარ გამოწვევას წარმოადგენდა მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევა და მასობრივი კორუფციის აღმოფხრვა. 2000-იანი წლებიდან მოყოლებული, რადიკალურმა პოლიტიკურმა ცვლილებებმა ასევე შეცვალა ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტები. მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევამ და მასობრივი კორუფციის აღმოფხვრამ დაკარგა აქტუალობა, ვინაიდან ამ საკითხების გადაჭრაში მთავრობა აღმოჩნდა წარმატებული. ამავე პერიოდიდან მოყოლებული ასევე გატარდა მნიშვნელოვანი რეფორმები საგადასახადო პოლიტიკაში. უცხოელ ინვესტორთათვის შეთავაზებულ იქნა მნიშვნელოვანი საგადასახადო შედაგათები, რომლებსაც ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებელთა ვარაუდით შედეგად უნდა მოეტანა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის ზრდა.

საინვესტიციო შედაგათების ეკონომიკურმა პოლიტიკამ მოიცვა ათწლიანი პერიოდი 2005-2015 წლები, რაც აისახა ამ ათწლიან პერიოდში პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათა მოცულობის საერთ დონის ზრდით.

<sup>76</sup> წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური:  
[http://geostat.ge/index.php?action=page&p\\_id=139&lang=geo](http://geostat.ge/index.php?action=page&p_id=139&lang=geo)

### თავი III. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ხელშემწყობი საგადასახადო პოლიტიკის ფორმირება და მისი სრულყოფის პერსპექტივები საქართველოში

#### 3.1 საქართველოს საგადასახადო პოლიტიკა ინვესტიციებთან მიმართებაში

როგორც უკვე აღვნიშნეთ წინა თავებში გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში პოლიტიკურ და ეკონომიკურ ფაქტორებს უშუალო გავლენა აქვს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათა შემოდინების მოცულობაზე. განსაკუთრებით ეს ეხება იმ ქვეყნებს, რომელთაც არ გააჩნიათ დიდი გასაღების ბაზრები და არ არიან რესურსებით უზრუნველყოფილნი. საგადასახადო პოლიტიკის, როგორც ერთ-ერთი ინსტიტუციონალური ფაქტორის, როლის გარკვევისათვის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინების პროცესში, განვიხილოთ 2005-2015 წლებში უცხოურ ინვესტიციათა შემოდინების დინამიკა.


2000-იანი წლებიდან გატარებულმა ახალმა ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა კურსმა მნიშვნელოვანი გაულენა იქონია პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათა შემოდინებაზე. 2006 წლისათვის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინების მაჩვენებელმა შეადგინა 1190,4 მილიონ აშშ დოლარი, რომელიც თავის მხრივ 128 პროცენტით მეტი იყო წინა წლის შესაბამის მაჩვენებელთან (დიაგრამა 4). ამ წლისათვის პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა საერთო ინვესტიციების 47 პროცენტი შეადგინა, ხოლო მშპ-ში მისი წილი 15 პროცენტი იყო. 2005 წელს კი 2006 წლის 47 პროცენტისაგან განსხვავებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილი საერთო ინვესტიციებში მხოლოდ 25 პროცენტი იყო.<sup>77</sup>

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდის ტემპი გაგრძელდა 2007 წლისათვის და მიაღწია მაქსიმალურ მაჩვენებლს 2014,8 მილ. აშშ დოლარი. ეს მაჩვენებელი იყო 1,96-ჯერ მეტი წინა წელთან შედარებით. ცალკეულ მეცნიერთა მოსაზრებით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მკვეთრი ზრდა განპირობებული

<sup>77</sup> წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური, [http://geostat.ge/?action=page&p\\_id=139&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=139&lang=geo)

იყო საქართველოს ბიზნეს გარემოს მნიშვნელოვანი გაუმჯობესებით.<sup>78</sup> ძირითად პოლიტიკურ რეფორმებთან ერთად, 2004 წლიდან მოყოლებული მნიშვნელოვანი რეფორმები გატარდა საფინანსო-საგადასახადო სფეროში, რამაც მნიშვნელოვანდ გაზარდა საგადასახადო შემოსავლების მობილიზაციის ხარისხი და გაამარტივა საგადასახადო დეკლარირება.

**დიაგრამა 4. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება საქართველოში (მლნ. აშშ დოლარი, 2000-2015 წწ).**



<sup>78</sup> მ. გელაშვილი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი ეკონომიკის სტაბილიზაციაში, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული, ეკონომიკის სექცია, ტომი 3, 2008 გვ. 159

2008 წლისათვის არსებულმა ორმაგმა კრიზისმა, საომარმა კონფლიქტმა რუსეთთან და მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა, მნიშვნელოვნად შეამცირა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები. 2009 წლიდან დაიწყო პროცესის გამოსწორების ფაზა და უკვე ამ წლისათვის დაფიქსირდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადების ზრდა. ასევე ამ წლებისათვის პრობლემას ამწვავებდა თავისუფალი საინვესტიციო რესურსების ხელმისწავდომობა მსოფლიოს ბაზარზე. მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა მნიშვნელოვნად შეაფერხა უცხოური ინვესტიციების შემოდინება არამარტო საქართველოში, არამედ მთლიანად მსოფლიო ეკონომიკაში.

2001 წლის პირველი კვარტლისათვის, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ შეადგინა 147 მილიონ აშშ დოლარი, რაც თავის მხრივ აღემატებოდა 2009 და 2010 წლების შესაბამის მაჩვენებლებს 1.5 და 2.3 ჯერ. დიაგრამა 4-დან შეგვიძლია დავინახოთ, რომ პუი-ების მაჩვენებელი კლებულობდა 2009 წლიდან ე-0 658,400.6დან შემცირებამ 2010 წლისათვის მიაღწია 553,0556.1-მდე.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინების ზრდისათვის საქართველოს მთავრობამ მიიღო სპეციალური კანონი თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ, სადაც უცხოური ინვესტიციებით განხორციელებულ ბიზნეს მიეცა სპეციალური შეღავათები, რომელიც თავის მხრივ გულისხმობდა: სტრატეგიულ გეოგრაფიულ მდებარეობას, ლიბერალურ ესპორტ-იმპორტის პროცედურებს და სხვა გასახადებისაგან გათავისუფლებას. თავისუფალი ინდუსტრიული ზონები შეიქმნა თითქმის ყველა დიდ ქალაქში: ფოთში, ქუთისსა და თბილისში.<sup>79</sup>

როგორც განხილული მონაცემების ანალიზიდან ჩანს, 2000-იანი წლებიდან განხორციელებულმა რადიკალურმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა რეფორმებმა ხელი შეუწყო ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებას, რამაც თავის მხრივ ასახვა პოვა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინების მაჩვენებლების ზრდაზე. მხოლოდ გარე ფაქტორების ზემოქმედების შედეგად 2008 წლიდან პუი-ების მაჩვენებლებმა

<sup>79</sup> წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - [www.mof.ge](http://www.mof.ge)

დაწიყო კლება, ზრდის პროცესი კი განახლდა 2009 წლიდან. ამ კუთხით თუ გამოვრიცხავთ გარე ფაქტორებს, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 2006 წლიდან გვაქვს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათა ზრდის ტენდენცია, რასაც თავის მხრივ ახლდა რეფორმები ეკონომიკურ, პოლიტიკურ და საგადასახადო სფეროებში, რომლებიც დადგებითად იქნა შესაფასებული საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ (დაწვრილებით იხ. ქვემოთ).

როგორც განხილული მონაცმებიდან ჩანს, 2000 წლიდან მოყოლებული სახეზე გვაქვს ერთი მხრივ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის მნიშვნელოვანი ზრდა, მოერე მხრივ კი მნიშვნელოვანი საგადასახადო შედავათების შემოღება უცხოელ ინვესტორთათვის. გატარებული ლიბერალური ეკონომიკური რეფორმები აღიარებულ იქნა, როგორც მნიშვნელოვანი მიღწევა რიგი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2004 წლიდან მოყოლებული საქართველოს საგადასახადო სისტემაში ჩატარდა ძირეული რეფორმები. გაცხადებული მიზნების მიხედვით საგადასახადო სფეროში რეფორმების მთავარი მიზანი ბიზნესისა და ინვესტორებისათვის მასტიმულირებელი გარემოს შექმნა იყო. ლიბერალური რეფორმების ძირითადი შედეგი დაბეგვრის გამარტივებული პროცედურები და გადასახადების რაოდენობის შემცირება იყო. 2004 წელს არსებული 21 გადასახადიდან დარჩა მხოლოდ 6 სახის გადასახადი. გადასახადების შემცირებას პოტენციური ინვესტორებისათვის აქვს შემდეგ ორმაგი დატვირთვა: პირველ რიგში მცირდება პირდაპირი საგადასახადო ხარჯი, ასევე მცირდება საერთო საგადასახადო და ბუღალტრული დეკლარირების ხარჯები.


უცხოურ ინვესტორებთან დაკავშირებით შემოღებულ იქნა სპეციალური საგადასახადო შედავათები:

- სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით დამატებითი დირებულებისა და სოციალური გადასახადების არარსებობა

- კაპიტალის დანახარჯები შესაძლებელია გამოქვითულ იქნას ინვესტიციის განხორციელების წელს, ნებადართულია ზარალის გადატანის 10 წლიანი პერიოდის გამოყენება
- კაპიტალის აფასებით მიღებული შემოსავლების დაბეგვრისგან გათავისუფლება
- ქონების გადასახადისაგან გათავისუფლება
- უცხო წყაროდან მიღებული შემოსავლის დაბეგვრისაგან გათავისუფლება უცხოურ ინვესტიციათა შემოდინების მხარდასაჭერად საქართველოს საგადასახადო კოდექსში შემოღებულ იქნა სპეციალური სტატუსები: საერთაშორისო საწარმო და უცხოური კომპანიის ფილიალი. საინვესტიციო მიზნებისათვის შეიქმნა სპეციალური ეკონომიკური ზონები, სადაც ინვესტორთათვის დაბგევრა ნულ პროცენტიანი განაკვეთით არსებობს.

თუ შევადარებთ იმ საგადასახადო განაკვეთებს (დიაგრამა 5 და 6), რაც გამოიყენება უცხოური ინვესტიციების განმხორციელებელი და რეზიდენტი კომპანიების მიმართ, ცხადი ხდება, რომ უცხოური ინვესტიციების განმხორციელებელი კომპანიების მიმართ მიდგომა საკმაოდ ლიბერალურია შემოსავლებისა და მოგების დაბეგვრის კუთხით.

**დიაგრამა 5. შემოსავლების, დივიდენდებისა და პროცენტების დაბეგვრა 2004-2014 წლებისათვის<sup>80)</sup>**




დიაგრამა 5-ზე წარმოდგენილი განაკვეთები განკუთვილია რეზიდენტი ეკონომიკური სუბიექტებისათვის, რომლებიც თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ საქართველოს ტერიტორიაზე გარდა თავისუფალი ინდუსტრიული ზონების ტერიტორიებისა. თუ ამ განაკვეთებს შევადარებოთ თავისუფალი ინდუსტრიული ზონების ტერიტორიებზე არსებულ განაკვეთებს, ცხადად ჩანს, რომ უცხოური ინვესტიციების განმხორციელებელი კომპანიების მისამართით მოქმედებს საკმაოდ ლიბერალური რეჟიმი. რეფორმირების პერიოდში მოგების გადასახადის განაკვეთი შემცირდა 20 პროცენტიდან 15 პროცენტამდე. რაც შეეხება დივიდენდის დაბეგვრას, 2012 წლიდან დაბეგვრის 3% შემცირდა 0 პროცენტამდე. ეკონომიკური პოლიტიკის

<sup>80)</sup> დიაგრამები შედეგნილია საქართველოს საგადასახადო კოდექსისა და „გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთისა და ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ“ რატიფიცირებული კონვენციების მიხდვით.

კუთხით დივიდენდების ნულპროცენტიანი დაბეგვრა ხელს შეუყობს ერთობლივი სააქციო საზოგადოებების შექმნას, რაც თავის მხრივ დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვის წინაპირობა იქნება.

**დიაგრამა 6. საგადასახადო განაკვეთები თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებში და სხვა  
დანარჩენ ტერიტორიებზე საქართველოში**



როგორც დიაგრამა 6-დან ვხედავთ, თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებში არ არის შემოღებული მოგების, დამატებითი ღირებულებისა, საბაჟო და ქონების გადასახადები. ამგვარი ეკონომიკური პოლიტიკური გატარების შედეგი ორმაგია, ერთი რომ ის რეალურად ამცირებს დანახარჯებს კომპანიებისათვის, ხოლო მხრივ ამ ამგვარი მიღებობა ქმნის ერთგვარ იმიჯს ქვეყნისას, სადაც უცხოური ინვესტიციებისათვის არსებობს მხარდაჭერი გარემო.

უცხოური ინგესტიციების მიმართ არსებული საგადასახადო პოლიტიკა ასევე ასახულია რატიფიცირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებში: „ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ“. როგორც ზემოთ ვახსენეთ, ამ ხელშეკრულებების მთავარი მიზნებია: ინგესტორთათვის გარკვეული სახის გარანტიების შეთავაზება, ორმაგი დაბეგვრის გამორიცხვის გზით<sup>81</sup>, საქონლის,

<sup>81</sup> OECD commentary on Art. 1, Para 7, Model Tax Convention on Income and on Capital , Condensed Version.

Paris, 2005

მომსახურების, კაპიტალისა ადამიანების გადაადგილების ხელშეწყობა. საქართველოს აღნიშნული ხელშეკრულება რატიფიცირებული აქვს ყველა ძირითად ინვესტორ და სავაჭრო პარტნიორ ქვეყნასთან (52 ქვეყნა)<sup>82</sup>. ამ კონვენციების მიხედვით ინვესტორს აქვს იმის გარანტია, რომ ის არ მოექცევა ორმაგი დაბეგვრის ქვეშ იმ ქვეყნებთან მიმართებაში, რომლებთანაც საქართველოს რატიფიცირებული აქვს აღნიშნული ხელშეკრულებები. საგადასახადო ტვირთიდან გამომდინარე ინვესტორმა შესაძლებელია განსაზღვროს ინვესტირებისათვის სასურველი ქვეყანა. ეს ხელშეკრულებები უცხოელ ინვესტორებს ფაქტობრივად სთავაზობენ უფრო დაბალი განაკვეთებით დაბეგვრას დივიდენდისა და საშემოსავლო გადასახადის განაკვეთების ჩათვლით. საგადასახადო განაკვეთები და გამოქვითვები ცვალებადობს კონკრეტულ ქვეყნასთან მიმართებაში, თუმცა საქართველოს მიდგომა ამ მხრივ საკმაოდ ლიბერალურია და იგი უცხოურ ინვესტიციათა მოზიდვისკენაა მიმართული.

როგორც ცნობილია გადასახადების ძირითადი ფუნქციაა უზრუნველყოს ქვეყნის ბიუჯეტი სათანადო შემოსავლებით, რაც საბოლოოდ მიმართულია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე ზემოქმედებისათვის. ამ მხრივ მოგების გადასახადი არსებით როლს ასრულებს; საქართველოს რეალობაში პირდაპირი გადასახადების წილის ზრდა საერთო საგადასახადო შემოსავლებში არაერთი მეცნიერ-მკვლევარის მიერ თპტიმალურ ეკონომიკურ პოლიტიკად არის მიჩნეული.<sup>83</sup> პირდაპირ გადასახადებში კი მოგების გადასახადი ერთ-ერთი ძირითადია. ამ მხრივ მნიშვნელოვანია მოგების გადასახადით დაბეგვრის საერთაშორისო ასპექტები. როგორც მეოთხე თავში აღინიშნა ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრლებების ერთ-ერთი ძირითადი მიზანია დაიცვას ქვეყნების საგადასადახო ბაზა და მისცეს მათ საშუალება აღკვეთონ გადასახადების გადაუხდელობა. მოგების დაბეგვრა განხილულია ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის სტანდარტული მოდელის მე-7 მუხლში.

<sup>82</sup> წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო: <http://mof.gov.ge/4680>

<sup>83</sup> მესხია, ი. ბასარია რ. საქართველოს საგადასახადო სისტემის სრულყოფის საკითხები. - თბ. ფსკი, 2001

როგორც წინა თავებში აღვნიშნეთ, ქვეყნების საგადასახადო კოდექსები ძირითადად განასხვავებენ ორი სახის საქმიანობას:

- მოცემული ქვეყნის რეზიდენტების საქმიანობა
- მოცემულ ქვეყანაში არარეზიდენტების საქმიანობა

რეზიდენტების ეკონომიკური საქმიანობიადნ მიღებული მოგების დაბეგვრა ეფუძნება წმინდა მოგებას-მთლიანი შემოსავლებიდან გამოქვითვების გამოკლებას. ჩვეულებრივ, გამოქვითვები განისაზღვრება კონკრეტული ქვეყნის საგადასახადო კოდექსით, ხოლო არარეზედნების შემთხვევები მოგების დაბეგვრა დამოკიდებულია მუდმივი დაწესებულების არსებობაზე; ამ უკანასკნელის არსებობის შემთხვევაში დაბეგვრის ბაზა უშუალოდ მუდმივი დაწესებულების შემოსავლებიდან განისაზღვრება; საერთაშორისო საგადასახადო პოლიტიკის კუთხით მნიშვნელოვანია ადგვეთილ იქნას: მუდმივი დაწესებულების მეშვებოთ ფასისმიერი მანიპულირება საგადასახადო ბაზის შემცირების მიზნით; კორპორაციების ჯგუფის კომპანიებს შორის ხელოვნული ტრანსფერული ფასებით ურთიერთანგარიშსწორება გადასახადებისაგან თავის არიდების მიზნით.

ამ მხრივ, საქართველოს მიერ რატიფიცირებული შემოსვლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმებები უცხოელ ინვესტორებს საკმაოდ ფართო შედავათებს სთავაზობს, როგორც საგადასახადო განაკვეთების, ასევე საგადასახადო ბაზის განსაზღვრის თვალსაზრისით (იხ. ცხრილი № 5).

აღნიშნული რეფორმები და ცვლილებები საქართველოს საგადასახადო სფეროში აღირებულ იქნა როგორც დადებითი შედეგის მომტანი და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების მნიშვნელოვანი მიღწევა. აღნიშნული დასკვნა ასახულ იქნა არა ერთ საერთაშორისო კვლევასა და რეიტინგში:

- 2008 წელს ჟურნალ „ფორბსის“ მიერ გამოქვებული კვლევის მიხედვით, საქართველო მსოფლიოში სახელდებოდა როგორც მეოთხე ყველაზე ნაკლები საგადასახადო ტვირთვის მქონე ქვეყანა.<sup>84</sup>

<sup>84</sup> [http://www.forbes.com/global/2008/0407/060\\_2.html](http://www.forbes.com/global/2008/0407/060_2.html)

- ფრეიზერის ინსტიტუტის კვლევის „ეკონომიკური თავისუფლება მსოფლიოში“<sup>85</sup> მიხედვით საქართველოს ეკონომიკა ეკონომიკური თავისუფლების ხარისხის მიხედვით, მსოფლიოს 144 ქვეყნიდან 27-ე ადგილს იკავებს.
- მსოფლიო ბანკის კვლევის „ბიზნესის კეთება მსოფლიოში“ მიხედვით საქართველოს ერთ-ერთ მოწინავე პოზიციაზეა. ინდექსის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს გადასახადების გადახდა და საგადასახადო სისტემის გამჭვრივალობა წარმოადგენს. ინდექსის საერთო შეფასებით საქართველო იკავებს მოწინავე პოზიციებს. (იხ. დიაგრამა 6).

ფრეიზერის ინსტიტუტის კვლევა – ეკონომიკური თავისუფლება მსოფლიოში ზომას თუ რამდენად ხელს უწყობს ამა თუ იმ ქვეყანაში არსებული პოლიტიკა და ინსტიტუტები ეკონომიკურ თავისუფლებას. ეკონომიკური თავისუფლების საბაზისო კომპონენტებია: პირადი არჩევანის თავისუფლება, ნებაყოფლობითი გაცვლა, კონკურენციის თავისუფლება და კერძო საკუთრების დაცვის გარანტიები. ინდექსის შესადგენად გამოიყენება 42 ცვლადი, ინდექსი 5 ფართო ვექტორს აერთიანებს :

1. მთავრობის ზომა
2. სამართლებრივი სისტემა და კერძო საკუთრების უფლების დაცულობა
3. ჯანსაღი მონეტარული სისტემა
4. საერთაშორისო ვაჭრობის თავისუფლება
5. რეგულირება.

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის კომპონენტები:

1. მთავრობის ზომა

- ა) მთავრობის ხარჯები
- ბ) ტრანსფერები და სუბსიდიები
- გ) სახელმწიფო საწარმოები და ინვესტიციები
- დ) უმაღლესი ზღვრული საგადასახადო განაკვეთი

უმაღლესი ზღვრული საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი

უმაღლესმოსფლიო ზღვრული საშემოსავლო და სოციალური

გადასახადი

2. სამართლებრივი სისტემა და საკუთრების უფლებები

- ა) სასამართლოს დამოუკიდებლობა

---

<sup>85</sup> <http://www.freetheworld.com/release.html>

- ბ) მიუკერძოებელი სასამართლოები
- გ) საკუთრების უფლებების დაცვა
- დ) სამხედრო ძალის ჩარევა კანონის აღსრულებასა და პოლიტიკაში
- ე) სამართლებრივი სისტემის ინტეგრირებულობა
- ვ) კონტრაქტების შესრულების სამართლებრივი გარანტიები
- ზ) უძრავი ქონების გაყიდვის რეგულაციები
- თ) ნდობა პოლიციისადმი
- ი) დანაშაულის დონის ხარჯები ბიზნესისათვის

### 3. ჯანსაღი მონეტრაჟული სისტემა

- ა) ფულის მიმოქცევის ზრდა
- ბ) ინფლაციის მერყეობა
- გ) ინფალციის დონე გასული წლებისათვის
- დ) საბანკო ანგარიშების უცხოურ ვალუტაში ფლობის თავისუფლება

### 4. საერთაშორისო ვაჭრობის თავისუფლება

- ა) ტარიფები
  - შემოსავალი ვაჭრობის დაბეგვრიდან (%-ულად ვაჭრობის სექტორიდან)
  - ტარიფების საშუალო განაკვეთი
  - ტარიფების განაკვეთების სტანდარტული გადახრა
- ბ) რეგულირების სავაჭრო შეზღუდვები
  - არასატარიფო ბარიერები
  - ექსპორტისა და იმპორტის დოკუმენტირების ხარჯები
- გ) ვაჭრობა შავ ბაზარზე
- დ) ადამიანებისა და კაპიტალის გადაადგილების კონტროლი
  - უცხოური მფლობელობის/ ინვესტიციების შეზღუდვები
  - კაპიტალის კონტროლი
  - უცხოელთა თავისუფალი გადაადგილება

### 5. რეგულაციები

- ა) საკრედიტო ბაზრის რეგულაციები
  - ბანკების მფლობელობა
  - კერძო სექტორის კრედიტები
  - საპროცენტო განაკვეთების კონტროლი/ უარყოფითი რეალური საპროცენტო განაკვეთები

ბ) შრომის ბაზრის რეგულირება

დამის სმენისა და მინიმალური ხელფასის რეგულირება  
თანამშრომლად აყვანისა და დათხოვნის რეგულაციები  
ცენტრალიზებული კოლექტიური მოლაპარაკებები  
დაქირავებული პირის სამსახურიდან გაშვების სამანდატო ხარჯები  
სამხედრო სამსახურში გაწვევა

გ) ბიზნესის რეგულაციები

ადმინისტრაციული მოთხოვნები  
ბიუროკრატიის ხარჯები  
ბიზნესის დაწყება  
უცანონო გადახდები/ქრთამი/მოსყიდვა  
ლიცენზირების შეზღვუდები  
საგადასახადო დეკლარირების ხარჯები

საერთაშორისო კავშირი ბიზნესის კეთება მსოფლიოში, ასახავს ბიზნესის რეგულირების ასპექტებს მსოფლიოს უმრავლეს ქვეყნებში. კავშირი პირველად გამოქვეყნდა 2003 წელს და მოიცავდა 5 ძირითად მაჩვენებელს 133 ქვეყნის მიხედვით. შემდგომ წლებში მაჩვენებელთა რიცხვი უკვე 11-მდე გაიზარდა, ხოლო კავშირის ობიექტი ქვეყნების რიცხვი კი 185-მდე. ბოლო ათი წლის მანძილზე ბიზნესის კეთების პუბლიკაციაში ასახულ იქნა დაახლოებით 2000-მდე ბიზნესის რეგულაციების რეფორმა, ხოლო მკავლევარების მიერ „ბიზნესის კეთების“ მონაცემებზე დაყრდნობით გამოქვეყნებულ იქნა 1000-მდე სტატია დასავლეთის პრესტიულ ბიზნეს და სამეცნიერო გამოცემებში. ინდექსი ზომავს არსებულ და ცვლილებების შედეგად მიღებულ რეგულაციებს, რომლებიც ეხება მცირე და საშუალო კომპანიების საქმიანობას 11 სფეროს მიხედვით.

ბიზნესის კეთების ინდექსი აერთიანებს ორი ტიპის ინდიკატორებს: 1. ინდიკატორები, რომლებიც უკავშირდება ბიზნესთან დაკავშირებული სამართლებრივი ინსტიტუტების სიძლიერეს 2. ინდიკატორები, რომლებიც უკავშირდება რეგულირების პროცესის კომპლექსურობას და დანახარჯებს. პირველი ჯგუფი ასახავს შემდეგი საკითხების სამართლებრივ და რეგულირების პრაქტიკას: კრედიტის მიღება, ინვესტიცია დაცვა, კონტაქტების აღსრულება და გაკოტრების

საქმეთა მართვა. ხოლო მეორე ტიპის ინდიკატორები, ასახავს დანახარჯებსა და აფექტიანობას შემდეგი საკითხების მიმართ: ბიზნესის დაწყება, მშენებლობის ნებართვები, ქონების რეგისტრაცია, ელექტროენერგიის მიწოდება (ქსელში ჩართვა), გადასახადების გადახდა და საერთაშორისო ვაჭრობა.

ინდექსი ასახვს შემდეგ 10 ძირითად სფეროს:

- ბიზნესის დაწყება
- მშენებლობის ნებართვები
- ელექტროენერგიის მიწოდება(ქსელში ჩართვა)
- საკუთრების რეგისტრაცია
- კრედიტის მიღება
- ინვესტორთა დაცვა
- გადასახდების გადახდა
- საერთაშორისო ვაჭრობა
- კონტრაქტების აღსრულება
- გაკოტრების მართვა

პუბლიკაციაში განხილულია ბიზნესის რეგულირების როგორც უკვე არსებული პრაქტიკა, ასევე რეგულირების ახალი მიდგომები და ამ მიდგმოების დანერგვის შემდეგ მიღებული შედეგები. „ბიზნესის პეთების“ მაჩვენებლის შედგენა უმეტესწილად ეყრდნობა იმ ოფიციალურად საჭირო და პრაქტიკაში არსებულ მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის საკმარის დროსა და ხარჯს, ასევე მინიმალური კაპიტალის მოთხოვნებს, რაც არსებობს კვლევის ობიექტ ქვეყანაში ბიზნესის რეგისტრირებისა და ოპერირებისათვის.

მაჩვენებლისათვის საჭირო მონაცემების მიღებისათვის ხდება კანონების, რეგულაციების და საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციის დამუშავება და გამოკითხვების ჩატარება. მონაცემთა სიზუსტის უზრუნველყოფისათვის კითხვარებს ავსებს ადგილობრივი იურისტები, ბიზნეს კონსულატანტები, ნოტარიუსები და საჯარო მოხელეები. თუ არსებობს სხვაობა საჯაროდ მოპოვებად ინფორმაციასა და

ადგილობრივ შეფასებებს შორის ხდება აღნიშნული სხვაობის მიზეზების გარკვევა და მონაცემთა დაზუსტება<sup>86</sup>.

გადასახადების გადახდის კუთხით საქართველო დგას 42-ე ადგილზე. მსოფლიო ბანკის მოხსენებაში საქართველო აღნიშნულია როგორც ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანა ბიზნესის კეთების სიმარტივით. ამავე მოხსენების მიხედვით, საქართველო არის იმ 12 ქვეყნების ეკონომიკების სიაში, სადაც არ არსებობს სოციალური და შრომასთან დაკავშირებული სხვა სახის გადასახადები<sup>87</sup>. მნიშვნელოვანდ გაუმჯობესდა შეფასება ელექტროენერგიის მიწოდების კოპონენტი (2012 წელს 88-ე ადგილი, 2013 წელს 50-ე ადგილი) 38 ერთეულობითი პუნქტით.

უკვე 2013 წლის მოხსენების მიხედვით საქართველომ ამ კვლევის მიხედვით წინა წელთან შედარებით პროგრესს მიაღწია გადასახადების გადახდის, საერთაშორისო ვაჭრობის და კონტაქტების შესრულების უზრუნელყოფის კუთხით.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის კვლევაში<sup>88</sup> საქართველო 2000-ანი წლებიდან მოყოლებული იუმჯობესებდა თავის ადგილს მსოფლიო ქვეყნების რეიტინგში. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი ქვეყნების რეიტინგებს 2005 წლიდან აქვევნებს. ინდექსი საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობს მთელს მსოფლიოში და ხშირ შემთხვევაში საერთაშორისო ინვესტორები სწორედ აღნიშნულ ინდექს ეყრდნობიან ამა თუ იმ ქვეყანაში ინვესტირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას.

თავად კვლევის ავტორთა განმარტებით ქვეყნის კონკურენტუნარიანობა განისაზღვრა იმ ინსტიტუტების, ეფექტური პოლიტიკისა და სხვა ფაქტორების ერთიანობით, რომლებიც განაპირობებენ წარმოების მოცულობას ამა თუ იმ ქვეყანაში. თავის მხრივ კი ეს უკანასკნელი უშუალოდ განსაზღვრავს ინვესტორთა მიერ მიღებულ უკუგებას მოცემული ქვეყნის ეკონომიკაში ინვესტირების შედეგად.

<sup>86</sup> <http://www.doingbusiness.org/~media/GIAWB/Doing%20Business/Documents/Annual-Reports/English/DB16-Full-Report.pdf>

<sup>87</sup> <http://www.doingbusiness.org/~media/FPDKM/Doing%20Business/Documents/Special-Reports/Paying-Taxes-2012.pdf>

<sup>88</sup> <https://www.weforum.org/reports>

კონკურენტუნარიანობის ინდექსი მოიცავს სტატიკურ და დინამიურ კომპონენტებს და ეფუძნება კონკურენტუნარიანობის 12 ძირითად დეტერმინანტებს: ინსტიტუტები, მაკროეკონომიკური გარემო, ჯანდაცვა და სასკოლო განათლება, უმაღლესი განათლება და არაფორმალური განათლების, ტრენინგების სისტემა, სასაქონლო ბაზრების ეფექტიანობა, შრომის ბაზრების ეფექტიანობა, ფინანსური ბაზრების განვითარება, ტექნოლოგიების განვითარების დონე, ბაზრის ზომა, ბიზნეს სექტორის განვითარების დონე, ინოვაციების არსებობა. აღნიშნული მაჩვენებლების მიხედვით მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი ქვეყნების დაყოფას სამ ძირითად ჯგუფად ახდენს: წარმოების ფაქტორების ეკონომიკის მქონე ქვეყნები-ეფექტიანი ეკონომიკების მქონე ქვეყნები-ინოვაციებზე დაფუძნებული ეკონომიკის მქონე ქვეყნები.

## ნახაზი № 2 მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ინდექსის სტრუქტურა



მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ინდექსი 2012-2013 წლებისათვის მოიცავს მოსფლიოს 144 ქვეყანას. მონაცემთა წყაროს, ნახსენები კომპონეტების შეფასებისათვის, წარმოდგენენ საერთაშორისო საგალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, ასევე კონკრეტული სახელმწიფოების სტატისტიკური სამსახურების შესაბამისი მონაცემები. მონაცემთა მნიშვნელოვანი წყაროა ასევე ტოპ-მენეჯრეთა და კომპანიის მმართველთა გამოკითხვა - „Executive Opinion Survey“. ამ უკანასკნელს მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი ცაკლე პუბლიკაციის სახითაც აქვეყნებს.

კვლევის მიხედვით მსოფლიოს 144 ქვეყანას შორის საქართველო 2012-2013 წლებისათვის 77-ე ადგილზეა (დიაგრამა 3). ამ მაჩვენებლით საქართველომ გაიუმჯობესა წინა წლის შედეგი და 88-ე ადგილიდან 11 პუნქტით წინ წაიწია. საქართველოს კონკურენტუნარიანობის ქულამ 2012-2013 4,07 შეადგინა, წინა წლისათვის კი იგივე მაჩვენებელი 3.95 იყო.


რეიტინგის მიხედვით ასევე მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა საქართველოს მისამართით-საქართველომ ეკონომიკების სხვა კატეგორიაში გადაინაცვლა. კერძოდ, საქართველო ერთიანდება ეფექტიანი ეკონომიკის მქონე ქვეყნების ჯგუფში. საერთო ჯამში კვლევის თანახმად, საქართველომ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში რეიტინგი თექვსმეტი საფეხურით გაიუმჯობესა. უკვე 2015-2016 წლებისათვის, საქართველო კიდევ უფრო დაიწაურდა და ქვეყანათა მსოფლიო რეიტინგში 66-ე ადგილი დაიკავა.<sup>89</sup>

---


<sup>89</sup> The Global Competitiveness Report 2015–2016, World Economic Forum: [http://www3.weforum.org/docs/gcr/2015-2016/Global\\_Competitiveness\\_Report\\_2015-2016.pdf](http://www3.weforum.org/docs/gcr/2015-2016/Global_Competitiveness_Report_2015-2016.pdf)

დიაგრამა № საქართველოს ქვეყნების ათეული მსოფლიო კონკურენციანობის ინდექსის მიხედვით

ა) 2012-2013 წ.



ბ) 2015-2016 წწ.



მთლიანობაში კი, ინფრასტრუქტურის მიხედვით, საქართველო ოეიტინგში 53-ე ადგილზეა (2012-2013 წლების მონაცემებით), ინსტიტუციების მიხედვით - 61-ზე, უმაღლესი განათლებისა და პროფესიული გადამზადებით - 93-ზე, სასაქონლო ბაზრის ეფექტიანობით - 82-ზე, ტექნოლოგიური მზაობით - 76-ზე, ბიზნესის განვითარებით - 113-ზე, ინოვაციის მიხედვით - 126-ზე, ბაზრის სიდიდით - 99-ზე, ფინანსური ბაზრის განვითარებით - 93-ზე. გარდა ამისა, კვლევის მიხედვით, საქართველოში ბიზნესის საკეთებლად ხელის შემშლელ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად ფინანსების ხელმიუწვდომლობა ითვლება. 2015-2016 წლების მონაცემების მიხედვით, ინსტიტუტების ეფექტიანობის მიხედვით საქართველო 50-ე, ხოლო ინფრასტრუქტურის მიხედვით კი მე-60 ადგილზეა.

მიღებული ქულებით საქართველო წინ უსწრებს ისეთ ურთიერთშესადარ ქვეყნებს, როგორიცაა უკრაინა და სომხეთი.

ცხრილი № 2 ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის ინდექსის კომპონენტები:

1 ინსტიტუტები	ქულა (საქართველო)		ადგილი რეიტინგში	
	2012(2011)		2012(2011)	
1.1 საკუთრების უფლება	3.2	3.1	120	131
1.2 ინტელექტუალური საკუთრების დაცვა	2.8	2.6	105	126
1.3 სახელმწიფო ფონდების არამიზნობრივი ხარჯვა	4.5	4.7	39	30
1.4 პოლიტიკოსების მიმართ საზოგადოების ნდობა	2.8	3.0	65	63
1.5 არაოფიციალური გადასახადები და ქრთამები	5.3	5.6	33	26

1.6 სასამართლოს დამოუკიდებლობა	3.2	3.2	91	95
1.7 სახელმწიფო მოხელეების მიერ გადაწყვეტილების მიღების დროს ფავოროტიზმი	3.2	3.4	54	51
1.8 სახელმწიფო ხარჯების გაფლანგვა	3.5	3.5	52	52
1.9 მთავრობის რეგულაციების ტვირთი	4.5	4.6	7	9
1.10 დავების გადაწყვეტის სამართლებრივი ჩარჩოს ეფექტიანობა	3.4	3.4	82	89
1.11 რეგულაციების გასაჩივრების სამართლებრივი ჩარჩოს ეფექტიანობა	3.1	3.1	92	106
1.12 მთავრობის პოლიტიკური გადაწყვეტილებების გამჭვირვალობა	4.8	4.8	36	36
<b>1.13 საჯარო სერვისები ბიზნესის ფუნქციონირების გასამარტივებლად</b>	X		X	X
1.13 ბიზნესის დანახარჯები ტერორიზმზე	5.6	5.5	69	81
1.14 ბიზნესის დანახარჯები დანაშაულსა და ძალადობაზე	5.2	5.1	49	56
1.15 ორგანიზებული დანაშაული	5.2	5.2	67	75
1.16 პოლიციის სანდოობა	5.0	5.1	42	37
1.17 ორგანიზაციების ეთიკურობა	3.9	4.1	61	55
1.18 აუდიტისა და ანგარიშის სტანდარტების	4.3	4.3	88	94

<b>სიძლიერე</b>		
1.19 კორპორაციის საბჭოების ეფექტიანობა	4.1 4.2	116 100
1.20 მცირე წილის მქონე აქციონერების ინტერესების დაცვა	3.5 3.6	119 114
1.21 ინვესტორების დაცვის ხარისხი <sup>x</sup>	6.7 7.0	20 17
<b>2 ინფრასტრუქტურა</b>	<b>ქულა</b>	<b>ადილი რეიტინგში</b>
ინფრასტრუქტურის საერთო ხარისხი	4.6 4.6	54 55
გზების ხარისხი	4.2 4.4	57 56
რკინიგზის ინფრასტრუქტურის ხარისხი	3.9 4.0	35 34
საპორტო ინფრასტრუქტურის ხარისხი	4.2 4.3	68 65
საჰაერო ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის ხარისხი	4.2 4.3	88 82
ხელმისაწვდომი ავიახაზების მანძილი კმ/კვირა (მილიონებში) <sup>x</sup>	33.3 29.4	106 110
ელექტროენერგიის მიწოდების ხარისხი	5.4 5.5	52 46
ფიქსირებული სატელეფონო ხაზები <sup>x</sup>	13.7 31	85 40
მობილური ტელეფონებით სარგებლობა <sup>x</sup>	73.4 102.3	104 83
<b>3 მაკროეკონომიკური გარემო</b>	<b>ქულა</b>	<b>რანგი</b>
სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი, % მშპ <sup>x</sup>		
ეროვნული დანაზოგები, % მშპ <sup>x</sup>	5.2 10.9	135 122

ინფლაცია, ცვლილების წლიური % <sup>x</sup>		
საპროცენტო განაკვეთის ზრდა % <sup>x</sup>	15.0 ----	129 ----
სახელმწიფო ვალი % მშპ <sup>x</sup>		
ქვეყნის საკრედიტო რეიტინგი, 0-100 <sup>x</sup>	35.2 35.7	97 91
<b>4. ჯანდაცვა და დაწყებითი განათლება</b>	<b>ქულა</b>	<b>რანგი</b>
მაღარის გავლენა ბიზნესზე	5.8 5.7	83 86
მაღარის შემთხვევების რაოდენობა <sup>x</sup>		
ტუბერკულიოზის გავლენა ბიზნესზე	4.9 4.9	92 91
ტუბერკულიოზის შემთხვევების რაოდენობა <sup>x</sup>	107.0 107.0	92 96
შიდსის/იმუნოდეფიციტის ვირუსის გავლენა ბიზნესზე	5.1 5.2	78 76
იმუნოდეფიციტის ვირუსის გავრცელება <sup>x</sup>	0.1 0.1	21 12
ბავშვების სიკვდილიანობა <sup>x</sup>	26.0 20.0	94 84
სიცოცხლის ხანგრძლივობა (წლები) <sup>x</sup>	71.7 73.3	87 73
დაწყებითი განათლების ხარისხი	3.2 3.4	99 91
დაწყებით განათლებაში ჩართულობა <sup>x</sup>		
Nº 5 უმაღლესი განათლება და ტრეინინგები	ქულა	რანგი
1 საშუალო განათლებაში ჩართულობა <sup>x</sup>	108.5 86.2	11 80
2 პროფესიულ განათლებაში ჩართულობა <sup>x</sup>	25.5 28.2	82 77
3 განათლების სისტემის ხარისხი	3.0 3.0	116 114
4 მათემატიკისა და სამეცნიერო განათლების	3.4 3.5	100 101

	ხარისხი			
5	მართვის სკოლების ხარისხი	3.4	3.6	115 110
6	ინტერნეტის ხელმისაწვდომობა სკოლებში	4.1	4.3	67 65
7	კვლევისა და ტრეინინგების ხელმისაწვდომობა	3.2	3.3	115 119
8	თანამშრომელთა ტრეინინგები	3.5	3.6	106 101

6 სასაქონლო ბაზრის ეფექტიანობა	ქულა	რანგი
ადგილობრივი კონკურენციის ინტენსივობა	3.9 3.9	128 127
ბაზარზე დომინირების მოცულობა	3.2 3.2	112 121
ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ეფექტიანობა	2.9 2.9	135 141
გადასახადების მოცულობა და გავლენა	3.9 3.9	35 38
მთლიანი საგადასახადო განაკვეთი <sup>x</sup>	15.3 16.5	8 11
ბიზნესის დასაწყებად საჭირო პროცედურების რაოდენობა <sup>x</sup>	3 2	8 3
ბიზნესის დასაწყებად საჭირო დღეების რაოდენობა <sup>x</sup>	3 2	3 2
სოფლის მეურნეობის პოლიტიკის ხარჯები	3.3 3.1	115 128
სავაჭრო ბარიერების მოცულობა	4.9 5.0	37 21
სავაჭრო ტარიფები <sup>x</sup>	0.7 1.0	3 33
უცხოური საკუთრების გავრცელების დონე	4.1 3.9	110 121

უცხოური პირდაპირი ინვესტიციისთვის	4.9	4.8	53	51
არსებული რეგულაციების ბიზნესზე გავლენა				
საბაჟო პროცედურების ტვირთი	4.9	5.2	27	13
იმპორტი, როგორც მშპ-ს პროცენტი <sup>x</sup>	52.2	57.6	52	45
მომხმარებელზე ორინტირებულობის ხარისხი	3.9	3.9	118	120
მყიდველების დახვეწილობა	3.1	3.0	93	106
7 შრომის ბაზრის ეფექტიანობა	ქულა		რანგი	
დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის ურთიერთობა	4.2	4.3	76	63
ხელფასის განსაზღვრის მოქნილობა	5.5	5.4	34	42
დასაქმების ინდექსის სტაბილურობა <sup>x</sup>	7.0	---	10	-----
დაქირავების და გათავისუფლების პრაქტიკა	5.0	5.0	10	9
გათავისუფლების ხარჯი (კვირის ხელფასის მიხედვით) <sup>x</sup>	4	4	6	13
ანაზღაურება და პროდუქტიულობა	4.0	4.1	57	55
პროფესიულ მენეჯმენტზე დაყრდნობა	3.9	3.9	85	92
კვალიფიციური კადრის გადინება	2.9	3.0	102	104
ქალთა სამუშაო ძალის თანაფარდობა	0.76	0.77	75	79
მამაკაცებთან <sup>x</sup>				
8 ფინანსური ბაზრის განვითარება	ქულა		რანგი	
ფინანსური მომსახურების ხელმისაწვდომობა	3.9	3.9	107	100

ფინანსური მომსახურების ფასების ხელმისაწვდომობა	3.7	3.9	96	85
დაფინანსება ადგილობრივი ფასიანი ქაღალდების ბაზრის საშუალებით	2.4	2.4	122	126
სესხის აღების ხელმისაწვდომობა	2.7	2.5	79	93
საწარმოო კაპიტალის ხელმისაწვდომობა	2.2	2.2	97	104
საბანკო სექტორის სტაბილურობა, სიმტკიცე	4.6	4.7	104	92
საფონდო ბირჟის რეგულაცია	3.3	3.3	122	119
სამართლებრივი უფლებების ინდექსი <sup>x</sup>	7.0	8	39	24
9 ტექნოლოგიური მზადყოფნა	ქულა		რანგი	
უახლესი ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა	4.5	4.6	99	94
საწარმოების მიერ ტექნოლოგიების ათვისება	4.1	4.0	115	123
უცხოური პირდაპირი ინვესტიციებით ტექნოლოგიის ტრანსფერი	4.2	4.2	98	101
ინტერნეტის მომხმარებლები <sup>x</sup>	27.0	36.6	85	75
მრავალსიხშირიანი ინტერნეტის მომხმარებლები <sup>x</sup>	5.1	7.6	72	66
ინტერნეტის სიჩქარე (kb/s/capita) <sup>x</sup>	5.7	15.8	62	70
10 ბაზრის მოცულობა	ქულა		რანგი	
შიდა ბაზრის მოცულობის ინდექსი <sup>x</sup>	2.7	2.7	102	96
უცხოური ბაზრის მოცულობის ინდექსი <sup>x</sup>	3.2	3.2	114	114
11 ბიზნესის მდგომარეობა	ქულა		რანგი	

ადგილობრივ მიმწოდებელთა რაოდენობა	3.7	3.7	138	137
ადგილობრივ მიმწოდებელთა ხარისხი	3.6	3.6	130	131
კლასტერული ჯგუფის განვითარების მდგომარეობა	3.0	3.0	102	116
კონკურენტული უპირატესობის ბუნება	3.3	3.3	73	81
ჯაჭვური ციკლის სიდიდე	3.3	3.4	87	84
საერთაშორისო დისტრიბუციაზე კონტროლი	3.8	3.6	95	105
წარმოების პროცესის მდგომარეობა	3.0	3.1	110	112
მარკეტინგის ხარისხი	3.5	3.6	107	104
უფლებამოსილების დელეგირების ნება	3.0	3.0	116	127
12 ინოვაციები	ქულა		რანგი	
ინოვაციის შესაძლებლობა	2.6	2.5	103	116
სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების ხარისხი	2.7	2.6	117	125
კომპანიის ხარჯი კვლევასა და განვითარებაზე (R&D)	2.5	2.5	124	125
უნივერსიტეტებისა და საწარმოების თანამშრომლობა კვლევისა და განვითარების კუთხით	2.6	2.5	126	134
განვითარებული ტექნოლოგიური პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვები	3.5	3.7	76	61
მეცნიერებისა და ინჟინრების ხელმისაწვდომობა	3.3	3.3	120	124

გამოგონების პატენტების რაოდენობა*	0.5	1.5	65	60
-----------------------------------	-----	-----	----	----

უცხოელი ინვესტორების მხრიდან ქვეყნის ინსტიტუციური გარემოს შეფასების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია საერთაშორისო გამჭვირვალობის (თI) გლობალური კორუფციის ბარომეტრი. აღნიშნული კვლევა მსოფლიოში საზოგადოების აზრის კვლევაა, რომელიც ზომავს კორუფციის შესახებ დამოკიდებულებებსა და გამოცდილებას. ისევე როგორც სხვა საერთაშორისო საზოგადოების აზრის გამოკვლევა, ბარომეტრი გვთავაზობს ინდიკატორს, თუ როგორ აღიქმება კორუფცია ნაციონალურ დონეზე და როგორ განიხილება კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა. იგი ასევე ზომავს მოსახლეობის მიერ კორუფციასთან უშუალო შეხების გამოცდილებას ბოლო წლის განმავლობაში.

საჯარო პოლიტიკის განმსაზღვრელებსა და მკვლევარებს შეუძლიათ ბარომეტრის გამოყენება საზოგადოების მიერ საჯარო დაწესებულებებისა და სერვისების კორუმპირებულობის აღქმის დონის გასარკვევად, ისევე როგორც მექრთამეობის ფორმისა და სისმირის გასაანალიზებლად. ქვეყნის დონეზე, ბარომეტრი შეიცავს ინფორმაციას, რომელიც სასარგებლოა პოლიტიკის რეფორმისთვის და შემდგომი კვლევების დაგეგმვისთვის იმ სფეროებში რომელიც კორუმპირებულად არის აღქმული.

კორუფციის გლობალური ბარომეტრი 2003 წლიდან ყოველწლიურად ტარდება. ამიტომ იგი წლების მიხედვით ქვეყნების მონაცემების შედარების საშუალებას იძლევა. იგი სამი ძირითადი მიმართულების ტენდენციის დადგენისთვისაა გამიზნული:

1. ინსტიტუციები, რომლებიც აღქმულია ყველაზე კორუმპირებულად.
2. სახელმწიფოს ანტიკორუფციული რეფორმის შეფასება.
3. იმ მოქალაქეთა პროცენტული მონაცემის დადგენა, რომლებმაც ქრთამი მისცეს გარკვეული სერვისის სანაცვლოდ.

2010 წლის გლობალური კორუფციის ბარომეტრის გამოკითხვა ჩატარდა პირველი ივნისიდან 30 სექტემბრამდე, ინდივიდუალური, სატელეფონო და ინტერნეტ ინტერვიუების საშუალებით. კითხვარი შექმნილია კორუფციის

სფეროში მოღვაწე საერთაშორისო ექსპერტების პანელის მიერ და დამუშავებულია სტატისტიკისა და კვლევის უახლესი მეთოდების მიხედვით.

აქვე გვინდა ვახსენოთ საერთაშორისო გამჭვირვალობის (TI) კიდევ ორი საერთაშორისო კვლევა კორუფციის საკითხებთან დაკავშირებით: კორუფციის აღქმის იდექსი (CPI) და ქრთამის გადამხდელთა ინდექსი (BPI). ამ კვლევათა მონაცემები გლობალური კორუფციის ბარომეტრთან ერთად ხშირად გამოიყენება საერთაშორისო პუბლიკაციებსა და ინვეტიციების შესახებ ცნობარებში.

განსხვავება ბარომეტრს, TI-ს კორუფციის აღქმის ინდექსსა (CPI) და ქრთამის გადამხდელთა ინდექსს (BPI) შორის არის ის, რომ ბარომეტრი იკვლევს საზოგადოების აზრს კორუფციაზე. იგი ასახავს კორუფციის გავლენას მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებაზე, მექრთამეობასთან პირადი შეხების ჩათვლით. კორუფციის აღქმის ინდექსი (CPI) და ქრთამის გადამხდელთა ინდექსი (BPI) კი ეყრდნობა რამოდენიმე ექსპერტთა მიერ ქვეყნის კორუმპირებულობის დონის შეფასებას. კორუფციის აღქმის იდექსი (CPI) და ქრთამის გადამხდელთა ინდექსი (BPI) არ გვაძლევს მოსახლეობის აზრის გაზომვისა და სტატისტიკური ანალიზის საშუალებას, ვინაიდან შემოიფარგლება იმ სპეციალისტთა შეფასებით, რომლებიც TI-ს ნდობით სარგებლობენ.


2010 წლის ბარომეტრი მეშვიდე გამოცემაა და იგი ასახავს 86 ქვეყნის შედეგებს. საქართველო ჩართულია გლობალური კორუფციის ბარომეტრის კვლევაში, მისი პირველივე გამოცემიდან, რომელიც ჩატარდა 2003 წელს.

გლობალური კორუფციის ბარომეტრის 2010 წლის 86 ქვეყნის შედეგებიდან საქართველომ ქრთამის მიცემის ყველაზე დაბალი მონაცემებით, კერძოდ მე-10 ადგილი დაიკავა მსოფლიოში. ქრთამის მიცემის გამოცდილებით საქართველოზე დაბალი მაჩვენებლები მსოფლიოს ქვეყნებიდან ჰქონდა: დანიას (0%), ნორვეგიას (1%), გაერთიანებულ სამეფოს (1%), შვეიცარიას (2%), ჰოლანდიას (2%), გერმანიას (2%), ფინეთს (2%), სამხრეთ კორეასა (2%) და ავსტრალიას (2%).

საქართველოში გამოკითხულთა მხოლოდ სამმა პროცენტმა (3%) განაცხადა, რომ მიუცია ქრთამი 9 სერვისიდან ერთ-ერთისთვის მაინც გასული წლის მანძილზე (2010 წ.).

საქართველოზე მაღალი მექრთამეობის დონე ყველა სხვა ქვეყანასთან ერთად აჩვენა ისეთმა ქვეყნებმაც როგორიცაა - აშშ (5%), საფრანგეთი (7%), იაპონია (9%), ავსტრია (9%), იტალია (13%), ლუქსემბურგი (16%) და სხვ.

ქვემოთ მოყვანილ გრაფიკში ნაჩვენებია საქართველოსა და მისი მოსაზღვრე ქვეყნების მექრთამეობის დონის შედარებითი მაჩვენებლები (2010 წ).



გლობალური კორუფციის ბარომეტრის 2010 წლის ანგარიშის მიხედვით, კორუფციის დონის შემცირებასთან დაკავშირებით გასული 3 წლის მანძილზე საქართველომ მსოფლიოში ყველაზე მაღალი მონაცემი აჩვენა. გამოკითხული მოსახლეობის 78% თვლის, რომ საქართველოში კორუფციის დონემ დაიწია, 13% თვლის რომ იგი დარჩა იგივე, ხოლო 9% თვლის რომ კორუფციის დონე გაიზარდა. კვლევაში მონაწილე 68 ქვეყნიდან არც ერთ ქვეყანას არ შეუფასებია თავის ქვეყანაში კორუფციის კლება ასეთი მაღალი მაჩვენებლით.

როგორც საერთაშორისო კვლევებისა და შეფასებების მიმიხილვამ დაგვანახა, საქართველომ განიცადა მნიშვნელოვანი წინსვლა ინსტიტუციური ფაქტორების გაუმჯობესების კვალობაზე. განხილულ საერთაშორისო რეიტინგებში არსებული შეფასების ფაქტორები, ფაქტობრივად თანხვედრაშია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის პოლიტიკის მოდელთან (იხ. ქვეთავი 2.1). როგორც უკვე აღვნიშნეთ, შედარებით მცირე ბუნებრივი რესურსებისა და სამომხმარებლო ბაზრის მქონე ქვეყნებისათვის ინსტიტუციური ფაქტორები გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია; განსაკუთრებით იმ შემთხვევებისათვის, როცა საქმე დაახლოებით მსგავსი ბუნებრივი რესურსების მქონე ქვეყნებში ინვესტირებას ეხება საქმე.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკისა და უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებული საგადასახადო პოლიტიკის ანალიზით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სახეზე გვაქვს ერთის მხრივ პირდაპირ უცხოურ ინვესტიცითა მოცულობის საერთო დონის ზრდა, ხოლო მეორეს მხრივ საგადასახადო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ლიბერალიზაცია პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან მიმართებაში.

### 3.2 საგადასახადო პოლიტიკასა და ინვესტიციებს შორის კაგშირი საქართველოში

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოში განხორციელებული ეკონომიკური და საგადასახადო სისტემების რეფორმები დადგებითად იქნა გადმოცემული მსოფლიოში აღირებულ საერთაშორისო კვლევებსა და შეფასებებში. მოერეს მხრივ 2000-იანი წლებიდან მოყოლებული სახეზე გვაქვს, საერთო ჯამში პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათა შემოდინების ზრდა და საგადასახადო განაკვეთების შემცირება. შესაძლებელია დავუშვათ, რომ ამ ორ ფაქტორს შორის არსებობს პირდაპირი კაგშირი: საგადასახადო პოლიტიკა განსაზღვრავს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინების მოცულობას საქართველოში ან მისი განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი ფაქტორია. მაგრამ აქ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საგადასახადო პოლიტიკის გარდა თეორიულად ასევე არსებობს სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ საინვესტიციო გარემოს მიმზიდველობას. საგადასახადო პოლიტიკის ფაქტორები თავის მხრივ არ შედის ძირითად საინვესტიციო ფაქტორებს შორის (გასაღების ბაზრები და რესურსები) და მიეკუთვნება ინვესტირების კ.წ. ინსტიტუციონალურ ფაქტორებს. ინვესტირების ინსტიტუციონალური ფაქტორები კი თეორიულად მნიშვნელოვანი შესაძლებელია აღმოჩნდეს მცირე და რესურსებით არაუზრუნველყოფილი ქვეყნებისათვის. მოცემული კვლევის პიპოთეზის შემოწმებისათვის ჩატარებულ იქნა უცხოელ ინვესტორთა გამოკითხვა.

ოფიციალური მონაცემების შევსების მიზნით ჩატარებულ იქნა უცხოელ ინვესტორთა გამოკითხვა, ინვესტორთა საერთო სიიდან შემთხვევითი შერჩევის გზით. გამოკითხვა ჩატარდა კვლევის მიზნებისათვის სპეციალურიად შემუშავებული კითხვარების მეშვეობით (ინტერვიუები ჩატარდა 2014, 2015, 2016 წლებში).<sup>90</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან გამოთხვილ იქნა მსხვილ უცხოელ ინვესტორთა სია. გამოკითხვები ჩატარდა პირდაპირი ინტერვიუს მეთოდით, მთლიანობაში გამოკითხულ იქნა 25 ინვესტორი. მიუხედავად შერჩევის მცირე ზომისა,

<sup>90</sup> 2008 წლამდე საინვესტიციო გარემოს კვლევა იხილეთ შემდეგ სამეცნიერო ნაშრომში: Gürsoy F, Kursun O. Investment Climate of Georgia, IBSU Scientific Journal, 2 (1), 2008

რესპონდენტების პასუხები მოცემული კვლევის პირობებში შესაძლებელია განვავრცოთ პოპულაციის დანარჩენ ნაწილზეც, რადგან მოცემული 25 ინვესტიციი წარმოადგენენ უმსხვილეს ინვესტიციებს ბოლო წლების მანძილზე.

### ცხრილი № 2 გამოკითხულ ინვესტიცია სია

სტატისტიკის კოდი	დასახალება
21139297	შპს "კარატ+"
21255744	შპს "სან პეტროლიუმ ჯორჯია"
20744524	შპს „მობიტელი“
20478910	შპს "ჯეოსელი"
20487916	შპს "შავი ზღვის ტერმინალი"
21014414	შპს „რაკიინ აფთაუნ დეველოპმენტი“
20873144	შპს „ქმბ სერვის საქართველო“
20911258	შპს "სოკარ ენერგი ჯორჯია"
20414714	სს "თელასი"
21116468	შპს "ტრანს ელექტრიკა ჯორჯია"
20638621	შპს "საქართველო-ურბან ენერგია"
16509071	შპს "ჯორჯიან მანგანეზი"
20768890	შპს „ტავ ურბან საქართველო“
21158455	„ჯინდალ პერტოლიუმ ჯორჯია-ს ფილიალი საქართველოში
20621224	შპს „ბაგდასუს ონლაინი“
20937973	შპს „კნაუფ გიპს თბილისი“
20889168	სს „ენერგო-პრო ჯორჯია“
16302387	"ეი პი ემ" ტერმინალს ფოთი
21120783	სს „სილქნეტი“
20479039	შპს "ჯი ემ თი სასტუმროები"
20947434	შპს "აგრიჯორჯია"
20360597	აიდიეს ბორჯომი საქართველო, შპს აიდიეს ბორჯომი ბევერიჯიზ კომპანის" საქართველოს ფილიალი"
16568197	შპს "ჭიათურმანგანუმ ჯორჯია"
16274521	შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“
20897920	სს „დოიჩე ლუფთანასა -ს მუდმივი დაწესებულება საქართველოში“

კითხვარები შევსებულ იქნა კომპანიის მმართველი მენეჯერების მიერ,  
რომლებიც წარმოადგენდნენ თავიანთი სათავო კომპანიების სტრატეგიულ ინტერესებს

საქართველოში. რესპონდენტების კომპანიების სექტორული დაყოფა შემდეგია: მომსახურების სფერო 13, წარმოება 10, ენერგო სექტორი 2. კითხვარები შედგენილ იქნა იმგავარად, რომ რესპონდენტების მხრიდან მომსადრიყო საინვესტიციო გარემოს მნიშვნელოვანი ასპექტის საგადასახადო ფაქტორების როლის გამოკვეთა. კითხვარი შედგებოდა 10 ძირითადი ღია და დახურული შეკითხვებისაგან. ცალკეულ რესპონდენტებთან კითხვარების დაგზავნა მოხდა ელექტრონული ფორმით, ცალკეულ რესპონდენტებს ვეწვიე პირადად დასაბუთებული შედეგების მისაღებად.

ნახაზი № 3 ინვესტორთა გამოკითხვებისას გამოყენებული კითხვარის ფორმები

ა) კითხვარის ინგლისურენოვანი ვერსია:

Tbilisi State University Faculty of Economics and Business




## Research Project: “Impact of Tax Policy on Investments in Georgia”

Questionnaire for Investors Survey

Economic Policy Department

2015-2016



**Please fill this questionnaire after a careful consideration, your assessments will be a great help in developing debates around the Investments issues in Georgia which will enable us to identify the major pros and cons of current economic policy. Thanks for cooperation.**

Provided information will be confidential, only aggregated data will be published

Date of the filing: ....

Manufacturing Module (2015)

**1. I have been investing for \_\_\_\_\_ years in Georgia.**

**2. please note your Industry sphere:**

- |   |  |
|---|--|
| Transportation & Heavy Equipment                    | Pharmaceuticals & Biotechnology <input type="checkbox"/> |
| Financial Services <input type="checkbox"/>         | Retail & Retail Distribution <input type="checkbox"/>    |
| Primary Metals <input type="checkbox"/>             | Energy <input type="checkbox"/>                          |
| Electronics & Telecom <input type="checkbox"/>      | Food & Beverage <input type="checkbox"/>                 |
| Chemicals & Plastics <input type="checkbox"/>       | Miscellaneous Processing <input type="checkbox"/>        |
| Information Services <input type="checkbox"/>       | Consumer Products <input type="checkbox"/>               |
| Real Estate & Construction <input type="checkbox"/> | Paper & Packaging <input type="checkbox"/>               |
| Utilities <input type="checkbox"/>                  | Metal      Fabrication <input type="checkbox"/>          |
| Textiles & Apparel <input type="checkbox"/>         |  |

**3. Approximate Size Of Your Business: Amount Of The Assets**

- A. 1000-100 000 B. 100 000-500 000 C. 500 000-1 000 000 D. 1 000 000 and more

**4. What is your firm's current legal status?**

- A. LTD,      B. JSC      C. General partnership      D. Branch or representative  
office of parent company      E. Individual Entrepreneur

**5. Main factors of decision making for investment in Georgia: please choose appropriate score in ascending order of importance (1-14). For example 1 most important, 2 less important etc.**

1. Skills and Education of available workers
2. Economic and Regulatory Policy Certainty
3. Cost of Finance (interest rate)
4. Macroeconomic stability(inflation, exchange rate)
5. Tax rates
6. Tax Administration
7. Transportation costs
8. Labor Regulations

9. Business Licensing and Operating Permits

10. Property rights

**6. Please attach appropriate score to the following factors in descending order:**

*Most important factors to invest in Georgia (1-5):*

- Natural resources .....
- Market Size.....
- Geographic location .....
- Macroeconomic Stability .....
- Tax policy.....

**7. How important is tax policy to make decision to invest in Georgia? please choose appropriate assessment according to your view:**

- A. very important
- B. somewhat important
- C. not so important
- D. not important

**8. Especially what aspects of tax policy are important in terms of investing in Georgia (Please choose one that you view as the most important in tax policy )?**

- Tax rates
- Depreciation rates
- Tax administration

**9. What do you think does the tax policy of Georgia (if it is very important) can compensate the other obstacles that exist in Georgia's investment environment?**

- A. Yes
- B. Tax policy is only additional factor
- C. Difficult to answer
- D. No

**For additional Comments (please write any additional comments you have): -----**

---

---

---

---

Thank you for cooperation!

Tbilisi State University

ბ) კითხვარის რუსულენოვანი ვერსია

Тбилисский Государственный Университет




**Исследовательский проект:  
"Влияние налоговой  
политики на инвестиции в  
Грузию"**

Вопросник для опроса инвесторов

Факультет Экономики и Бизнеса

2015-2016



**Пожалуйста, заполните эту анкету, после тщательного рассмотрения.**  
**Ваша оценка очень поможет развитию дискуссии вокруг вопросов**  
**инвестирования в Грузию, что позволит нам выявить основные плюсы**  
**и минусы текущей экономической политики. Спасибо за**  
**сотрудничество.**

Представленная информация будет конфиденциальной и только структурированные данные будут опубликованы.

Дата заполнения: ....

**1. Я инвестирую в Грузию \_\_\_\_\_ лет.**

**2. Пожалуйста, укажите сферу вашей промышленности:**

- |   |  |
|---|--|
| Транспорт и тяжелое оборудование <input type="checkbox"/> | Фармацевтика и биотехнологии <input type="checkbox"/>    |
| Финансовые услуги <input type="checkbox"/>                | Розничная продажа и дистрибуция <input type="checkbox"/> |
| Первичные металлы <input type="checkbox"/>                | Энергия <input type="checkbox"/>                         |
| Электроника и телекоммуникации <input type="checkbox"/>   | Продукты питания и напитки <input type="checkbox"/>      |
| Химикаты и пластмассы <input type="checkbox"/>            | Разные обработки <input type="checkbox"/>                |
| Информационные услуги <input type="checkbox"/>            | Потребительские товары <input type="checkbox"/>          |
| Недвижимость и строительство <input type="checkbox"/>     | Бумага и упаковка <input type="checkbox"/>               |
| Коммунальные услуги <input type="checkbox"/>              | Изготовление металлоконструкций <input type="checkbox"/> |
| Текстиль и одежда <input type="checkbox"/>                |  |

**3. Примерный размер вашего бизнеса: стоимость активов**

- A. 1000-100 000 B. 100 000-500 000 C. 500 000-1 000 000 D. 1 000 000 и больше

**4. Каков нынешний правовой статус вашей фирмы?**

- A. ООО (Ltd), B. ОАО (JSC) C. Полное товарищество  
D. Филиал или представительство материнской компании  
E. Индивидуальный предприниматель

**5. Основные факторы принятия решений при инвестировании в Грузии: пожалуйста, выберите соответствующую оценку в порядке возрастания важности (1-14). Например, 1 самый важный, 2 менее важный и т.д.**

1. Навыки и образование имеющихся работников ---
2. Определенность экономической и регуляторной политики ---
3. Стоимость финансов (процентная ставка) ---
4. Макроэкономическая стабильность (инфляция, обменный курс) ---
5. Налоговые ставки ---
6. Налоговое ведомство ---
7. Транспортные расходы ---
8. Трудовое законодательство ---

9. Лицензирование бизнеса и операционные разрешения ---

10. Права собственности ---

**6. Пожалуйста, укажите соответствующую оценку для следующих факторов в порядке убывания:**

*Наиболее важные факторы для инвестирования в Грузию (1-5):*

- Природные ресурсы .....
- Объем рынка .....
- Географическое положение .....
- Макроэкономическая стабильность .....
- Налоговая политика .....

**7. Насколько важна налоговая политика для принятия решения при инвестировании в Грузию? Пожалуйста, выберите оценку в соответствии с вашей точкой зрения:**

- A. Очень важно
- B. Отчасти важно
- C. Не так важно
- D. Не важно

**8. Особенно, какие аспекты налоговой политики являются важными с точки зрения инвестирования в Грузию (Пожалуйста, выберите тот, который вам кажется самым важным в налоговой политике)?**

- Налоговые ставки

- Нормы амортизации
- Налоговое администрирование

9. Как вы думаете, что делает налоговая политика Грузии (если это очень важно) Может ли она компенсировать другие препятствия, которые существуют в инвестиционной среде Грузии?

- A. Да
- B. Налоговая политика является лишь дополнительным фактором
- C. Затрудняюсь ответить
- D. Нет

Для дополнительных комментариев (пожалуйста, напишите любые дополнительные комментарии, которые у вас есть): -----  
-----  
-----  
-----

Спасибо за сотрудничество!

Тбилисский государственный университет

კითხვარის პირველი ნაწილი მოიცავდა ინფორმაციის შეკრებას შემდეგი კატეგორიების მიხედვით: კომპანიის ზომა, საქმიანობის ეკონომიკური სექტორი, განხორციელებული ინგენიერიული მოცულობა საქართველოში, ბიზნესის სამართლებრივი ფორმა. კითხვარის მეორე ნაწილში მოცემული იყო კითხვები იმ ძირითად საინვესტიციო ფაქტორებზე, რაც ჩვეულებრივ განსაზღვრავს ინვესტიციების განხორციელების ალბათობას ამა თუ იმ ქვეყანაში. მოსაცველი ფაქტორებისა და კითხვების ჩამონათვალი დაეფუძნა უკვე განვითარებულ მოდელებს, რაც გამოქვენებულია დასავლეთის კვლევით ლიტერტურაში. თავად საგადასახადო პოლიტიკა დაყოფილ იქნა შემდეგ ვაქტორებად: საგადასახადო განაპვეთები, ამორტიზაციის ნორმები და საგადასახადო ადმინისტრირება. ჩასართველი კითხვარების მოდელი დაეფუძნა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის საგადასახადო პოლიტიკის მოდელს უცხოური ინვესტიციებისათვის.<sup>91</sup>


კითხვარის ბოლო ნაწილში მოცემულ იქნა მხელოდ საგადასახადო პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხები. ამ შემთხვევაში გათვალისწინებულ იქნა მცირე და რესურსებით არაუზრუნველყოფილი ქვეყნის ეკონომიკის თავისებურებები. ინტერვიუების შედეგად მიღებული მონაცემები გაანალიზებულ იქნა სტატისტიკური პროგრამა SPSS-ის მეშვეობით. კითხვარის შედეგი გამოყენებულ იქნა კვლევის ძირითად შეკითხვაზე პასუხის გასაცემად: რა წონა აქვს საგადასახადო პოლიტიკის ფაქტორებს, ინვესტირების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას საქართველოში?

ათ ძირითად საინვესტიციო ფაქტორებს შორის გამოკითხულმა ინვესტორებმა საგადასახადო პოლიტიკის ფაქტორებს მიანიჭეს მეოთხე ადგილი მაკროეკონომიკური სტაბილურობის, შრომის ბაზრის რეგულირების თავისებურებებისა და სატრანსპორტო ხარჯების შემდეგ. (იხ. დიაგრამა 7). ამ კითხვისათვის გამოყენებულ იქნა შეფასების ათბალიანი შკალა, ქულათა კლებადი მინიჭებით. მიღებული შედეგების მიხედვით საგადასახადო განაკვეთებმა მიიღო საშუალო შეწონილი 5.33 ქულა, ხოლო საგადასახადო ადმინისტრირებას ინვესტორებმა მიანიჭეს უფრო მაღალი მნიშვნელობა-საშუალო 7 ქულა. მოცემულ კითხვაში არ იქნა ჩართული ე.წ კლასიკური საინვესტიციო ფაქტორები -ბაზრის ზომა და რესურსების

<sup>91</sup> OECD: TAX Effects on Foreign Direct Investment” Recent Evidence and Policy Analysis. #17, OECD 2007 pp 28-34

ხელმისაწვდომობა. ეს უკანასკნელი ჩართულ იქნა შემდეგ კითხვაში. მოცემული კითხვის ამგვარი სახით დასმამ საშუალება მოგვცა გამოკითხვისას კონცენტრირება მოგვეხდინა საინვესტიციო გარემოს ინსტიტუციურ ფაქტორებზე ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის საინვესტიციო პოლიტიკის მოდელის მიხედვით.

**დიაგრამა 7. საქართველოს საინვესტიციო გარემოსათვის მნიშვნელოვანი ინსტიტუციური ფაქტორები ინვესტორთა გამოკითხვის მიხედვით (საშუალო შეწონილი ქულები)**




როგორც მოყვანილი დიაგრამიდან ვხედავთ, საინვესტიციო გარემოს ინსტიტუციურ ფაქტორთაგან ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორებად გამოკითხულ ინვესტორებს მაინიათ: საკუთრების უფლებების დაცულობა, საგადასახადო ადმინისტრირება და შრომის ბაზრის რეგულირების თავისუბურებები. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ის, რომ პასუხების გაცემისას ინვესტორები ითვალისწინებენ საქართველოში მათ მიერ უკვე დაგროვებულ გამოცდილებას. ამ უკანასკნელით შესაძლებელია აიხსნას ის, რომ ინვესტორები უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ საგადასახადო ადმინისტრირების ფაქტორებს, ვიდრე ოფიციალურად არსებულ საგადასახადო განაკვეთებს. ეს შედეგი გარკვეულწილად ეთანხმება ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის საინვესტიციო პოლიტიკის მოდელს, რომლის მიხედვითაც საინვესტიციო გარემოს შეფასებისას უფრო მეტი მნიშვნელობა ჩვეულებრივ მიენიჭება პრაქტიკაში არსებულ საგადასახადო რეგულირებას, ვიდრე კანონმდებლობით განსაზღვრულ საგადასახადო განაკვეთებს.

**ცხრილი 3. ძირითადი საინვესტიციო ფაქტორები საქართველოში: ბუნებრივი და ინსტიტუციური ფაქტორები**

<b>ბუნებრივი და ინსტიტუციური ფაქტორები</b>	<b>საშუალო ქულა</b>
ბუნებრივი რესურსები	1,67
ბაზრის ზომა	3,33
გეოგრაფიული მდებარეობა	2,67
მაკროეკონომიკური სტაბილურობა	4,67
საგადასახადო პოლიტიკა	3,00


იმისათვის, რომ კველვის ფარგლებში მომხდარიყო კლასიკური საინვესტიციო და ინსტიტუციური ფაქტორების შედარება კითხვარში გამოყოფილი კითხვის სახით იყო მოცემული საგადასახადო პოლიტიკისა და კლასიკური საინვესტიციო ფაქტორების შედარება. გამოკითხული ინვესტორების უმრავლესობამ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად ბაზრის ზომა დაასახელა (ამ შემთხვევაში შეგვიძლია ვიმსჯელოთ ე.წ. „დაუკავებელი ბაზრის“ ეფექტზე, რაც დამახასიათებელია გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის). გამოკითხვის შედეგების მიხედვით ბაზრის ზომამ და მაკროეკონომიკურმა სტაბილურობამ მიიღო 3.33 და 3.00 საშუალო ქულები. საგადასახადო პოლიტიკამ, მოცემულ ჩამონათვალში დაიკავა მესამე ადგილი 5 ძირითად საინვესტიციო ფაქტორს შორის. ერთ-ერთი ინვესტორის კომენტარის მიხედვით საგადასახადო პოლიტიკა არის დამატებითი ფაქტორი ისეთი ძირითადი ფაქტორების არსებობის შემთხვევაში როგორებიცაა: ბაზრის მახასიათებლები და მაკროეკონომიკური სტაბილურობა. მიღებული შედეგის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საგადასახადო პოლიტიკა წარმოადგენს ზღვრულ ფაქტორს ძირითადი საინვესტიციო ფაქტორების მიმართ(ბუნებრივი რესურსები, ბაზრის ზომა, გეოგრაფიული მდებარეობა, მაკროეკონომიკური სტაბილურობა). შესაბამისად, მოცემული შედეგების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საგადასახადო პოლიტიკის ფაქტორები თამაშობენ ზღვრულ როლს საინვესტიციო გარემოში.

## დიაგრამა 8. საგადასახადო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ასპექტები



საგადასახადო პოლიტიკის ასპექტებთან დაკავშირებული კითხვების შემთხვევაში ინგესტორთათვის უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა საგადასახადო აღმინისტრირება და ამორტიცაზაციის საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული ნორმები, ვიდრე უშუალოდ კანონმდებლობით განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთები (დიაგრამა 6). 25 გამოკითხული ინგესტორთაგან საგადასახადო განაკვეთებს პირველი ადგილი მხოლოდ 6 ინგესტორმა მიანიჭა. უშუალოდ დასმულ კითხვაზე თუ რა როლს ანიჭებენ უცხოელი ინგესტორები საგადასახადო პოლიტიკის ფაქტორებს საქართველოს საინგესტიციო გარემოში, მიღებული პასუხების საშუალო მაჩვენებლების მიხდვით, საგადასახადო პოლიტიკის ფაქტორებმა სხვა საინგესტიციო ფაქტორებთან შედარებით დაიკავა შუალედური პოზიცია. გამოკითხული 25 ინგესტორიდან 14-მა განაცხადა, რომ საგადასახადო პოლიტიკა ინგესტირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას თამაშობს მხოლოდ შუალედურ და არა გადამწყვეტ მნიშვნელობას. ინგესტორთა კომენტარების მიხდვით, საქართველოში გატარებულმა ეკონომიკურმა და საგადასახადო სფეროს რეფორმებმა, უცხოელ ინგესტორთა თვალში საქართველოს შეუქმნა უცხოური ინგესტიციებისათვის მიმზიდველი გარემოს მქონე ქვეყნის იმიჯი. აღნიშნული შედეგი ასენას პოულობს იმ საერთაშორისო რეიტინგებისა და კველების ფართო გაშუქებით, რომლებშიც საქართველოს როგორც რეფორმატორ ქვეყანას ერთ-ერთი მოწინავე პოზიციები უჭირავს.

**დიაგრამა 9. რამდენად მნიშვნელოვანია საგადასახადო პოლიტიკა, როგორც  
საინვესტიციო გარემოს ფაქტორი საქართველოში ინვესტირებისას**




კითხვაზე თუ რამდენად მნიშვნელოვანია საგადასახადო პოლიტიკა, როგორც განმსაზღვრელი ფაქტორი საქართველოში ინვესტირებისას, გამოკითხულ რესპონძენტებიდან უმრავლესობამ უპასუხა, რომ საგადასახადო პოლიტიკა აღიქმება, როგორც სხვა ფაქტორებთან ერთად მოქმედი დამატებითი ფაქტორი. საქართველოში მიმდინარე საგადასახადო რეფორმამ, რომლიც თავის მხრივ ფართოდ გაშუქდა საერთაშორისო მოხსენებებსა და კვლევებში, ქვეყანას ინვესტორების თვალში შეუქმნა ზოგადი იმიჯი, როგორც უცხოეულ ინვესტორთათვის მხარდამჭერი ქვეყნის იმიჯი. თუმცა პრაქტიკული რეალობიდან გამომდინარე გამოკითხულმა ინვესტორებმა, საქართველოში მიღებული გამოცდილებიდან გამომდინარე უფრო დიდი მნიშვნელობა საკუთრების უფლების დაცულობას მიანიჭეს. რაც შეეხება ზოგად თეორიულ ხედვას, გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ზოგადად ინვესტორებისათვის საგადასახადო პოლიტიკის ფაქტორები იკავებენ

ადგილს ბუნებრივი რესურსების, ბაზრის ზომის, გეოგრაფიული მდებარეობის და მაკროეკონომიკური სტაბილურობის შემდეგ.

თეორიული მიდგომით, საზღვარგარეთ ინვესტირება ყოველთვის არის დაკავშირებული გარკვეული რისკის ხარისხთან, ეს რისკი შედარებით მაღალია გარდამავალი ეკონომიკისა და განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკების შემთხვევებში. ამ რისკების ნაწილს შეადგენს საგადასახადო და ფისკალური რეგულირების რისკები. საგადასახადო რეგულირება ხშირად საერთო ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი ვექტორია, რომელსაც აქვს უშუალო გავლენა საინვესტიციო პროექტების მომგებიანობაზე. ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებელთა აზრით, საგადასახადო შედავათებს აქვს წონითი მნიშვნელობა უცხოელი ინვესტორებისათვის. ჩვენი კვლევის ფარგლებში დასმულ შეკითხვაზე თუ რამდენად შეუძლია ლიბერალურ საგადასახადო რეგულირებას გადასწონოს საინვესტიციო გარემოში არსებული სხვა საბაზისო ნაკლოვანებები, გამოკითხულ ინვესტორთა უმრავლესობამ (16-მა 25-დან) უპასუხა, რომ საგადასახადო ფაქტორებს ისინი განიხილავდნენ, როგორც დამატებით ფაქტორს საკუთრების უფლების დაცულობისა და მაკროეკონომიკური სტაბილურობის შემდეგ. გამოკითხულ რესპონდენტთაგან მხოლოდ 8 უპასუხა, რომ ფართოდ ლიბერალურ საგადასახადო პოლიტიკას შეეძლო გადაეწონა საქართველოს საინვესტიციო გარემოში არსებული სხვა პრობლემები.

დიაგრამა 10. როგორ ფიქრობთ შეუძლია თუ არა ლიბერალურ საგადასახადო პოლიტიკას საქართველოში გადაწონოს საინვესტიციო გარემოს სხვა მნიშვნელოვანი პრობლემები ?



რესპონდენტებმა, რომელთაც მიიჩნიეს, რომ საგადასახადო საკითხები იყო მნიშვნელოვანი საინვესტიციო გარემოს შეფასებისათვის საქართველოში, ასევე უპასუხეს რომ საგადასახადო ადმინისტრირების თავისებურებები უფრო მნიშვნელოვანი იყო ვიდრე კანონმდებლობით განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთები. (იხ. ცხრილი 2).

ცხრილი 2. კროს-ტაბულაცია Q1 (რამდენად მნიშვნელოვანია საგადასახადო ფაქტორები საქართველოში ინვესტირების შესახებ გადაწყვტილების მისაღებად) და Q2(შესაძლებელია თუ არა ლიბერალურმა საგადასახადო პოლიტიკამ გადაწონოს საინვესტიციო გარემოს სხვა პრობლემები)

### რესპონდენტთა Q1 რიცხვი

Q 2	არ არის	არც ისე	გარკვეულწილად	მთალიანი
	მნიშვნელოვანი	მნიშვნელოვანი	მნიშვნელოვანი	ჯამი
არა		3	5	8
საგადასახადო	6	3	7	16
პოლიტიკა				
მხოლოდ				
დამატებითი				
ფაქტორია				
დიახ			1	1
მთლიანი ჯამი	6	6	13	25

იმ რესპონდენტებმა, რომელთაც განაცხადეს, რომ საგადასახადო პოლიტიკა „გარკვეულწილად მნიშვნელოვანია“ მიიჩნიეს, რომ საგადასახადო პოლიტიკა ინვესტირების მხოლოდ დამატებითი ფაქტორია. კროს ტაბულაციის შედეგად ვიღებთ, რომ თუ საგადასახადო პოლიტიკას აქვს მნიშვნელობა, ეს მნიშვნელობა ზღვრული მნიშვნელობაა.

როგორც მონაცემთა ანალიზიდან ჩანს, საგადასახადო პოლიტიკას უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება საინვესტიციო გარემოსათვის, როცა მას ვიხილვათ ინსტიტუციონალურ ფაქტორებთან ერთად. ხოლო რაც შეეხება საგადასახადო პოლიტიკის შეპირისპირებას ინვესტირების გ.წ კლასიკურ ფაქტორებთან(ბაზარი,

რესურსები, გეოგრაფიული მდებარეობა და მაკროეკონომიკური სტაბილურობა) მისი მნიშვნელობა იქლებს(მე-3 და მე-6 ადგილები შესაბამისად). როგორც ცალკეულმა უცხოელმა ინვესტორებმა აღნიშნეს, რეფორმება საგადასახადო და ეკონომიკური რეგულირების სფეროში, რომლებიც ფართოდ იქნა ასახული საერთაშორისო კვლევებსა და რეიტინგებში, საქართველოს შეუქმნა ერთგვარი იმიჯი, როგორც უცხოულ ინვესტიციებისათვის ყველაზე დია და ეფექტური საინვესტიციო გარემოს მქონე ქვეყნის. გამომდინარე იქიდან, რომ გამოკითხვები ჩატარდა საქართველოს უმსხვილეს უცხოელ ინვესტორებთან, რომელთაც უკვე ქონდათ საქართველოში საინვესტიციო საქმიანობის გამოცდილება 2005-2012 წლებისათვის, არსებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით მათ უფრო მეტი მნიშვნელობა პრაქტიკაში არსებულ საგადასახადო ადმინისტრირების თავისებურებებს მიანიჭეს, ვიდრე კანონმდებლობით განსაზღვრულ საგადასახადო განაკვეთებს. ამ პერიოდისათვის ასევე უცხოელ ინვესტორთათვის მნიშვნელოვან პრობლემად საკუთრების უფლების დაცულობის საკითხი დასახელდა. მიღებული შედეგებიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვანთ, რომ საქართველოს შემთხვევაში საგადასახადო პოლიტიკი საკითხებს აქვთ ზღვრული მნიშვნელობა ინვესტირების საბაზისო ფაქტორების განხილვის შემდეგ.

### 3.3 პოლიტიკის სრულყოფის მიმართულებები

განხილული მონაცემებისა და ანალიზის შედეგად ვასკვნით, რომ საგადასახადო ფაქტორები საქართველოს საინვესტიციო გარემოსათვის თამაშობს ზღვრულ როლს, ინვესტირების საბაზისო ფაქტორების შემდეგ. გატარებულმა საგადასახადო და ეკონომიკური რეგულირების რეფორმებმა 2000-ან წლებში საქართველოს უცხოელ ინვესტორთა თვალში მოუტანა უცხოური ინვესტიციებისათვის ეფექტიანი საინვესტიციო გარემოს მქონე ქვეყნის იმიჯი, რაც ასევე ასახულ იქნა რიგ საერთაშორისო მოხსენებებსა და რეიტინგებში. საგადასახადო ფაქტორებს შორის კი უცხოური ინვესტიციებისათვის უფრო მნიშვნელოვანი პრაქტიკაში არსებული საგადასახადო რეგულირების თავისებურებებია, ვიდრე კანონმდებლობით განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთები.

მას შემდეგ რაც კვლევის შედეგად, დაგასკვენით რომ საგადასახადო პოლიტიკის საკითხები უცხოურ ინვესტორთათვის თამაშობს ზღვრულ როლს, შეგვიძლია შევაფასოთ საქართველოს საერთაშორისო საგადასახადო პოლიტიკის ეფექტიანობა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ საქართველოს ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებები დადებული აქვს უკვე მსოფლიოს 52-ზე მეტ ქვეყანასთან. ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებებზე მუშაობა საქართველოში 1995 წლიდან დაიწყო ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მოდელზე დაყრდნობით შემუშავდა ვარიანტი - „კონვენცია ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა, შემოსავლებზე და ქონებაზე გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ (სამოდელო ხელშეკრულების ვარიანტ მოცემულია ნაშრომის დანართში)“.

ამჟამად მსოფლიოში არსებობს რიგი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული ე.წ. ტიპიური ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებები მათ შორის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოდელები. ამ მოდელებს სათავე დაუდო ერთა ლიგის მიერ შემუშავებულმა კონვენციამ; აგრეთვე, არსებობს აშშ-ს მოდელი.

ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებების ტიპიური ვარიანტების შემუშავებისთანავე მათი მიზანი იყო ორმაგი დაბეგვრის გამორიცხვა. ამ პრობლემის გადაჭრა მდგომარეობს შემოსავლის მხოლოდ ერთხელ დაბეგვრაში, რასაც მივყავართ ქვეყნებს შორის დაბეგვრის უფლებების განაწილებამდე;

ჩვეულებრივ, ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულება არის ორ ქვეყნას შორის შეთანხმება (ბილატერალური შეთანხმება) ან ორზე მეტ ქვეყნას შორის (მრავალმხრივი შეთანხმება), რომლის მიზნებია:

- ორმაგი დაბეგვრის გამორიცხვა, რაც შეიძლება წარმოიქმნას ქვეყნების მიერ ერთგაიგივე შემოსავალზე გადასახადის დაკისრებით
- დაკისრებული გადასახადების განაწილება ხელშეკრულბაში მონაწილე მთავრობებს შორის
- გადასახადების გადაუხდელობის აღვეთა, საერთაშორისო ტრანზაციების ან ხელშეკრულებით გათვლისწინებული შემთხვევების დროს

ორმაგი დაბეგვრის გამორიცხვა უპირველეს ყოვლისა გამიზნულია გადასახადების გადამხდელებისათვის სარგებლის მოსატანად. მექანიზმი ამ მიზნის მისაღწევად არის დაბეგვრის უფლებების განაწილება ხელშემქრელ სახელმწიფოებს შორის. მეორე მიზანი გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთა გამიზნულია ფისკალური ფუნქციის გაძლიერებისათვის (ე.ი საგადასახადო ორგანოებისათვის).

საერთაშორისო მასშტაბით საგადასახადო საკითხების კოორდინირება ხდება ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მიერ.<sup>92</sup> ამჟამად, ეს ორგანიზაცია გვევლინება ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებების შესწოლის ძირითად ცენტრად. ორგანიზაცია შედგება მხოლოდ 30 წევრი ქვეყნისაგან (იმ ქვეყნების რიცხვთან შედარებით, რომლებსაც აქვთ ორმაგი დაბეგვრის პრობლემები); მათი უმრავლესობა არის დასავლეთის ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნები-კაპიტალის ექსპორტიორები.<sup>93</sup> აქედან გამომდინარე, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის პირველი

<sup>92</sup> ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის სამართალმემკვიდრე 1960 წლიდან

<sup>93</sup> მათგან გამონაკლისია: ჩეხეთი, უნგრეთი, მექსიკა, პოლონეთი, სლოვაკეთი და თურქეთი

ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულების ვარიანტი 1963 წელს ასახავდა ამავე ორგანიზაციის წევრების ინტერესებს-იგი ანიჭებს დაბეგვრის უპირატეს უფლებას რეზიდენტ ქვეყნებს, როგორც ერთა ლიგის ლონდონის ვარიანტი.

იმ დაშვებით, რომ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მოდელი შედგენილია წევრი ქვეყნების ინტერესების დაცვისათვის არ არის გასაკვირი, რომ იგი არ არის მოწონებული ბევრი განვითარებადი ქვეყნების მიერ (განსაკუთრებით კაპიტალის იმპორტიორი ქვეყნების მიერ, რომელთა შორის საქართველოცაა, როგორც კაპიტალის იმპორტიორი ქვეყანა). მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის საწყისი მოდელის წარდგენის შემდეგ მნიშვნელოვანად დაიხვეწა სამოდელო კონვენცია, განვითარებად და განვითარებულ ქვეყნებს შორის დაიდო ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებების უმნიშვნელო ოდენობა.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მოდელის გამოყენების შემთხვევაში ცალსახა უპირატესობას განვითარებული ქვეყნები იღებენ, ვინაიდან წყარო ქვეყნებს უწევთ საგადასახადო შემოსავლებზე უარის თქმა. ეს შედარება გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ როდესაც განვითარებადი ქვეყნები ვაჭრობენ განვითარებულ ქვეყნებთან წმინდა შემოსავალი ჩვეულებრივ გაედინება განვითარებადი ქვეყნებიდან განვითარებულისკენ. ასე, რომ განვითარებადი ქვეყანა გასცემს ზედმეტ ღირებულებას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოდელი ფართოდ გამოიყენება უმეტეს განვითარებულ ქვეყნებში. მისი ცალკეული მუხლები გამოყენებულია განვითარებული ქვეყნების ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებებშიც, განსაკუთრებით თუ ისინი კაპიტალის იმპორტიორნი არიან.

სტანდარტული ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულების სრულყოფის საჭიროებას განაპირობებს ორი ძირითადი ფაქტორი; პირველი-ქვეყნებს შორის არსებული უთანხმოება ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებებში შესაბამისი მუხლების ჩასმის თაობაზე; მეორე- უთანხმოება ორმხრვი ხელშეკრულების ინტერპრეტიორების წესის არჩევაში სასურველი მიზნების მისაღწევად.

სტანდარტული ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულების მიზანია ქვეყნებისათვის სახელმძღვანელო პრინციპების შეთავაზება, რომელთაც სურთ ორმხრივ ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებაში მონაწილეობა; იდეალურ შემთხვევაში-გადასახადების სირთულისა და ე.წ დეკლარირების ხარჯების შემცირება. სტანდარტული მოდელი იხვეწება წევრი ქვეყნების მიერ გამართულ მრავალმხრივ მოლაპარაკებებზე. მაგრამ ეს რეკომენდაციები ატარებენ ნებაყოფლობით ხასიათს და ისინი არ განიხილება სავალდებულოდ ყველა ქვეყნისათვის.

ასე, რომ სტანდარტული ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებების მოდელი არის: მოდელი, რომელსაც ქვეყნებს შორის რეალურად ხელმოწერილი ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებები შეიძლება დაეყრდნოს; ის არის საწყისი ვარიანტი ქვეყნებს შორის მოლაპარაკებების წარმოებისას; მოდელი არ არის სავალდებულო ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ქვეყნებისთვისაც (მაგრამ მისი ავტორები ცდილობენ მის გავრცელებას, რაც შეიძლება მეტ ქვეყანაზე), მოდელის კომენტარების მიხედვით, ბევრი მუხლი შესაძლოა სხვაგვარად იყოს განმარტებული ქვეყნის შიდა კანონმდებობაზე დაყრდობით. მაგალითისათვის განვიხილოთ: მუხლი 13(4) (ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის სტანდარტული მოდელის მიხედვით):

### **13 მუხლი. კაპიტალიდან მოგება**

1. კონკენტრირებული მხარე სახელმწიფოს რეზიდენტის მიერ სხვა სახელმწიფო მდებარე უძრავი ქონების გასხვისებიდან მიღებული შემოსავალი, რომელიც მე-6 მუხლშია განხილული, ამ სხვა სახელმწიფოს მიერ დაიბეჭდება.
2. მოძრავი ქონების გასხვისებიდან მიღებული შემოსავალი, რომელიც მუდმივი დაწესებულების ბიზნეს ქონების ნაწილს წარმოადგენს, რომელიც სხვა წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მდებარეობს, ასეთი მუდმივი დაწესებულების გასხვისებიდან მიღებული შემოსავლის ჩათვლით ამ სხვა სახელმწიფოს მიერ დაიბეჭდება.

3. საერთაშორისო გადაზიდვების განმახორციელებელი გემის ან თვითმფრინავის, ასევე შიდა გადაზიდვების განმახორციელებელი გემების ან ამ გემებისა და თვითმფრინავების ოპერირებასთან დაკავშირებული მოძრავი ქონების გასხვისებისას მიღებული შემოსავალი იმ სახელმწიფოს მიერ დაიბეჭრება, სადაც მმართველი ოფისი (მენჯმენტი) მდებარეობს.
4. შემოსავალი, რომელსაც კონკენციის მხარე სახელმწიფოს რეზიდენტი მიიღებს აქციების გასხვისებიდან, რის შედეგადაც მიღებული მოგება მათი ღირებულების 50%-ს აღემატება და ეს მოგება პირდაპირ ან არაპირაპირ არის მიღებული სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე მდებარე უძრავი ქონებიდან, ამ სხვა სახელმწიფოს მიერ დაიბეჭრება.
5. 1, 2, 3, და 4 პარაგრაფებში ნახსენები ქონების გარდა სხვა საკუთრების გასხვისებიდან მიღებული შემოსავალი იმ სახელმწიფოს მიერ დაიბეჭრება, რომლის რეზიდენტიც არის პირი, რომელმაც ეს საკუთრება გაასხვისა.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მოდელი განმარტავს, რომ „შემოსავლები, რომლებსაც იღებს ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში, მდებარე უძრავი ქონების გასხვისებიდან, როგორც ეს განსაზღვრულია ამ შეთანხმების მე-6 ნაწილში, შეიძლება დაიბეჭროს ამ მეორე სახელმწიფოში“. მაგრამ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მოდელის კომენტარი განმარტავს, რომ რადგან ზოგიერთი ქვეყანა მიიჩნევს, რომ მუხლი 13(4) არ ეხება კომპანიის აქციების გაყიდვის შედეგად მიღებულ შემოსავლებს, კომპანიის რეორგანიზაციის შედეგად გაყიდული აქციებიადნ შემოსავლებს, ან იმ აქციების რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავლებს, რომლებისათვისაც ეს აქციები არის წილი უძრავი ქონებისათვის (მაგ მაღარო, სასტუმრო) ქვეყნები სურვილისამებრ აირჩევენ ერთ-ერთ მათგანს. ამ ერთი მუხლის მაგალითზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მაშინ როდესაც არ არსებობს წინასწარი მოცემულობა, მუხლების განმარტების წინმსწრებ წესზე, ქვეყანას შეუძლია წინასწარი

დათქმები გააკეთოს საკუთარი ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტებიდან გამომდინარე.

ქვეყნებს შორის რატიფიცირებული ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულები შეგვიძლია განვიღინილოთ, როგორც დამატებითი მუხლების კრებული ქვეყნების ეროვნულ საგადასახადო კანონმდებლობებთან ერთად. დაბეგვრის კონვენციები ეფუძნებიან ქვეყნების საგადასახადო კოდექსებს; განსაკუთრებით იმ მუხლებთან მიმართებაში, რომლებიც არეგულირებენ მოცემულ ქვეყანაში არარეზიდენტების საქმიანობის დაბეგვრას. ამდენად, ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულების მიხედვით მოგების დაბეგვრის თავისებურებები უშუალო კავშირშია ქვეყნის საგადასახადო კოდექსის მიხედვით მოგების დაბეგვრის თავისებურებებზე.

მას შემდეგ, რაც ქვეყნის საგადასახადო კოდექსის მიხედვით განისაზღვრება, რომ მოცემულ საწარმოს აქვს შემოსავლის წყარო ქვეყანაში, ხდება დასაბეგრი მოგების ოდენობის განსაზღვრა; ამ მხრივ ქვეყნების საგადასახადო კოდექსები განსხვავდებიან:

- საგადასახადო განაკვეთების
- საგადასახდო გამოქვითვების
- მოგების დაუბეგრავი მინიმუმის
- საგადასახადო შეღავათების მიხედვით

მაგალითად, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით: თავი XXIII მოგების გადასახადი, მუხლი 170 დაბეგვრის ობიექტი 1. საქართველოს საწარმოს მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია დასაბეგრი მოგება. იგი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გადასახადის გადამხდელის ერთობლივ შემოსავალსა და ამ კოდექსით გათვალისწინებულ გამოქვითვებს შორის; მაგრამ ცალკეული ქვეყნების პრაქტიკის მიხედვით მოგების გადასახადი გამოითვლება როგორც პროცენტული წილი მთლიანი შემოსავლებიდან. მაგალითად, არარეზიდენტის სადაზღვეო (ან გადაზიდვის) კომპანიაზე, რომელსაც აქვს წარმომადგენლობა, წყარო ქვეყნის რეზიდენტების მიერ გაწეული მომსახურებიდან. მაგრამ როგორც წინა თავებში ვნახეთ, ხშირ შემთხვევაში შიდა კანონმდებლობის მუხლებათნ შედარებით უპირატესი იურიდიული ძალა ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებების მუხლებს აქვთ.

მუდმივი დაწესებულების არხებობის საჭიროება წყარო ქვეყანაში  
ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მოდელის მე-7  
მუხლი:

### მუხლი 7

#### მოგება ეკონომიკური საქმიანობიდან

1. ხელშემკვრელი სახელმწიფოს საწარმოს მოგება იბეგრება მხოლოდ ამ სახელმწიფოში, თუ ეს საწარმო თავის საქმიანობას მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში არ ახორციელებს იქ განლაგებული მუდმივი დაწესებულების მეშვეობით. თუ საწარმო ამგვარად ახორციელებს საქმიანობას, მაშინ მისი მოგება შეიძლება დაიბეგროს მეორე სახელმწიფოში, მაგრამ მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც მიეკუთვნება ამ მუდმივ დაწესებულებას.

რა არის ტერმინ მოგების მნიშვნელობა, რომელიც გამოიყენება მუხლ 7-ში?

რადგან მოგება არა არის განმარტებული ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მოდელის მე-3 მუხლში, მოგების განმარტებისათვის უნდა მივმართოთ კონკრეტული სახელმწიფოს საგადასახადო კოდექს, სადაც ხორცილებება საქმიანობა.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მიერ გამოცემული კომენტარების მიხედვით მოგებას აქვს ფართო მნიშვნელობა და მოიცავს შემოსავალის ყველა სახეს, რაც მიიღება ეკონომიკური საქმიანობიდან. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მოდელის მუხლი 7(2) ეხება მოგებას, რომლიც მიეკუთვნება მუდმივ დაწესებულებას. ის არ განმარტავს შესაძლო ზარალს, რაც შეიძლება დაკავშირებულ იყოს მუდმივ დაწესებულებასთან. შესაბამისად, მუხლი 7(2) არ გამოიყენება ზარალის წარმოქმნის დროს.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის სამოდელო ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულების ორივე მე-5 და მე-7 მუხლში საუბარია საწარმოს საქმიანობაზე. მიუხედავად იმისა, რომ მუხლი 3(1) C და d

ეხება ტერმინ „საწარმოს“ გამოყენებას, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მოდელში არ გვხვდება თავად საწარმოს განმარტება. ორგანიზაციის კომენტარების მიხედვით ეს ცნება უნდა განისაზღვროს თვით ქვეყნის ეროვნულ საგადასახადო კანონმდებლობაზე დაყრდნობით.<sup>94</sup> მაგ საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით.

ცხადია, საწარმოს განმარტება შეიძლება განსხვავდებოდეს ქვეყნების მიხედვით. ჩვეულებრივ იურიდიული ერთეული უძღვება საწარმოს საქმიანობას და გამოიმუშავებს მოგებას. ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულების მიხედვით, საწარმო ჩვეულებრივ ახორცილებს საქმიანობას და აქს მუდმივი დაწესებულება. ეს მიდგომა მკაცრ იურიდიულ ენაზე ფორმულირებული არაა, მაგრამ ამგვარი მიდგომა დაგვარუნავთ მის მიზანის დაბეგვრის ხელშეკრულების მუხლებში.

### წყარო ქვეყნასთან კავშირი

მუდმივი დაწესებულება იბეგრება განლაგების ქვეყანაში (წყარო ქვეყანაში) ქვეყნის ეკონომიკაში მონაწილეობის ხარისხით გამომდინარე ე.ო. არსებობს კავშირი წყარო ქვეყანასა და მუდმივი დაწესებულების საქმიანობას შორის, რომელიც გამოიმუშავებს დასაბეგრ შემოსავალს.<sup>95</sup> შედეგად, ამ მიზეზით მხოლოდ მუდმივ დაწესებულებასთან დაკავშირებული მოგება იბეგრება. შესაბამისად ის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება ტრანზაქციის შედეგად, ეკონომიკური კავშირების არარსებობით წყარო ქვეყანაში მუდმივი დაწესებულების მეშვეობით, ასეთი მარტივი მომსახურების და პროდუქციის ექსპორტს წყარო ქვეყნაში არ მოყვება დასაბეგრი შემოსავლის წარმოქმნა და შესაბამისად არ დაიბეგრება წყარო ქვეყანაში.

მოგების მიკუთვნება მუდმივი დაწესებულებისათვის

თუ საწარმოს წყარო ქვეყანაში აქს მუდმივი დაწესებულება, დაბეგვრის პირველი უფლება წყარო ქვეყანას გააჩნია. თუ კომპანიის რეზიდენტობის ქვეყანა ბეგრავს მისი რეზიდენტების მთლიან შემოსავალს, მსოფლიო მასშტაბით,

<sup>94</sup> ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის კომენტარი მე-3 მუხლზე პარ 4

<sup>95</sup> ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის კომენტარი მე-7 მუხლზე პარ 7.3

ჩვეულებრივ რეზიდენტობის ქვეყანა გამოქვითავს წყარო ქვეყანაში გადახდილ გადასახადებს, უცხოური საგადასახადო კრედიტის ფორმით.

როდესაც კომპანიას წყარო ქვეყანაში აქვს მუდმივი დაწესებულება მთავარი საკითხია იმ მოგების კვალიფიკაცია, რაც წარმოიქმნება წყარო ქვეყანაში მუდმივ დაწესებულებასთან დაკავშირებით. ამ ოდენობაზე გავლენა ექნება ტრანზაქციებს სათავო ოფისება და მუდმივ დაწესებულებას ან კომპანიის სხვადახვა დანაყოფებს შორის. ამ შემთხვევაში დამოკიდებულება არის უკუკავშირის სახით. მუდმივი დაწესებულების მოგების შემცირება (შესაბამისი მოგების ზრდით სათავო ოფისების სხვა დანაყოფებში ან ასოცირებულ საწარმოების მოგებაში) ამცირებს წყარო ქვეყნის საგადასახადო მოთხოვნას და შესაბამისად ზრდის რეზიდენტობის ქვეყნის საგადასახადო მოთხოვნას (ან სხვა ქვეყნების, რომელთა რეზიდენტებია ასოცირებული საწარმოები). საწინააღმდეგოდ, მუდმივი დაწესებულების მოგების ზრდა (შესაბამისი მოგების დონის შემცირებით სათავო ოფისის სხვა დანაყოფებს ან ასოცირებულ საწარმოების მოგებაში) ზრდის წყარო ქვეყნის საგადასახადო მოთხოვნას და შესაბამისად ამცირებს რ ქვეყნის საგადასახადო მოთხოვნას. (ან სხვა ქვეყნის, რომლის რეზიდენტია ასოცირებული საწარმოები). კომპანია რ-ის მისწრაფება, ჰქონდეს მაღალი ან დაბალი მოგება დამოკიდებულია წყარო ქვეყნის საგადასახადო განკვეთების თანაფარდობაზე. მუდმივი დაწესებულების მოგების მანიპულირება შეიძლება მოხდეს ტრანზაქციის მეშვეობით მუდმივ დაწესებულებასა და სათავო ოფისს, სხვადასხვა დანაყოფს და დაკავშირებულ კომპანიებს შორის (რომლებიც არ არიან წყარო ქვეყნის რეზიდენტები), რათა მოხდეს მოგების ტრანსფერი ან წყარო ქვეყანაში ან მის გარეთ.

მოგების დასაბეგვრი ოდენობის ზრდა რეზიდენტობის და წყარო ქვეყანაში განისაზღვრება თითოეული ქვეყნის ეროვნული საგადასახადო კანონმდებლობით. თუ რ ქვეყანას აქვს რატიფიცირებული ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულება წყარო ქვეყანასთან დასბეგრი მოგების ოდენობა განისაზღვრება ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულების მე-7 მუხლით.

მუხლი 7 აერთიანებს შემდეგ ელემენტებს:

მუდმივი დაწესებულების უპირველესი არსებობა წყარო ქვეყნაში დაბეგვრისათვის, წყარო ქვეყნის მიერ

განცალკევებული ბუღალტრული აღრიცვის მეთოდი მუდმივ დაწესებულებაში  
გაშლილი ხელის პრინციპის გამოყენება  
ხარჯების გამოქვითვა

უწყვეტობა და მდგრადობა მოგების განაწილებაში

შემსყიდვები თვისისადმი მიდგომა

არაპირადპირი მეთოდის გამონაკლისის სახით გამოყენება

მაგ წილადურ პროპორციულ ნაწილებად დაყოფა

მე-7 მუხლის მიხედვით სპეციალური განაწილებითი წესების პრიორიტეტულობა

### **მთავრულობის ძალის პრინციპი**

გაეროს მოდელის მე-7 (1) აფართოებს მოგების ცნებას, რაც უნდა  
დაიბეგროს წყარო ქვეყანაში. გაეროს მოდელის მე-7 მუხლი შეიცავს  
„მიზიდულობის ძალის პრინციპის“ წესს, რომელიც გამიზნულია მუდმივი  
დაწესებულების დაბეგვრისათვის, რომელიც გამიზნულია მუდმივი  
დაწესებულებისათვის მოქნე არარეზიდენტებისათვის წყარო ქვეყანაში-იმ  
ქვეყნისგარეთა ტრანზაქციების დაბეგვრისათვის, რომელიც ხორცილება  
ამ ერთეულის მიერ; გადასახადებისაგან თავის აცილება შესაძლებელია თუ  
დადებული ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულება ეფუძნება ეკონომიკური  
თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მოდელს, რადგან ამ  
შემთხვევაში ტრანზაქციიდან შემოსავალი არ მიეკუთვნება არარეზიდენტის  
მუდმივ დაწესებულებას წყარო ქვეყანაში, როგორც 7(1) ეკონომიკური  
თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მუხლის მიხედვითაა.  
ამგვარი გამორიცხვის არდაშევებისათვის, გაეროს მოდელი ნებას აძლევს  
წყარო ქვეყნას დაბეგვროს როგორც მუდმივი დაწესებულების გაყიდვიდან  
მოგება და ბიზნეს აქტივობები, რაც ხორცილება წაყრო ქვეყნაში და აქვს  
იგივე ამ მსგავსი ხასიათი, მუდმივი დაწესებულების საქმიანობის.

მოზიდულობის ძალის პრინციპი

კონცეფცია, რომლის მიხედვითაც იბეგრება ქვეყნაში მდებარე მუდმივი  
დაწესებულება არა მხოლოდ შემოსავლისა და საკუთრების მიხედვით, მაგარმ  
ასევე ყველა შემოსავლის მიხედვით, რომელიც მიიღება მისი უცხოური სათავო

ოფისის მიერ, აგერთვე სათვაო ოფისის ქონებასან დაკავშირებით, რაც მდებარეობს მუდმივი დაწესებულების განლაგების ქვეყნაში.

გაეროს მოდელის მე-7 მუხლში აღნიშნულია:

საწარმოს მოგება (რ ქვეყანაში) უნდა დაიბეგროს მხოლოდ რ ქვეყანაში თუ საწარმო არ ახორცილებს ბიზნესს (წყარო ქვეყანაში) მუდმივი დაწესებულების მეშვეობით. თუ საწარმო ახორცილებს საქმიანობას მუდმივი დაწესებლების მესევეობით, მაშინ მოგება წყარო ქვეყანაში შეიძლება დაიგებროს შემდეგ ელემენტებზე მიკუთვნების სარისხით:

ამ მხრივ, მე-7(1) პარგრაფ ბ და ც ის მიხედვით მოქმედებს როგორც მაგნიტი. მათ აქვთ მიზიდულობის ძალა-მუდმივი დაწესებულებების მეშვეობით გაყიდული საქონლიდან მიღებული შემოსავალი განიხილება როგორც ამ მუდმივი დაწესებულების მოგება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ საქართველო ყველა ქვეყანასთან დადებულ ხელშეკრულებებში უპირატესად სწორედ ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მოდელს ეყრდნობა. თუ გავააღიზებთ საქართველოში განხორციელებულ პირდაპირ უცხოურ ინვესტიებს ქვეყნების მიხედვით, ბოლო ათწლიანი პერიოდის მანძილზე (იხ. დანართი 5 – ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებები და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები) ვნახავთ, რომ ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებები დადებულია ისეთ ქვეყნებთანაც, საიდანაც საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოსვლა არ ფიქსირდება 2015 წლის ჩათვლით (სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები):

ორმაგი  
დაბეგვრის  
ხელშეკრულების  
გაფორმების წელი

სინგაპური

2010

კატარი

2011

ბაჰრეინი

2012

სან მარინო

2013

სერბეთი

2013

სლოვენია

2013

ქუვეითი

2013

ხორვატია

2013

გვექტიანი ეკონომიკური პოლიტიკის პრაქტიკა გულისხმობს ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებების გაფორმებას, მას შემდეგ რაც ცნობილია მოცემული ქვეყნიდან შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა, სახეობა და ის შესაძლო პრობლემები, საგადასახადო კუთხით, რაც შეიძლება წარმოიშვას ორი სახელმწიფოს ეროვნული საგადასახადო კანონმდებლობების თავისებურებების გამო. შესაბამისად, ამგვარი ხელშეკრულებების წინასწარი გაფორმება უპირატესად ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მოდელის მიხედვით, ერთის მხრივ ნიშნავს, სამომავლო პერიოდისათვის ბიუჯეტის ფისკალური ფუნქციის შესუსტებას, ხოლო მეორეს მხრივ ამგვარ მიდგომას არ აქვს პირდაპირი გავლენა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათა შემოდინებაზე საქართველოში. მაშინ როდესაც, თუ სხვა ქვეყნების შემთხვევას გადავავლებთ თვალს (იხ. დანართი 5), ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებების გაფორმება მოხდა ინვესტიციების შემოდინების 2 წლიანი პერიოდის შემდეგ. აღნიშნულიდან შეგვიძლია დავსაკვნათ, რომ ამ მხრივ არსებული მიდგომა სტიქიური ხასიათისაა და ეს პროცესი გამოკვეთილი და მიზანმიმართული ეკონომიკური პოლიტიკის ხასიათის არ ატარებს.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოდელების გარდა, არსებობს ასევე სხვა ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებების სამოდელო ვარიანტები. უმრავლეს შემთხვევებში, ეს სხვა მოდელები არიან საბაზისო მოდელები, რომლებსაც ქვეყნები, ქვეყანათა ჯგუფები ეყრდნობიან, ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებების დადებისას.

საერთაშორისო ორგანიზაციების გარდა ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებების სტანდარტული მოდელები გააჩნია ცალკეულ ქვეყნებსაც, მაგალითად ამერიკის შეერთებული შტატების სდანდარტული მოდელი. აშშ-

საშემოსავლო გადასახადის კონვენციის მოდელი -1996 არის საფუძველი ყველა აშშ-ს ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებებისათვის. ეს ხელშეკრულებები ასახვს აშშ-ს ინტერესებს, როგორც კაპიტალის ექსპორტიორი ქვეყნის და შესაბამისად აშშ ბეგვრავს მის რეზიდენტებს მთლიან შემოსავლს, ინარჩუნებს მის დაბეგვრის უფლებებს, როგორც რეზიდენტობის ქვეყანა; ხშირად წყარო ქვეყნის დაბეგვრის უფლებების შეზღუდვით;

ასევე, მსოფლიოში არსებობს სხვა ქვეყნების სტანდარტული ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებები, რომლებსაც ეფუძნება ამ ქვეყნების მიერ რატიფიცირებული ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებები. მაგ ხორვატია 1994, მალაიზია 2000, მექსიკა 2000, პერუ 2001, შვედეთი 1998. აშშ-ს მოდელის მსგავსად ეს კონვენციები პოტენციურ პარტნიორებს აფრთხილებენ იმ პოზიციებზე, რაც ქვეყნისთვის არსებითია.

რიგ ქვეყნათა ჯგუფები, რომლებთაც აქვთ საერო რეგიონალური ეკონომიკური და სოციალური მიზნები შეუერთდნენ მრავალმხრივ ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებებს. რომის ხელშეკრულების (1957) მუხლი 220, რომელმაც შექმნა ეკონომიკური გაერთანხება (ამჟამად, ეკონომიკური), იძლევა რეკომენდაციას ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებების რატიფიკაციის დასრულებაზე წევრ ქვეყნებს შორის.<sup>96</sup>

მრავალმხრივი დაბეგვრის ხელშეკრულების მაგალითია „კონვენცია სკანდინავიის ქვეყნებს“ შორის 1996, რომელიც წარმოადგენს ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებას დანიას, ფარერის კუნძულებს, ფინეთის, ისლანდიას, ნორვეგიასა და და შვედეთს შორის. ეს კონვენცია ძირითადად ეფუძნება ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მოდელს. ბუნებრივი რესურსების მოპოვების დიდი მნიშვნელობის გამო ამ ქვეყნებში, სკანდინავიური კონვენცია შეიცავს სპეციალურ მუხლებს, რომლებიც ეხება მუდმივი დაწესებულებების არსებობას ხელშემკვრელ სახელმწიფოებში და უნიკალურ მუხლს-რომელიც არეგულირებს: პიდროკარბონატული ბუდობების დაზვერვას, გამოკვლევასა და ექსპლოატაციას (მუხლი 21).

<sup>96</sup> დღემდე ერთადერთი მრავალმხრივი კონვენცია (რომის ხელშეკრულების მუხლი 220-ის შესაბამისად) არის ეკონომიკური გაერთიანების საარბიტრაჟო შეთანხმება (1990) შ.

მაშასადამე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მსოფლიოს პრაქტიკა ორმაგი დაბერგვის ხელშეკრულებების დადებისას ერთგვაროვანი არ არის. ხელშეკრულების დადების პროცესში სხვადასხვა სტანდარტული მოდელები შესაძლებელია გამოყენებულ იქნას, როგორც საბაზისო ვარიანტი, რომლის მოდიფიცირება შესაძლებელია მოხდეს ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად. ამ მხრივ, საქართველოს მიერ აღებული მიღგომა უნდა ეფუძნებოდეს ეფექტინი ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრულ და გამოკვეთილ მიზნებს, რაც ამ ეტაპზე არსებითად არ არსებობს.

ნახსნები საერთაშორისო ხელშეკრულებების დადებისას მნიშვნელოვანია მათი პრაქტიკაში მოქმედების ეკონომიკური შედეგები. ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებების დადებისას მნიშვნელოვანი საკითხია მათი სამართლებრივი ინტერპრეტირება, მიმართება შიდა კანონმდებლობასთან. ორ ქვეყანას შორის საგადასახადო შეთანხმების გაფორმება საჭიროებს შესაბამის ცვლილებებს შიდა კანონმდებლობაში, რათა გამოირიცხოს შესაძლო საკანონმდებლო წინააღმდეგობები, რაც საბოლოო ჯამში გამიზნულია საერთაშორისო საგადასახადო ურთიერთობების მთავარი მიზნის მისაღწევად – ორმაგი დაბეგვრის გამორიცხვა ინვესტიციათა ხელშეწყობის მიზნით. ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებება უნდა ეფუძნებოდეს და გამომდინარეობდეს ქვეყნის სამართლებრივი სისტემიდან, იყოს ინტეგრირებული მასში. ამგვარი ხელშეკრულებების საერთო სამართლებრივი საფუძველი არის „საერთაშორისო სამართალი”, გამომდინარე იქიდან რომ ეს ხელშეკრულებები ატარებენ საერთაშორისო ხასათოს. ასევე, ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულების ინტერპრეტაციები უნდა ეფუძნებოდეს საერთაშორისო კერძო სამართლისა და შესაბამისი საერთაშორისო კონვენციების წესებსა და პრინციპებს.

მას შემდეგ, რაც უმრავლესობა რატიფიცირებული ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებების დაგფუძნა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოდელებს, ამავე საერთაშორისო ორგანიზაციებმა გამოაქვეყნეს კომენტარები, რათა გაადგილებულიყო შესაბამისი მუხლების სწორი ინტერპრეტირება. კომენტარები ეყრდნობიან იგივე ტერმინოლოგიას, რასაც თვალი ხელშეკრულებები.

როდესაც ერთი სახელმწიფო მეორე სახელმწიფოსთან აფორმებს ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებას, მათ უნდა დანერგონ შიდა სამართლებრივი მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც განხორცილდება ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულების და შიდა კანონმდებლობის ურთიერთშეთანწყობა. ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულების სტატუსი სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვაა შიდა კანონმდებლობასთან მიმართებაში:<sup>97</sup>

1. ზოგიერთ ქვეყანაში ეროვნული კანონმდებლობა საერთაშორისო ხელშეკრულებას აცხადებს ამ ქვეყნის სამართლის ნაწილად (საფრანგეთი, ჰოლანდია, შვეიცარია და სხვა.)
2. სახელმწიფოების მოერე ჯგუფის კანონმდებლობა და სასამარლო პრაქტიკა განასხვავებენ საერთაშორისო სამართლის საშინაო სამართლისაგან (ინგლისი, კანადა)
3. ზოგიერთი ქვეყანა აღიარებს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპების პრიორიტეტს ეროვნულ სამართლზე (გერმანია, იტალია, საბერძნეთი, საფრანგეთი).

ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებები არიან საერთაშორისო შეთანხმებები, რომლებიც საერთაშორისო სამართლის მიზნების შესაბამისად ძალაში შედის ორივე ხელშემკვრელი სახელმწიფოს თანხმობის შედეგად. ეს ხელშეკრულებები უფრო მნიშვნელოვანი ვენის<sup>98</sup> სახელშეკრულებო სამართლის კონვენციას, რომელიც უმეტესი ნაწილით აყალიბებს საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის ნორმებს. ამასთან, რადგან რომ საგადასახადო შეთანხმებები გამოიყენება ეროვნული კომპეტენტური ორგანოების მიერ. ეს საჭიროებს თითოეული ქვეყნის მიერ მის რატიფიცირებას. გამომდინარე კანონქვემდებარე აქტებმა შეიძლება შეზღუდოს ამ ხელშეკრულების მოქმედების არეალი ან გახადოს იგი შიდა გამოყენების, მაგრამ ის ნაწილი, რაც დაკავშირებულია ხელშეკრულების საერთაშორისო ასპექტებთან ამგვარი კანონქვემდებარე აქტების ზეგავლენას არ

<sup>97</sup> ალექსიძე, ლ. თანამედროვე საერთაშორისო სამართლი, ლექსიკონი-ცნობარი / [ავტ.: ლ. ალექსიძე, ლ. გიორგაძე, ზ. დავითაშვილი და სხვ.] - თბ.: თბილ. უნ-ტის გამ-ბა : ჯისია, 2003 გვ254

<sup>98</sup> ამ კონვენციის სრული ტექსტი ხელმისაწვდომია:

[http://untreaty.un.org/ilc/texts/instruments/english/conventions/1\\_1\\_1969.pdf](http://untreaty.un.org/ilc/texts/instruments/english/conventions/1_1_1969.pdf)

განიცდის. ცალკეულ დებულებებს შიდა კანომდებლობასთან შედარებით აქვს უპირატესი ძალა. ვენის კონვენციის 27-ე მუხლის მიხედვით საერთაშორისო ხელშეკრულების მონაწილეს არ შეუძლია მიუთითოს თავისი საშინაო სამართლის დებულებებს მის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამართლებისათვის.

აშშ-ს სტანდარტული ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულების პირველი მუხლი (ზოგადი საზღვრები) განსაზღვრავს სუბორდინაციას ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებასა და ეროვნულ კანომდებლობას შორის. კერძოდ, იგი ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებას განიხილავს შიდა კანომდებლობის ობიექტად, კერძოდ მუხლი 1(2)-ში აღნიშნულია:

ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულება არ უნდა იყოს შეზღუდული რაიმე გზით ან რაიმეს მეშვეობით: რომელიმე ხელშემკვრელი სახელმწიფოს კანონებით ან ხელშემკვრელ სახელმწიფოებს შორის რაიმე სხვა შეთანხმებით. მუხლი 3(3) აზუსტებს შემთხვევებს, როცა ხდება ზემოთა დებულებიდან გადახვევა მხოლოდ სახელმწიფოთა შორის ორმხრივი შეთანხმების პროცედურით.

ჩვეულებრივ, შიდა კანონმდებლობის ტერმინების ინტერპრეტირება ეყრდნობა თვით ამავე კანონში მოცემულ განმარტებებს და ამა თუ იმ მუხლიდან გამომდინარე კონტექსტუალურ ინტერპრეტირებას. ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებებს ამ მხრივ გააჩნიათ რიგი თავისებურებები:

- ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებაში მონაწილეობს ორი ქვეყანა (როგორც ზემოთ აღინიშნა არსებობს ასევე, მრავალმხრივი საგადასახადო შეთანხმებები), შესაბამისად ტერმინთა განმარტებისას ორივე სახელმწიფოს მიერ მოცემული განმარტებები უნდა იქნეს გათვალისწინებული
- ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულება მოიცავს ურთიერთობათა უფრო ფართო სფეროს, ვიდრე შიდა კანონმდებლობა. ხელშეკრულები ფუნქციონირებენ ორ დონეზე. პირველი, ისინი არიან შეთანხმებები ორ სახელმწიფოს შორის (დაბეგვრის უფლების განაწილების შესახებ) და მეორე ისინი გამოიყენება გადასახადის სუბიექტების მიერ საკუთარ მთავრობასთან (ეროვნულ საგადასახადო ორგანოებთან) კონფლიქტის დროს.

- ხშირად, ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებებში გამოიყენება ისეთი ტერმინები, რაც იშვიათად გვხვდება ქვეყნების შიდა კანონმდებლობაში. მაგ. ტერმინი „საწარმო” ხშირად გამოიყენება ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებებში, მაგრამ არ გვხვდება ზოგიერთი ქვეყნის შიდა კანონმდებლობაში. (განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც ჩვეულებრივი(ტრადიციული) სამართლის სისტემებია)
- ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებები არ აწესებენ გადასახადებს პირებზე. ისინი აწესებენ გადასახადებისაგან გათავისფლებას.
- ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებების ინტერპრეტირება უმეტესწილად ხდება ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის კომენტარებზე დაყრდნობით, როლებიც არ არის ქვეყნისშიგა საკანონმდებლო კომენტარების ანალოგი.

ვენის კონვენციის მე-3 ნაწილი (მუხლი 31 და 32) ეხება ხელშეკრულებების ინტერპრეტაციას. ასევე, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მოდელის დამატებითი მუხლი 3(2) ეხება ტერმინთა განმარტებებს.

ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებების ინტერპრეტაცია, სხვა კონვენციების მსგავსად, ეფუძნება საერთაშორისო სამართლის წესებს ვენის კონვენციის მიხედვით. ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებები არიან საერთაშორისო შეთანხმებები, რომლებიც ვენის კონვენციის ძირითად დებულებებზე დაყრდნობით უნდა განიმარტოს. განსაკუთრებით, ეს ეხება იმ ქვეყნებს, რომლებიც არიან ვენის კონეგნციის ხელმომწერები. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, ვენის კონვენცია ეხება იმ ქვეყნების ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებების ინტერპრეტირებას, რომლებიც არიან ვენის კონვენციის ხელმომწერები მხარეები.

მაგრამ მნიშვნელოვანია, თუ როგორი მიღება უნდა გამოიყენონ იმ ქვეყნებმა რომლებიც არ არაინ ვენის კონვენციის ხელმომწერები? რა პრინციპებს უნდა დაყრდნონ ეს ქვეყნები ხელშეკრულების ინტერპრეტირებასას? რადგან ვენის კონვენციის 31-ე მუხლი და 32-ე მუხლი ასახავს კონვენციების ინტერპრეტირების აღიარებულ საერთაშორისო პრინციებს, ქვეყნები უნდა დაეყრდნონ (ან უმჯობესია დაყრდნონ) საერთაშორისო სამართლის პრინციპებს. ვენის კონვენცია მოიცავს ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულების

ინტერპრეტირებას მიუხედავად იმისა, რომ ერთი ან ორივე ხელშემკვრელი მხარეები არ არიან კონვენციის ხელმომწერები ან ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულება დადებულია ვენის კონვენციამდე ადრე, 1969 წლამდე.

აქედან გამომდინარე ქვეყნის შიდა კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს იმ ფაქტს, რომ ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულება-მისი რატიფიცირება და მათი ინტერპრეტირება არის საგანი საერთაშორისო კონვენციების. საბაზისო ინტერპრეტაციების მუხლი არის ვენის კონვენციის 31-ე მუხლი.

ვენის კონვენციიდან ჩვენთვის საინტერესოა მუხლები 31(4) და მუხლი 32. 31-ე მუხლის მიხედვით ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულება „განმარტებულ უნდა იყოს ტერმინების ჩვეულებრივი გაგების შესაბამისად; კონტექტის შესაბამისად, მისი ობიექტისა და მიზნების მიხედვით.“

რა არის ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულების ტერმინების კონტექსტი? ვენის კონვენციის 31-ე მუხლის მიხედვით (ინტერპრეტირების ზოგადი წესი) კონტექსტი მოიცავს:

- თავად ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულების ტექსტს, პრეამბულას, დამატებებს, მაგ: წინასწარი შეთანხმება, რომელიც აყალიბებს წინაპირობებს ორამაგი დაბეგვრის ხელშეკრულების ხელმოსაწერად.
- მხარეთა შორის შეთანხმება ორმაგი დაბეგვრის დებულებების შესაბამისად; მაგ. წერილების გაცვლა ხელშემკვრელ სახელმწიფოთა შორის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, რომლებიც ჩვეულებრივ განმარტავს ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულების დებულებას.
- სამართლებრივი ინსტრუმენტი, რომელიც შემუშავებულ იქნება ერთი მხარის მიერ ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულების შესაბამისად და ეს ინსტრუმენტები მოწონებულია მეორე მხარის მიერ. ამგვარი ინსტრუმენტის მაგალითია, აშშ-ს ხაზინის მიერ გამოშვებული განმარტებითი მემორანდუმი მისი ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულების დადების შემდეგ, რომელიც ადგენს აშშ-ს ხელშეკრულების მუხლების ინტერპრეტირებას.

„კონტექსტი“ ამ გაგებით არ მოიცავს ლიტერტურის ფართო ჩამონათვალს, რომელიც შეიძლება იყოს რელევანტური სიტყვათა ჩვეულებრივი მნიშვნელობის განსასაზღვრად. (იმ ტერმინების, რაც გამოყენებლია ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებაში). მუხლი 31(3)-ის მიხედვით, ჩვენ ვიღებთ კონტექსტურ მნიშვნელობასთან ერთად ე.ი. გარე და დამატებით განსაზღვრამდე კონტექტის:

- მომდევნო შეთანხმებებს ხელშემკვრელ სახელმწიფოებს შორის ორმაგი დაბეგვრის ინტერპრეტაციების ჩათვლით
- ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებების მომდევნო პრაქტიკულ აპრობაციას, რომლებიც ამჟარებს შეთანხმებას ხელშემკვრელ სახელმწიფოებს შორის ორმაგი დაბეგვრის ინტერპრეტაციების დაცვით
- საერთაშორისო სამართლის კანონები, რომლებიც გამოიყენება ხელშემკვერლ სახელმწიფოებს შორის.

ეს მნიშვნელობები შეიძლება ჩაითვალოს, როგორც ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებების ტერმინების მნიშვნელობების საკითხის „შიდა გადაჭრა“; ასევე, ისინი თავისთავად არიან დაკავშირებული სპეციალურ ორმხრივ(ან მრავალმხრივ) ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებასთან, რომ შევაჯამოთ, მუხლი 31(1) და 31(3) უფრო მეტად არის მიმართული ტერმინის „ჩვეულებრივი მნიშვნელობის“ დამკვიდრებაზე, ვიდრე ვიწროდ განსაზღვრულ კონტექსტზე.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მოდელის 3(2) მუხლი განმარტავს- თუ როგორ უნდა იქნეს გაგებული ორმაგი დაბეგვვრის ხელშეკრულებაში მოცემული ტერმინები; მაგრამ ეს მუხლი არ ახსენებს ვენის კონვენციას; მუხლი 3.2 ის მიხედვით<sup>99</sup>:

„ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ ამ შეთანხმების გამოყენების დროს ნებისმიერ ტერმინს, რომელიც არ არის მასში განსაზღვრული, ექნება ის მნიშვნელობა, რაც მას ენიჭება ამ დროს ამ სახელმწიფოს კანონმდებლობით იმ გადასახადების მიმართ, რომლებზეც ვრცელდება ეს შეთანხმება, თუ კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. ხელშემკვრელი სახელმწიფოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებული ტერმინების განსაზღვრებებს

<sup>99</sup> MODEL TAX CONVENTION ON INCOME AND ON CAPITAL, OECD COMMITTEE ON FISCAL AFFAIRS PARIS.2005 p21

უპირატესობა ენიჭებათ იმ განსაზღვრებებთან მიმართებაში, რომლებიც მათ გააჩნიათ ამ სახელმწიფოს სხვა კანონებით”.

რეზიდენტობისა და წყაროს მიხედვით დაბეგვრის პრინციპები პრაქტიკაში არ ქმნიან წინააღმდეგობას, როცა ხდება მათი ცალმხრივი გამოყენება, ანუ მხოლოდ ერთ ქვეყანა იყენებს აღნიშნული პრინციპებიდან მხოლოდ ერთს ან უკიდურეს შემთხვევაში გადასახადის სუბიექტი არ არის ჩაბმული ქვეყანათაშორის ეკონომიკურ საქმიანობაში. კონფლიქტს განაპირობებს წყარო ქვეყნისა და რეზიდენტი ქვეყნის მიერ ერთი ან მეორე, ან ორივე პრინციპის გამოიყენება შიგა საგადასახადო კანონმდებლობაში. შედეგად, გადასახადის სუბიექტი შეიძლება დაიბეგროს ორჯერ – იგივე შემოსავალზე ერთზე მეტ ქვეყანაში. ეს შემთხვევა ცნობილია, როგორც იურიდიული ორმაგი დაბეგვრა. აქ საკითხი დგას დაბეგვრის სუბიექტის განმეორებით დაბეგვრაზე.<sup>100</sup>

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ფისკალურ საკითხთა კომიტეტი თავის სტანდარტულ ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულების შესავალში აღნიშნავს:

საერთაშორისო იურიდიული ორმაგი დაბეგვრა ზოგადად შეიძლება განისაზღვროს, როგორც შესადარი გადასახადების დაწესება ორი ან მეტი ქვეყნის მიერ, ერთიდაიგივე გადასახადის გადამხდელის ერთიდაიგივე ობიექტზე იდენტური პერიოდისათვის. ორმაგი დაბეგვრის ნეგატიური გავლენა საქონლისა და მომსახურების გაცვლასა და კაპიტალის, ტექნოლოგიების, პირების გადაადგილებაზე საყოველთაოდ ცნობილია და აღიარებულია იმდენად, რომ ორმაგი დაბეგვრის ბარიერების დაძლევის აუცილებლობა ეჭვს არ იწვევს ქვეყანათა შორის ეკონომიკური ურთიერთობის განვითარების მიმართულებით<sup>101</sup>.

იურიდიული ორმაგი დაბეგვრა წარმოიშობა სამი სახის კონფლიქტის (კოლიზიის) შედეგად:

1) წყარო – წყაროსთან კონფლიქტი

2) რეზიდენტი – რეზიდენტთან კონფლიქტი

<sup>100</sup> განსხვავებით „ეკონომიკური ორმაგი დაბეგვრისაგან”, რომლის დროსაც ერთი და იგივე შემოსავლი(დაბეგვრის ობიექტი) იბეგრება ორჯერ, მაგრამ განსხვავებლი მფლობელის ხელში

<sup>101</sup> OCED Committee On Fiscal Affairs, Model Tax Convention On Income And Capital, Paris: OECD 2003 გვ 7

### 3) წყარო- რეზიდენტთან კონფლიქტი

წყარო-წყაროსთან კონფლიქტის დროს ორივე ქვეყანა ამტკიცებს, რომ მათივე შიდა კანონმდებლობის შესაბამისად გადასახადის გადამხდელის შემოსავლის წყარო თავის ქვეყანაშია. თითოეული ქვეყანა მიიჩნევს, რომ მას აქვს იურიდიული უფლება დააკისროს გადასახადი, რაც დავის გამომწვევია. შედეგად, გადასახადის სუბიექტი იბეგრება ორჯერ: პირველი ქვეყანაში, რომელიც მიიჩნევს, რომ იმავე შემოსავლის წყარო მის ქვეყანაშია. მაგალითად, A ქვეყნის შიდა კანონმდებლობის მიხედვით შემოსავალი საზღვაო გადაზიდვების ოპერაციებიდან ითვლება A ქვეყანაში წყაროს მქონედ, თუ გემი იღებს შემოსავალს მის ტერიტორიულ წყლებში ცურვით, ამავე დროს B ქვეყნის შიდა კანონმდებლობა ასევე მიიჩნევს, რომ შემოსავალი გემთგადაზიდვების ოპერაციებიდან მიიჩნევა ამ ქვეყანაში წყაროს მქონედ, თუ ტვირთის ან მგზავრების ჩასხდომა (ჩატვირთვა) ხდება ამ ქვეყანაში.

რეზიდენტი – რეზიდენტთან კონფლიქტის შემთხვევაში ორივე ქვეყანა ამტკიცებს, რომ გადასახადის გადამხდელი მისი რეზიდენტია. ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს „ორმაგ რეზიდენტობასთან“. მაგალითად, უნგრეთმა შეიძლება მიიჩნიოს კომპანია რეზიდენტად შიდა კანონმდებლობის მიხედვით (დაფუძნების ადგილის მიხედვით) და ასევე პოლონეთმა თავისი საგადასახადო მიზნებისათვის მიიჩნიოს იგივე კომპანია პოლონეთის რეზიდენტად, რადგან აღნიშნულ კომპანიას მართვის ოფისი აქვს პოლონეთში. ორივე ქვეყანა ამტკიცებს, რომ მას აქვს უფლება დააკისროს გადასახადი მთლიან შემოსავალზე. შედეგად, გადასახადის გადამხდელი იბეგრება ორჯერ: პირველი ქვეყანასთან, რომელიც ამტკიცებს სუბიექტის რეზიდენტობას მის ქვეყანაში, მეორედ მეორე ქვეყანასთან, როცა ეს უკანასკნელიც იგივეს ამტკიცებს.

წყარო-რეზიდენტის კონფლიქტი არის ყველაზე ხშირი კონფლიქტი საერთაშორისო დაბეგვრაში, რომლის დროსაც პირველი ქვეყანა ამტკიცებს, რომ მან უნდა დაბეგროს, რადგან პირი მისი რეზიდენტია; მეორე ქვეყანა დაბეგვრის უფლებას იტოვებს შემოსავლის საფუძველზე. მაგალითად, რეზიდენტობის ქვეყანა შეიძლება ამტკიცებდეს თავის უფლებას დაბეგროს შიდა კანონმდებლობის მიხედვით საბანკო კორპორაცია რეზიდენტობის საფუძველზე, მაშინ როდესაც წყარო ქვეყანა ასევე ამტკიცებდეს მის უფლებას დაბეგროს

იგივე კორპორაცია მისი ფილაილის გამო; შედეგად, ბანკის ფილიალის შემოსავლი იბეგრება ორჯერ: ერთხელ წყარო ქვეყნაში და მეორედ რეზიდენტობის ქვეყნაში, როგორც მთლიანი შემოსავლის უცხოური ნაწილი.

იურიდიული ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილება პოტენციურად შესაძლებელია. დავუშვათ დიდი ბრიტანეთის რეზიდენტი კომპანია ახორცილებს ნავთობის მოპოვებას ვენესუელაში. როგორც დიდ ბრიტანეთის რეზიდენტი იგი დაიბეგრება 30%-ით დიდ ბრიტანეთში; (როგორც მთლიანი შემოსავლის უცხოური ნაწილი). ვენესუელა აწესებს გადასახადს 34%-ს უცხოური კომპანიის მოგებაზე. თუ კომპანია მიიღებს მოგებას ვენესუელები 1 მილ. ის იხდის 340.000 ვენესუელაში და 300000 დიდ ბრიტანეთში. ეფექტური საგადასახადო განაკვეთი 64%-ია. (ორმაგი დაბეგვრის არსებობის პირობებში). თუ შესაბამისი საგადასახადო განაკვეთი 100%-ს აჭარბებს ცხადია, ამგვარი ორმაგი დაბეგვრის არსებობის პირობებში რაციონალური ბიზნესმენი არ მიიღებს მონაწილეობას მსგავს ბიზნესში, რაც შეამცირებს ორივე ქვეყნის კეთილდღეობას. აქედან გამომდინარე საჭიროა გარკველი მექანიზმების დანერგვა, რაც გააუქმებს (ანდა შეასუსტებს) იურიდიული ორმაგი დაბეგვრის შედეგებს; თუ ქვეყანთშორისი საქმიანობა მიჩნეულია რესურსების ოპტიმალური განლაგების საფუძვლად.

ასეთ შემთხვევაში, გათავისუფლება დაფუძნებულია საერთაშორისო მიდგომაზე (და პრაქტიკულ რელობაზე-დაბეგვრის უპირატესი უფლება აქვს წყარო ქვეყნას, ჩვეულებრივ გათავისუფლება უფრო მეტად მოსალონელია რეზიდენტი ქვეყნისაგან). მესამესაგან განსხვავებით პირველი ორი მეთოდი იწვევს იურიდიული ორმაგი დაბეგვრისგან სრულ გათავისუფლებას.

გათავისუფლების მეთოდის გამოყენებისას ქვეყნის (R ქვეყნის) რეზიდენტები იბეგრებიან მხოლოდ ქვეყნისშიდა შემოსავლებზე ე.ი იმ შემოსავალზე, რომელიც მიიღება R ქვეყნაში. ქვეყანა არ ბეგრავს უცხო წყაროს მქონე შემოსავლს. ეს მეთოდი მთლიანდ გამორიცხავს წყარო-რეზიდენტის კონფლიქტს.

მთლიანი გათავისუფლების<sup>102</sup> მეთოდი გამორიცხავს უცხო წყაროს მქონე შემოსავლს ქვეყანა R-ის საგადასახადო ბაზიდან და საგადასახადო

<sup>102</sup> გათავისუფლების მეთოდი წინააღმდეგობაში მოდის საერთაშორისო საგადასახადო პოლიტიკის გვექტიანობის პრინციპთან-კაპიტალის ექსორტის ნეიტრალურობასთან-ე.ი ქვეყანა R-ში უნდა იბეგრებოდეს

გამოთვლებიდან ერთობლივად. ქვეყანა R-ის საგადასახადო განაკვეთი ეხება მხოლოდ შიდა წყაროს მქონე შემოსავლებს. ხდება შიდა და გარე წყაროების მქონე შემოსავლების მკვეთრი დიფერენციაცია საგადასახადო მიზნებისათვის.

ე.ი თუ ტერმინი არა არის განმარტებული ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებაში ჩვენ გეყრდნობით შიდა სამართალს (პრეცედენტული, ჩვეულებრივი, რომელიც არის ქვეყანაში). მნიშვნელობა, რომელსაც ქვეყნის შიდა კანონმდებლობა გვთავაზობს, უშვებს სხვა ქვეყნის მიერ იგივე ტერმინის სხვაგვარ განმარტებას. ამასთან, ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებების მიზნების შესაბამისად უპირატესობა საგადასახადო კოდექსებში მოცემულ განმარტებებს ენიჭება. (მიუხედავად ამისა ზოგიერთი ქვეყანა თავიანთ ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებაში არ აფიქსირებს შიდა კანონმდებლობასთან მიმართებას-მაგ: რუსეთსა და უნგრეთს შორის შეთანხმება).

მაგრამ მუხლი 3.2 დაკავშირებულია ორ პრობლემასთან:

როგორ უთავსდება ის ვენის კონვენციის მოთხოვნებს, სხვა სიტყვებით რა ხარსიხით უნდა იქნეს გამოყენებული ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის კომენტარი ორმაგი დაგებრის ხელშეკრულების ინტერპრეტირებისას?

შიდა კანონმდებლობასთან მიმართებაში, 3.2 მუხლის მიხედვით, ეფუძნება სტატიკურ თუ ცვალებად ინტერპრეტირებას?

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ფისკალურ საკითხთა კომიტეტის მიხედვით-კომენტარები შეიძლება აღმოჩნდეს დიდი პრაქტიკული დახმარება ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებების ინტერპრეტირებისას-განსაკუთრებით, რაიმე დავის გადაჭრისას; ასევე კომიტეტი მიიჩნევს, რომ კომენტარები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საერთაშორისო ფისკალური სამართლის განვითარებისათვის.

---

ყველა შემოსავალი თანაბრად, მიუხედვად წყაროსა. ეს ნიშნავს, რომ ქვეყნის საგადასახადო სისტემა ნეიტრალურია საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიმართ. კაპიტალის ექსპორტის ნეიტრალურობის პრინციპის არარსებობა ნიშნავს, რომ გათავისუფლების მეთოდი არ არის ორმაგი დაბეგვრის საფუძველი უმრავლეს ქვეყნებში.

ვენის კონვენციებთან მიმართებაში, კომიტეტის აზრით არსებობს ორი მთავარი პრობლემა:

1. რთულია კომენტარის მორგება „კონტექსტის სპეციფიკურ მნიშვნელობებთან მუხლი 31.2 ან კონტექტის გამორიცხვა ვენის კონვენციის 31.3 მუხლში;
2. კომენტარების სტატუსი ბუნდოვანია თუ:

- დაბეგგრის ხელშეკრულება თარიღდება კომენტარებამდე
- ერთი (ან ორივე) სახელმწიფო არ არის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრი(შესაბამისად, არ შეუტანია წვლილი ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის კომენტარების მომზადებაში).

პირველ შენიშვნასთან მიმართებაში, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის კომენტარი არ არის: ორმაგი დაბეგგრის ხელშეკრულების ნაწილი. შეთანხმება ქვეყნებს შორის არ არის კავშირში ორმაგი დაბეგგრის შედეგებთან-ინსტრუმენტი ორ ქვეყნას შორის ორმაგი დაბეგგრის ხელშეკრულების დადებისას.

უფრო მეტიც ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის კომენტარი არ არის საშედეგო შეთანხმება ხელშემკვრელ სახელმწიფოებს შორის, ან საერთაშორისო სამართლის გამოყენებადი ნაწილი, რომელიც მიღებულ უნდა იქნეს კონტექსტის ერთად.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის კომენტარი მიჩნეულ უნდა იქნას, როგორც დამატებითი საშუალება ინტერპრეტაციისათვის 32-ე მუხლის გასაფართოებლად, იმ შემთხვევაში, როცა მისი გამოყენება მკაცრად დადგენილია: კომენტარი შეიძლება მხოლოდ გამოყენებულ იქნას უგვე არსებული მნიშვნელობის დასადგენად-გაუგებრობის, ბუნდოვანების შესამცირებლად;

აგრეთვე საკამათოა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის კომენტარის გამოყენება-ვენის კონვენციის 31(3)ბ მუხლების მიხედვით.

ამასთან, ზემოთ აღნიშნული წინააღმდეგობები შეიძლება გადაიჭრას „ზოგადი ინტერპრეტაციის პრინციპის” გამოყენებით. ეს პრინციპი გულისხმობს, ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულების ინტერპრეტირება ხდება ერთანირად ორივე სახელმწიფოში, რათა თავიდან იქნეს აცილებული ორმაგი დაბეგვრა და დაბეგვრის არარსებობა. ორმხრივი შეთანხმებების პროცედურა, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მოდელის 25-ე მუხლის მიხედვით გამიზნულია ამგვარი მიდგომის დანერგვისათვის.

პრაქტიკაში ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მოდელი გამოიყენება ვენის კონვენციასთან შეუთანხმებლობის მიუხედავად. ეს ხდება შემდეგი გარემოებების გამო:

- კომენტარები და მოდელი არის საფუძველი ასობით ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულების და შესაბამისად, მათი უგულვებელყოფა რთულია
- ხშირად არის ერთადერთი საშუალება ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებების მუხლების განსამარტივად
- ხელს უწყობს საერთაშორისო საგადასახადო სამართლის ძირითადი სტრუქტურის ჩამოყალიბებას
- ხელს უწყობს ორმაგი დაბეგვრის აღმოფხვრასა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთას
- ქმნის სტაბილურობასა და სიცხადეს გადასახადის სუბიექტებისა და საგადასახადო აღმინისტრაციისათვის

ქვეყნები, რომელთა სასამართლოებმა მიმართეს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის კომენტარებს ტერმინთა მნიშვნელობს დასაზუსტებლად შემდეგია: ავსტრია, ავსტრალია, კანადა, დანია, გერმანია, ახალი ზელანდია, ნორვეგია, შვეიცარია, გაერთიანებული სამეფო და აშშ.

ცალკეული ქვეყნები თანხმდებიან ურთიერთშორის თუ როგორ მოხდეს მათი ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულების ინტერპრეტირება ვენის კონვენციის და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მდელის 3(2) მუხლებთან მიმართებაში; მაგ: აშშ-ს და ავსტრია შევიდნენ ურთიერთგაგების მემორანდუმში 1996-ში, რაც მოყვა ავსტრია აშშ-ს ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებას. მემორანდუმი საშულებას იძლევა მიმართონ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის კომენტარებს, ცალკელი გამონაკლისების დაშვებით.

როგორც ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარებისა ორგანიზაციის სტანდარტული ხელშეკრულების 3.2 მუხლშია აღნიშნული ტერმინები, რომლებიც არ არის უშუალოდ ხელშეკრულებაში განმარტებული ექნება ის მნიშვნელობა, რაც აქვს მას ამ დროს, ამავე სახელმწიფოს კანონმდებლობით. მაგრამ მნიშვნელვანია თუ რომელი ინტერპრეტაცია უნდა იქნეს მიღებული-ის რაც ჰქონდა ტერმინს ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულების დადებისას თუ მიმდინარე მნიშვნელობა, როცა ხდება მუხლის პრაქტიკული გამოყენება.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ფისკალურ საკითხთა კომიტეტის მიხედვით უმჯობესია გამოყენებლ იქნას მიმდანრე ინტერპრეტაცია .სტატიკური ინტერპრეტაცია ნიშნავს, რომ ტერმინს აქვს ის მნიშვნელობა, რაც მას ჰქონდა შიდა კანონების მიხედვით ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულების გაფორმებისას, ამასთან, როდესაც ამ ტერმინის შემცველი მუხლი ფაქტობრივად გამოიყენება შეიძლება მას უავა შეცვლილი ჰქონდეს თავისი პირვანდელი საკანონმდებლო მნიშვნელობა.

სტატიკური ინტერპრეტაციისაგან განსხვავებით, მიმდინარე ინტერპრეტაცია გულისხმობს იმ მნიშვნელობის მიღებას, რაც მას აქვს იმ მიმდინარე პერიოდში შიდა კანონმდებლობის მიხედვით. ე.ი იგი მიყვება კანონის ცვლილებებს.

მიმდინარე ინტერპრეტაციის მიღების დადებითი მხარეა ის, რომ ამ შემთხვევაში ტერმინის მნიშვნელობის ცვლილება არ საჭიროებს ხელახალ მოლაპარაკებას ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულების შესაცავლელად. ამ მიღების უარყოფითი მხარეა ის, რომ ერთმა სახელმწიფომ შეიძლება ისარგებლოს ცალმხრივად, რაც შეიძლება არ შედოდეს მეორე სახელმწიფოს

ინტერესებში, რასაც შედეგად მოყვება ხელახალი მოლაპარაკებები ან გამოიწვიოს ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულების შეჩერება.

ამასთან ინტერპრეტირების საკითხები ხდება კომპლექსური ვინაიდან, ბოლო 30 წლის მნაძილზე მიღებულ იქნა მარავალი ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულება.


სტანდარტული ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებები გამოიყენება მთავრობების მიერ რათა მათ საფუძველზე შედგეს რეალურად რატიფიცირებული ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებები. როგორც ზემოთ აღინიშნა მსოფლიო პრაქტიკაში არსებობს სხვადასხვა სტანდარტული ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებები, მაგრამ მიუხედავად ამისა ისინი საერთო ჯამში მიყვებიან ერთნაირ სტრუქტურას, განაწილების წესებს, გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის ღონისძიებებსა და პროცედურულ შინაარს. მათ შორის განსხვავებები შეიძლება დაყვანლ იქნას დაბეგვრის უფლებების განაწილებაზე ცალკეული მუხლების მიხედვით შემოსავლების სხვადასხვა ტიპებიდან გამომდინარე.

სტანდარტული ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულების ტერმინების ფართო მნიშვნელობის ილუსტრირებისათვის ავიდოთ „საერთაშორისო გადაზიდვა”, რომელიც გულისხმობს არა მარტო ქვეყნებს შორის გადაზიდვებს, არამედ შიდა გადაზიდვებსაც ხელშემკვრელი სახელმწიფოს საზღვრებში. ეს ნებას აძლევს საზღვაო სახელმწიფოს, რომელშიც ეფექტური მართვის ადგილია განთავსებული (საზღვაო, საპარაზო ტრანსპორტის კომპანია), დაბეგვროს მთელი გადაზიდვის შემოსავალი საზღვაო სახელმწიფოდან წყარო ქვეყანამდე. ამ შემთხვევაში გადაზიდვის ორივე ნაწილი არის საერთაშორისო გადაზიდვა, იმისდა მიუხედავად, რომ გადაზიდვის მეორე ნაწილი წყარო ქვეყანაში განხორციელდა.

იურიდიული ორმაგი დაბეგვრის გამორიცხვისათვის სტანდარტულ ხელშეკრულებებში ხდება შემოსავლების კლასიფიკაცია და შესაბამის ტიპთან მიმართებაში დაბეგვრის უფლებების განაწილება წყარო ან რეზიდენტობის ქვეყნის მიმართ. კლასიფიკაცია წარმოდგენილია თვით ხელშეკრულების მიზნებიდან გამომდინარე და ხშირ შემთხვევებში იგი განსხვავდება ეროვნული საგადასახადო კოდექსების კლასიფიკაციისაგან. მუხლები, რომლებიც ხვდება ამ კატეგორიაში შეგვიძლია დავყოთ პასიურ და აქტიურ შემოსავლებად.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მოდელი<sup>103</sup> შემუშავებულია წევრი ქვეყნების ინტერესების დაცვისათვის. არ არის გასაკვირი რომ იგი არ არის მოწონებული ბევრი განვითარებადი ქვეყნების მიერ (განსაკუთრებით კაპიტალის იმპორტიორი ქვეყნების მიერ) ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მოდელის გამოყენების შემთხვევაში ცალსახა უპირატესობას განვითარებული ქვეყნები იღებენ, ვინაიდან წყარო ქვეყნებს უწევთ საგადასახადო შემოსავლებზე უარის თქმა. ეს შედეგები გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ როდესაც განვითარებადი ქვეყნები ვაჭრობენ განვითარებულ ქვეყნებთან წმინდა შემოსავლები ჩვეულებრივ გადაედინება განვითარებადი ქვეყნებიდან განვითარებულისაკენ. ასე რომ, განვითარებადი ქვეყანა გასცემს ზედმეტ დირებულებას.

აღნიშნული ხელშეკრულებების რანგირება შეიძლება მოვახდინოთ იმის მიხედვით თუ როგორი ქვეყნის ინტერესებს იცავენ უფრო მეტად – კაპიტალის იმპორტიორებისას თუ კაპიტალის ექპორტიორებისას:<sup>104</sup>



<sup>103</sup> ასევე მნიშვნელოვანი საკითხია არამარტო მოდელი, არამედ მათი მუხლობრივი კომენტარები; ვინაიდან პრაქტიკაში ხშირად არსებობს ერთდაიგივე მუხლების სხვადასხვაგარი ინტერპრეტაციები. ქვეყნები, რომლებიც ეყრდნობიან OECD-ის მოდელს იყენებენ ამავე ორგანიზაციის კომენტარებს; ჩვეულებრივ, ხელშეკრულების დადებამდე სახელმწიფოები აფიქსირებენ თავიანთ წინაპირობებს, ავთენტიკურ ტექსტად ითვლება ტექსტი ინგლისურ და ფრანგულ ენებზე. (ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ოფიციალური სამუშაო ენები)

<sup>104</sup> International Tax Policy and Double tax Treaties, Kevin Holmes, IBFD 2007 Amsterdam p65

როგორც საქართველოს მიერ რატიცირებული ხელშეკრულებების ანალიზით ჩანს (იხ. ცხრილი 3) საქართველოს მიერ გატარებული პოლიტიკა უფრო მეტად ისეთი ქვეყნისათვის არის ეფექტიანი, რომელიც კაპიტალის ექსპორტიორია. ამგვარი ქვეყნების რიცხვს კი საქართველო არ განეკუთვნება. ეფექტიანი პოზიცია შეგვერდნული ხელშეკრულებების მიხედვით მხოლოდ მაშინ იქნება ეფექტიანი თუ ის უცხოელი რეზიდენტები, რომლებიც ინვესტირებას საქართველოში ახორციელებენ გახდებიან საქართველოს რეზიდენტები, რაც ნაკლებად მოსალოდნელია ახლოვადიან პერსპექტივაში.

ჩვეულებრივ, ორ ქვეყანას შორის საგადასახადო შეთანხმების გაფორმება საჭიროებს შესაბამის ცვლილებებს შიდა კანონმდებლობაში, რათა გამოირიცხოს შესაძლო საკანონმდებლო წინააღმდეგობები, რაც საბოლოო ჯამში გამიზნულია საერთაშორისო საგადასახადო ურთიერთობების მთავარი მიზნის მისაღწევად – ორმაგი დაბეგვრის გამორიცხვა ინვესტიციათა ხელშეწყობის მიზნით. ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების ხელშეკრულებება უნდა ეფუძნებოდეს და გამომდინარეობდეს ქვეყნის სამართლებრივი სისტემიდან, იყოს ინტეგრირებული მასში. ამგვარი ხელშეკრულებების საერთო სამართლებრივი საფუძველი არის „საერთაშორისო სამართალი”, გამომდინარე იქიდან რომ ეს ხელშეკრულებები ატარებენ საერთაშორისო ხასათს. ასევე, ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულების ინტერპრეტაციები უნდა ეფუძნებოდეს საერთაშორისო საჯარო სამართლისა და შესაბამისი საერთაშორისო კონვენციების წესებსა და პრინციპებს.

სახელმწიფოები დამოუკიდებელნი არიან, დაადგინონ საერთაშორისო ხელშეკრულების ადგილი შიდასახელმწიფოებრივ ნორმათა იერარქიაში<sup>105</sup>. თუმცა სახელმწიფოთა შიდა სამართლებრივი სისტემები სულ უფრო მეტად განიცდიან საერთაშორისო სამართლის ზეგავლენას. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი სულ უფრო და უფრო იჭრება სუვერენული სახელმწიფოს საშინაო

<sup>105</sup> ს. ოთოლაძე. „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების შესახებ საქართველოს კანონის ხარვეზები” საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, №1, თბილისი 2008 წელი გვ. 189 პ.კორპელია „საერთაშორისო ხელშეკრულება საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივ სამართალში” თბ 1998 წელი

საქმეების ოდესდაც განსაკუთრებული სფეროს კომპეტენციაში<sup>106</sup>. სახელმწიფოთა აღნიშნული მიდგომებიდან გამომდინარე, საჭიროა საერთაშორისო ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეებმა უწყოდნენ ხელშემპავრელ სახელმწიფოში საერთაშორისო ხელშეკრულების სტატუსი.

საქართველოში საერთაშორისო შეთანხმება სამართლის მნიშვნელოვანი წყაროა და ეროვნულ სამართალთან შედარებით პრიორიტეტი გააჩნია. საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მიხედვით<sup>107</sup> საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ. კონსტიტუციის აღნიშნილი დებულების შესაბამისად საქართველოს კანონში-საქართვლოს საერთაშორისო ხელშეკრულების შესახებ<sup>108</sup>- მე- 6 მუხლით:

1. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის განუყოფელი ნაწილია.

2. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ.

3. ოფიციალურად გამოქვეყნებული საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების დებულებები, რომლებიც ადგენენ კონკრეტული ხასიათის უფლებებსა და მოვალეობებს და არ საჭიროებენ დამაზუსტებელი შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის მიღებას, საქართველოში მოქმედებენ უშუალოდ.

<sup>106</sup> ი. ქურდაძე საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის თანაფარდობის შესახებ მეცნიერული კონცეპციების განვითარების ეტაპები და თანამედროვეობა, საერთაშორისო სამართლის ქურნალი, №1, თბილისი 2008 წელი გვ. 18

<sup>107</sup> იხ. 1995 წლის 24 აგვისტოს საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლი

<sup>108</sup> საქართველოს კანონი „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების შესახებ“ 1997 წელი

იგივე მიდგომა დაფიქსირებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსში,<sup>109</sup> კერძოდ მუხლი 2.1 და 2.7-ის მიხედვით საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული და მაღაში შესული საერთაშორისო ხელშეკრულება ცხადდება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის ნაწილად, ხოლო საგადასახადო კოდექსის დებულებებსა და საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილ ნორმებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულების ნორმები.

საქართველოში დამკვიდრებული მიდგომა, როგორც ზემოთ ვნახეთ, შეესაბამება ცალკეულ ქვეყნებში არსებულ პრაქტიკას, მაგრამ ამ მიგომის გამოყენებისას ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებებთან მიმართებაში თავს იჩენს სირთულეები.

ორ ქვეყანას შორის რატიფიცირებული ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შეთანხმება გამოიყენება ორივე ხელშემკვრელი სახელმწიფოს საგადასახადო ორგანოებისა და მეწარმე სუბიექტების მიერ. შეთანხმების საწყის მუხლებში (მუხლები 3,4,5) განმარტებულია ძირითადი ტერმინები, მაგრამ მიუხედავად ამისა ხშირად ხდება ორივე მხარის მიერ სხვა დანარჩენი ტერმინების და მუხლების განსხვავებული ინტერპრეტაცია, რაც საბოლოოდ ხელს უშლის ამ შეთანხმების მიზნების მიღწევას.

საქართველო ისევე როგორც მსოფლიოს სხვა მრავალი ქვეყანა, ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმების დადებისას დაეყრდნო ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მიერ შემოთავაზებულ სტანდარტები ხელშეკრულების მოდელს; მიუხედავად იმისა, რომ საქართველო არ არის ამ ორგანიზაციის წევრი და შესაბამისად ხელშეკრულების მოდელის შედგენაში მონაწილეობა არ მიუღია; ამავე ორგანიზაიამ, შეთანხმებების ეფექტიანობის გაზრდისათვის გამოაქვეყნა კომენტარები, მაგრამ ეს კომენტარები საგალდებულო არ არის ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეებისათვის (ორგანიზაციის წევრი თუ არაწევრი ქვეყნებისათვის); აქედან გამომდინარე, არ არსებობს ოფიციალურად დადგენილი განმარტებები ხელშეკრულების ცალკეული მუხლების თაობაზე. მაგალითად, საპროცენტო შემოსავლის/ხარჯების ცნებაში ერთ ქვეყანაში

<sup>109</sup> საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 2015 წლის 1 იანვრის მდგრმარობით

შეიძლება ერთიანდებოდეს სხვა სახის შემოსავლებიც და იბეგრებოდეს, ხოლო მეორე ქვეანაში გვქონდეს განსხავევბული მდგომარეობა, რაც საბოლოოდ დაბეგვრის გამჭირვალობაზე უარყოფით გავლენას ახდენს. ასეთ ვითარებაში ინტერპრეტაციის როგორი მიღვომით უნდა ისარგებლონ სახელწიფოებმა? რათა მათი მიღვომა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და მიღვომებს ?

ვენის კონვენციის მიხედვით, ქვეყნები რომლებიც ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმებას დადგებენ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მოდელზე დაყრდნობით აღიარებენ ამ ხელშეკრულების პრიორიტეტულობას თავის საშინაო სამართალზე.

ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ ხელშეკრულებების ინერპრეტირების ზოგადი სამართლებრივი პრობლემები ასევე საქართველოსათვისაც არის პრობლემატური, რასაც თან ემატება ქართული კანონმდებლობის თავისებურებები.

საერთაშორისო ხელშეკრულების პირდაპირ გამოყენებასთან დაკავშირებით ქართულ კანონმდებლობას ორმაგი მიღვომა აქვს, კერძოდ საქართველოს კანონში საერთაშორისო ხელშეკრულების შესახებ მუხლ 6-3 ის მიხედვით საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებიც არ საჭიროებენ დამაზუსტებელი შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის მიღებას, საქართველოში მოქმედებენ უშუალოდ.ნაკლებად სავარადოა, რომ ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულები არ საჭიროებდნენ დამაზუსტებელი ხასიათის ნორმებს, მუხლების შესაბამის გამოყენებასთან დაკავშირებით<sup>110</sup>.

ამ მხრივ საქართვლოს კანონმდებლობაში დამაზუსტებელი ნორმები არ არსებობს. გარდა საგადასახადო კოდექსის საწყისი მუხლებისა, სადაც ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებები საგადასახადო კანონმდებლობის ნაწილად არის გამოცხადებული, ასევე ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებები ნახსენებია კოდექსის 192<sup>4</sup>(1;2), მუხლში -ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებების შესაბამისად არარეზიდენტის მიერ შედავათებით

<sup>110</sup> მ. მწარიშვილი „ორმაგი დაბეგვრის შესახებ საქართველოს შეთანხმებები ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის თვალსაზრისით, ქართული სამართლის მიმოხილვა 11/2008წ -1 გვ. 48

სარგებლობა ; მუხლი- 122 დ საგადასახადო საიდუმლოება; აღნიშნულ მუხლებში საუბარია ინფორმაციის გაცვლასა და შეღავათების მინიჭების წესზე, მაგრამ მათში არაფერია ნათქვამი ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულების კონკრეტულ მუხლებზე და მათ სათანადო გამოყენებაზე.

ასევე საკამათოა, კომეტარების როლი და სტატუსი ქართულ სამართლებრივ სივრცეში<sup>111</sup>. როგორც უპავ აღვნიშნეთ, ცალკეულმა ქვეყნებმა გააკეთეს დათქმები კომენტარების ცალკეულ მუხლებთან დაკავშირებით და თავად ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულების ტექსტში განსაზღვრეს კომეტარების სტატუსი მათივე სამართლებრივ სივრცეში. საქართვლოს მიერ რატიფიცირებულ ხელშეკრულებებიდან, მხოლოდ ერთეულ ხელშეკრულებებშია ნახსენები კომენტარების სტატუსი. მაგალითად, ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმება საქართველოსა და ავსტრიას, საქართვლოსა და დანიას შორის. ამ შეთანხმებებს ერთვის ოქმი, სადაც დაფიქსირებულია კომენტარების სტატუსი. კერძოდ, ავსტრიასთან<sup>112</sup>(ასევე დანიასთან) შეთანხმების მიხედვით(დართული ოქმის მიხედვით, რომელიც შეთანხმების განუყოფელი ნაწილია<sup>113</sup>)- შეთანხმების დებულებებს, რომლებიც შედგენილია შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის<sup>114</sup> კონვენციის მოდელის დებულებათა შესაბამისად, ექნებათ იგივე მნიშვნელობა, რაც მათ აქვთ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მოდელის კომენტარებში. აქვე მითითებულია, რომ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის კომენტარები, რომელიც შესაძლოა დროდადრო გადაისინჯოს, 1969 წლის 23 მაისის საერთაშორისო ხელშეკრულების შესახებ ვენის კონვენციის გაგებით წარმოადგენს ინტერპრეტაციის საშუალებას.

<sup>111</sup> ცალკეულ შემთხვევებში შეგვიძლია კომენტარების გამოყენების საკითხი უშუალოდ სასამართლოს პრეროგატივად მივიჩნიოთ, ან თუნდაც ექსპერტის მოსაზრებად, მაგრამ აქ ისიცაა გასათვალისწინებელი რომ საგადასახადო დავების განხილვა ფინანსთა სამინისტროს სისტემაშიც ხდება, რომლის გადაწყვეტილება შემდგომ არ საჩივრდება

<sup>112</sup> ავსტრიას სხვა ქვეყნებთანაც აქვს დაფიქსირებული ამგვარი მიგმომა, შესაბამისად ეს პუნქტი ავსტრიული მხარის ინიციატივად უნდა მივიჩნიოთ, ხოლო ქართული მხრიდან პოლიტიკის რაიმე ტენდენცია არ ჩანს

<sup>113</sup> [http://www.pbo.parliament.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=99&info\\_id=153](http://www.pbo.parliament.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=99&info_id=153)

<sup>114</sup> OECD-ეთგო ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია

აღნიშნული დებულება საკმაოდ, საკამათოა კურძოდ, შესწორებები რაც შევა არსებულ კომენტარებში მიჩნეულ უნდა იქნეს როგორც დაზუსტებს თუ განმარტების შეცვლა ?

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმების მუხლებისა და ტერმინების განმარტებისათვის შემდეგნაირი იერარქია გვაქვს<sup>115</sup>: ქვეყნის კონსტიტუციის მიღება- საერთაშორისო ხელშეკრულებისა და ეროვნული კანონმდებლობის ურთიერთშეფარდება ქვეყნის კანონი საერთაშორისო ხელშეკრულების შესახებ, გენის კონვენციაში მონაწილეობა ქვეყნის მიერ და შესაბამისად კონვენციის 31 და 32 მუხლების მოქმედება-ტერმინის განმარტება თავად ხელშეკრულებაში-ტერმინის მნიშვნელობა ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებაში --ქვეყანაში დამაზუსტებელი ნორმების არსებობა-ტერმინის მნიშვნელობა კომენტარების მიხედვით(არის თუ არა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრი ქვეყანა ან დაფიქსირებული აქვს კომენტარების სტატუსი მის სამართლებრივ სივრცეში-ტერმინის მნიშვნელობა ამავე ქვეყნის საგადასახადი კოდექსის მიხედვით - განზოგადებული სასამართლო პრაქტიკა.

შესაბამისად, ხელშეკრულების დადებამდე საქართველოს მხრიდან შესწავლილ უნდა იქნას ზემოთაღნიშნული საკითხები ხელშეკრულებასი მონაწილე სახელმწიფოში და საჭიროების შემთხვევაში საგადასახადო ორგანომ დაბეგვრის სუბიექტს მიაწოდოს ინფორმაცია ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულების ინტერპრეტირების კონკრეტულ საკითხებზე. აღნიშნულის არაარსებობის პირობებში, შეთანხმების მიზნები მიღწეულ ვერ იქნება და ხშირ შემთხვევაში იურიდიული ორმაგი დაბეგვრა კვლავ იარსებებს სხვა ქვეყნის ბიუჯეტის სასარგებლოდ.

ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შეთანხმებების დადებისას მნიშვნელოვანია მათი სამართლებრივი ინტერპრეტირება: საჭიროა შეთანხმებაშივე დაფიქსირდეს კომენტარების სტატუსი, გამომდინარე იქიდან, რომ საქართველო ეყრდნობა ეკონომიკური თანმშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის

<sup>115</sup> უნდა გავითვალისწინოთ როგორც საქართველოს საკანონმდებლო რეალობა, ასევე ხელშემკვრელი სახელმწიფოსი, რადგან ორმაგი დაბეგვრის შეთანხმება გამოიყენება როგორც საქართველოში მოდვაწე ქვეყნის არარეზიდენტების, ასევე საქართვლოს იმ რეზიდენტების მიერ რომლებიც თავის საქმიანობას მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში ახორციელებენ

მოდელს; ასევე სამართლებრივი კუთხით საჭიროა ქართულ ტექსტში მიღწეულ იქნას ტერმინოლოგიური ერთიანობა ყველა შეთანხმებაში, საქართველოს საგადასახადო კოდექსის გათვალისწინებით. შეთანხმების გაფორმებამდე შესწავლილ უნდა იქნეს ხელშემპარელი სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემის თავისებურებები საერთაშორისო ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, რათა შემდგომ თავიდან ავიცილოთ სამართლებრივი წინააღმდეგობები. ასევე, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ამ მხრივ არსებული სასამართლო პრატიკის შესწავლა-განზოგადება განსაკუთრებით, საქართველოსთან ურთიერთშესადარ ქვეყნებში.

ამასთან თუ დავაკვირდებით, პირდაპირი კავშირი უცხოურ ინვესტიციონური შემოდინებასა და ამა თუ იმ ქვეყანასთან ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულების ქონას შორის არ არის (იხ. დანართის ცხრილი 5). ამგვარი მიღგომით, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის სტანდარტული მოდელის გამოყენებით ასევე დადებულია ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებები იმ ქვეყნებთანაც, საიდანაც საშუალოვანდიან პერიოდში (2-4) პირდაპირი უცხოური ინვესტიციები არ განხორციელებულა (იხ. დანართის ცხრილი 5).

**ცხრილი №5<sup>116</sup>** დივიდენდებისა და პროცენტების დაბეგვრა საქართველოს მიერ რატიფიცირებული ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებებით პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისათვის

№	ქვეყნები	დივიდენდების დაბეგვრა	პროცენტების დაბეგვრა
1	დიდი ბრიტანეთი	კაპიტალი 5% და ინვესტიციები 2	რეზიდენტობის მიხედვით

<sup>116</sup> ცხრილი შედგენილია ოფიციალურ ხელშეკრულებზე დაყრდნობით. 2000 წლამდე სხვადასხვა ქვეყნებთან რატიფიცირებული ხელშეკრულებების ტექსტები შეგიძლიათ იხილოთ წიგნში-ზაშაკიძე, ლ.ჩხილაძე, ვ.გიორგაძე „რატიფიცირებული ხელშეკრულებები შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ” თბ 2001 წ. ოფიციალური ხელშეკრულებების წყარო: <http://mof.gov.ge/4680>

		მდლ. გირვანქა სტერლ-0%;	
		კაპიტალი 10%- 5%	
		სხვა შემთხვევები - 10%	
2	აზერბაიჯანი	10%	არაუმეტეს 10%
3	რუსეთი	10%	არაუმეტეს 10%
4	ყაზახეთი	15%	არაუმეტეს 10%
5	იტალია	კაპიტალი 25%- 5%	რეზიდენციალის მიხედვით
		სხვა შემთხვევები 10%	
№	ქვეყნები	დივიდენდების დაბეგვრა	პროცენტების დაბეგვრა
6	ავსტრია	კაპიტალი 50% და ინვესტიციები 2 მილ ევრო 0%; კაპიტალი 10% და ინვესტიციები	არაუმეტეს 10%

		100 ათასი ევრო- 5%; სხვა შემთხვევები 10%	
7	ჩინეთი	კაპიტალი 50% და ინვესტიციები 2მლნ. ევრო 0%; კაპიტალი 10% და ინვესტიციები 100ათასი ევრო 5%, სხვა შემთხვევები-10%	არაუმჯობეს 10%
8	გერმანია	კაპიტალი 50% და ინვესტიციები 3 მილ. ევრო 0%; კაპიტალი 10 % და ინვესტიციები 10ათასი ევრო 5%.	არაუმჯობეს 8%
		სხვა შემთხვევები 10%	
№ ქვეყნები დიგიდენდების პროცენტების დაბეგვრა			

9	საბერძნეთი	8%	არაუმჯობეს 8%
10	ჩეხეთი	კაპიტალი 25%-5%	არაუმჯობეს 10%
		სხვა შემთხვევები 10%	
11	უკრაინა	კაპიტალი 25%-5%	არაუმჯობეს 10%
		სხვა შემთხვევები-10%	
12	პოლონეთი	10%	რეზიდენციალის მიხედვით
13	ნიდერლანდები	კაპიტალი 50% და ინვესტიციები 2მლნ აშშ დოლარი 0%	არაუმჯობეს 10%  კაპიტალი 10%-5%
		სხვა შემთხვევები15%	
№	ქვეყნები	დივიდენდების დაბეგვრა	პროცენტების დაბეგვრა

14	ბულგარეთი	10%	არაუმჯობეს 10%
15	სომხეთი	კაპიტალი 25%-5%	არაუმჯობეს 10% სხვა შემთხვევბი 10%
16	თურქეთი	10%	არაუმჯობეს 10%
17	უზბეკეთი	კაპიტალი 25%-5%	არაუმჯობეს 10% ხვა შემთხვევბი 10%
18	ბელგია	კაპიტალი 25%-5%	არაუმჯობეს 10% სხვა შემთხვევბი 15%
№	ქვეყნები	დიფიდენდების დაბეგვრა	პროცენტების დაბეგვრა
19	ლატვია	კაპიტალი 25% და ინგესტციები 75 ათასი აშშ	არაუმჯობეს 10%

		დოლარი-5%;	
		სხვა	
		შემთხვევები 10%	
20	ლიტვა	კაპიტალი 25% და ინვესტიციები 75 ათასი ევრო- 5%	არაუმჯობეს 10%
		სხვა	
		შემთხვევები 15%	
21	ირანი	კაპიტალი 25%- 5%	არაუმჯობეს 10%
		სხვა	
		შემთხვევები 10%	
22	რუმინეთი	8%	არაუმჯობეს 10%
<b>№</b>			
	ქვეყნები	დიგიდენდების დაბეგვრა	პროცენტების დაბეგვრა
1	თურქეთი	10%	
2	საფრანგეთი	კაპიტალი 50% ინვესტიციები 3მლნ.ევრო კაპიტალი 10% ინვესტიციები 100 ათასი ევრო -5%	და რეზივუანტების მიხედვით 0%; და

		სხვა შემთხვევები 10 %			
3	ლუქსემბურგი	კაპიტალი	50%	და	რეზიდენციალის ინვესტიციები 2მლნ.ევრო 0%; კაპიტალი 10% და ინვესტიციები 100 ათასი ევრო -5%
		სხვა შემთხვევები 10 %			
4	შვეიცარია	კაპიტალი	25%	და	არაუმეტეს ინვესტიციები 200 ათასი შვეიცარიული ფრანკი - 5%, სხვა შემთხვევები- 15% თუ პროცენტების მფლობელია მეორე ქვეყნის ბანკი ან მთავრობა-0%)
5	ყირგიზეთი	10%			არაუმეტეს 10%
№	ქვეყნები	დივიდენდების დაბეგვრა			პროცენტების დაბეგვრა
6	ესპანეთი	კაპიტალი	50%	და	რეზიდენციალის ინვესტიციები 2მლნ.ევრო 0%; კაპიტალი 10% და ინვესტიციები 100 ათასი ევრო -5%

		სხვა შემთხვევები 10%
7	ესტონეთი	კაპიტალი 25% და არაუმეტეს 10% ინგესტიციები 100 ათასი ევრო5% -5%, სხვა შემთხვევები-15%
8	ფინეთი	კაპიტალი 50% და რეზიდენციების ინგესტიციები 2 მილ ევრო0%, კაპიტალი და ინგესტიციები 100 ათასი ევრო -5% სხვა შემთხვევები-10%
10	დანია	კაპიტალი 50% და რეზიდენციების ინგესტიციები 2 მლნ მისედვით( საქართველოს ევრო ან თუ დივიდენდის მფლობელია მეორე შეთავაზებულია ქვეყნის ცენტრალური არაუმეტეს 10% ბანკი ან ფინანსური ინსტიტუტი რომელიც კონცროლდება(ფლობს) ქვეყნის მთავრობის მიერ-0%;  კაპიტალი 10% და ინგესტიციები 100 ათასი ევრო-5%

სხვა შემთხვევები-10%

როგორც ჩვენი კვლევის მიღებულმა შედეგებმა დაგვანახა, ფართო შედავათების შეთავაზება საერთაშორისო საგადასახადო შეთანხმებებში, მაშინ როდესაც საგადასახადო ფაქტორები პირდაპირი უცხოელი ინვესტორებისათვის არ თამაშობს გადამწყვეტ როლს, არ შეიძლება შეფასდეს, როგორც ეფექტიანი პოლიტიკის ეფექტიანობის ზრდისათვის გამოყენებულ უნდა იქნას როგორც ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის, ასევე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანადარტული მოდელები და ამ გზით დაბალანსდეს, კაპიტალის იმპორტიორი და კაპიტალის ექსპორტიორი ქვეყნების ინტერესები. ოპტიმურად მიგვაჩნია გ.ჭ. „საგადასახადო რეზერვით ჩათვლის” მუხლის ჩართვა საქართველოს მიერ რატიფიცირებულ ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებებში.

## დასკვნები და რეკომენდაციები

პირდაპირ უცხოურ ინგესტიციათა შემოღიერება მცირე ეკონომიკის ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი მთავარი წყაროა. საქართველოს ეკონომიკისათვის პირდაპირი უცხოური ინგესტიციები არსებით როლს თამაშობს ეკონომიკურ ზრდაში და მისი როლი განუხრელად იზრდება. შედარებით მცირე შიდა ბაზრისა და ბუნებრივი რესურსების პირობებში უცხოურ ინგესტიციათა მოზიდვისათვის არსებითი ფაქტორია საქართველოს მიერ უცხოულ ინგესტორთათვის შეთავაზებული საინგესტიციო გარემო. ამ მხრივ მნიშვნელოვანია საგადასახადო საკითხები, გასაკუთრებით, საერთაშორისო საგადასახადო პოლიტიკა და საერთაშორისო თანამშრომლობა დაბეგვრის სფეროში. ამასთან, როგორც პირდაპირ უცხოურ ინგესტიციებთან დაკავშირებული სხვადასხვა მოდელების განხილვამ დაგვანახა მცირე ქვეყნების შემთხვევაში ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკა გაცილებით მეტ როლს თამაშობს იმ ქვეყნებთან შედარებით, რომელთაც დიდი შიდა ბაზარი, განვითარებული ინსტიტუციური გარემო და ბუნებრივი რესურსები აქვთ. ამავე დროს, თუკი ჯერ კიდევ უახლოეს წარსულში კაპიტალ დაბანდებებისათვის არადისკრიმინაციული, ეროვნული რეჟიმების შექმნა ითვლებოდა საკმარის პირობად ინგესტიციების მოსაზიდად, დღეს უკვე მთავრობები იძულებულნი არიან ამ მიზნით სპეციალური დონისძიებები გაატარონ, რომლის დროსაც დგება არჩევანი ფისკალურ მიზნებსა და ინგესტიციების მოზიდვას შორის. აღნიშნული პრობლემა, მხოლოდ ეკონომიკური ეფექტურობის თვალსაზრისით უნდა გადაიჭრას და ქვეყანა არ ჩაებას ზიანის მომტან საგადასახადო კონკურენციის პრაქტიკაში. ამ უკანასკნელს კი შედეგად მხოლოდ საბიუჯეტო შემოსავლების კლება მოყვება, ხოლო პირდაპირი გავლენა კი უცხოურ ინგესტიციათა შემოღიერებაზე არ აქვს.

ინგესტირების მოცულობის ზრდისათვის არსებით ფაქტორს ქვეყნისათვის ეფექტიანი საინგესტიციო გარემოს ქონა წარმოადგენს. საინგესტიციო გარემოს ფაქტორთაგან მნიშვნელოვანი წონა ე.წ. ტრადიციულ (ბაზრის ტევადობა და რესურსები) და ინსტიტუციურ ფაქტორებზე მოდის. ინსტიტუციურ ფაქტორებს შორის კი მნიშვნელოვანი საკითხი საგადასახადო პოლიტიკის საკითხებია. ინსტიტუციური ფაქტორების როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბუნებრივი

რესურსებით შედარებით ნაკლებად უზრუნველყოფილი და მცირე ბაზრების მქონე ქვეყნებისათვის. ამ უკანასკნელთა რიგს, სხვა ქვეყნებთან ერთად, საქართველოც მიეკუთვნება.

2000-ანი წლებიდან საქართველოში ახალი საგადასახადო პოლიტიკა ამოქმედდა, რომლის გაცხადებული მიზანი ლიბერალური საინვესტიციო გარემოს მხარდაჭერაა. ამ მიზნით საქართველოს საგადასახადო კოდექსი უცხოელ და ადგილობრივ ინვესტორებს მნიშვნელოვან შეღავათებს თავაზობს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიმართ ლიბერალური პოლიტიკის კიდევ ერთი დამატებითი ინსტრუმენტია „ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა გადასახადების გადაუხდელობის ადგენტის შესახებ“ შეთანხმებები, რომლებიც დადებულია ქვეყნის ძირითად საგაჭრო და ეკონომიკურ პარტნიორ ქვეყნებთან. ორმაგი დაბეგვრის შესახებ შეთანხმებების დადება ერთის მხრივ შესაძლოა ამცირებდეს სახელმწიფოს საბიუჯეტო შემოსავლებს, ხოლო მეორე მხრივ კვლევის საგანია ის თუ რამდენად ეფექტიანია საბიუჯეტო შემოსავლების გარკვეულ ნაწილზე უარის თქმა უცხოური ინვესტიციების მოზიდვის სანაცვლოდ.

საგადასახადო ფაქტორები საქართველოს საინვესტიციო გარემოსათვის თამაშობს ზღვრულ როლს, ინვესტირების საბაზისო ფაქტორების განხილვის შემდეგ. გატარებულმა საგადასახადო და ეკონომიკური რეგულირების რეფორმებმა 2005-2015 წლებში საქართველოს უცხოელ ინვესტორთა თვალში მოუტანა უცხოური ინვესტიციებისათვის ეფექტიანი საინვესტიციო გარემოს მქონე ქვეყნის იმიჯი, რაც ასევე ასახულ იქნა რიგ საერთაშორისო მოხსენებებსა და რეიტინგებში. საგადასახადო ფაქტორებს შორის კი უცხოური ინვესტიციებისათვის უფრო მნიშვნელოვანი პრაქტიკაში არსებული საგადასახადო რეგულირების თავისებურებებია, ვიდრე კანონმდებლობით განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთები.

საერთაშორისო საგადასახადო ურთიერთობების ერთ-ერთი მთავარი მიზანი ინვესტიციების წახალისება შემოსავლების არდისკრიმინაციული დაბეგვრის მეშვეობით მიიღწევა ოპტიმალური საერთაშორისო საგადასახადო პოლიტიკის გატარებით. ოპტიმალური საერთაშორისო საგადასახადო პოლიტიკა ეფუძნება კაპიტალის იმპორტის ნეიტრალურობისა და კაპიტალის ექსპორტის

ნეიტრალურობის პრინციპებს. ამასთან, მცირე, კაპიტალის იმპორტიორი ქვეყნების შემთხვევაში, რომელთაც აქვთ უმნიშვნელო გავლენა გლობალურ კაპიტალის ბაზებზე, კაპიტალის ექსპორტის ნეიტრალურობის პრინციპი ნაკლებად სასარგებლოა. განსაკუთრებით მაშინ, როცა სხვა ქვეყნები იკავებენ უფრო ხელსაყრელ საგადასახადო პოზიციას. საერთაშორისო საგადასახადო პოლიტიკის ფორმირებისას ქვეყნამ მხედველობაში უნდა მიიღოს სხვა ქვეყნების საგადასახადო პოლიტიკის თავისებურებები, განსაკუთრებით საინვესტიციო და საგაჭრო პარტნიორების და იმ ქვეყნების, რომლებიც არიან კონკურენტები კაპიტალის იმორტირებაში.

ასევე, საერთაშორისო საგადასახადო ურთიერთობების მთავრი მიზანია ორმაგი დაბეგვრის გამორიცხვა. ორმაგი დაბეგვრა მიუხედავად გამოვლენის სხვადასხვა ფორმებისა აფერხებს ეკონომიკურ აქტივობას, განსაკუთრებულ ბარიერს იგი კაპიტალის მოძრაობას უქმნის. ორმაგი დაბეგვრის გამოსარიცხად გამოიყენება როგორც ცალმხრივი (შიდა კანონმდებლობაზე დაყრდნობით), ასევე ორმხრივი (ქვეყნებს შორის რატიფიცირებული ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებებით) მეთოდები. ამჟამად, მსოფლიოში მიღებულია რიგი სტანდარტული ორმაგი დაბეგვრის მოდელები, მათ შორის ყველაზე ფართოდაა გავცელებული ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოდლები. ამასთან, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მოდლი უპირატეს დაბეგვრის უფლებას ანიჭებს რეზიდენტ ქვეყნებს ( ე.ი. უფრო მეტად გავითრებულ, კაპიტალის ექსპორტიორ ქვეყნებს), ხოლო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოდელი უპირატეს დაბეგვრის უფლებას ანიჭებს განვითარებად (კაპიტალის იმორტიორ ქვეყნებს).

ამჟამად საქართველოს მიერ რატიფიცირებული და ბალაში შესულია ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებები მსოფლიოს 52 ქვეყანასთან. ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებების დადგებისას საქართველო ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მოდელს დაეყრდო. თუმცა, ეს ჩვენი აზრით არ გამორიცხავს ე.წ. სტანდარტულ მოდელში იმ მუხლების შეტანას (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამოდელო კონვენციის მიხედვით), რაც სასარგებლოა ქართული მხარისა და საქართველოში მოდგაწე უცხოელი ინვესტორისათვის, მაგრამ ამავე დროს ამგვარი ხელშეკრულებების

რატიფიცირება უნდა განვიხილოთ დადებით მომენტად- საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნების საკანონმდებლო-ინსტიტუციური სივრცის დახლობის გზაზე.

როგორც რატიფიცირებული ხელშეკრულებების, ასევე საქართველოს საგადასახადო კოდექსის ანალიზმა გვაჩვენა საქართველოს მიერ გატარებული საერთაშორისო საგადასახადო პოლიტიკა ლიბერალურია და იგი უცხოური ინვესტიცითა ხელშეწყობისაკენ არის მიმართული უპირატესად, ნულოვანი დაბეგვრის გზით. ამასთან, საწყის ეტაპზე ამა თუ იმ დარგში ინვესტირების ხელშეწყობა ნულოვანი დაბეგვრის მეშვეობით გარკვეული ხსნის შემძგვრი, სახელმწიფოს საგადასახადო შემოსავლებზე მოთხოვნის ზრდის კვალობაზე ამ განაკვეთების მატებამდე მიგვიყვანს, ყოველივე ეს სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოების მხრდან შესაბამის რეაქციას გამოიწვევს. მას შემდეგ, რაც ძირითად დარგებში გარკვეული ხნით დადგება წონასწორობის მდგომარება ინვესტირების კუთხით, მხოლოდ ასეთ ვითარებაშია შესაძლებელი განაკვეთების მატება, მაგრამ ეს ორი მოვლენა-წონასწორობა და საგადასახადო შემოსავლებზე მოთხოვნის ზრდა ეკონომიკის გაფართოებული კვლავწარმოების პოზიციებიდან ერთდროულად უნდა მოხდეს.

როგორც ჩვენი კვლევის მიღებულმა შედეგებმა დაგვანახა, ფართო შედაგათების შეთავაზება საერთაშორისო საგადასახადო შეთანხმებებში, მაშინ როდესაც საგადასახადო ფაქტორები პირდაპირი უცხოელი ინვესტორებისათვის არ თამაშობს გადამწყვეტ როლს, არ შეიძლება შეფასდეს, როგორც უფექტიანი პოლიტიკა. პოლიტიკის უფექტიანობის ზრდისათვის გამოყენებულ უნდა იქნას როგორც ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის, ასევე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტული მოდელები და ამ გზით დაბალანსდეს, კაპიტალის იმპორტიორი და კაპიტალის ექსპორტიორი ქვეყნების ინტერესები. ოპტიმლურად მიგვაჩნია ე.წ. „საგადასახადო რეზერვით ჩათვლის“ მუხლის ჩართვა საქართველოს მიერ რატიფიცირებულ ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებებში.

## **გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:**

1. აბდალაძე გ. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერა და განვითარებადი ქვეყნების გამოცდილება, ქურნალი, საერთაშორისო ბიზნესი (საუნივერსიტატო შორისო სამეცნიერო ჟურნალი). ტ. III, ლ, თბილისი. 2004, გვ. 5-18;
2. ამილახვარი ზაურ, გიორგი ამილახვარი, ნინო წერეთელი, ბიზნესის სამართალი, მეორე გამოცემა, საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობათა უნივერსიტეტი, თბილისი 2010
3. ასლამაზიშვილი ნ. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტრუქტურა და დინამიკა საქართველოში. საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები, პვარტალური მიმოხილვა, ჩ, თბილისი, დეკუმბერი, 2005 № 3 გვ. 59-64
4. ბაკაშვილი ნ. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის საკითხისათვის საქართველოში, ქურნალი „ეკონომიკა“, 1998, №4-6, გვ.12-19;
5. ბახტაძე ლ. კაკულია რ. ჩიკვილაძე გ. საგადასახადო საქმე : სახელმძღვ. ოსუ. - თბ. 2007
6. გელაშვილი გ. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი ეკონომიკის სტაბილიზაციაში, სოხუმის უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული, ეკონომიკის სექცია, ტომი 3, 2008 გვ. 159
7. კოპალეიშვილი თ. გადასახადები და დაბეგვრა : დამხმ. ოსუ. - [I-ლი გამოც.]. - თბ., 2011
8. კვარაცხელია დ. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოს ეკონომიკაში: ტენდენციები, შედეგები, პერსპექტივები „ქურნალი-სოციალური ეკონომიკა“ 2007 4.

9. ლობჟანიძე გ., მამულაშვილი ლ, უცხოური ინვესტიციები საქართველოში, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 1999, №2 გვ. 126-142
10. მესხია ი., ბასარია რ., საქართველოს საგადასახადო სისტემის სრულყოფის საკინები, თბ., ფსკი, 2001წ.
11. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2009 წელს, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ყოველწლიური პულიკაცია, თბილისი 2010 წ.
12. ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები, 2012-2015 წლებისათვის, საქართველოს მთავრობა, თბილისი, 2011 წ
13. ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები, 2012-2015 წლებისათვის, საქართველოს მთავრობა, თბილისი, 2012 წ
14. როგავა ზ., საგადასახადო სამართლის საფუძვლები, პირველი გამოცემა, თბ., 2000წ.
15. საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო „გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთისა და ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ“, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი, <http://mof.ge/4680> (ვებ-გვერდზე უკანასკნელი ვიზიტი: 16.04.2016 წ.)
16. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 2006 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს საკონსლებლო მაცნე.
17. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 2012 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს საკონსლებლო მაცნე.
18. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 2016 1 თებერვლის მდგომარეობით, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.
19. საქართველოს სოციალურ ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, საქართველო 2020, საქართველოს მთავრობა, 2013 გვ.18.

20. ურიდია გ. საერთაშორისო დაბეგვრა, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2014
21. ვაშაკიძე ზ. და სხვები. საინვესტიციო პოლიტიკა და ორმაგი დაბგევრის თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო კონვენცია, თბილისი, 2005
22. ყუფარაძე გ. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის საგადასახადო პოლიტიკის მოდელი უცხოური ინვესტიციებისათვის, ჟურნალი „ეკონომისტი“, 2011 № 4 გვ. 54-61
23. ყუფარაძე გ. საერთაშორისო საგადასახადო პოლიტიკა და უცხოური ინვესტიციები ჟურ. „საქართველოს ეკონომიკა“, 2009 წ. №5 გვ.66-75
24. ყუფარაძე გ. ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებების ინტერპრეტირების სამართლებრივი საფუძვლები, ჟურნალი „ხელისუფლება“ და საზოგადოება”, Scientific magazine of The Open Diplomacy Association, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სახელმწიფო მართვის კათედრა 2011. № 3(19) გვ. 73-84
25. ყუფარაძე გ. საგადასახადო პოლიტიკა და უცხოური ინვესტიციები საქართველოში, Journal of Social, Political and Economic Studies, THE CAUCASUS & GLOBALIZATION, Volume 7 Issue 3-4 2013, Sweden, INSTITUTE OF STRATEGIC STUDIES OF THE CAUCASUS, pp 82-96 [http://www.ca-c.org/c-g/2013/journal\\_eng/c-g-3-4/08.shtml](http://www.ca-c.org/c-g/2013/journal_eng/c-g-3-4/08.shtml) (ინგლისურ და რუსულ ენებზე)
26. ყუფარაძე გ. საგადასახადო პოლიტიკის გავლენა ეკონომიკის რეალურ სექტორში ინვესტირების მოცულობაზე, საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „ეკონომიკა“, №5-6, გვ. 32-40, 2013 <http://economics.bpengi.com/home/2013>
27. ყუფარაძე გ. საგადასახადო პოლიტიკის მოდელი უცხოური ინვესტიციებისათვის, ჟურნალი „ეკონომისტი“, საერთაშორისო რეცენზირებადი, სამეცნიერო ანალიტიკური ჟურნალი. პაატა გუგუშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ინსტიტუტი, 2011 № 4 გვ. 54-61

28. ყუფარაძე გ. საგადასახადო პოლიტიკისა და ინვესტიციების ურთიერთქავშირი ახალი ეკონომიკური გეოგრაფიის მოდელების მიხედვით, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის “ ეროვნული ეკონომიკები და გლობალიზაცია” მასალების კრებული, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, ტომი 1, თბილისი, 2012, გვ334-338
29. როგავა გ. “გადასახადები, საგადასახადო სისტემა და საგადასახადო სამართალი” თბილისი. 2002
30. Aharoni Y., “The Foreign Investment Decision Process”, Harvard Business School, Boston, 1966
31. Andrzej Baniak et.al. ON DETERMINANTS OF FOREIGN DIRECT INVESTMENT IN TRANSITION ECONOMIES, Center for Social and Economic Research 2002
32. Arthur Cockfield „Commentary, Formulary Taxation versus the Arm's Length Principle: The Battle among Doubting Thomas, Purists and Pragmatists (2004) , 52(1) Canadian tax Journal
33. Auerbach A. J „Taxation, Corporate Financial policy and the Cost of Capital”, Journal of Economic Literature 21, 1983
34. Auerbach, A. J. “ Wealth maximization and the Cost of Capital” Quarterly Journal of Economics 94, 1979
35. Baldwin, R. and P. Krugman “Agglomeration, Integration and tax Harmonization”, CEPR Discussion papers 2000
36. Baniak et al. On Determinants of Foreign Direct Investment In Transition Economies, Center for Social and Economic Research (CASE), Warsaw, Poland. December 2002
37. Barlow E. and I. Wender, “Foreign Investment and Taxation”, Englewood Cliffs: Prentice Hall, 1955
38. Barlow E. and I. Wender, “Foreign Investment and Taxation”, Englewood Cliffs: Prentice Hall, 1955
39. Barlow E. and I. Wender, “Foreign Investment and Taxation”, Englewood Cliffs: Prentice Hall, 1955
40. Bergsman, J., H.G. Broadman, and V. Drebentsov (2000) Improving Russia's Policy on Foreign Direct Investment, The World Bank, Policy Research Working Paper 2329

41. Cockfield A. „Commentary, Formulary Taxation versus the Arm’s Length Principle: The Battle among Doubting Thomas, Purists and Pragmatists (2004) , 52(1) Canadian Tax Journal
42. Cukrowski J, Kavelashvili G. Determinants of Foreign Direct Investment in Georgia, Working paper Series, 39, Center for Economic and Social Research, Warsaw, Poland 2001
43. Dunning, J. H, Sarianna M. Lundan Multinational Enterprises and the Global Economy, second edition, 2008 Edward Elgar Publishing, UK. pp-116-143
44. Dunning, J. H. International Production and the multinational Enterprise, Allen and Unwin, London 1981
45. Dunning, John H. ‘Trade, Location of Economic Activity and MNE: A Search for an Eclectic Approach’, in B. Ohlin, P. O. Hesselborn, and P. M. Wijkman (eds.), *The International Allocation of Economic Activity*. London: Macmillan. 1977
46. E-Journal of Tax Research, volume 5, Number 2/Michigan Issue, December 2007
47. Globalization and its Tax Discontents, Tax Policy and International Investments, edited by Arthur J. Cockfield, University of Toronto Press, 2010
48. Gürsoy F, Kursun O. Investment Climate of Georgia, IBSU Scientific Journal, 2 (1), 2008
49. Harmful Tax Competition: An Emerging Global Issue, ORGANISATION FOR ECONOMIC CO-OPERATION AND DEVELOPMENT, France 1998, URL:  
<http://www.oecd.org/tax/transparency/44430243.pdf>
50. Holmes K. International Tax Policy and Double Taxation Treaties, IBFD, 2007
51. How Tax Policy and Incentives Affect Foreign Direct Investment, A Review. Jacques Morisset and Neda Pirnia, Foreign Investment Advisory Service (FIAS), The World Bank. 2000
52. How Tax Policy and Incentives Affect Foreign Direct Investment, A Review. Jacques Morisset and Neda Pirnia, Foreign Investment Advisory Service (FIAS), The World Bank. 2000. p. 8
53. International Tax Competition, Globalisation and Fiscal Sovereignty, edited by Bajiv Biswas, published by Commonwealth Secretariat, 2002
54. Jorgenson D.W. “Capital Theory and Investment Behavior”, American Economic Review 53, 24/59 1963
55. Kbiltsetskhlashvili T. Attracting Investors: Case of Impact of FDI on the Achievements of Economic Growth in Georgia, IBSU Scientific Journal 2010, 4(2), 36

56. Kbiltsetskhlashvili T. Imnaishvili A. Georgia's Perspectives for Investment Growth IBSU Scientific Journal Tbilisi 2009, 3(1), 73-95
57. Kinoshita Y., Nauro F.Ca The location determinants of foreign direct investment in transition economies, Department of Economics, Hunter College, City University of New York, 2002
58. Krugman P, Increasing Returns and Economic Geography, Journal of Political Economy 99, pp 483-499 ;1991
59. Krugman P. 1991 "Increasing return and economic geography", Journal of Political Economy 99, pp 483-499
60. Kudina A. Jakubiak M . The Motives and Impediments to FDI in the CIS OECD 2008
61. Larking B (ed.) „International Tax Glossary: International Bureau of Fiscal Documentation,” 4-th ed. 2001
62. Lim D., "Fiscal Incentives and Direct Foreign Investment in Less Developed Countries", Journal of Development Studies, 19(2), 1983
63. Model Tax Convention on Income and on Capital, OECD Committee on Fiscal Affairs, Paris 2005
64. Monetary Policy, Taxation and International Investment Strategy, Edited by Victor A. Canto and Arthur B. Laffer, Quorum Books, 1990
65. OECD Benchmark Definition of Foreign Direct Investment, second edition 2008.
66. OECD; TAX Effects on Foreign Direct Investment" Recent Evidence and Policy Analysis. #17, OECD 2007
67. On Determinants Of Foreign Direct Investment In Transition Economies, Andrzej Baniak, Jacek Cukrowski, Jan Herczyński December 2002, Center For Social And Economic Research (Case)
68. Papava VI., Necroeconomics: The Political Economy of Post-Communist Capitalism, iUniverse Inc. USA, 2005
69. Reuven, Tax Competition and International Tax Regime, Bulletin for International Taxation, April 2007
70. Rolf Eicke Tax Planning with Holding Companies – Repatriation of US Profits from Europe, Kluwer Law International BV, The Netherlands 2009

71. Shah A. and J.Toye, "Fiscal Incentives for Firms in Some Developing Countries: Survey and Critique", edited by J. Toyne, Taxation and Economic Development, London: Frank Cass, 1978
72. Tax effects on FDI, recent evidence and policy Analysis, # 17, Paris OECD 2007
73. The effect of treaties on foreign direct investment , sauvant , Karl P. Sachs Lisa E, Oxford University Press 2009
74. United Nations model double taxation convention between developed and developing countries. - New York : UN, 2001
75. USAID, Assessment of Investment Promotion Capacity in Georgia Recommendations for EPI Support, April 06, Tbilisi 2011
76. USAID, Business climate reform, Attracting Foreign Direct Investment. Tbilisi, May 2006
77. World Investment Report 2007, Transnational Corporations, Extractive Industries and Development, UNCTAD New York and Geneva: United Nations, 2007
78. World Investment Report 2016: Investor Nationality: Policy Challenges, Geneva, United Nations 2016

ინტერნეტ წყაროები:

1. <http://www.enterprisesurveys.org/Methodology/~/media/FPDKM/EnterpriseSurveys/Documents/Methodology/ES-Manufacturing-questionnaire-2011.pdf>
2. [http://www.oecd.org/document/0,3746,en\\_2649\\_201185\\_46462759\\_1\\_1\\_1,00.html](http://www.oecd.org/document/0,3746,en_2649_201185_46462759_1_1_1_1,00.html)
3. [http://www.forbes.com/global/2008/0407/060\\_2.html](http://www.forbes.com/global/2008/0407/060_2.html)
4. <http://www.freetheworld.com/release.html>
5. <http://www.doingbusiness.org/reports/global-reports/doing-business-2012>
6. <http://www.doingbusiness.org/~/media/FPDKM/Doing%20Business/Documents/Special-Reports/Paying-Taxes-2012.pdf>
7. [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)
8. [www.unctad.org](http://www.unctad.org)
9. [www.ibfd.org](http://www.ibfd.org)

## დანართები

### 1. საგადასახადო განაკვეთები საქართველოში 2004-2012 წლებში

წელი /სტანდარტული საგადასახადო განაკვეთი	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012
გადასახადების რაოდენობა	21	7	7	7	6	6	6	6	6
დღგ	20%	20%	18%	18%	18%	18%	18%	18%	18%
საშემოსავლო გადასახადი	12	12%	12%	12%	25%	20%	20%	20%	20%
სოციალური გადასახადი	33%	20%	20%	-	-	-	-	-	-
მოგების გადასახადი	20%	20%	20%	20%	15%	15%	15%	15%	15%
დივიდენდისა და პროცენტის დაბეგვრა	10%	10%	10%	10%	10%	5%	5%	5%	3%

### 2. საგადასახადო შეღავათები საქართველოს თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებში (2004-2012)

საგადასახადო განაკვეთები/თავისუფალი ინდუსტრიული ზონის და სხვა ტერიტორიები	თავისუფალი ინდუსტრიული ზონა	თავისუფალი ინდუსტრიული ზონის გარდა
მოგების გადასახადი	0	15
დივიდენდისა და საპროცენტო შემოსავლის დაბეგვრა	10	10
საშემოსავლო გადასახადი	0	25
დღგ	0	18
საბაჟო გადასახადი	0	12
ქონების გადასახადი	0	1 %-მდე

3. საშუალო საგადასახადო განაკვეთები საქართველოს მიერ რატიფიცირებული „ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ“ ხელშეკრულებების მიხედვით

ქვეყანა	დივიდენდი	პროცენტი	როიალტი
ავსტრია	0	0	0
აზერბაიჯანი	5	10	10
არაბთა გაერთიანებული ემირატები	0	0	0
ბელგია	5	5	5
ბულგარეთი	5	5	10
გაერთიანებული სამეფო	5	0	0
გერმანია	5	0	0
დანია	5	0	0
ესპანეთი	5	0	0
ესტონეთი	5	5	10
თურქეთი	5	5	10
თურქმენეთი	5	5	10
ირანი	5	5	5
ირლანდია	5	0	0
იტალია	5	0	0
კატარი	0	0	0
ლატვია	5	5	10
ლიტვა	5	5	10
ლუქსემბურგი	5	0	0
მალტა	0	0	0
ნიდერლანდები	5	0	0
პოლონეთი	5	5	10
რუმინეთი	5	5	5
საბერძნეთი	5	5	5
საფრანგეთი	5	5	0
სინგაპური	0	0	0
სომხეთი	5	5	5
უზბეკეთი	5	5	10
უკრაინა	5	5	10
ვინეთი	0	0	0
ყაზახეთი	5	5	10
ჩეხეთი	5	5	0
ჩინეთი	5	5	5
<b>საერთო საშუალო</b>	<b>4,09090909</b>	<b>3,030303</b>	<b>4,242424</b>

4. პირდაპირი უცხოური ინგესტიციების შემოდინება საქართველოში, 2000-2015 წწ.  
 (მდნ. აშშ. დოლარი)  
 (წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური)

წელი	რაოდენობა
2000	131,0
2001	109,0
2002	165,0
2003	339,0
2004	499,1
2005	449,8
2006	1190,4
2007	2014,8
2008	1564,0
2009	658,4
2010	814,5
2011	1 117.2
2012	911.6
2013	941.9
2014	1758.4
2015	1351.1

ქართველი

საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ათასი აშშ დოლარი

ბელშეკრულების გაფორმების წლი	ბელშეკრულების გაფორმების წლი																
	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	-39	164	
განხორციელებული ინვესტიციები, იაპონია	1992	-	8 618	12 090	16 610	34 433	34 368	11 655	-30 809	17 492	23 011	13 850	28 974	-15 030		164	
განხორციელებული ინვესტიციები, უზბეკეთი	1997	-	-	-	-	-	-	-	175	23	-65	-207	-18	570		21	
განხორციელებული ინვესტიციები, აზერბაიჯანი	1998	-	29	698	69 099	66 920	77 804	41 368	23 943	29 824	57 962	138 016	59 007	81 940	341 401	541	758
განხორციელებული ინვესტიციები, ბულგარეთი	1999	-	-	-	71	319	21	13	-291	-90	916	2 235	2 563	9 070	5 859		
განხორციელებული ინვესტიციები, რუმინეთი	1999	-	-	-	-	-	-	5 431	-	-11	41	-	81	188	-189	-17	
განხორციელებული ინვესტიციები, უკრაინა	1999	-38	1 439	1 280	1 701	1 056	24 381	-6 442	-1 564	4 396	1 648	-1 199	22 939	3 295	121		
განხორციელებული ინვესტიციები, თურქეთი	2000	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	7	361	-86	102		
განხორციელებული ინვესტიციები, სომხეთი	2000	-	250	277	396	1 034	-4 895	-15 061	-5 378	515	-12 384	5 931	3 689	12 768	4 705		
განხორციელებული ინვესტიციები, ყაზახეთი	2000	-	-	-	-	152 311	88 486	65 942	-31 973	574	5 175	401	18 625	10 700	5 977		
განხორციელებული ინვესტიციები, ირანი	2001	-	-	-	-	43	108	1 449	1 188	1 084	1 059	889	1 868	1 367	-150		
განხორციელებული ინვესტიციები, საბერძნეთი	2002	19 100	1 967	2 178	2 217	2 507	1 350	-1 850	1 522	4 485	1 185	178	-553	641	1 185		
ნიდერლანდები	2003	-	-	-	492	18 530	299 277	135 870	32 586	73 362	241 819	35 368	153 185	373 741	111	014	
განხორციელებული ინვესტიციები, ბელგია	2004	-	15	-	-	-	1 564	62	113	23	-20	-845	93	1 486	1 177		
განხორციელებული ინვესტიციები, იტალია	2004	9 864	896	32 453	22 834	47 219	15 228	6 048	1 684	5 141	-5 233	529	-142	3 851	2 279		
განხორციელებული ინვესტიციები, ლიტვა	2004					3 434	327	-114	3 560	2 441	-1 847	578	5 391	3 750	-149		
განხორციელებული ინვესტიციები, გაერთიანებული სამყოფა	2005	17 530	37	630	87 831	132 926	186 824	145 475	148 908	72 313	58 964	54 977	93 603	55 171	107 581	198	437
განხორციელებული ინვესტიციები, ლასტვა	2005						3 102	756	-18	-1	-103	1 052	-2 676	8 115	5 547		
განხორციელებული ინვესტიციები, ჩინეთი	2005	2 562	19	070	7 338	5 669	5 445	6 877	-2 271	-2 237	-7 882	9 643	36 126	89 874	217 944	57 616	
განხორციელებული ინვესტიციები, ავსტრია	2006	-	108	23 157	14 732	10 749	11 384	51 463	29 709	10 045	28 517	13 500	5 235	5 957	14 454		
განხორციელებული ინვესტიციები, პოლონეთი	2006	-	-	-	294	502	19	23	11	53	152	-14	1 364	379	1 163		
განხორციელებული ინვესტიციები, გერმანია	2007	4 228	4 145	5 141	5 032	20 381	56 988	40 591	21 345	12 848	25 513	138 813	21 828	3 993	5 945		
განხორციელებული ინვესტიციები, ესტონეთი	2007	-	-	-	-	-	594	-211	5 723	-52	-332	385	-1 974	1 754	11 058		
განხორციელებული ინვესტიციები, ჩეხეთი	2007	-	250	277	1 280	15 032	227 926	34 858	45 679	24 213	46 598	8 031	43 578	51 962	5 473		
განხორციელებული ინვესტიციები, დანია	2008	-	-	-	319	42 478	158 126	256	-427	18	97 170	6 558	9 572	12 730	21 135		
განხორციელებული ინვესტიციები, ფინეთი	2008	-	-	-	-	-	-	-	1 533	993	1 086	1 236	887	261			
ლუქსემბურგი	2009	337	250	277	553	261	9 246	5 731	9 497	7 060	43 284	42 032	142 545	109 633	86 642		
განხორციელებული ინვესტიციები, მალტა	2009	-	-	-	-	-	-	-	-	16 768	6 186	32 204	43 166	45 809	17 605		
განხორციელებული ინვესტიციები, თურქეთი	2010	8 848	17	275	33 927	21 812	129 728	93 871	164 525	97 940	91 787	75 524	81 060	42 758	63 110	77 294	
განხორციელებული ინვესტიციები, ირლანდია	2010	37	37	41	592	1 155	-1 663	224	65	316	279	207	734	1 058	173		
განხორციელებული ინვესტიციები, საფრანგეთი	2010	6 287	16	709	22 854	14 383	17 222	43 726	8 180	11 958	-7 820	7 353	25 864	11 034	19 121	22 900	
განხორციელებული ინვესტიციები, სინგაპური	2010	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-		
განხორციელებული ინვესტიციები, არაბეთის																	
გაერთიანებული საემიროები	2011	-	291	-	280	423	130 859	306 576	162 756	55 531	-52 358	24 420	61 994	-2 526	11 104		
განხორციელებული ინვესტიციები, ესპანეთი	2011	-	-	-	-	-	3 590	5 475	137	91	30	942	-1 645	4 730	1 307		
განხორციელებული ინვესტიციები, ინდოეთი	2011	-	-	-	29	55	62	26 998	271	14 887	16 270	5 150	-12 574	249	-352		
განხორციელებული ინვესტიციები, ისრაელი	2011	4 322	487	539	1 704	4 084	9 496	-2 048	1 230	7 954	5 585	9 825	9 850	19 161	14 828		
განხორციელებული ინვესტიციები, კატარი	2011	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-		
განხორციელებული ინვესტიციები, შვიცარია	2011	-	-	-	116	402	10 855	89 959	-11 984	21 885	27 910	10 029	17 023	7 910	8 825		
განხორციელებული ინვესტიციები, ბაქრეინი	2012	-	-	-	-	-	-	-	55 751	18 000	11 788	-	1 489	373	54		
განხორციელებული ინვესტიციები, ეგვიპტე	2012	-	-	-	-	-	-	-	55 751	18 000	11 788	-	1 489	373	54		
განხორციელებული ინვესტიციები, ნორვეგია	2012	11	2 994	262	37 497	23 621	77 895	34 200	2 693	1 005	2 023	3 049	4 120	3 240	449	602	
განხორციელებული ინვესტიციები, სლოვაკეთი	2012	-	-	-	-	-	-	-	23	9	20	3 686	-278	54 688	-65		
განხორციელებული ინვესტიციები, უნგრეთი	2012	-	34	-	327	315	1 010	1 025	-47	-	-	-32	-80	905	-1		
განხორციელებული ინვესტიციები, სან მარინო	2013	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-		
განხორციელებული ინვესტიციები, სერბეთი	2013	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-		
განხორციელებული ინვესტიციები, სლოვენია	2013	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-		
განხორციელებული ინვესტიციები, ქუვეთი	2013	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-		
განხორციელებული ინვესტიციები, ხორვატია	2013	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-		
განხორციელებული ინვესტიციები, შევედეთი	2014	-	81	-	160	189	6 779	7 635	-8 831	-1 596	-3 615	-4 465	5 265	1 059	1 902		
განხორციელებული ინვესტიციები, ბელარუსი	2015	-	-	-	-	-	53	102	-223	-92	152	-257	41	52	-359		
განხორციელებული ინვესტიციები, ისლანდია	2015	-	-	-	-	-	182	0	185	716	117	-63	125	262	-852		
განხორციელებული ინვესტიციები, პორტუგალია	2015	-	-	-	-	-	13	117	24	22	-4	168	2 490	2 031	888		
განხორციელებული ინვესტიციები, კვადროსი	2016	1 063	676	21 333	47 537	40 071	148 644	26 166	-1 612	40 388	10 359	38 685	-106 440	-5 101	-7 027		